საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№22 (160)
13 – 19 ივნისი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## რას მოუტანს საქართველოს ყარაბაღის ახალი ომი?

4

## თუ ნატოს საფასურად დავთმობთ ცხინვალს და სოხუმს, ეს «დათმობები» ამით არ დამთავრდება

8

# ამას კიდევ გაგიჟება უნდოდა?!

თუ რაზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი სააკაშვილ-კლინტონის პირისპირ შეხვედრაზე, ამაზე უბრალო მოკვდავებმა მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ. მაგრამ, თუ მადამ ჰილარის წასვლის შემდეგ ხელისუფლების ქმედებებს გავაანალიზებთ, «მწვანე შუქის» თეორია არც თუ უსაფუძვლოა



11



3

## ოლიგარქის «მარცხენა»

## ხელისუფლება არჩევნებს ტოტალურად გააყალბებს

6

## სააკაშვილის რეჟიმის არჩევნების გზით შეცვლა გამორიცხულია!

7

## საქართველოს ხელისუფლება ისევ წავა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაზე

9

დიმიტრი მონიავას
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამ ეტაპზე მთავარია სააკაშვილის არჩევნებამდე მიყვანა, ისე, რომ მან არ დაიწყოს ოპოზიციის განადგურება, ან სულაც, ახალი ომი, არ ჩაიდინოს არაფერი ისეთი, რაც მასშტაბური დესტაბილიზაციით დასრულდება. დღეს ვაშინგტონისთვის მთავარი, სავარაუდოდ, სწორედ ესაა; აქედან გამომდინარე მისთვის, იდეაში, მისაღები უნდა იყოს ყველაფერი, რაც ამ მიზნის მიღწევას ემსახურება: ღიმილიც, კომპლიმენტიც, დაიმედებაც, რეიტინგების „დამრგვალებაც" და კარგად შეფუთული ტყუილიც კი. ხომ არ გეჩვენებათ, რომ სააკაშვილს ბანალურად აბაიბურებენ, რათა ქვეყანამ არჩევნებამდე მშვიდობიანად მიაღწიოს?**

# ქუთაისური მარში და ნაციონალური ინტელექტის გასაჭირი



**ბოლო წლებმა ერთი რამ ნამდვილად გვასწავლა: როდესაც სააკაშვილის პროპაგანდა, მისი მომხრეები, თანამეინახეები და თანამზრახველები ოპოზიციის მიტინგებზე მისული ადამიანების ნერვულ დათვლასა და ციფრებით მანიპულირებას იწყებენ, ეს ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება შეწუხებული და შეშინებულია. ცხადია, მათ შეუძლიათ თქვან, რომ ქუთაისში 10 ივნისს აქციაზე მხოლოდ 10 ადამიანი მივიდა, მაგრამ სრულიად საქართველომ, ერის, ბერის, მთავრობის, მხედრობის, ხალხის და ჯამაათის ჩათვლით, სავარაუდოდ, იცის, რომ ამ დღეს სააკაშვილმა დამამცირებელი მარცხი იწვნია.**

ორი კვირის განმავლობაში ხელისუფლება აკეთებდა ყველაფერს, რათა მასშტაბური აქციის ჩატარებისთვის ხელი შეეშალა. იყო ვადების გადატანა, საბავშვო ფესტივალის მეშვეობით მოედნის ერთთვიანი დაბლოკვის მცდელობა (ისე, ბავშვების ამოფარებას ზოგიერთი თავმოყვარე ტერორისტიც კი არ კადრულობს), დეზინფორმაციის გავრცელება, დაშინება, ისტერიკა და შანტაჟი. ამის მიუხედავად, **ქუთაისში, ლამის ტროპიკული სიცხის პირობებში, გაიმართა აქცია, რომლის ანალოგს ეროვნული მოძრაობის პერიოდში თუ მოვძებნით** (თუ არ ვცდები, განსაკუთრებით შთამბეჭდავი მიტინგი ქუთაისში მერაბ კოსტავამ ჩაატარა). საერთოდ კი, ქუთაისი ერთ-ერთი ყველაზე „არასამიტინგო" ქალაქია, ხოლო **იმერეთში ხელისუფლების კონტროლი საზოგადოებაზე გაცილებით დამთრგუნველია, ვიდრე თბილისში; თუმცა დაშინების ტაქტიკა ამჯერად არაეფექტური გამოდგა, რაც ძალზე სიმპტომატურია.**

ბოლო დროს სააკაშვილი ამ რეგიონისთვის დაპირებებს ნამდვილად არ იშურებდა. ეს გასაგებიცაა: მას შემდეგ, რაც მასა და ოპოზიციურ თბილისს შორის „ცივი ომი" დაიწყო, „ნაცმოძრაობის" ბელადს დასჭირდა საყრდენი ქალაქი და რეგიონი, რომელსაც „მიშიზმის" ერთგვარ ბუდედ გადააქცევდა. **იმერეთმა მის მრავალთვიან ძალისხმევას 10 ივნისის აქციაზე გასვლით უპასუხა და სააკაშვილის პიროვნული დამცირების ელემენტი ყოველივე ამაში ნამდვილად იყო, თითქოსდა ის, თავისი ტრიბუნით და ფერადი ბუშტებით, გვერდზე გაწიეს, ხელი ჰკრეს ან სულაც სილა გააწნეს.** თქმული, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი იმერეთში ხმების 100%-ს აიღებს, თუმცა აშკარა გახდა, რომ იქ სააკაშვილის პოზიციები დამაჯერებელი ნამდვილად არ არის. **თუ „ქართული ოცნება" ასეთ მასშტაბურ აქციებს სხვა ქალაქებშიც გამართავს (და „წარმატებისგან თავბრუსხვევა" არ დაეწყება), მითი რეგიონების მიერ სააკაშვილის მხარდაჭერის შესახებ საბოლოოდ დაიმსხვრევა.**

„ქართული ოცნების" რეგიონული მარშის ფსიქოლოგიურ შემადგენელზე საუბრისას, ყურადღებას, როგორც წესი, რეგიონებში შიშის დაძლევაზე ვამახვილებთ, თუმცა ამ მედალს მეორე მხარეც აქვს. **პირველად სააკაშვილის მმართველობის წლებში ოპოზიციური თბილისი დარწმუნდა, რომ ის არ არის მარტო, როგორც გვარდია ვატერლოოს ბრძოლის დასკვნით ეტაპზე და ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.**

ამ მეტაფორის ფარგლებში საუბარი დიდხანს შეიძლება: ოპოზიციური თბილისი, როგორც გვარდია, რომელსაც ალყა შემოარტყეს, რიგები გაუნახევრეს, სისხლისგან დაცალეს, მაგრამ მან ბრძოლის ველიდან ფეხი მაინც არ მოიცვალა და ჯიუტად იმეორებდა: „გვარდია არ ნებდება". თუ მისი წინააღმდეგობის გატეხვას შეძლებდა, სააკაშვილი გაიმარჯვებდა და მრავალწლიან მმართველობას გაინაღდებდა კიდეც, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. **ის ადამიანები, რომლებზეც ახლა ვსაუბრობთ, სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ რაიმე განსაკუთრებულ სარგებელს** (სახელისუფლო გაგებით), **სავარაუდოდ, ვერ ნახავენ. ჯილდოებისა და პოლიტიკური „ნადავლის" უდიდესი ნაწილი ოპოზიციაში ბოლო მომენტში გადმოსკუპებულ, „ცხოვრების მოწყობაში" ფრიად გაწაფულ ყოფილ „მიშისტებს" და მათთან გათანაბრებულ „ნეიტრალებს" შეხვდება.** ბევრისთვის ერთადერთ ჯილდოდ მხოლოდ იმის განცდა დარჩება, რომ „იყო იქ, სადაც ქვეყნის ბედი გადაწყდა" და იმ ერთობის ნაწილი გახლდათ, რომელსაც, პირობითად, „გვარდია" ვუწოდეთ, თუმცა ამაყი ადამიანები ასეთ ჯილდოებს არანაირ მატერიალურ სარგებელზე არ ცვლიან.

მოკლედ, **ოპოზიციურმა თბილისმა დაინახა, რომ ბრძოლის ველზე დამხმარე ძალა გამოჩნდა, რასაც ნაპოლეონის გვარდია ვატერლოოსთან ვერ ეღირსა და ეს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ის ეფექტი, რომელიც აქციამ საკუთრივ იმერეთში მოახდინა**.

მმართველმა ძალამ ამ პერიოდში თითქოსდა დაივიწყა საკუთარი კამპანია, დაკარგა საკუთარი „მე" და მხოლოდ ივანიშვილის აქციის ტორპედირებით, მისი (ან მისი თანამოაზრეების) განცხადებების კომენტირებით და მათთვის პრობლემების შექმნით დაკავდა. ეს კი **ინიციატივის დაკარგვაზე მიანიშნებს, როდესაც ერთ-ერთი მხარე ოპონენტზე პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურად დამოკიდებული ხდება და მის ნაბიჯებზე რეაგირების გარდა არაფერს აკეთებს.** რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გაიჟღეროს, **ხელისუფლება თითქოსდა „ივანიშვილის ოპოზიცია გახდა" (თანაც მეტად დესტრუქციული ოპოზიცია) და ამ როლის იქით ვერაფერს ხედავს.**

სადაა პროაქტიური ნაბიჯები — ოპონენტის ჩათრევა საკუთარ თამაშში? სიცოცხლისუნარიანი, პოზიტიური იდეები, რომელთაც კამპანია დაეფუძნება? კრეატივი და, ბოდიში უადგილო ხუმრობისთვის, ნაციონალური ინტელექტი მთელ მის შემზარავ ბრწყინვალებაში? არადა, ყველასთვის ცხადია, რომ სააკაშვილის უსასრულო ტელემონოლოგები (შექსპირი მაინც წაგვეკითხოს, ეს გაცილებით ორიგინალური და შინაარსიანი იქნება) და ხელისუფალთა დახურული შეხვედრები რესტორნებში სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლებთან (ისე გულმოდგინედ იმალებიან, თითქოს საქმე რაღაც საიდუმლო სექტის, მაგალითად, „აუმ სინრიკეს" შეკრებებს ეხებოდეს) სიტუაციაში გარდატეხას ვერ შეიტანს.

როგორც ჩანს, ძია სემის გარეშე ეს ადამიანები საკუთარი თასმების შეკვრასაც ვერ ახერხებენ, ურთულესი საარჩევნო კამპანიის წარმოებაზე რომ არაფერი ვთქვათ. **საეჭვოდ გაღიმებული ძია სემი კი ამჯერად განზე გადგა და მის ქცევას, ალბათ, გარკვეული ყურადღება უნდა დავუთმოთ.**

საქართველოში ჰილარი კლინტონის ვიზიტის შემდეგ ქართველი კომენტატორების ნაწილმა, ტრადიციისამებრ, მოაწყო პატარა საბავშვო ბალი და მორთო ქვითინი იმასთან დაკავშირებით, რომ თეთრმა სახლმა სააკაშვილს წინასწარ „გაუპრავა" არჩევნების გაყალბება, ხელისუფლებაში დარჩენაზე „მწვანე აუნთო", „წითელი ჩაუქრო" და ა. შ. სახელმწიფო მდივნის ზოგიერთი ფრაზის გარშემო ნამდვილი კონსპიროლოგიური შაბაში გაიმართა, რომელმაც სრულად დაჩრდილა ერთი მარტივი და სავსებით ლოგიკური აზრი იმის თაობაზე, რომ **ამ ეტაპზე მთავარია სააკაშვილის არჩევნებამდე მიყვანა, ისე, რომ მან არ დაიწყოს ოპოზიციის განადგურება, ან სულაც, ახალი ომი, არ ჩაიდინოს არაფერი ისეთი, რაც მასშტაბური დესტაბილიზაციით დასრულდება. დღეს ვაშინგტონისთვის მთავარი, სავარაუდოდ, სწორედ ესაა; აქედან გამომდინარე მისთვის, იდეაში, მისაღები უნდა იყოს ყველაფერი, რაც ამ მიზნის მიღწევას ემსახურება: ღიმილიც, კომპლიმენტიც, დაიმედებაც, რეიტინგების „დამრგვალებაც" და კარგად შეფუთული ტყუილიც კი. ხომ არ გეჩვენებათ, რომ სააკაშვილს ბანალურად აბაიბურებენ, რათა ქვეყანამ არჩევნებამდე მშვიდობიანად მიაღწიოს?**

პირდაპირი პარალელების გავლება „ვარდების რევოლუციის" წინარე პერიოდთან გაგვიჭირდება, რადგან ედუარდ შევარდნაძე სრულად აცნობიერებდა, საით მიდიოდა პროცესები, თუმცა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მაშინ თბილისში ჩამოსული ჯეიმს ბეიკერი (სახელმწიფო მდივანი აღარ იყო, მაგრამ არჩევნების წინ მნიშვნელოვანი მისია შეასრულა) საქართველოს პრეზიდენტს არა „საზიზღარ დიქტატორს", არამედ „დიდ დემოკრატს", „რეფორმატორს" და თავის „ძვირფას მეგობარს" უწოდებდა. რაღას ვერჩით ჰილარი კლინტონს?

საგულისხმოა, რომ მისი ვიზიტის დასრულებისთანავე სააკაშვილის აპოლოგეტებმა დაიწყეს ძალიან ცუდად შენიღბული საუბარი იმაზე, რომ ვაშინგტონმა მათ ბელადს ხელები გაუხსნა (ახალი რუსული გამონათქვამის არ იყოს, „ნურგალიევ რაზრეშილ!"), **კვლავ გააქტიურდა კონტროლის პალატა და აფართხალდა მარაზმის უკანასკნელ სტადიამდე მისული პროპაგანდა. ყოველივე ამის მიზანი, სავარაუდოდ, ხელისუფლების მომხრეებში გამარჯვების რწმენის, ხოლო მოწინააღმდეგეებში უიმედობის გაღვივება იყო. თუმცა დაყრდნობა პოსტულატზე „რახან კლინტონმა თქვა (და რა თქვა ისეთი?), ესე იგი ასე იქნება", ერთის მხრივ, ღრმა ინტელექტუალურ კრიზისზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი, იმაზე, რომ ხელისუფლება ძალიან ცუდად იცნობს იმ ხალხის ფსიქოლოგიას, რომელსაც მართავს.** შემდეგ ჩატარდა ქუთაისის აქცია, რომელმაც ეს საუბრები მეორე პლანზე ჩააჩოჩა. რაც შეეხება კონტროლის პალატის მორიგ ფრონტალურ შეტევას „ქართულ ოცნებაზე"", თავს უფლებას მივცემ, გამოვთქვა ვარაუდი, რომ ის, მაქსიმუმ თვის ბოლომდე გაგრძელდება; უცხოელი დიპლომატებისა და არასამთავრობოების ჩარევა სიტუაციას მნიშვნელოვნად გამოასწორებს, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა.

ვინაიდან ინტელექტუალური კრიზისი უკვე მეორედ ვახსენეთ, ალბათ, მიზანშეწონილია ორიოდე წუთი „ნაცინტელექტზე" საუბარს დავუთმოთ. ნებისმიერი რევოლუციის (გადატრიალების) ისტორიის დაკვირვება, ძალზე საინტერესოა შემდეგი რაკურსით: **როგორ** (რამდენად, რა მიმართულებით) **ვითარდებიან ადამიანები, რომლებიც ელიტაში „ქუჩიდან" მოხვდნენ? იზრდებიან თუ რა ისინი, იღრმავებენ თუ არა ცოდნას თუ ძალაუფლებით ტკბობის იქით ველარ მიდიან? საოცარ მაგალითებს, ამ მხრივ, ფრანგული რევოლუცია გვაძლევს, ხოლო გერმანელი ნაცისტების შემთხვევაში სიტუაცია შეუდარებლად მძიმეა.**

**ქართველი „ნაციონალები", როგორც ჩანს, საერთოდ ვერ განვითარდნენ; აშკარაა, რომ მათ ვერ მოახერხეს საზოგადოების კრიტიკულად დიდი ნაწილის დარწმუნება იმაში, რომ პატივისცემას იმსახურებენ, როგორც მამაცი მეომრები ან დახვეწილი ინტელექტუალები და, შესაბამისად, ელიტაში მათი დატოვების აუცილებლობა ყოვლისმომცველი ეჭვის ქვეშ დადგა.** სასათბურე პირობებმა, ჯანსაღი კონკურენციის ფაქტობრივი არარსებობით, რომელიც ძია სემმა მათ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ შეუქმნა, ამ მხრივ, ნეგატიური როლი შეასრულეს. ჩვენ, ალბათ, არერთგზის მოგვისმენია, ნაცნობი „ნაციონალი" პოლიტიკოსების შემდეგი დახასიათება „რაც იყო, იგივე დარჩა", რაც (8-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ) სხვა არაფერია, თუ არა საბოლოო განაჩენი. თუ ჩვენ ერთმანეთს შევადარებთ მათი უმრავლესობის 8 წლის წინანდელ გამოსვლებს, წერილებს (კინაღამ „სამეცნიერო ნაშრომებს" მივაყოლე), ალბათ, აღმოვაჩენთ, რომ ეს აბსოლუტურად იგივე დონეა, ხშირ შემთხვევაში, დეგრადაციის აშკარა ნიშნებით. შეიძლება ითქვას, რომ მათმა უმრავლესობამ, პიროვნული განვითარების თვალსაზრისით, ფაქტობრივად, დაკარგა, გაფლანგა ეს წლები ან, უბრალოდ, საკუთარი მოოქროვილი საღორის მოწყობას მოახმარა.

**რას გვეუბნებიან დღეს, როდესაც მათი მდგომარეობა გართულდა და, იდეაში, განსაკუთრებულ გონივრულობას უნდა ავლენდნენ: „კლინტონმა თქვა, რომ ხელისუფლებაში უნდა დავრჩეთ"? „ხელისუფლებაში თუ არ დაგვტოვებთ, ყველას დაგხოცავთ"?** (არსებითად ეს არის, შეფუთვას მნიშვნელობა არ აქვს). ეს ძალზე სუსტი არგუმენტებია, თუმცა მეტს, როგორც ჩანს, „ველარ ქაჩავენ". სინამდვილეში კი, ყველაფერი მარტივია: **თუ თავის დროზე არ ჩათვლიდნენ, რომ „თავი ქუდში აქვთ", ისწავლიდნენ და განვითარდებოდნენ, ასეთ დღეში არ ჩავარდებოდნენ, თუმცა ახლა ამ თემაზე საუბარს აზრი, ალბათ, უკვე აღარ აქვს.**

**ბატონო ბიძინა! ხომ ხედავთ, თქვენ მიერ გაწეული ხარჯების გამო ხელისუფლებამ უკვე თითქმის 200 მილიონი ჩაიჯიბა. ნუღარ ხარჯავთ ფულს და ნუ აფინანსებთ იმ ხელისუფლებას, რომელსაც არჩევნებით უპირებთ გაშვებას — ისე მოგცემთ ხმას, უფასოდ!!!**



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოლიგარქის «მარცხენა»

**კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის პოლიტიკურმა დევნამ უკვე სისტემური ხასიათი მიიღო, ხოლო ჯარიმებმა ასტრონომიული თანხები შეადგინა. ერთგვარი ბედის ირონიაა, რომ ბიძინა ივანიშვილი მას შემდეგაც აფინანსებს ხელისუფლებას, რაც პოლიტიკაში მოსვლისა და მისი ოპონირების შესახებ განაცხადა. ოღონდ ეს დაფინანსება ხელისუფლებისთვის ახლა ბევრად უფრო კომფორტულია; თუ ადრე ივანიშვილი კონკრეტული საქმისთვის იხდიდა ფულს, ახლა ხელისუფლება ამ თანხას მისი კონტროლის გარეშე განკარგავს და, სავარაუდოა, რომ სწორედ არჩევნებში მის დასამარცხებლად გამოიყენებს.**



## ბიძინა ივანიშვილი რომ არ დააჯარიმონ, მაშინ ყველა ის ადამიანი უნდა დაჯარიმდეს, რომლებსაც «ქართულ ოცნებასთან» აქვს შეხება

ჯერ იყო და 2011 წლის ნოემბერში ადგილობრივმა ხელისუფლებამ საჩხერის საავადმყოფო 82 ათასი ლარით დააჯარიმა. საავადმყოფოს მედპერსონალს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დაჯარიმების შეტყობინების მიტანის შემდეგ განუცხადეს: **„გაფინანსოთ ახლა ბიძინამ“.**

ეს ის საავადმყოფოა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა, მისივე დახმარებით მოხდა საავადმყოფოს რეაბილიტაცია და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა.

ეს 82 ათასი რომ ივანიშვილს ვერაფერს დააკლებდა, ცხადია, თუმცა მადა ჭამაში მოდის და, რაკი ხელისუფლებას ეს შარაგზის ყაჩაღობა გაუვიდა, მოთხოვნებიც გაეზარდა. ამ გაზრდილი მოთხოვნების მენეჯმენტს უფრო დახვეწილი მიდგომა სჭირდებოდა. თანხების „შეწერვას“ ადგილობრივი ხელისუფლების იმედად ხომ ვერ დატოვებდნენ და მმართველმა პარტიამაც უმალ შექმნა ცენტრალიზებული სტრუქტურა კონტროლის პალატაში, სადაც პროკურატურის კურსგავლილი ნათია მოგელაძე მიავლინეს და მანქანაც ამუშავდა.

2012 წლის მარტში მოგელაძემ ფორმულით — **„თქვენ გელით** (სიკვდილისგან ჯვარი სწერია) **ჯარიმა“** — პირველი მსხვილი ჯარიმა ჩაახუტა ივანიშვილს – პირადად დააჯარიმა 2 მილიონ 726 ათასი ლარით. ეს იყო იმ თანხის ათმაგი ოდენობა, რომელიც ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ივანიშვილის მიერ განხორციელებულ უკანონო შემოწირულობად მიიჩნია. კონტროლის პალატის ინფორმაციით, მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება ფიზიკური პირის — ბიძინა ივანიშვილის მიერ თავისი პირადი ანგარიშიდან „ქართულ ოცნების“ პოლიტიკური გუნდის წევრთა უკანონო დაფინანსების ფაქტზე. დაფინანსების საერთო ოდენობა შეადგენდა 406 ათას 525 ლარს.

**„საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა 272 ათას 597 ლარის ოდენობის უკანონო დაფინანსების ფაქტი იმ პირებთან მიმართებაში, რომელთა პოლიტიკური აქტივობა დადასტურებული და დაკავშირებული იყო ააიპ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ და საარჩევნო მიზნებთან“,** — ნათქვამია კონტროლის პალატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. დაჯარიმებამდე „ქართულ ოცნებაში“ განმარტეს, რომ ეს თანხა ბიძინა ივანიშვილმა თავის პირად კონსულტანტებს გადაურიცხა კონკრეტული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე და რომ ამას არანაირი კავშირი არ ჰქონდა „ქართულ ოცნებასთან“. **თავად ბიძინა ივანიშვილმა კი 17 მარტს განაცხადა, რომ ხელისუფლება უკანონოდ კრებს კონტროლის პალატის მეშვეობით ფულს მისი კომპანიებიდან და ანგარიშებიდან. იმ მომენტისთვის 2 თვის განმავლობაში კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული სანქციების შედეგად ბიძინა ივანიშვილი და მისი კომპანიები ჯამში 7 მილიონამდე ლარით დაჯარიმდნენ.**

მანამდე, 12 მარტს, მოგელაძემ „ქართუ ბანკი“ 822 ათასი ლარით დააჯარიმა პარტიების შესახებ **„კანონისთვის გვერდის ავლის მიზნით განხორციელებული ფინანსური ტრანზაქციის ფაქტზე“.** ეს უკვე ფინანსური სანქციების გამოყენების მეორე შემთხვევა იყო, რაც ჯამში ბიუჯეტის სასარგებლოდ 1 მილიონ 422 ათასი ლარის გადახდას გულისხმობს. თებერვლის ბოლოს ივანიშვილთან დაკავშირებული პირები შემოწირულობის ათმაგი ოდენობით (600 ათასით) დაჯარიმდნენ. თუმცა, წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად შემოწირულობა არ განხორციელებულა.

**კონტროლის პალატამ განაცხადა, რომ „კორუფციული სქემის“ მიხედვით, „ქართუ ბანკმა“ თავის ორ თანამშრომელს ჩაურიცხა დიდი ოდენობით პრემია — 82 ათასი ლარი ამ თანხის საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნებისთვის“ შემდგომი გადარიცხვის მიზნით. შესაბამისი კომენტარები ბანკის ორივე თანამშრომელს ნაციონალური ტელევიზიებისთვის გააკეთებინეს, მათ აღნიშნეს, რომ არ აპირებდნენ თანხების „ქართული ოცნების“ ანგარიშზე გადარიცხვას(!).**

**კონტროლის პალატამ ასევე განაცხადა, რომ „ქართუ ბანკის“ თანამშრომელმა ქურდაძემ პრემიის სახით მიიღო 44 ათას 400 ლარი, ხოლო ხუხუნეიშვილმა – 37 ათას 804 ლარი, თუმცა „შემდგომ მათ უარი განაცხადეს უკანონო გარიგებაში მონაწილეობის მიღებაზე“.**

პარალელურად ცნობილი გახდა, რომ **კოალიციის აქტივისტებს მთელი საქართველოს მასშტაბით დღეღამის განმავლობაში კონტროლის პალატაში დასაკითხად იბარებდნენ, როგორც „ფინანსურ მაქინაციებში მონაწილე სამართალდამრღვევებს“.**

ერთი სიტყვით, მოგელაძემ ჯერ განხორციელებული შემოწირულობისთვის დააჯარიმა „მეოცნებეები“, მერე კი — განუხორციელებლისთვის. თუმცა რაკი მადა ჭამაში მოდის, მოგელაძემაც ფსონი თანდათან გაზარდა. დაჯარიმებას ერთხელ უკვე გადარჩენილი შპს „ელიტა ბურჯი“ იმავე მარტში კონტროლის პალატამ მილიონ-ნახევარი დოლარით დააჯარიმა.

**„ელიტა ბურჯი“ ივანიშვილის „ბიზნესცენტრში“ მოქმედი სამშენებლო საქმიანობით დაკავებული შპს-ა, რომელიც კონტროლის პალატამ „ივანიშვილთან თვალთმაქცურ გარიგებაში ამხილა“.** მაშინ კონტროლის პალატის განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ შპს „ელიტა ბურჯთან“ მოჩვენებითი გარიგება იმიტომ დადო, რომ პარტიების დაფინანსების კანონში დაწესებული შეზღუდვები თავიდან აეცილებია. საუბარია 2 მილიონ ლარზე, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ „ელიტა ბურჯს“ ავეჯის დამზადებისთვის გადაურიცხა, მოგვიანებით კი ავეჯის დამზადება გადაიფიქრა და 100 ათასი ლარი შპს-ს უკან გადმოარიცხვინა. 3 დღეში ახალი ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ელიტა ბურჯმა“ ქართულ ოცნებას კიდევ 1 მილიონი ლარი გადაურიცხა ანგარიშზე.

**„ვთვლით** (რას ერჩი, მივიჩნევთო, ხომ არ დაწერდნენ, ითვლიან და ესეც ჩათვალეს! **– ნ.დ.), რომ სახეზეა მოჩვენებითი თვალთმაქცური გარიგების ნიშნები“,** — განაცხადა მოგელაძემ და განმარტა, რომ „ელიტა ბურჯიც“ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის და, შესაბამისად, თავად არის დამკვეთიც, შემსრულებელიც და შემსყიდველიც. ასე და ამდენად, 150 ათასად ღირებული „ქართული ოცნების“ მაისურები „ელიტა ბურჯს“ ათმაგი – მილიონ-ნახევარი დაუჯდინეს.

**მაისში ივანიშვილი კონტროლის პალატამ კიდევ 4 მილიონ 760 ათასი ლარით დააჯარიმა იმ მოტივით, რომ „მენეჯმენტ სერვისის“, ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული ერთ-ერთი კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება, მათ შორის ოფისების დაქირავება და მათი გარემონტება, „იურიდიული პირის მიერ განხორციელებულ უკანონო შემოწირულებას წარმოადგენს“.** ამით ხელისუფლებამ ორი კურდღელი დაიჭირა: წინასაარჩევნოდ ქისაც შეივსო და „ქართული ოცნების“ 60 ოფისის ფუნქციონირებას საფრთხეც შეუქმნა. „მენეჯმენტ სერვისის“ შესაძლო გაკოტრება ამ ისტორიაში მხოლოდ ხურდაა.

ამ ჯარიმის ჩათვლით, **15 მაისისთვის მთლიანმა ფინანსურმა ჯარიმებმა, რომლებიც ივანიშვილსა და მასთან ასოცირებულ კომპანიებს თუ ინდივიდუალურ პირებს პარტიების დაფინანსების შესახებ კანონის დარღვევის მოტივით დაეკისრათ, 11 მილიონ 380 ათასი ლარი შეადგინა.**

თუმცა ეს თანხა საცოდავად გამოიყურება იმასთან შედარებით, რაც 11 ივნისს „დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“ (მოსახლეობის 70% რომ „ენდობა“) დააკისრა ივანიშვილს.

**„ქართული ოცნების“ ლიდერი კონტროლის პალატის კიდევ ერთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის საფუძველზე 22 მილიონ 430 ათასი ლარით დააჯარიმეს.**

ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს კონტროლის პალატამ პირადი ანგარიშიდან კომპანიების „ბურჯისა“ და „ელიტა ბურჯის“ რესურსების გამოყენებით „ქართული ოცნებისთვის“ 239 ავტომობილის შეღავათებით მიქირავების ბრალდება წაუყენა.

**იმავე დღეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილი კიდევ 126 მილიონ 220 ათასი ლარით დაჯარიმდა. კონტროლის პალატის ინფორმაციით, საქმე ეხება ბიძინა ივანიშვილის მხრიდან „გლობალ კონსალტინგ გრუპის“ რესურსის გამოყენებით, საარჩევნო მიზნებისთვის ათეულობით ათასი სატელიტური ანტენების მოსახლეობისთვის უსასყიდლოდ და მასობრივად დარიგების ფაქტებს, რომელიც მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა.** კონტროლის პალატის ინფორმაციით, ამ ქმედებით ბიძინა ივანიშვილმა განახორციელა დაახლოებით 12 მილიონ 622 ათასი ლარის შემოწირულობა. ჯარიმამ ამ თანხის ათმაგი ოდენობა შეადგინა.

მთელ ამ ფინანსურ ბაკქანალიას, რომლის აღქმა რიგით ქართველ ამომრჩეველს საკუთარი სიღატაკის გამო უჭირს, ერთი დადებითი მხარე აქვს: **ბიძინა ივანიშვილი რომ არ დააჯარიმონ, მაშინ ყველა ის ადამიანი უნდა დაჯარიმდეს, რომლებსაც „ქართულ ოცნებასთან“ აქვს შეხება.** აი, რას ამბობს პოლიტიკოსთა სექსუალური მომწიფებულობის აუცილებლობაზე გაკეთებული განცხადებით პოლიტიკაში შემოსული ადვოკატი არჩილ კბილაშვილი: **„ბიძინა ივანიშვილი დააჯარიმეს იმის გამო, რომ რამდენიმე ადამიანს, მათ შორის მეც, ხელფასის სახით გადაურიცხა თანხა. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მე ვარ ადვოკატი. ვიცავ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს მის მოქალაქეობასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს ორი პროცესი: ერთი — სასამართლო დავა, სადაც ვითხოვთ ჩამორთმეული მოქალაქეობის აღდგენას, და მეორე – ადმინისტრაციული პროცესი, სადაც ვითხოვთ ბატონი ბიძინასთვის ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მინიჭებას. ორივე პროცესში მე მას ვუწევ სამართლებრივ მომსახურებას. უსასყიდლოდ უნდა გავუწიო ეს მომსახურება? არ უნდა გადამიხადოს მომსახურების საზღაური? რატომ უნდა გავუწიო ბატონ ბიძინას უფასო სამართლებრივი მომსახურება? გაჭირვებულთა ბაზაშია რეგისტრირებული თუ მორალური ვალდებულება მაკისრია რამე“?**

ჟურნალისტის რეპლიკაზე — **„თუნდაც იმიტომ, რომ ის თქვენი პოლიტიკური ლიდერია“,** კბილაშვილი ბოლომდე ხსნის ფრჩხილებს: **„არა, მე რომ ეს უსასყიდლოდ გავაკეთო, უკვე შემოტრიალდება სიტუაცია და გამოვა, რომ მე ვახორციელებ შემოწირულობას და ჩემს მომსახურებას მას უფასოდ ვაძლევ. მაშინ რა უნდა ვქნათ?“** მაშინ რა უნდა ქნან და კბილაშვილს დააჯარიმებენ ივანიშვილის ნაცვლად, მაგრამ ეს, კბილაშვილის გარდა, არც ხელისუფლებას აძლევს ხელს — აბა, სად კბილაშვილის ქისა და სად — ივანიშვილისა?!

**ბატონო ბიძინა! ხომ ხედავთ, თქვენ მიერ გაწეული ხარჯების გამო ხელისუფლებამ უკვე თითქმის 200 მილიონი ჩაიჯიბა. ნუღარ ხარჯავთ ფულს და ნუ აფინანსებთ იმ ხელისუფლებას, რომელსაც არჩევნებით უპირებთ გაშვებას – ისე მოგცემთ ხმას, უფასოდ!!!** თქვენმა ადვოკატებმაც და თანამებრძოლებმაც მოითმინონ არჩევნებამდე და გაწეული სამსახურის საფასურს მერეც მიიღებენ. თუ მოიგებთ, ხომ — თავისთავად, თუ არადა, დათა თუთაშხიასი არ იყოს, მოგჭამათ ჭირი იმ ფულებმა! სულ ცოტა, მეორე ადგილს ხომ აიღებთ და პარლამენტის მანდატები კი უნდა ღირდეს იმდენი, რომ დღეს თქვენივე გუნდმა ჯარიმებით არ ამდიდროს სააკაშვილი.

საბჭოთა დროს, როცა „ლევი“ შემოსავალი მოდაში იყო, ერთი ასეთი ანეკდოტი დადიოდა: **გუნდში მომღერალი დგას და პირს აღებს, ხმას კი არ გამოსცემს. – რას შვრებიო? — ჰკითხა გვერდით მდგომმა. — რა ვქნა, ჩემი „ლევი“ ეგ არისო, — უპასუხა კოლეგამ.** თქვენც იეშმაკეთ ცოტა და თქვენი „ლევიც“ ეგ იქნება, თორემ ასე, 200-200 მილიონით რამდენიმე მილიარდი ისე შემოეჭმევა სააკაშვილს, რომ არჩევნებში თქვენი გამარჯვების შემთხვევაშიც კი ველარც იმას გააკეთებთ, რასაც დღეს ამომრჩეველს ჰპირდებით.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სომხეთ-აზერბაიჯანის ახალი ომის დაწყების შემთხვევაში საქართველოს საზღვრებს შეიძლება ასიათასობით დევნილი მოადგეს, როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნიდან, რაც, ჩვენი სისუსტიდან გამომდინარე, დიდ პრობლემებს დაუკავშირდება, რომელთა გადაწყვეტას უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების გარეშე, სავარაუდოდ, ვერ მოვახერხებთ. აგრეთვე, გაიზრდება ჩვენს ტერიტორიაზე ორი ერის წარმომადგენელთა შეტაკების საფრთხე, რასაც, ცხადია, პრევენცია და მუდმივი ყურადღება დასჭირდება.**



## საფრანგეთის პრეზიდენტს ქალი დაიცავს

**საფრანგეთის ისტორიაში პირველად პრეზიდენტის პირად დაცვას ქალი უხელმძღვანელებს. ფრანსუა ოლანდმა პრეზიდენტის დაცვის უფროსად 44 წლის სოფი ატი დანიშნა. ფრანგული მედიის ინფორმაციით, სოფი ატის რეკომენდაცია ოლანდის თანაპარტიელმა, საფრანგეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ლიონელ ჟოსპენმა გაუწია.** აღსანიშნავია, რომ ჟოსპენის პრემიერობის პერიოდში სოფი ატი მისი დაცვის უფროსი იყო. გარდა ამისა, საფრანგეთის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა პირადი დაცვის სამსახურში შემცირებები განახორციელა. მან დაცვის თანამშრომლების რაოდენობა 93-დან 60-მდე დაიყვანა. დაცვის შემცირების პირობა ფრანსუა ოლანდმა საარჩევნო კამპანიის დროს დადო.



## ნატომ ავღანეთიდან გასასვლელი იპოვა

**ნატომ ყაზახეთთან, უზბეკეთთან და ყირგიზეთთან გააფორმა შეთანხმება ავღანეთიდან სამხედრო ტექნიკის გაყვანისას ამ სახელმწიფოების ტერიტორიების გამოსაყენებლად.** ამის შესახებ განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა გააკეთა. ცენტრალური აზიის ქვეყნებთან შეთანხმების მიღწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გამო, რომ ნახევარი წლის წინ ისლამაბადმა პაკისტანის ტერიტორიიდან ნატოს სამხედრო ტექნიკის ტრანზიტი დაბლოკა. ბოლო დროს აშშ-სა და პაკისტანს შორის ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატების მიერ გახშირებული ავიადარტყმების გამო.

# რას მოუტანს საქართველოს ყარაბაღის ახალი ომი?



**გასულ კვირას სომხურ და აზერბაიჯანულ ჯარებს შორის რამდენიმე სერიოზული შეტაკება მოხდა. მხარეების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავდება, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ ამ შემთხვევაში საუბარი ათეულობით დაღუპულ და დაჭრილ სამხედროს ეხება. ექსპერტები სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შესაძლებლობაზე ალაპარაკდნენ. რამდენად რეალურია ეს საფრთხე? რა შედეგები შეიძლება მოუტანოს საქართველოს ამ ომმა?**



**საერთოდ, ფსიქიკურად ჯანმრთელი ლიდერები (ილჰამ ალიევი კი, ზოგიერთისგან განსხვავებით, გონიერი და გაწონასწორებული ადამიანია) არ იწყებენ ომს, როდესაც ამოუცნობია, რა რეაქცია შეიძლება მოჰყვეს ამას რუსეთის მხრიდან და არ აფუძნებენ თავიანთ გათვლებს იმაზე, რომ აშშ ან თურქეთი კრემლს გარანტირებულად შეაკავებენ**

### ილჰამ ალიევის დილემა

**მიხეილ სააკაშვილს ხელთ ის რესურსები რომ ჰქონოდა, რომელიც ილჰამ ალიევს აქვს, ალბათ, უკვე შვიდჯერ იშიშვლებდა ჰალსტუხს და ქვეყანას გამანადგურებელ ომში ჩააბამდა, თუმცა აზერბაიჯანის პრეზიდენტი იმ ლიდერების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ურჩევნიათ შვიდჯერ გაზომონ და მხოლოდ ერთხელ გაჭრან.** მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკური წარმატებები და მისი შეიარაღებული ძალების პოტენციალის ზრდა მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება, არსებობს მთელი რიგი შემაკავებელი ფაქტორები, რომელთა უგულებელყოფა მას არ შეუძლია.

სომხური მხარის მიერ ფართომასშტაბიანი ომის პროვოცირება, ერთი შეხედვით, ალოგიკური ჩანს. წინა ომი მათთვის, ფაქტობრივად, კლაუზევიცის ცნობილი რეკომენდაციის ხორცშესხმით დაგვირგვინდა: თავდაცვაზე გადასვლა წინსვლის კულმინაციურ წერტილში და პრობლემის მოლაპარაკების სიბრტყეში გადაყვანა. **ერევანმა მიიღო, პრაქტიკულად, ყველაფერი, რაც სურდა** (აქ, ცხადია, იგულისხმება რეალური მიზნები და სურვილები) **და ახალი ომის პროვოცირებაზე, თეორიულად, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში წავიდეს, თუ მივა დასკვნამდე, რომ მომავალში ბაქო ხარისხობრივ უპირატესობას გარანტირებულად მიაღწევს.**

ომი ჩვენში ხშირად მხოლოდ შეიარაღებული ძალების დაპირისპირების სიბრტყეში განიხილება. იმას, რომ ომობენ არა არმიები, არამედ სახელმწიფოები, არცთუ იშვიათად ყურადღება არ ექცევა. არადა, თუ მეტი სიცხადისთვის ორი მოფარიკავის მეტაფორას გამოვიყენებთ, ვნახავთ, რომ ერთმანეთს ებრძვიან არა ხმლები (არმიები), არამედ ამ ხმლებით შეიარაღებული ადამიანები (სახელმწიფოები). ხმლის ზომასა და წონას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა არის სიტუაციები, როდესაც მოხერხებულმა მებრძოლმა დაჟანგული ხანჯლით შეიძლება უკეთ აღჭურვილი, მაგრამ მოუქნელი გიგანტი დაამარცხოს. საქმე მხოლოდ „ხმლების“ დატოლებაზე თუ მიდგებოდა, გერმანია, ალბათ, ორივე მსოფლიო ომს მოიგებდა, თუმცა ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ უამრავი სხვა ფაქტორიც — ეკონომიკური, დიპლომატიური, დემოგრაფიული, კულტურული, ფსიქოლოგიური და ა.შ. აზერბაიჯანის არმიის „ხმალი“ ბოლო დროს სულ უფრო მრისხანედ გამოიყურება; საინტერესოა, რამდენად თავდაჯერებულად გრძნობს თავს მოფარიკავე.

აზერბაიჯანის წინაშე რამდენიმე სერიოზული პრობლემა დგას. ნავთობმა და გაზმა მას დიდი შემოსავლები მოუტანა, თუმცა მათ ექსპორტზე კრიტიკულად დამოკიდებული გახადა. საბადოები ულევი არ არის; ექსპერტთა შეფასებით, მომავალ 20 წელიწადში მოპოვების კრიტიკულად მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ექნება, ხოლო მასთან დაკავშირებული ხარჯები გაიზრდება. ამ მხრივ, **აზერბაიჯანი უკვე დგას „მწვერვალზე“ ან (ოპტიმისტური პროგნოზების თანახმად) შეიძლება გადადგას კიდევ რამდენიმე ნაბიჯი „ზევით“ და შესაძლებლობის მაქსიმუმს მიაღწევს, შემდეგ კი ნელი დაღმასვლა დაიწყება. ამ პერსპექტივის გათვალისწინებით, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარება, ენერგომატარებლების ექსპორტიდან მიღებული ამონაგების კონვერტაცია სახელმწიფოს ძლიერებაში ბაქოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება.**

ამის გაკეთება არც ისე მარტივია, ერთ-ერთ მთავარ წინაღობას სრულფასოვანი, ჯანსაღი ეკონომიკის შექმნის გზაზე აზერბაიჯანის კორუმპირებული, სხვადასხვა კლანისგან თუ ჩინოვნიკური დაჯგუფებისგან შემდგარი ელიტა წარმოადგენს. **მიუხედავად იმისა, რომ ჰეიდარ ალიევის მმართველობის წლებში მძლავრი და სრულიად აღვირახსნილი რეგიონული კლანების თარეში მნიშვნელოვნად შეიზღუდა, მის შვილს მაინც უწევს ზრუნვა ბალანსზე სხვადასხვა ჯგუფებს შორის და მათი მერკანტილური ინტერესების გათვალისწინება. ფიქრი ამ ელიტის „გაჯანსაღებაზე“ ან იმაზე, რომ მას უცაბედად მომხდარი რევოლუცია „ჩარეცხავს“, დღესდღეობით ნაკლებად რეალისტურია. ერთადერთი ვარიანტი, რომლის განხილვა ასე თუ ისე ღირს, არის თავად ილჰამ ალიევის მიერ ორგანიზებული „რევოლუცია ზემოდან“, რაც ძველ ელიტასთან ბრძოლაში საზოგადოების შედარებით პროგრესულ ძალებზე დაყრდნობას გულისხმობს, თუმცა ეს მთელ რიგ საფრთხეებს უკავშირდება.** „ჩასარეცხები“ აუცილებლად გაწევენ გააფთრებულ წინააღმდეგობას, თანაც რეჟიმის (ფარდობითი) ლიბერალიზაცია, რომელიც ამ სცენარს უკავშირდება, ისლამისტების გარანტირებულ გააქტიურებას გამოიწვევს; დღეს ისინი ბოთლში გამოკეტილ ჯინს მოგვაგონებს, რომელიც მოთმინებით ელოდება ხუფის ახდას.

**თუ ილჰამ ალიევი არ მოსპობს წინაღობებს, რომლებიც ხელს უშლის აზერბაიჯანის მომდევნო დინამიურ განვითარებას, ამ ქვეყნის ძლიერების ზრდა, რომელსაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ვაკვირდებით, სავარაუდოდ, შეფერხდება. დღეისთვის მიღწეული შედეგი კი ყარაბაღის პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტისთვის საკმარისი არ არის.**

საერთოდ, ფსიქიკურად ჯანმრთელი ლიდერები (ილჰამ ალიევი კი, ზოგიერთისგან განსხვავებით, გონიერი და გაწონასწორებული ადამიანია) არ იწყებენ ომს, როდესაც ამოუცნობია, რა რეაქცია შეიძლება მოჰყვეს ამას რუსეთის მხრიდან და არ აფუძნებენ თავიანთ გათვლებს იმაზე, რომ აშშ ან თურქეთი კრემლს გარანტირებულად შეაკავებენ. **„ოდკბ“-ს ფარგლებში მიღწეული შეთანხმებები ავალდებულებს რუსეთს დაიცვას სომხეთი, თუ მესამე ქვეყანა მის ტერი-** ►

მოკლედ

## ინდოეთში 73 ბავშვი გარდაიცვალა

**უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში ინდოეთში ჯერჯერობით დაუდგენელი დაავადებით 73 ბავშვი გარდაიცვალა.** ბავშვების გარდაცვალების მიზეზი, შესაძლოა, გამხდარიყო ენცეფალიტი, რომლის გადამტანი მწერები არიან. თუმცა, როგორც ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლები განმარტავენ, დადგენილი არაფერი არ არის და გადაჭრით იმის თქმა, რომ 73 ბავშვის სიკვდილის მიზეზი ენცეფალიტი გახდა, ნაადრევია. როგორც ირკვევა, ამ დროისათვის უცნობი დაავადების წყალობით საავადმყოფოში 40 ბავშვია მოთავსებული.



## ავღანეთში ოთხი ფრანგი ჯარისკაცი დაიღუპა

**ავღანეთში მომხდარი აფეთქების შედეგად, ავღანეთში მყოფი ნატოს ძალების ფრანგული კონტიგენტის ოთხი წარმომადგენელი დაიღუპა. ინციდენტი პროვინცია კაპისაში მოხდა.** არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფრანგული კონტიგენტის წარმომადგენლები ტერორისტთა თავდასხმის შედეგად დაიღუპნენ. თავის მხრივ, ავღანური მედია ავრცელებს ინფორმაციას არა ოთხ, არამედ ექვს დაღუპულ ფრანგ ჯარისკაცზე. მათივე ინფორმაციით, გარდა გარდაცვლილებისა, დაჭრილია ექვსი ადამიანი.

**ნებისმიერი კრიზისული სიტუაცია რეგიონში მუდამ დაგვაბრუნებს ერთსა და იმავე კითხვებთან: „რამდენად ადეკვატურია სააკაშვილის ხელისუფლება?“, „შეძლებს თუ არა ის, მოსალოდნელი საფრთხე აგვარიდოს?“. 2008 წელს მან ყველა შესაძლებელი შეცდომა დაუშვა და ჩვენ არ გვაქვს გარანტია, რომ ამას მომავალშიც არ გააკეთებს. დღის წესრიგიდან ეს საკითხი, ისევე, როგორც ჩვენი მუდმივი წუხილი, ალბათ, მხოლოდ მაშინ მოიხსნება, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებას დატოვებს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ტორიაზე შეიჭრება, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოპერაციები მხოლოდ ყარაბაღში წარიმართება, რუსეთი, დიდი ალბათობით, ყველანაირად შეეცდება, რომ სომხურ მხარეს ფატალური შედეგები აარიდოს. დღეს აზერბაიჯანის პოტენციალი არ აძლევს მას შესაძლებლობას დასახულ მიზნებს სწრაფად, ერთი სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის მეშვეობით მიაღწიოს, სომხური მხარე ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენოს და წინააღმდეგობის შეწყვეტა აიძულოს.** ამის ალტერნატივა კი ბრძოლის გაჭიანურება, თანდათანობითი გამოფიტვა და უცხო ქვეყნებზე დამოკიდებულების კრიტიკული ზრდაა. იმისთვის, რომ ყარაბაღი ომით დაიბრუნოს აზერბაიჯანი უფრო ძლიერი უნდა გახდეს, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური, ეკონომიკური (და ა. შ.) თვალსაზრისით, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მისი ძლიერების ზრდის პარალელურად მოსკოვი სომხეთს გააძლიერებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყოვლისმომცველ უპირატესობას ბაქო ხელშესახებ პერსპექტივაში ვერ მიაღწევს.




**სომხეთ-აზერბაიჯანის ახალი ომის შემთხვევაში მთავარი პრობლემა ტვირთების ტრანზიტს დაუკავშირდება, რადგან ორივე ქვეყნისთვის საქართველო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დერეფანია, ეს უმოკლესი სახმელეთო გზაა, რომლითაც ომის დროს რუსეთი სომხეთთან, ხოლო თურქეთი აზერბაიჯანთან დაკავშირებას შეძლებს**

## არ ისროლოთ, ძმებო!

ყველაზე დიდი სისულელე, რომელიც შეიძლება ბაქომ და ერევანმა გააკეთონ, მოლაპარაკების შეწყვეტა და ახალი ომის დაწყებაა. ნაკლებად სავარაუდოა, ეს მოხდეს, თუ ამის მიზანმიმართულ პროვოცირებას ზესახელმწიფოები არ მოახდენენ ან რეგიონში სწრაფად და დრამატულად არ შეიცვლება ძალთა ბალანსი (ერთიც და მეორეც, დღეს მეტად სათუოა). თუმცა ვინაიდან უარესისთვის მზადება გვმართებს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მოხდა რაღაც ძალიან ცუდი (მაგალითად, სომხეთში ან აზერბაიჯანში ხელისუფლებაში „იქაური სააკაშვილი“ მოვიდა) და ომი მართლაც დაიწყო. რას უქადის ეს პერსპექტივა საქართველოს?

**სომხეთ-აზერბაიჯანის ახალი ომის დაწყების შემთხვევაში საქართველოს საზღვრებს შეიძლება ასიათასობით დევნილი მოადგეს, როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნიდან, რაც, ჩვენი სისუსტიდან გამომდინარე, დიდ პრობლემებს დაუკავშირდება, რომელთა გადაწყვეტას უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების გარეშე, სავარაუდოდ, ვერ მოვახერხებთ. აგრეთვე, გაიზრდება ჩვენს ტერიტორიაზე ორი ერის წარმომადგენელთა შეტაკების საფრთხე, რასაც, ცხადია, პრევენცია და მუდმივი ყურადღება დასჭირდება. თუმცა მთავარი პრობლემა ტვირთების ტრანზიტს დაუკავშირდება, რადგან ორივე ქვეყნისთვის საქართველო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დერეფანია, ეს უმოკლესი (და ერთადერთი, თუ სათვალავში ირან-სომხეთის დამაკავშირებელ მონაკვეთს არ ჩავაგდებთ) სახმელეთო გზაა, რომლითაც ომის დროს რუსეთი სომხეთთან, ხოლო თურქეთი აზერბაიჯანთან დაკავშირებას შეძლებს.**

ომის დაწყებისთანავე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ძალიან დიდი ალბათობით, დაიწყება ნამდვილი დივერსიული ომი, რომლის მიზანი მოწინააღდგე მხარისთვის ტვირთების მიღების შეფერხება იქნება. ხიდები, გვირაბები, პორტების ინფრასტრუქტურა (აგრეთვე, მილსადენები, რომლის მეშვეობით აზერბაიჯანული ენერგომატარებლები თურქეთში, ხოლო რუსული გაზი სომხეთში ხვდება) განსაკუთრებულ დაცვას მოითხოვს. **როგორც რუსეთმა, ისე თურქეთმა შეიძლება მოგვთხოვოს სამხედრო დანიშნულების ტვირთების ან, სულაც, შეიარაღების გატარება** (ღიად თუ ფარულად, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს). **ეს საქართველოს ხელისუფლებას ორი მძლავრი სახელმწიფოს** (ან თუნდაც ერთის, რაც ასევე ძალზე უსიამოვნოა) **მუდმივი ზეწოლის ქვეშ მოაქცევს.** კრიტიკულ სიტუაციაში საქმე შეიძლება მივიდეს საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო დერეფნის ძალისმიერ გაჭრამდე, რისთვისაც შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, ჩვენი მცირე შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საკმაოდ რთული იქნება.

ჩვენ ვისაუბრეთ მხოლოდ იმაზე, რაც ზედაპირზე დევს, თორემ რეგიონის ტოტალური დესტაბილიზაცია უამრავ სხვა პრობლემასაც წარმოშობს და მათგან, სავარაუდოდ, გაცილებით დიდ ზარალს ვნახავთ, ვიდრე სარგებელს ფარდობითად სარფიანი ვაჭრობიდან მეომარ ქვეყნებთან ან (დიპლომატიის მიმართულებით) გადაბმული ყვირილიდან „შეჩერდით, ძმებო!“.

ალბათ, არავინ იკამათებს იმაზე, რომ **საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მკაცრი ნეიტრალიტეტი დაიცვას, ესკალაციას ხელი არ შეუწყოს და სამშვიდობო პროცესის გაღრმავებას მხარი დაუჭიროს.** ეს ზნეობრივად მართებული და ამავე დროს პრაგმატული პოზიციაა. მაგრამ ვინაიდან ხელისუფლების სათავეში ჯერჯერობით მიხეილ სააკაშვილი რჩება, ჩვენ არ ვართ დაზღვეულნი იმისგან, რომ ის განსხვავებულ პოზიციას არ დაიკავებს და კრიტიკულ სიტუაციაში ცდუნებას ვერ გაუძლებს.

## მორიგი სისულელის მოლოდინში

**აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლება გაფაციცებით ეძებს სტრატეგიას, რომელიც დაასუსტებს რუსეთის პოზიციებს კავკასიაში და ამავე დროს საქართველოს უიმედო მდგომარეობიდან** (დარღვეული მთლიანობა, ნატოში ინტეგრაციის ფაქტობრივი ბლოკირება, უსაფრთხოების გარანტიების არარსებობა და ა. შ.) **გამოიყვანს.** ვინაიდან მას არ შეუძლია მოსკოვთან ურთიერთობის დარეგულირების გზას დაადგეს, ის გამოსავალს რეგიონში სხვა მოთამაშეების (განხილულ შემთხვევაში — თურქეთის) გაძლიერებასა და მათ მიერ რუსეთის უკუგდებაში ხედავს.

ეჭვგარეშეა, რომ **აზერბაიჯანის ტრიუმფალური გამარჯვება ყარაბაღის ახალ ომში რეგიონში რუსეთის პოზიციებს მკვეთრად შეასუსტებს.** აქედან გამომდინარე, სააკაშვილის ხელისუფლებამ, ამ ჰიპოთეტურ ომის კონტექსტში, შეიძლება საქართველოს თურქეთ-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი ხიდის როლი დააკისროს, ხოლო კომუნიკაცია რუსეთსა და სომხეთს შორის დაბლოკოს (ამ იდეიდან, ფაქტობრივად, ავტომატურად გამომდინარეობს საქართველოს ახალი შეტაკება რუსეთთან). **მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა, რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე, არაერთგზის მოექცა ერევნის გავლენის ქვეშ, დღეს მის სტრატეგიულ ხედვებში** (თუ ჰალუცინაციებში?) **თურქეთის პატრონაჟის ქვეშ მყოფი, საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციის კოშმარული აჩრდილი დომინირებს.** ჩვენ, ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ სააკაშვილი სომხეთის მტერია, თუმცა მას არ სურს მეზობელი ქვეყანა კვლავინდებურად რუსეთის ფორპოსტად დარჩეს, ამიტომ მისი სიმპათიები ჰიპოთეტურ კონფლიქტში, დიდი ალბათობით, აზერბაიჯანის მხარეს იქნება, რამაც შეიძლება დაუფიქრებელი ნაბიჯები გადაადგმევინოს, თანაც მას დასაკარგი პრაქტიკულად არაფერი დარჩა, ეს კი დამატებითი ფაქტორია, რამაც შეიძლება ავანტურაზე წასვლისკენ უბიძგოს.

**სომხეთ-აზერბაიჯანის ახალი ომი ახლო მომავალში, ძალიან დიდი ალბათობით, არ დაიწყება, რადგან შემაკავებელი ფაქტორების წონა ძალზე დიდია; ნაკლებად სავარაუდოა, ლოკალურმა შეტაკებებმა, რომლებიც ბოლო დღეებში მოხდა, დეტონატორის როლი შეასრულონ. თუმცა ფაქტია, ნებისმიერი კრიზისული სიტუაცია რეგიონში მუდამ დაგვაბრუნებს ერთსა და იმავე კითხვებთან: „რამდენად ადეკვატურია სააკაშვილის ხელისუფლება?“, „შეძლებს თუ არა ის, მოსალოდნელი საფრთხე აგვარიდოს?“. 2008 წელს მან ყველა შესაძლებელი შეცდომა დაუშვა და ჩვენ არ გვაქვს გარანტია, რომ ამას მომავალშიც არ გააკეთებს. დღის წესრიგიდან ეს საკითხი, ისევე, როგორც ჩვენი მუდმივი წუხილი, ალბათ, მხოლოდ მაშინ მოიხსნება, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებას დატოვებს.**

**დიმიტრი მონიავა**

**საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მკაცრი ნეიტრალიტეტი დაიცვას, ესკალაციას ხელი არ შეუწყოს და სამშვიდობო პროცესის გაღრმავებას მხარი დაუჭიროს**



## პატრუშევი ირანზე იერიშის წინააღმდეგია

**რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივან ნიკოლაი პატრუშევის განცხადებით, ირანზე სამხედრო იერიშის განხორციელება ნეგატიური შედეგების მომტანი იქნება როგორც ისრაელისთვის, ისე ირანის მეზობელი ქვეყნებისთვის.** როგორც პატრუშევმა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, საერთაშორისო თანამეგობრობამ, ირანთან სამხედრო კონფრონტაციის თავიდან აცილების მიზნით, თეირანთან დიალოგი უნდა დაიწყოს. „საჭიროა, გამოყენებული იქნას მოლაპარაკების პოტენციალი. მოლაპარაკებები აუცილებლად უნდა გაიმართოს“, — განაცხადა პატრუშევმა.



## შოტლანდია «ეშმაკის ციებცხელებამ» მოიცვა

**შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში ათობით ადამიანი დაინფიცირდა „ლეგიონერების დაავადებით“, ან როგორც მას უწოდებენ — „ეშმაკის ციებცხელებით“.** სასიკვდილოდ საშიში ციებცხელება მოქმედებს ფილტვებზე, ნერვულ სისტემასა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე. ამ დროისათვის დაავადების 20-ზე მეტი შემთხვევაა გამოვლენილი. აღრიცხულია ამდენივე პაციენტი, რომელთაც დიაგნოზი ჯერ ვერ დაუდგინეს. აღნიშნული დაავადებით გარდაიცვალა ერთი ადამიანი. ინფექციის გამომწვევ მიზეზებს ექიმები იკვლევენ. მიკროორგანიზმები, რომლებიც „ლეგიონერების დაავადებას“ იწვევს, წყლისა და კონდიცირების სისტემაში ვრცელდება. წინასწარი მონაცემებით, ინფექციის წყარო გახდა გამაგრილებელი კოშკურის საწარმო, რომელიც ედინბურგის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს.

მოკლედ

## საფრანგეთი ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას იწყებს

**საფრანგეთი ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას ივლისში დაიწყებს. საფრანგეთის ჯარების ავღანეთიდან გამოყვანის პროცესი 2012 წლის ბოლოსთვის დასრულდება.** აღნიშნული განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ავღანეთში ნატოს ძალებზე თავდასხმის შედეგად ოთხი ფრანგი ჯარისკაცი დაიღუპა, ხუთი კი დაიჭრა. აღნიშნულ ინციდენტზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე მოძრაობა „თალიბანმა“ აიღო. საფრანგეთი ივლისში ავღანეთიდან ჯარების გამოყვანით კონფლიქტის ზონას ორი წლით უფრო ადრე დატოვებს, ვიდრე ალიანსის სხვა პარტნიორები. ამჟამად კოალიციის ძალები ავღანეთში 130 ათას ადამიანს შეადგენს.

## მექსიკაში, სატვირთო ავტომანქანაში, 14 დანაწევრებული გვამი აღმოაჩინეს

**მექსიკაში, ტამაულიპას შტატში, ქალაქ სიუდად-მანტის მერიის წინ გაჩერებულ სატვირთო ავტომანქანაში პოლიციამ 14 ადამიანის დანაწევრებული გვამი აღმოაჩინა.** ქვეყნის ხელისუფლების ცნობით, სატვირთოში ნაპოვნია ერთგვარი გზავნილი, რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაული ნარკომაფიის მიერ იყო ჩადენილი. თვითმხილველთა თქმით, შუადღეს უცნობმა პიროვნებამ სატვირთო მანქანა ადმინისტრაციის წინ დატოვა და მიიმალა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სააკაშვილი ეხვეწება ამერიკას, რომ ასეთი ანტისარაკეტო სისტემები განათავსოს საქართველოში, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის. გარდა ამისა, პუტინი გაღიზიანებულია, რომ აშშ-მა საქართველო კვლავ წამოწია წინა პლანზე და მას მისცა ნატოში შესვლის ასპირანტობის ტიტული. თუმცა კლინტონმა სააკაშვილთან შეხვედრის დროს არც რუსეთი ახსენა და არც საქართველოს ნატოში გაწევრიანება. ჰილარი კლინტონმა შეგნებულად აარიდა თავი ამ საკითხებზე საუბარს, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, რომ პრობლემებიანი და ტერიტორიულად დაქუცმაცებული საქართველო ნატოში ვერ გაწევრიანდება.“



# ჰამლეტ ჭიპაშვილი: ხელისუფლება თავის გადასარჩენად არჩევნებს ტოტალურად გააყალბებს

**პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი აცხადებს, რომ ქვეყანაში ყველაფერი წინასწარ დაწერილი სცენარის მიხედვით მიმდინარეობს და მომავალი საპარლამენტო არჩევნების ბედიც უკვე გადაწყვეტილია. საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.**

**— თბილისსა და ქუთაისში „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციაზე უამრავი ადამიანი გამოვიდა. მოახდენს თუ არა ეს ფაქტი ხელისუფლების წინასაარჩევნო პოლიტიკურ სტრატეგიაზე გავლენას?**

— გავლენას უდავოდ მოახდენს, როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად. ხალხმრავალი საპროტესტო აქციები მოსახლეობას გაუჩენს სურვილს, უფრო იმედიანად შეხვდეს არჩევნებს. ოპოზიციური პარტიების უგერგილო მოქმედებების შედეგად ასეთი განწყობა საზოგადოებაში, კარგა ხანია, დაიკარგა, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ კი ჩასახა იმედი, რომ ამ ხელისუფლების დამარცხება შეიძლება. მაგრამ, **ხელისუფლების მოქმედებიდან გამომდინარე, უკვე ცხადია, რომ მას ძალაუფლების დაკარგვის ეშინია, რაც ხელისუფლების უფრო მეტ ორგანიზებულობას გამოიწვევს. ხელისუფლება თავის გადასარჩენად არჩევნებს ტოტალურად გააყალბებს.**

**— რა ან ვინ შეაჩერებს ხელისუფლებას და შიშისგან გამოწვეულ მის ქმედებებს?**

— ხელისუფლებას ვერაფერი შეაჩერებს, ვერც ოპოზიცია. ეს ხელისუფლება არის ძალადობით მოსული და პოზიციებს ასე იოლად არ დათმობს. 1998 წელს ერთი თვე იყო საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი, როცა მიხეილ მაჭავარიანი ქალაქ ბათუმში ასლან აბაშიძესთან შესახვედრად ჩამოვიდა. მან აბაშიძეს შესთავაზა, „მოქალაქეთა კავშირს“ პირველი ადგილი, „აღორძინებას“ კი მეორე ადგილი რგებოდა, რაზეც აბაშიძე არ დათანხმდა და უპასუხა, რომ ორი მესამედით აპირებდა არჩევნებში გამარჯვებას.

**სწორედ ასლან აბაშიძესთან შეხვედრის დროს, ჯერ კიდევ წლების წინ, ბრძანა მიხეილ მაჭავარიანმა, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ და მისი ახალგაზრდული ფრთა, რომელიც შემდგომში „ნაციონალურ მოძრაობად“ იქცა, ხელისუფლებაში მინიმუმ 30 წლით მოვიდა და, თუ ხელისშემშლელ პირობებს შეუქმნით ვინმე, ავტომატსაც დაიჭერენ ხელში.**

ეს ხელისუფლება ძალაუფლებას ასე იოლად არ დათმობს. მითუმეტეს, ამ რვა წლის განმავლობაში მისმა წარმომადგენლებმა იმდენი რამ დააშავეს, რომ დარწმუნებულები არიან, დაუსჯელად მათი პოლიტიკური კარიერა არ დასრულდება.

**— საქართველოს, სამხრეთკავკასიური ტურნეს ფარგლებში, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ესტუმრა. რამდენად მოახდენს მისი ვიზიტი საქართველოში არჩევნების ბედზე ზეგავლენას?**

— ჰილარი კლინტონის ვიზიტი არჩევნებზე არავითარ გავლენას არ მოახდენს. ჩვენი ოპოზიცია, მათ შორის „მეოცნებენი“, ერთობ არაპროფესიონალურ დასკვნებს აკეთებენ, თუმცა, ერთის მხრივ, ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ცდილობენ, ეს ვიზიტი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ, მაგრამ რეალობა სულ სხვაა.

გასათვალისწინებელია, რომ **დღეს მთელ მსოფლიოში — კასპიის ზღვის აუზში, ირანთან მიმართებაში, ახლო აღმოსავლეთსა თუ სირიაში დაძაბული ვითარებაა და სრულიად შესაძლებელია, დასავლეთმა სირიის მიმართ ისეთივე ნაბიჯი გადადგას, როგორც ლიბიასთან დაკავშირებით.** ამას ჯერჯერობით ხელს უშლის აშშ-ში მოსალოდნელი საპრეზიდენტო მარათონი, რომელიც ნოემბერში დასრულდება. **ჯერჯერობით კი ამერიკის ადმინისტრაციას ხელს არ აძლევს ღიად ჩარევა სირიის საქმეებში. ამ ცეცხლოვან წერტილთან კავკასია და, მათ შორის, საქართველოც ახლოსაა და, კონფლიქტის შემთხვევაში, ამერიკას კავკასიის დახმარება დასჭირდება.** ცნობილია, საქართველო მუდმივად დახმარების ხელს უწვდის ამერიკელებს და რატომ გამოვრიცხავთ სირიაში კონფლიქტის შემთხვევაშიც არ დაეხმაროს? ამას გარდა, ამას წინათ, ბათუ ქუთელიამ განაცხადა, რომ კონფლიქტის შემთხვევაში, საქართველო მხარს დაუჭერს სტრატეგიულ პარტნიორს — აშშ-ს. როგორც კი ამერიკა სირიის პრობლემას მოაგვარებს, ირანს დაარტყამს.



**ჰილარი კლინტონის ვიზიტიც სწორედ ამ საკითხებს უკავშირდებოდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ირანთან და სირიასთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლება იმას გააკეთებს, რასაც აშშ, როგორც სტრატეგიული პარტნიორი, ეტყვის.** ამას გარდა, გასათვალისწინებელია, რომ აშშ-სა და რუსეთს შორის საკმაოდ დაძაბული ვითარებაა. პუტინი არ წავიდა კემპ-დევიდში „დიდი რვიანის“ შეხვედრაზე და ამის საპასუხოდ ობამა არ აპირებს ჩასვლას ვლადივოსტოკში აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების სამიტზე. პუტინი აცხადებს, რომ ის კატეგორიული წინააღმდეგია რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების, რადგან მიაჩნია, რომ ეს მათ შორის არსებულ სამხედრო ბალანსს დაარღვევს და რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული, თუმცა ასე არ ფიქრობს აშშ. ის ამბობს, რომ აუცილებლად განალაგებს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს ევროპაში. ახლახან რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსმა განაცხადა, რომ, თუ ამერიკული ანტისარაკეტო სისტემები რუსეთის საზღვრებთან განთავსდება, რუსეთი იტოვებს პრევენციული ომის უფლებას.

შევხედოთ ჩვენს ვითარებას: **სააკაშვილი ეხვეწება ამერიკას, რომ ასეთი ანტისარაკეტო სისტემები განათავსოს საქართველოში, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის. გარდა ამისა, პუტინი გაღიზიანებულია, რომ აშშ-მა საქართველო კვლავ წამოწია წინა პლანზე და მას მისცა ნატოში შესვლის ასპირანტობის ტიტული. თუმცა კლინტონმა სააკაშვილთან შეხვედრის დროს არც რუსეთი ახსენა და არც საქართველოს ნატოში გაწევრიანება. ჰილარი კლინტონმა შეგნებულად აარიდა თავი ამ საკითხებზე საუბარს, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, რომ პრობლემებიანი და ტერიტორიულად დაქუცმაცებული საქართველო ნატოში ვერ გაწევრიანდება.**

ამ ყველაფერს ემატება აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატის — მიტ რომნის განცხადებები. ის ამბობს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, რუსეთთან არანაირი „გადატვირთვის პოლიტიკა“ არ იქნება, აშშ აუცილებლად განახორციელებს სამხედრო ოპერაციას ირანის წინააღმდეგ, გააგდებს სირიიდან ასადს და რუსეთის წინააღმდეგ დამიზნებულ ანტისარაკეტო სისტემასაც განათავსებს. დღევანდელი რეიტინგებიდან გამომდინარე, რომნისა და ობამას თანაბარი რეიტინგი აქვთ. ასე რომ, საეჭვო არ არის, რომნი მართლაც მოვიდეს ხელისუფლებაში. სააკაშვილს, მართალია, დემოკრატებთან კარგი ურთიერთობა აქვს, მაგრამ უფრო კარგი ურთიერთობა აქვს რესპუბლიკელებთან. **რომნის მთავარი მრჩეველი გახლავთ სააკაშვილის ამერიკელი „მამა“ მაკკეინი. ეს ანტირუსულად განწყობილი გუნდია და სააკაშვილისნაირი ხმალამოღებული მებრძოლი რუსეთის წინააღმდეგ მათ ხელს აძლევს, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს ჩვენს ქვეყანას განადგურების პირას მიიყვანს, სააკაშვილს კი სამარადისო მმართველობას მოუტანს.**

ასე რომ, არჩევნებზე ჰილარი კლინტონის ვიზიტი არანაირ გავლენას არ მოახდენს. ამერიკას თავისი პრობლემები აქვს და ჰილარი კლინტონი ნამდვილად არ ჩამოსულა სააკაშვილისთვის ობამას დანაბარების გადმოსაცემად — არ გაბედოს პრემიერობა. ეს სასაცილოა. ამერიკა მხოლოდ ტრაფარეტულად აცხადებს, რომ არჩევნები გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს. ამას წინათ ერთ-ერთმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა განაცხადა: მთავარია, ჩატარდეს არჩევნები საქართველოში და ამ დემოკრატიული არჩევნების შემდეგ მოხდეს ოპოზიციის მიერ იმის აღიარება, რომ ისინი დამარცხდნენ არჩევნებშიო. 1995 წლიდან ეუთოს დამკვირვებლების უამრავ დასკვნას ვკითხულობთ, რომლებშიც უამრავი დარღვევაა აღნიშნული, მაგრამ ბოლოში წერია, რომ ამ ყველაფერს თურმე ხელი მაინც არ შეუშლია არჩევნების ნირმალურად ჩატარებისთვის. ასე რომ, ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ.

**— ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი უკვე წინასწარ დაწერილი სცენარის მიხედვით მიმდინარეობს?**

— თუ ეს წინასწარ დაწერილი სცენარი არ არის, რას ემსახურებოდა აშშ-ის ოფიციალური ინსტიტუტების წარმომადგენლების — NDI-სა და IRI- ს მიერ წინასწარ ჩატარებული გამოკითხვები? ნოემბრიდან მოძღვრავენ საზოგადოებას.

**— „ქართული ოცნების“ სახით სერიოზული ოპოზიციური ძალა შეიქმნა. რატომ დასჯერდებიან მეორე ადგილს?**

— სწორედ მათი მისამართით ითქვა უკვე — როცა წააგებთ არჩევნებს, მიულოცეთ „ნაციონალებს“ გამარჯვებაო. გახსოვთ, ალბათ, 2 წლის წინ ადგილობრივ არჩევნებში როგორ მიულოცა ალასანიამ უგულავას გამარჯვება. ოპოზიციისგან ასეთ რაღაცებს შევეჩვიეთ. „ოცნებისტებმა“ ხომ უკვე განაცხადეს, რომ ისინი ითანამშრომლებენ „ნაციონალებთან“?!

**ნურავის ეგონება, რომ აშშ-ის მიერ დაფინანსებული და გამოზრდილი ხელისუფლების დამარცხება ასე ადვილი იქნება.**

**— არ არის აშშ დაინტერესებული, ახალი ძალა მოვიდეს ქართულ პოლიტიკაში? ოპოზიცია ხომ გამუდმებით საუბრობს, სააკაშვილს საერთაშორისო ასპარეზზე უკვე საკმაოდ შელახული იმიჯი აქვსო...**

— ამერიკას ხელს აძლევს სააკაშვილის ხელისუფლება. „ნაციონალები“ მოახერხებენ უმრავლესობით შესვლას პარლამენტში, გაიყვანენ ასევე „ქრისტიან-დემოკრატებს“ და შექმნიან ორ მესამედს. ივანიშვილიც შევა პარლამენტში, მაგრამ 15-20%-ით. „ნაციონალები“ აირჩევენ დროებით პრემიერს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე და, თავისი პარტიის უმრავლესობისავე თხოვნით, სააკაშვილი პრეზიდენტის სავარძლიდან პრემიერის სავარძელში გადაჯდება. ეს არის ძალიან მარტივი, პრიმიტიული სცენარი. რის გაკეთება შეუძლია ამ დროს საზოგადოებას? ის უნდა გამოვიდეს ოპოზიციის დაძახებაზე, მაგრამ აი, ამერიკელი პოლიტოლოგი წინასწარ ეუბნება ოპოზიციას, რომ დემოკრატიულად ჩატარდა არჩევნებიო და დაუმტკიცე, რომ არ ჩატარებულა.

**არ ვიცი, რა სიმკაცრე ამოიკითხა ჰილარი კლინტონის სახეზე ბიძინა ივანიშვილმა, მაგრამ მისი სიცილ-კისკისი და განცხადებები, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში თურმე ამდენი რამ გაკეთდა, ნიშნავს, რომ სააკაშვილს არსად წასასვლელად არ ამზადებენ. არც ერთხელ არ უკითხავს ქალბატონ კლინტონს, ეს პატარა ქვეყანა ამ საოცრებებს რომ აშენებთ, ვინ აფინანსებს და რისთვის აშენებთო. რატომ სიღრმისეულად არ უყურებენ საკითხებს? ან როგორ შეიძლება 120 ათასიანმა ბათუმმა 5 მილიონი ტურისტი მიიღოს?**

სულ ახლახან ერთმა უცხოელმა დიპლომატმა მითხრა, ჩვენი ქვეყანა 75-მილიონიანია, მაგრამ თავს უფლებას არ ვაძლევთ, ვთქვათ, რომ 2 მილიონ ტურისტს მივიღებთ და თქვენ 120-ათასიანი ბათუმით როგორ აპირებთ 5 მილიონი ტურისტის მიღებასო?! ამერიკელებს არ აინტერესებთ საქართველო და ქართველი ხალხი, მათ ინტერესში მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაა.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**ამ რეჟიმისთვის უფლებადამცველების საუბარი ძაღლის ყეფასავითაა, ყურადღებას არავინ გვაქცევს, ასე რომ არ იყოს, თავის დროზე მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენ ვიყავით პირველი ქვეყანა, რომელშიც გაიხსნა ციხეები და მონიტორინგის საშუალება ჰქონდა ყველას. დღეს კი ასევე ჩვენ ვართ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ქვეყანა, რომელშიც ციხეები დაიხურა. ასე რომ, რა აზრი აქვს გაპროტესტებას, აქ უნდა მოხდეს ძირეული ცვლილებები, რეჟიმი უნდა შეიცვალოს**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ციხეებში არსებულ მდგომარეობასა და ადამიანის უფლებების დარღვევის ბოლო დროს გახშირებულ ფაქტებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.



# ნანა კაკაბაძე: სააკაშვილის რეჟიმის არჩევნების გზით შეცვლა გამორიცხულია

**— ქალბატონო ნანა, გასულ კვირას საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ „ფრიდომ ჰაუსმა“ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც საქართველო ჰიბრიდული რეჟიმების კატეგორიის ქვეყნებშია შეყვანილი. ფართო საზოგადოებისთვის უფრო ნათელი რომ იყოს, მოდი, ჯერ განვმარტოთ, რას ნიშნავს ტერმინი ჰიბრიდული რეჟიმი.**

— პირველ რიგში, ეს ნიშნავს, რომ შენ, როგორც განვითარებულ ქვეყანას, არ გიყურებენ. უბრალოდ, გთვლიან არშემდგარ სახელმწიფოდ, რომელსაც, ერთის მხრივ, გაგაჩნია დემოკრატიულობის პრეტენზია, მაგრამ, მეორე მხრივ, გაქვს ის რეალობა, რომელიც შექმნილია ქვეყანაში. ეს არის, რა თქმა უნდა, მძიმე შეფასება და, როგორც წესი, ამას ხელისუფლებისთვის უნდა ჰქონდეს ერთგვარი დარტყმის ეფექტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი რამ უნდა აღინიშნოს: ყოველთვის, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები მსგავს დასკვნებს დებენ, მათ შეფასებებში მაინც გაუთვალისწინებელია ხოლმე რეალურად აქ არსებული მდგომარეობა. კერძოდ, რას ვგულისხმობ: კი, „ფრიდომ ჰაუსის“ და სხვების ბოლოდროინდელი ანგარიშები საკმაოდ კრიტიკულია, მაგრამ გარდა იმისა, რაზეც მათ მიერ მომზადებულ დოკუმენტებშია საუბარი, ჰიბრიდული რეჟიმი სხვა რამესაც ნიშნავს. იმის თქმა მინდა, რომ, **როცა ასეთი მძიმე მდგომარეობაა, ასე მარტივად, ერთი ხელის მოსმით, არ უნდა ხდებოდეს ამ ყველაფრის დეფინიცირება.** მე ვფიქრობდი, რომ, თუკი არსებობენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ცალკეული ექსპერტები, რომლებსაც მართლა აინტერესებთ, რა ტიპის ქვეყანას წარმოადგენს საქართველო, უფრო საფუძვლიანი ანალიზი გაკეთდებოდა. მით უფრო, ამის ყველა პირობა არსებობდა, თუ სურვილი იქნებოდა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე ამ სურვილს ვერ ვხედავ და დღეს ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებებში ჩანს ზედაპირულობა, რისი ახსნაც ორი მიზეზით შეიძლება: ან უინტერესობით, ან უცოდინარობით.

**— კონკრეტულად რა ანალიზს გულისხმობთ? არ არის დღეს ისედაც ნათელი, რა ტიპის სახელმწიფოა საქართველო?**

— ნათელია, მაგრამ გააჩნია, რა დონეზე. აქ ლაპარაკია კვალიფიციურ ანალიზზე. ვფიქრობ, ჩვენ აუცილებლად უნდა დავიწყოთ შესწავლა, ვინ არის ეს ხელისუფლება, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს, რა ორიენტაცია აქვს მას და საერთოდ, არის თუ არა იგი რომელიმე პოლიტიკური ორიენტაციის. ამ ხელისუფლებამდე მეტნაკლებად ვიცოდით, ვისთან და რა ძალასთან გვქონდა საქმე. მაგალითად, ზვიად გამსახურდია, რომელიც მოვიდა კომუნისტებთან ბრძოლის, შეურიგებლობის ლოზუნგით, მის მიერ დაშვებული არაერთი შეცდომის მიუხედავად, ვიცოდით, რომ არ იყო საბჭოთა ტიპის მმართველი. მოგვწონდა ან ვარგოდა ეს თუ არა, სხვა საკითხია, საუბარია იმაზე, რომ ვიცნობდით, მის პოლიტიკას. რაც შეეხება შემდგომ ხელისუფლებას, ამ შემთხვევაშიც ყველამ ვიცოდით, რომ ქვეყანას მართავდა ძველი კომუნისტური სისტემიდან წამოსული პოლიტიკოსი, რომელიც მთელი არსით, მსოფლმხედველობით მაინც საბჭოთა სისტემას მორგებული ფიგურა იყო და მან ვერ შეძლო, ფეხი აეწყო იმ რეალობისთვის, რომელსაც ის პერიოდი სთავაზობდა.

ახლა რა ხდება დღევანდელ ვითარებაში, რა ტიპის მმართველობა გვაქვს სახეზე? **თავის დროზე ეს ხელისუფლება მოვიდა ლოზუნგით, რომ თითქოს შევარდნაძის დემოკრატია მას არ აკმაყოფილებდა და გვპირდებოდა თავისუფლების ახალ ტალღას, რომელიც ქვეყნის განვითარების გარანტი უნდა ყოფილიყო. ზოგი შეგნებულად, ზოგი შეუგნებლად დასავლეთში ამას აჰყვა, მხარი დაუჭირეს სააკაშვილს და შედეგად მივიღეთ რაღაც გაუგებარი და გაურკვეველი სახის მახინჯი ძალა, რომელსაც საბოლოო ჯამში ვერც ერთ ტიპს ვერ მიაკუთვნებ.** აქ ხშირად ისმის ხოლმე შეფასებები, რომ ეს არის ფაშისტური რეჟიმი, ნეობოლშევიკური, ავტორიტარული და ა. შ. ვფიქრობ, რომ ეს არც ერთია, არც მეორე და არც მესამე. ეს არის არატიპიური სახელმწიფო, რომელიც, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, განწირულია ყველანაირი კრახისთვის, თუ ეს მდგომარეობა არ გამოსწორდა...

**— დავუბრუნდეთ „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშს, ამ დოკუმენტში საქართველოში დემოკრატიის დონე 4,82 ქულითაა შეფასებული, ხოლო საარჩევნო სისტემა — ხუთი ქულით. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეესაბამება ეს ციფრები აქ არსებულ მდგომარეობას?**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის ტყუილი. 4,82 ქულით რომ შეიძლებოდეს იმ მდგომარეობის შეფასება, რომელიც დღეს აქაა შექმნილი, რა გვიჭირდა, ათი თავით უარესი ვითარება გვაქვს.

**— თქვენი აზრით, რამდენი ქულა იქნებოდა რეალური?**

— შევარდნაძის დროს ჩვენი დემოკრატია შეფასებული იყო ოთხი ქულით, ახლა კი 4,82 ქულითაა ჩაწერილი. ვეკითხები ამ კვლევის ავტორებს: მას შემდეგ, რაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, დემოკრატიის დონემ მხოლოდ 0,82 ქულით დაიწია? მედია აიღეთ ან, გნებავთ, პენიტენციური სისტემა, სასამართლოები, სიკვდილიანობა ციხეებში, ყველგან არის კატასტროფული გაუარესება, დეგრადაცია და რომელ დემოკრატიაზეა საუბარი! გამოდის, რომ ან მაშინ გვატყუებდნენ, როცა ოთხი ქულა დაგვიწერეს, ან ახლა. სხვაგვარად ეს ყველაფერი არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. რაც შეეხება თქვენს კითხვას — რამდენი ქულაა რეალური — წინა ხელისუფლების დროს 4,0 ქულა თუ იყო, ახლა მინიმუმ შვიდი მაინც უნდა ყოფილიყო, იმიტომ, რომ, მაშინდელთან შედარებით, ის, რაც დღეს აქ ხდება, არანაირი ტიპის დემოკრატიასთან, თუნდაც გარდამავალთან, არანაირად თავსებადი არაა. ეს არის ყოვლად წარმოუდგენელი, უპრეცენდენტო სისტემა ქვეყნის ისტორიაში, რომელსაც, ვიმეორებ, ვერ მიაკუთვნებ ვერც ერთ წყობას და კატეგორიას.

**— თქვენი აზრით, „ფრიდომ ჰაუსი“ პოლიტიზირებული ორგანიზაციაა?**

— პოლიტიზირებული ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ საერთოდ ყველა დიდი ორგანიზაცია, რომელიც არის დომინანტი საერთაშორისო დონეზე, მეტ-ნაკლებად ყოველთვის დამოკიდებულია ხელისუფლების კეთილ ნებაზე. ეს იგრძნობა ყველაფერში და, რა თქმა უნდა, მის მიერ მომზადებულ მნიშვნელოვან დოკუმენტებშიც. სახელიანი ორგანიზაციაა მსოფლიოში, ამ ცოტა ხნის წინათ სოროსის ფონდისგან მიიღო ასი მილიონი. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ ამ ორგანიზაციას გარკვეული ვალდებულებები უკვე გააჩნია იმ თავისი დაფინანსების წყაროსთან. მორჩა, ყველაფერი გასაგებია. აქ უკვე აღარაა საუბარი მიუკერძოებლობაზე. ასე რომ, კი, ერთის მხრივ, ასეთი გავლენიანი და ავტორიტეტული ორგანიზაციები მაქსიმალურად ცდილობენ, მათ რეპუტაციას ჩრდილი არ მიადგეს, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ მიუკერძოებლობას აქვს საზღვარი. ერთი შეხედვით, ეს თითქოს არ არის მართვადი პროცესი, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით ამ საკითხებს, დავინახავთ, რომ სინამდვილეში ეს ყველაფერი აბსოლუტურად კონტროლირებადია; ხოლო დემოკრატია და ადამიანის უფლებები პოლიტიკოსების მხრიდან ხშირად, სამწუხაროდ, გამოყენებულია ისეთივე იარაღად, როგორიცაა ატომი, ვთქვათ, ცეცხლსასროლი იარაღი და ა. შ.

**— ბოლო დროს სულ უფრო ხშირად საუბრობენ, რომ 27 მაისის აქციის შემდეგ პატიმართა მიმართ მოპყრობა განსაკუთრებით გამკაცრდა. რამდენად შეესაბამება ეს ყველაფერი სინამდვილეს?**

— არამარტო 27 მაისის შემდეგ, საერთოდ, რაც ბიძინა ივანიშვილი მოვიდა პოლიტიკაში, პატიმართა ცხოვრება გახდა აუტანელი. პირადად ჩემთვის ცნობილია არაადამიანური მოპყრობის რამდენიმე ფაქტი. მაგალითად, ამასწინათ 26 მაისს ქუთაისში დაკავებული ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი, რომელმაც ხუთი დღე გაატარა ციხეში, მიყვებოდა, რომ იქ პირობები იყო გაუსაძლისი. რაც შეეხება მოპყრობას ადმინისტრაციის მხრიდან, ამაზე საერთოდ ლაპარაკი არ მაქვს, ისეთი საშინელებები მიამბეს. **წარმოიდგინეთ, საკვები მიჰქონდათ დღეში ერთხელ და, სანამ საკანში შეიტანდნენ, კონტროლიორები პატიმრის თვალწინ რიგრიგობით აფურთხებდნენ შიგ. რამე უკმაყოფილება რომ გამოეთქვათ, ალბათ, ცემით ტყავს გააძრობდნენ, და ჰყავდათ ეს ბავშვები ასე, სადისტურად, გამომწყვდეული.** გარდა ამისა, როგორც ყოველთვის, ხდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, ემუქრებოდნენ ისეთი რამეებით, რომ ადამიანი შეიძლება შეიშალოს. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ამ ახალგაზრდებისთვის ფსიქიკა დაენგრიათ და ბოლოს, რომ გამოვიდნენ, ერთ-ერთი მათგანი იძახდა, აღარასოდეს აღარ გავიხედავ ქუჩისკენ, საერთოდ სახლიდანაც აღარ გამოვალო. აი, ასეთი საშინელებები ტრიალებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და დღითიდღე ეს ხდება სულ უფრო მასშტაბური, სულ უფრო მწვავე ხასიათის, იმიტომ, რომ **რეჟიმი, რომელიც ყველანაირად ცდილობს, ძალაუფლება შეინარჩუნოს, მაგრამ ამავე დროს ხედავს, რომ საზოგადოებაში არანაირი დასაყრდენი არ აქვს, არის კატასტროფულად მზარდი და შეუვალი.** არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს მდგომარეობა თუ არ გამოსწორდა, დღესდღეობით ციხეში მყოფი ადამიანებიდან უმეტესობას შეიძლება, თავისუფლება საერთოდ ცხოვრებაში არ ეღირსოს, იმხელა სასჯელები აქვთ მათ მისჯილი და ისეთ პირობებში უწევთ ამ სასჯელის მოხდა.

**— ის ბოლო ფაქტები, რომლებიც თქვენ ახსენეთ, არც ერთი უფლებადამცველის მხრიდან გაპროტესტებული არ ყოფილა. როგორ ფიქრობთ, მოვლენის მიჩუმათება ამ შემთხვევაში უფრო დიდი საფრთხის შემცველი არ არის?**

— ყველამ ვიცით, რომ **ამ რეჟიმისთვის უფლებადამცველების საუბარი ძაღლის ყეფასავითაა, ყურადღებას არავინ გვაქცევს, ასე რომ არ იყოს, თავის დროზე მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენ ვიყავით პირველი ქვეყანა, რომელშიც გაიხსნა ციხეები და მონიტორინგის საშუალება ჰქონდა ყველას. დღეს კი ასევე ჩვენ ვართ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი ქვეყანა, რომელშიც ციხეები დაიხურა. ასე რომ, რა აზრი აქვს გაპროტესტებას, აქ უნდა მოხდეს ძირეული ცვლილებები, რეჟიმი უნდა შეიცვალოს!** წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეული უფლებადამცველი რას იტყვის და რას გააპროტესტებს, არაფერს ნიშნავს.



**— რადგან ცვლილება ახსენეთ, მოახლოებულ არჩევნებზეც გკითხავთ: თქვენი აზრით, დღევანდელი მოცემულობით, არსებობს იმის წინაპირობა, რომ არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა მოხერხდება? რამდენად ოპტიმისტურად ხართ განწყობილი?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არასწორად ხდება იმის შეფასება, თუ რა რეჟიმია და საერთოდ, რა ვითარებაა ქვეყანაში. როგორ შეიძლება, ასეთი მმართველობის პირობებში არჩევნებზე იყოს რამე იმედები დამყარებული? თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთშიც კი, რომელსაც ესენი მუდმივად აკრიტიკებენ და, მოგეხსენებათ, დემოკრატიას უწუნებენ, ბოლო არჩევნები იყო გაცილებით უფრო გამჭვირვალე, ვიდრე ამათ მიერ აქამდე ჩატარებული ნებისმიერი არჩევნები. იქ კამერები იდგა და ხალხი პირდაპირ ხედავდა, რა ხდებოდა. ჩვენთან ხომ ეს გამორიცხულია?! ამასაც თავი დავანებოთ, იმისთვის, რომ ოპოზიციამ გაიმარჯვოს, რა არის საჭირო? მხოლოდ და მხოლოდ ისაა გადამწყვეტი, ხმას ვის მისცემს მოქალაქე? ჯერ ერთი ის ხმის მიცემის პროცესიც, ყველამ ვიცით, რა დაშინებების ფონზე მიმდინარეობს, მაგრამ ვთქვათ, გმირებად გადაიქცა თითოეული მოქალაქე და მაინც არ შემოხაზა ხუთიანი, თქვენ გჯერათ, რომ ესენი გაყალბებას ვერ გაბედავენ? ისე გააყალბებენ, როგორც არაფერი... და რას ვაკეთებთ ამის შემდეგ? ის გაყალბებული ოქმები ხომ უნდა წაიღო სასამართლოში, სადმე ხომ უნდა გაასაჩივრო? რა აზრი აქვს ამათ სასამართლოში ოქმის წაღებას? ყველაფერი ამათ ხელშია: მოსამართლეები, პროკურორები თვალებში შესციცინებენ, ისინი გამოიტანენ სამართლიან განაჩენს? ეს ხომ გამორიცხულია! ასე რომ, თქვენს კითხვას რაც შეეხება, შეიძლება თუ არა არჩევნებით რამის შეცვლა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება; **სააკაშვილის რეჟიმის არჩევნების გზით შეცვლას გამოვრიცხავ.**

ახლა, ალბათ, მკითხავთ, რა გზა არსებობსო, სიმართლე გითხრათ, გამოსავალს მე ვერ ვხედავ, თუმცა ერთი რამ ფაქტია, კერძოდ ის, რომ საზოგადოების ერთიანობასა და სოლიდარობას ალტერნატივა არ აქვს. არაფრის გარანტია არ არსებობს და მითუმეტეს, ძალიან მცირეა შანსი, რომ ხელისუფლების შეცვლა მოხერხდეს, მაგრამ, ვიმეორებ, ყურების ჩამოყრითა და დადუმებით მივიღებთ ათჯერ და ასჯერ უფრო მკაცრ რეჟიმს. აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობა, საზოგადოების მხრიდან, უნდა იყოს მუდმივი და შეუქცევადი. მხოლოდ ეს თუ მიიყვანს ქვეყანას საბოლოოდ რაიმე შედეგამდე, თორემ ამათი მმართველობის პირობებში სრული მოშლა და განადგურება გარდაუვალია.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ტერიტორიების საკითხი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის გარეშე ვერ მოგვარდება, მაგრამ ამ ტერიტორიული პრობლემების თუ სხვა ურთიერთობების გასაღები რუსეთშია. მთავარია, გაჩნდეს რუსეთთან მოლაპარაკების საშუალება და იქ გამოჩნდება მერე, რაზე შეიძლება მოვილაპარაკოთ და რაზე — არა. რუსეთისთვის ერთი რამ არის მნიშვნელოვანი — საქართველოში არ დადგეს მათთან დაპირისპირებული სამხედრო ძალები. ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და რუსეთთან შედგეს გულწრფელი, ღია საუბარი, თორემ დარწმუნებული ვარ, პრობლემა მოგვარებადია, რადგან ჩვენი და რუსეთის ინტერესები ბევრ საკითხში ემთხვევა ერთმანეთს.“

# აკაკი ასათიანი: თუ ჩვენ ნატოს საფასურად დავთმობთ სოხუმს და ცხინვალს, ეს «დათმობები» ამით არ დამთავრდება

**„ტრადიციონალისტები“ და „თავისუფალი საქართველო“ გაერთიანდნენ. რას გეგმავენ „ქართული ოცნების“ კოალიციის გარეთ დარჩენილი პარტიები და როგორ აპირებენ ხელისუფლების დამარცხებას არჩევნებში, „საქართველო და მსოფლიოს“ ტრადიციონალისტების ლიდერი აკაკი ასათიანი ესაუბრა.**

**— ბატონო აკაკი, რატომ აირჩიეთ პოლიტიკურ პარტნიორად კახა კუკავა და რას ელოდებით მომავალი საპარლამენტო რჩევნებისგან?**

— ჩვენ გვინდა, შევქმნათ ალტერნატიული პოლიტიკური გაერთიანება. მაშინ, როცა ყველა პოლიტიკური პარტია ერთხმად ამბობს, რომ ნატოში გაწევრიანება უნდა იყოს ჩვენი მთავარი მიზანი, მაგრამ არავინ აკონკრეტებს, როგორ და როდის უნდა მოხდეს ეს. ასევე ყველა ამბობს, რომ რუსეთთან უნდა მოგვარდეს ურთიერთობა, მაგრამ დაზუსტებით ვერ ამბობენ, როდის და რა ფორმით უნდა განხორციელდეს ეს ყველაფერი. **ჩვენ ვამბობთ მკაფიოდ და მარტივად: გადავდოთ ნატოში გაწევრიანების საკითხი და ჯერ რუსეთთან მოვაგვაროთ ურთიერთობა. ვინაიდან რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს.**

ამას გარდა, ბოლო დროს ჩატარებული ყველა გამოკითხვის, მათ შორის ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოკითხვების, შედეგადაც კი, საზოგადოების 70% რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მომხრეა. საერთოდ, რამდენად ჯანმრთელი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც ჩათვლის, რომ ამხელა მეზობელთან დაძაბული ურთიერთობა უნდა გვქონდეს? თუ ადამიანს თავისი ქვეყანა რამედ უღირს, ის რეალურად აფასებს ვითარებას და იმის მიხედვით მოქმედებს.

გულწრფელად გეტყვით: სწორედ იმიტომ გადავწყვიტე კახა კუკავასთან თანამშრომლობა, რომ ახალი თაობის პოლიტიკოსებში ის ფართო თვალსაწიერით გამოირჩევა, რასაც ფიქრობს, ამბობს და დამაჯერებლად ასაბუთებს საკუთარ სიმართლეს.

საქართველოში მეორე სერიოზული პოლიტიკური ძალის — „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ მოაგვარებენ რუსეთთან ურთიერთობას, მაგრამ როგორ იზამენ ამას, აღარ აკონკრეტებენ და ისევ ნატოში გაერთიანებაზე ლაპარაკობენ. **ნატო აცხადებს, რომ მისი კარი ღიაა საქართველოსთვის, მაგრამ სად არის ეს კარი და როდის ვართ დაპატიჟებულები მის შესაღებად, არავინ იცის. ვინ მიიღებს ნატოში ქვეყანას, რომელსაც სერიოზული კონფლიქტები აქვს მოუგვარებელი და ასეთი დაძაბული ურთიერთობა აქვს მსოფლიოში სერიოზულ სამხედრო ძალასთან?** ეს კონფლიქტები და ტერიტორიების დაბრუნების საკითხი რუსეთთან შეთანხმების გარეშე ვერ გადაწყდება და ამას დასავლეთიც ღიად ამბობს. ვინაიდან, რაც არ უნდა კეკლუცობდეს ევროპა და დასავლეთი, რომ რუსეთს ანგარიშს არ უწევენ, ფაქტია, რომ ასე არ არის.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ არაფერი გაქვთ ევროკავშირის საწინააღმდეგო, მაგრამ რეალისტურად უნდა მივუახლოვდეთ რუსეთს. როგორ გესახებათ ეს გზა?**

— არა მგონია, ეს ხელს უშლიდეს ერთმანეთს. ვფიქრობ, ეს ყველაფერი დიდი შეთანხმების შედეგად მოხდება. **ტერიტორიების საკითხი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის გარეშე ვერ მოგვარდება, მაგრამ ამ ტერიტორიული პრობლემების თუ სხვა ურთიერთობების გასაღები რუსეთშია. მთავარია, გაჩნდეს რუსეთთან მოლაპარაკების საშუალება და იქ გამოჩნდება მერე, რაზე შეიძლება მოვილაპარაკოთ და რაზე — არა. რუსეთისთვის ერთი რამ არის მნიშვნელოვანი — საქართველოში არ დადგეს მათთან დაპირისპირებული სამხედრო ძალები. ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და რუსეთთან შედგეს გულწრფელი, ღია საუბარი, თორემ დარწმუნებული ვარ, პრობლემა მოგვარებადია, რადგან ჩვენი და რუსეთის ინტერესები ბევრ საკითხში ემთხვევა ერთმანეთს.**

საერთოდაც, არა მგონია, რომ საქართველოში რუსეთის საწინააღმდეგო ჯარი უნდა ჩადგეს და ნებისმიერი ჩვენი მეზობელი ქვეყნის საწინააღმდეგო პლაცდარმად უნდა ვიქცეთ.

**— არსებული ხელისუფლება შეძლებს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას?**

— გამორიცხულია. ამ ხელისუფლებას ამის რესურსი არც ჰქონია. არადა, თუ ჩვენ არ მოვაგვარებთ ჩვენს ტერიტორიულ პრობლემებს, მაშინ სხვა მოაგვარებს და არა ჩვენს სასარგებლოდ. მაგალითად, აშშ-ში თუ მოვა ისეთი ძალა ხელისუფლებაში, რომელიც პირდაპირ დასვამს საკითხს, რომ ნატოში მიღების სანაცვლოდ საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა, ვინმეს სჯერა, რომ ეს ხელისუფლება უარს იტყვის ამ წინადადებაზე?

**— პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა და ამ ტერიოტორიებზე უარის თქმის შემდეგ...**

**— როგორც ძალიან ხშირად, ალექსანდრე ჭაჭია ამ შემთხვევაშიც აბსოლუტურად მართალია, ვინაიდან ის პატრიოტული მოსაზრებებიდან გამომდინარე ლაპარაკობს. სხვანაირად ვერ მიგვიღებენ ნატოში და, თუ ასე გვიღირს ნატოში გაწევრიანება, კი, ბატონო. სხვათა შორის, თუ ჩვენ ასე ადვილად, ნატოს საფასურად, დავთმობთ სოხუმსა და ცხინვალს, ეს „დათმობები“ ამით არ დამთავრდება.** გვპირდებიან, რომ მიგვიღებენ ნატოში და ეს გასაგებიცაა — დასავლეთი ჩვენით ევაჭრება რუსეთს, მაგრამ ჩვენ რას ვიგებთ ამით? ჩვენზე ნატო პასუხისმგებლობას არ იღებს, ჩვენ კი მისთვის თავს ვიკლავთ. საქართველოს ხელისუფლება ისეთია, ოღონდ თავად იყოს კარგად და, ავღანეთში ნატოს წევრებზე მეტ ჯარს გაგზავნის.

**— სააკაშვილის განცხადებით, ის რუსეთისგან მორიგ პროვოკაციას ელის.**

**— თუ ხელისუფლება სისულელეს არ ჩაიდენს და საბაბს არ მისცემს, ასეთი საფრთხე არ არსებობს. გამორიცხულია, რუსეთი უმიზეზოდ თავს დაგვესხას. დღეს ჩვენ ერთი საფრთხის წინაშე ვდგავართ — ეს არის ძალაუფლების დაკარგვის შიში, რომელიც ხელისუფლებას აქვს, და აქედან გამომდინარე, რას მოიმოქმედებს, არავინ იცის, ვინაიდან ყველამ კარგად იცის, რომ ნორმალური არჩევნების პირობებში სააკაშვილი წააგებს.**

**— დიდი ხანია, საუბრობენ ოპოზიციური ე. წ. მესამე ცენტრის შექმნაზე. მაგრამ არ ფიქრობთ, რომ ერთიანი ძალებით ოპოზიცია უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს?**

**— ჩვენ მზად ვართ, შევათანხმოთ ოპოზიციასთან თუნდაც მაჟორიტარების საკითხი. შევთანხმდით მე და კახა კუკავა და მეტი რა ვქნათ? დევნას ვერავის დავუწყებთ.**

**— საუბარი იყო, რომ ნინო ბურჯანაძეც თქვენთან გაერთიანდებოდა, რატომ იკავებს თავს?**

— არ ვიცი, ეს, ალბათ, მას უნდა ჰკითხოთ. ალბათ, ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა.

**— ტრადიციონალისტები „ეროვნულ ფორუმთან“ ალიანსში იყავით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში გაერთიანდნენ, თქვენ „აბსაიდში“ აღმოჩნდით. რატომ აღმოჩნდნენ ტრადიციონალისტები მიუღებელი კოალიციისთვის?**

— სიმართლე გითხრათ, არც გვითხოვია, რომ კოალიციაში მივეღეთ. ივანიშვილი როცა გამოჩნდა ასპარეზზე, პირიქით, ბლოკი გავყავით, რომ ყველას დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება. **მე მირჩევნია, ქვეყანაში განსხვავებული პოზიცია იყოს, როცა, რასაც ფიქრობ, იმას ამბობ.**

**— მაგრამ კოალიციაშიც ხომ არიან პარტიები, რომლებსაც განსხვავებული შეხედულებები აქვთ, თუნდაც საგარეოპოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით? რატომ აღმოჩნდით მაინცდამაინც თქვენ მიუღებელი?**

— არ ვიცი, აქვთ თუ არა. ბოლო დროს მოგისმენიათ კოალიციაში შემავალი პარტიებისგან განსხვავებული აზრი? მე არ მომისმენია. ერთნაირი აზრი აქვთ ყველა საკითხზე, თუ არ ან ვერ ამბობენ, არ ვიცი. მაგალითად, მახსოვს, ანალოგიურად შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ იქცეოდა. 1992 წლის არჩევნებში ჰქონდათ ბლოკი „მშვიდობა“ და რა უნდოდათ, არაფერს არავინ არ ამბობდა. უბრალოდ, შევარდნაძის მხარდამჭერი ბლოკი არსებობდა.

**— ანუ ფიქრობთ, რომ კონკრეტიკა აკლიათ?**

— მე არ ვფიქრობ, ფაქტია, რომ ასეა. ბოლო დროს, ნელნელა სოციალურ თემებზეც დაიწყეს საუბარი, რადგან აქტუალური თემაა და ივანიშვილისგან ძირითადად ამას ელის ხალხი. ასევე **საზოგადებას მიაჩნია, რომ, ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, რუსეთთან ურთიერთობის მოწესიგების მეტი შანსია, თუმცა აცხადებენ, რომ მათი საგარეოპოლიტიკური კურსიც ნატოში გაწევრიანება და დასავლეთთან ურთიერთობის გაღრმავებაა. ევროპა ჩვენი გულისთვის პრობლემებს არ შეიქმნის. მას თავისი პრობლემები ეყოფა. ეს უნდა ვიცოდეთ.** ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოც და რუსეთიც ევროპული სამყაროს ნაწილია, ევროკავშირშიც ბევრი რამ არის ისეთი, რაც ამ ეტაპზე, მეეჭვება, ჩვენთვის მისაღები იყოს. ჩვენზე უკეთესი სავიზო რეჟიმი აქვს რუსეთთან ევროკავშირს.

**— საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ დიალოგი ოფიციალურად გაიხსნა.**

— უახლოეს მომავალში არ ველი სიახლეებს ამ მიმართულებით, ვინაიდან გამუდმებით პრობლემებია ჩვენს მიგრანტებთან დაკავშირებით. ეს იმ ხალხის ბრალი კი არა, ჩვენი ხელისუფლების დანაშაულია. საქართველოში რომ ნორმალური პირობები იყოს, უცხოეთში არავინ წავა და იქურდებს.

**— ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ჰილარი კლინტონმა სააკაშვილი გასაცილებლად მოამზადა, თუმცა ბევრი სხვანაირად ფიქრობს.**

— აშშ-ისთვის პრინციპულია სააკაშვილის წასვლა. პრემიერადაც არ სურთ, დარჩეს, რისი უფლებაც კანონით მას, პრინციპში, აქვს. ეს კონკრეტული ვიზიტი არა, მაგრამ საერთოდ ამერიკის პოზიცია, ვფიქრობ, მომავალ არჩევნებზე ზეგავლენას მოახდენს, დანარჩენი კი ჩვენზეა დამოკიდებული.

**— ახლახან მოძრაობა „ეროვნულები“ დაარსდა, მასში ეროვნული მოძრაობის ბევრი ცნობილი სახე გამოჩნდა. თქვენ იქ არ გამოჩენილხართ, რატომ?**

— მივესალმები ახალი მოძრაობის დაარსებას, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ ჩვენი მიმართულება გვაქვს. ყრილობაზე ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადებებიც გაკეთდა. არადა, „ქართული ოცნების“ კოალიციას რომ ჰქონდეს მკაფიო პროგრამა ამა თუ იმ საკითხზე, თავად ვთხოვდი, მიმიღეთ-თქო. მომავალში კი „ეროვნულებთან“ თანამშრომლობას არ გამოვრიცხავ, თუ ისინიც გამოთქვამენ სურვილს.



## «ტერიტორიების დაბრუნების საკითხი რუსეთთან შეთანხმების გარეშე ვერ გადაწყდება და ამას დასავლეთიც ღიად ამბობს»

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**„სააკაშვილმა, ავალებდნენ მას თუ არა „თეთრი სახლიდან“, ერთგვარად რაღაც ქსეროასლივით გადმოიღო ამერიკული დემოკრატიის ყველა მანკიერება, რომლისთვისაც ჩვენი საზოგადოება იმთავითვე მოუმზადებელი იყო, და ისევ და ისევ დემოკრატიის სახელით თავს მოახვია ქვეყანას ეს ყველაფერი. აი, სწორედ აქედან დაიწყო წინააღმდეგობა ხალხსა და ხელისუფლებას შორის, მაგრამ ამასაც როგორმე მოევლებოდა, მთავარი უბედურება ის იყო, რომ მმართველ გუნდს არ აღმოაჩნდა არანაირი მოქნილობა, მინიმალური მოხერხებულობაც კი იმისთვის, რომ ეს პროცესები უმტკივნეულოდ წარემართა.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ჯიმი ჯალიაშვილი:

# საქართველოს ხელისუფლება ისევ წავა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაზე

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმი ჯალიაშვილი.**



**— ბატონო ჯიმი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის ვიზიტი ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა კარდინალურად განსხვავებულ კონტექსტში შეაფასეს. ერთი მხარე ამბობს, რომ ეს იყო ვაშინგტონის მხრიდან სააკაშვილის ღია მხარდაჭერის კიდევ ერთი დადასტურება, მეორე მხარე კი აბსოლუტურად საპირისპირო განცხადებას აკეთებს. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ და საერთოდ, როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის ეს ვიზიტი?**

— რას აცხადებენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ჩემთვის ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ, სანამ ჩამოვიდოდა კლინტონი, ფაქტობრივად, მანამდე ვიცოდით, ესენი რა ლაპარაკსაც დაიწყებდნენ.

რაც შეეხება ვიზიტს, დიპლომატის ენა განსაკუთრებული ენაა. პირდაპირ სახელებსა და გვარებს არავინ ჩამოთვლის და არ იტყვის, შენ უნდა წახვიდეო, მაგრამ, **ვფიქრობ, სახელმწიფო მდივნის გამოსვლაში იყო რამდენიმე ისეთი მინიშნება, რომელიც ცხადყოფს, რომ ამერიკას დიდწილად უკვე შეცვლილი აქვს სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულება.** ის, რომ მან თქვა, არჩევნებია უმთავრესი და ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი განვითარება დემოკრატიული გზით, არ იყო შემთხვევითი. პირველ რიგში, ეს ხელისუფლებისთვის უნდა ყოფილიყო მკაფიო სიგნალი, ვინაიდან, სწორედ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი არჩევნების სამართლიანობაზე. **საერთოდ მიმაჩნია, რომ მომავალი არჩევნები მმართველი გუნდისთვის არის ერთგვარი შანსი, რომ გარკვეულწილად შემოაბრუნოს პროცესები და ის რაღაც კატასტროფულად დიდი საპროტესტო მუხტი, რომელიც არსებობს საზოგადოებაში, გარკვეულწილად ჩააცხროს.**

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ხელისუფლებას უკვე აღარ გააჩნია არანაირი რესურსი, სათავისოდ რამე დადებითი ცვლილებები განახორციელოს, ამიტომ, რაც უნდა გააკეთოს სააკაშვილმა, თუნდაც დემოკრატიულად ჩაატაროს არჩევნები, ამით მის მიმართ საზოგადოების განწყობა ვერ შეიცვლება. ამის ყველანაირი შანსი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელიდან გაუშვა, ვინაიდან ამ რვა წლის განმავლობაში მას, ფაქტობრივად, არაფერი უკეთებია, შეცდომების დაშვების გარდა. ყველაფერს აქვს საზღვარი, ასე რომ, როგორც ჩანს, **ახლა უკვე მართლა დადგა ის დრო, როცა რეჟიმი უნდა დასრულდეს. ეს სრულიად ლოგიკურია. ამდენად, ვერანაირი მცდელობა, ვერანაირი ძალის გამოყენება ხელისუფლების მხრიდან ამ პროცესს ვერ შეაჩერებს.** თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ხელისუფლება დანებდება, პირიქით, მგონია, რომ ესენი ბოლომდე იბრძოლებენ და, ცხადია, ეს პროცესები მარტივი არ იქნება...

**— თქვენ შეცდომები ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, მაინც რა იყო ის მთავარი შეცდომა, რომელმაც სააკაშვილის რეიტინგი ხელისუფლებაში მოსვლიდან, სულ ცოტა, ორ-სამ წელიწადში, ფაქტობრივად, გაანულა?**

— ორი ძირითადი შეცდომა მგონია ის ფაქტორი, რომელმაც არა მარტო სააკაშვილის, მთლიანად მისი გარემოცვის დისკრედიტება მოახდინა და აი, რას ვგულისხმობ: საერთოდ პოლიტიკაში ცნობილია ერთგვარი აქსიომა, რომ ყველა სვლის, ყველა ნაბიჯის გათვლა, წინსვლასთან ერთად, გულისხმობს გარკვეული უკუსვლის შესაძლებლობასაც. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ უნდა დაიტოვო უკან დასახევი გზაც, რომელიც გარკვეულ მომენტში, შეიძლება გაცილებით უფრო დადებითი შედეგის მომტანი აღმოჩნდეს, ვიდრე ნებისმიერი წინ გადადგმული ნაბიჯი. მიხეილ სააკაშვილმა ეს მომენტი საერთოდ არ ან ვერ გაითვალისწინა და შედეგად მივიღეთ არაერთი დატრიალებული უბედურება, რომელთა შორისაც ყველაზე ტრაგიკული იყო 2008 წლის აგვისტოს ომი. 26 მაისის სისხლიან დარბევაზე არაფერს ვამბობ, რომელიც ასევე დიდი ტრაგედია იყო.

რაც შეეხება მეორე შეცდომას, ე. წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველო ფაქტობრივად ექსპერიმენტების ქვეყანა გახდა. ვგულისხმობ იმას, რომ **სააკაშვილმა, ავალებდნენ მას თუ არა „თეთრი სახლიდან“, ერთგვარად რაღაც ქსეროასლივით გადმოიღო ამერიკული დემოკრატიის ყველა მანკიერება, რომლისთვისაც ჩვენი საზოგადოება იმთავითვე მოუმზადებელი იყო, და ისევ და ისევ დემოკრატიის სახელით თავს მოახვია ქვეყანას ეს ყველაფერი.**

აი, სწორედ აქედან დაიწყო წინააღმდეგობა ხალხსა და ხელისუფლებას შორის, მაგრამ ამასაც როგორმე მოევლებოდა, მთავარი უბედურება ის იყო, რომ მმართველ გუნდს არ აღმოაჩნდა არანაირი მოქნილობა, მინიმალური მოხერხებულობაც კი იმისთვის, რომ ეს პროცესები უმტკივნეულოდ წარემართა. პირიქით, ხელისუფლების პოლიტიკა ერთადერთ პრინციპს დაეფუძნა: „მე ვარ და ჩემი გუდა-ნაბადიო“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას, უბრალოდ, არ აინტერესებდა ხალხის აზრი. სხვათა შორის, სააკაშვილი ამას არც მალავდა. ყოველთვის, როცა იყო საპროტესტო გამოსვლები და საზოგადოება რაღაცაზე უკმაყოფილებას გამოხატავდა, ის გამოდიოდა და პრინციპულად აცხადებდა, მაინც მივიყვანთ ამ საქმეს ბოლომდეო.

მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლებამ ერთი რამ მაინც ვერ გათვალა — მან ვერ გაითვალისწინა ის, რომ პრინციპულობასა და აბსოლუტურ შეუვალობას საბოლოოდ პროგრესი კი არ მოაქვს, არამედ იწვევს მუდმივ, მზარდ დაპირისპირებას ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ეს ის დაპირისპირებაა, რომელიც ქვეყნისთვის ყველანაირად წამგებიანია, მაგრამ ამავე დროს ისტორიაში არ არსებობს ფაქტი, რომ მსგავსი დაპირისპირება საბოლოოდ ხელისუფლების გამარჯვებით დასრულებულიყო. არა მგონია, ამ მხრივ გამონაკლისი სააკაშვილის რეჟიმი აღმოჩნდეს, ასე რომ, ამ შემთხვევაშიც ყველაფერი ნათელია: **ხელისუფლება ახლა იმყოფება უკიდურესად რთულ და წამგებიან მდგომარეობაში, საიდანაც არა თუ ვერ გამოდის, არამედ, რაც უფრო ცდილობს ვითარების განმუხტვას, სულ უფრო ღრმად ეშვება ამ სიტუაციის უფსკრულში.**

**— ამერიკული დემოკრატიის მანკიერებებში რას გულისხმობთ, რა გადმოიღო იქიდან სააკაშვილმა ისეთი, რისთვისაც მოუმზადებელნი აღმოვჩნდით?**

— დაუსრულებლად შეიძლება ამაზე საუბარი... უწინარესად, ვგულისხმობ იმას, რაც იმთავითვე ეწინააღმდეგებოდა ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს, ჩვენს ხასიათს და რაც მთლიანობაში ვერაფრით შეუთავსდა ქართულ ცნობიერებას. შემთხვევითი არაა, რომ სააკაშვილი თითქმის ყოველ მეორე სიტყვაში ამბობს ერთსა და იმავეს: მენტალური რევოლუცია. ესაა მისი „მფარველი ანგელოზების“, ამ შემთხვევაში ამერიკის სენატში მოკალათებული გარკვეული ლობისტური ჯგუფების მთავარი ამოცანაც, რომ მოახდინონ გადატრიალება ადამიანების ცნობიერებაში. ამიტომაც გვეუბნებიან ასეთი დაჟინებით, რომ „ნატოში“ შესვლა თუ გვინდა, ქვეყანაში დაცული უნდა იყოს იმავე სექსუალური უმცირესობების უფლებები; რომ არ უნდა გვაღიზიანებდეს მათი მხრიდან რამე აქტივობა, აღლუმის სახით იქნება ეს თუ რამე სხვა და ა. შ. ანალოგიური მოთხოვნილებაა რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებითაც.

ამ დროს მეორე მხრივ რა ხდება: **მიმდინარეობს გამალებული პროპაგანდა ჩვენი პატრიარქის, ჩვენი უწმინდესის წინააღმდეგ, რითაც პირდაპირ თავზე ლაფს ასხამენ მთელ ერს და ქვეყანას. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ, როცა უნდათ, სამხედრო ტექნიკით ვარდებიან ეკლესიებში და სასულიერო პირების დასაკავებლად სამლოცველოებს ანგრევენ.** აი ესაა, მოკლედ რომ ვთქვათ, ის მანკიერი მხარეები ფსევდოამერიკული ცივილიზაციისა, რომელმაც არაერთი ერი დაღუპა უკვე და ბევრი დღემდე იბრძვის ამ ცივილიზაციის კლანჭებში. სხვათა შორის, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 30-იან წლებში, რის გამოც ირანმა კარი ჩაუკეტა ამერიკას. ამდენად, საფრთხეები, რა თქმა უნდა, ძალიან დიდია; აქედან გამომდინარე, ცხადია, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მომავალ ხელისუფლებაზეც, თუ რა გზას აირჩევს ის და როგორ დააბალანსებს ამ ვითარებას, რომელიც უდავოდ მძიმე და ურთულეს მემკვიდრეობად დახვდება ქვეყნის სათავეში მოსულ ნებისმიერ პოლიტიკურ დაჯგუფებას...

**— მენტალურ რევოლუციაზე, რომელიც თქვენ ახსენეთ, და საერთოდ, ამერიკის გავლენასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაზე, ამ რამდენიმე ხნის წინათ პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში ამბობდა, რომ ვაშინგტონის მონოპოლიური გავლენა საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში სრულ უტოლობად იქცა, რაც, თავის მხრივ, გვართმევს დიდ სახელმწიფოთა ინტერესების ბალანსირების საშუალებას. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— ის, რაც ბატონმა ჭაჭიამ ბრძანა, არის იმდენად ერთმნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, ანბანური ჭეშმარიტება, რომ აქ, უბრალოდ, შეუძლებელია საპირისპირო აზრის არსებობა. აბსოლუტურად ზუსტი შეფასებაა. **დიდ სახელმწიფოთა ინტერესების დაუბალანსებლობაში კი, უწინარესად, ის უნდა იგულისხმებოდეს, რომ დღეს, ფაქტობრივად, რუსეთის ინტერესები უგულებელყოფილია საქართველოს მხრიდან.** არ მინდა, ახლა ამაზე შევჩერდე და ვისაუბრო, რამდენად მომგებიანია ჩვენთვის ეს მდგომარეობა. ვფიქრობ, დღევანდელ ვითარებაში არავის ახსნა არ სჭირდება, თუ რა შედეგი მოგვიტანა ან შეიძლება მოგვიტანოს მომავალში ამხელა მეზობელ სახელმწიფოსთან დაპირისპირებამ.

**— კლინტონის ვიზიტის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსეი ლუკაშევიჩმა განაცხადა: „ჰილარი კლინტონის განცხადებებმა დაადასტურა, რომ ვაშინგტონს 2008 წლის მოვლენებმა ვერაფერი ასწავლა“. თქვენი აზრით, რამდენად ნიშნავს ეს იმას, რომ ამერიკა კვლავ აქეზებს სააკაშვილს მორიგი ავანტიურისთვის რუსეთთან?**

— სამწუხაროდ, დღითიდღე ვრწმუნდები იმაში, რომ ჩვენ უკვე ვიქეცით მხოლოდ ტერიტორიად, რომელიც აინტერესებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, და იმისთვის, რომ ეს ტერიტორია საბოლოოდ დააკარგვინოს რუსეთს, მიდის ყველაფერზე. მოკლედ ექსპერიმენტებისა და ლაბორატორიების სახელმწიფოდ ვიქეცით.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, იყო თუ არა კლინტონის განცხადება წაქეზება სააკაშვილისთვის, ჩემთვის, ამ შემთხვევაში, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარია, ჩემს ქვეყანას რამდენად ჰყავს ისეთი ხელისუფალი, რომელიც არ აჰყვება ასეთ წაქეზებას. არ არის დღეს ქვეყნის სათავეში ასეთი ადამიანი და მეტიც, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ, **თუ დასჭირდება, ეს რეჟიმი ისევ წავა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაზე, ისევ მოაწყობს ანალოგიურ ავანტიურას, რომელიც ერთხელ უკვე ვნახეთ, და კვლავ დაატრიალებს ახალ უბედურებებს. ვერავინ და ვერაფერი ამაში ხელს ვერ შეუშლით, თუ, რა თქმა უნდა, ამერიკიდან იქნება მწვანე შუქი ანთებული. ამის ნიშნები კი უკვე ნათლად იკვეთება.**

ამას ადასტურებს იმავე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაც.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, სჭირდება დღეს ხელისუფლებას კიდევ ერთი შეიარაღებული კონფლიქტი?**

— ყოველ შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლებას, ამ ეტაპზე ომის განახლება ნამდვილად არ სჭირდება. მისი მხრიდან ეს არანაირ ამოცანას არ ისახავს. სააკაშვილის მდგომარეობა კი კარდინალურად განსხვავებულია, მას პოლიტიკური კრიზისი აქვს და შიდა ასპარეზზე, ფაქტობრივად, ვერ აკონტროლებს სიტუაციას. ამასთან, ახლოვდება ორი — საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რომელთაგან პირველს ხელისუფლება, დიდი ალბათობით, წააგებს. აქედან გამომდინარე, ცხადია, სააკაშვილს მოუწევს ფიქრი იმაზე, თუ როგორ გადაფაროს საზოგადოებაში არსებული ანტისახელისუფლო განწყობა, რომელიც დღევანდელი მოცემულობით მას თითქმის ასპროცენტიან დამარცხებას უქადის.

რეალურად რომ დავფიქრდეთ, ომი ერთადერთია იმ საშუალებათა შორის, რითაც ხელისუფლებას ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლია. ამიტომ საჭიროება, რომელიც თქვენ ახსენეთ, ობიექტურად არსებობს. თანაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **2008 წლის მსგავსი მცირე შეიარაღებული დაპირისპირება ხელისუფლებას კარგად აქვს დაცდილი, — გახსოვთ, მაშინ რა ერთბაშად მოიშორა მან პარტიების სახით ყველა ოპონენტი, როცა ოპოზიციამ მორატორიუმი გამოაცხადა და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სააკაშვილის მიმართ არანაირი კრიტიკა არ ისმოდა.** აი, ზუსტად ამ გარემოებათა გათვალისწინებით შეიძლება, ომის სცენარს ხელისუფლებისთვის კვლავ ჰქონდეს გარკვეული ხიბლი და ეს თუ დასჭირდებათ, წავლენ კიდეც ამაზე. ოღონდ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ვაშინგტონთან შეუთანხმებლად ეს არ მოხდება. ასე რომ, რა ნაბიჯიც უნდა გადადგას სააკაშვილმა, რაც უნდა მოიმოქმედოს, რა თქმა უნდა, ამას ყველაფერს მთავარ გარანტად, წამქეზებლად და ბიძგის მიმცემად ეყოლება ამერიკის შეერთებული შტატები.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვაი ჭკუისაგან

**ყველაფერი, რასაც ჩვენი მაღალი ხელს ჰკიდებს, წყალს მიაქვს, ის კი კოლხეთის დაბლობის წყალზე ქალაქის აშენების ჟინს ჰყავს შეპყრობილი, ოღონდ ჯერ სტატუსი არ იცის. ავტონომიური რესპუბლიკა ნამდვილად არ იქნებაო, გვამშვიდებენ. აბა, ქალაქები ისედაც ბევრი გვაქვს და, ალბათ, ლაზიკას განსაკუთრებული – ქალაქ-სახელმწიფოს სტატუსი ექნება, რომელიც „სინგაპურზე უფრო სინგაპურული“ იქნება და ამ მომაბეზრებელ ქართველობას ერთ ადგილზე მოუყრის თავს.**

# ლაზიკა ჩვენი არსობისა

**საქართველოს ნეტარმა პარლამენტმა კონსტიტუციას მორიგი კოიტუსი ჩაუტარა და ლაზიკის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილების განხილვას შეუდგა. როგორც ირკვევა, „საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისიამ მუშაობა უკვე დაასრულა“. არ გაგიგიათ? პროექტის თანახმად, ლაზიკის სტატუსი ორგანული კანონით უნდა განისაზღვროს. რაც შეეხება თავად ორგანულ კანონს, ჯერჯერობით არ სახელდება მისი შემუშავების დრო და კონკრეტული შინაარსი. „ცნობილია, რომ ქალაქ ლაზიკაში განსხვავებული სამართლებრივი ურთიერთობები იქნება, ვიდრე მთელ საქართველოში“.**

**საპარლამენტო უმრავლესობაში მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ ლაზიკის სტატუსი ავტონომიური რესპუბლიკა არ იქნება.**


ლაზიკის მერია (პროექტი)

რაღა გვიჭირს, ამ ჯოჯოხეთს ერთი მაშხალა აკლდა და ისიც მალე აინთება! დიდი ზარ-ზეიმით გამოცხადებულ ფოთის ინდუსტრიულ ზონას დამტირებელიც აღარ ჰყავს და „ჩვენი მაღალის“ არეულ გონებაში კიდევ ერთმა გრანდიოზულმა პროექტმა იფეთქა. 150-მილიონიან რუსეთში აწ უკვე პრემიერმა მედვედევმა მოკრძალებულ 150-ათასიან ქალაქს ჩაუყარა საფუძველი, ხოლო ჩვენმა ჯერ კიდევ გასაპრემიერებელმა მაღალმა 4,5-მილიონიან საქართველოში მილიონნახევრიანი (h) ლაზიკის აშენების პირობა დადო. გამოდის, რომ **ყოველი მესამე მოქალაქე სწორედ ლაზიკაში იცხოვრებს!**

დანარჩენ საქართველოს სააკაშვილმა უკვე პატრონიც მოუძებნა და მოსახლეობაც. **ამ ქალაქ-მოჩვენებაში მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა** (ძირითადად გლეხობა) **უნდა შერეკონ, ხოლო დაცარიელებულ სოფლებს, სავარგულებს, მდინარეებსა და ტყეებს** (რაც დარჩა გაუყიდავი) **გადამთიელ პატრონებს გადაულოცავენ.**

თბილისს ისედაც ხაჩიკ ალბერტოვიჩები იჩემებენ და ქუთაისში პარლამენტის გადატანით იმ „ზედმეტ“ ქართულ მოსახლეობასაც გააყოლებენ, რომელიც იმ ჩვენს მეზობელს ხელს უშლის თბილისის სომხურ ქალაქად გამოცხადებაში. ნახევარ სვანეთს, თავისი კოშკებით, ეკლესიებითა და წინაპრების საფლავებით, დატბორავენ. აჭარაში გასაკეთებელიც აღარაფერი დარჩათ – ისედაც თურქებს „დაუბრუნეს“ 2004 წლის 6 მაისის შემდეგ. სინგაპურიო, რომ გაიძახის ეს ჩვენი მაღალი, სწორედ ქალაქ-სახელმწიფოა და ჩვენი ოპოზიცია, იქაურ დემოკრატიას რომ იწუნებს, სჯობს იმაზე დაფიქრდეს, რომ **სააკაშვილი ქართველებისთვის საკუთარ ქვეყანაში რეზერვაციას აშენებს, რომელშიც „განსხვავებული სამართლებრივი ურთიერთობები იქნება, ვიდრე მთელს საქართველოში“.**

მაინც რა ასეთი განსხვავებული სამართლებრივი ურთიერთობები უნდა იყოს ამ მითიურ ლაზიკაში, ჩვენი კანონმდებლები ამაზე დუმან. დუმან, რადგან მთელ დანარჩენ საქართველოშიც მთელი დემოკრატიული სამყაროსგან განსხვავებული სამართლებრივი ურთიერთობებია: მკვლელებს სანატორიუმში ამწესებენ და პირობით ვადამდე ათავისუფლებენ, მობილური ტელეფონის ქურდს კი 150 ათასს უწესებენ გირაოდ; 40 წლამდე ასაკის პატიმრები ციხეში „სიბერით“ ეხოცებათ; 40 წლის ზემოთ მოსახლეობა „ჩარეცხილი“ ჰყავთ, ხოლო 21 წლის „ჭარმაგ სტუდენტებს“ კანონმდებლებად რაცხავენ; „თანამედროვე“ კლინიკებს ხსნიან, რომლებშიც წყალიც და ელექტროენერგიაც ჩაჭრილია გადაუხდელობის გამო; თბილისი ნაგავს მიაქვს, ისინი კი ელექტროენერგიის გადასახადის მიხედვით ნაგვის გატანას ანგარიშობენ; ამ „პრახადნოი დვორზე“ გამვლელს — ყველას ტურისტს ეძახიან, ხოლო ბიუჯეტს ჯარიმებით ავსებენ.

**ციხის კარი არ იკეტება? ახალი ააშენეთ!**

**ჰოდა, შენდება ეს ქვეყანა!**

„მესტია, სიღნაღი, ბათუმი, ეს არ არის სექსუალურად მოუმწიფებელი ხელისუფლების ახირება, რომელსაც ეს თავისი გართობისთვის უნდა, მაგრამ სინამდვილე ისაა, რომ თუკი წინა ხელისუფლების დროს ქვეყანაში 120 ათასი ტურისტი შემოდიოდა, შარშანწინ — 2 მილიონი, შარშან — 3 მილიონი, წელს კი 4 მილიონი შემოვიდა. მათ ჩემი სახლის უკანა საკუჭნაოში არ ვმალავ. ისინი სიღნაღში, ბათუმში, თბილისში დადიან და ანაკლიაში, ლაზიკაში ჩავლენ. ესაა სრულიად კონკრეტული რეალობა“, — ეს სიტყვები, მიხვდებოდით, მიხეილ სააკაშვილის ბაგეებიდან ამოიბგერა.

ესეც: **„ქუთაისი არის ყველაზე მაგარი ევროპა ევროპაში“.**

ესეც: **„თელავი ყველაზე ლამაზი და ევროპული ქალაქი იქნება“.**

ესეც: **„მაქვს ამბიცია, რომ ფოთი იყოს 100%-იანი დასაქმების ქალაქი“.**

ესეც: **„სიღნაღი მთელს ევროპაში ულამაზესი ქალაქია“.**

ესეც: **„მესტია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური კურორტი გახდება“.**

ესეც: **„მომდევნო ზამთარს საბაგირო გზები და უშბა განათდება და ახალი სათხილამურო ტრასები დაემატება“.**

ესეც: **„ანაკლია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი იქნება“.**

ესეც: **„ამას წინათ იძახდნენ, რატომ ადარებს ბათუმს ნიცას და კანსო. ნიცაში ასეთი თეატრი ნამდვილად არ არის და არც კანში“.**

ესეც: **„გუდაური არის საქართველოს მშვენება, საგანძური“.**

ესეც: **„წყალტუბო არის მეგა მნიშვნელობის სამკურნალო წყლების ცენტრი“.**

დაბოლოს: **„ყვარელი სამოთხეა, თუმცა მე ჯერ სამოთხე არ დამიმსახურებია“.**

სამოთხე კი არა, ჯოჯოხეთიც სანატრელი უნდა ჰქონდეს ხელისუფალს, რომელმაც კასპის რაიონის სოფელ რკონში ორ მარტოხელა მოხუცს – ნინა ბერძენსა და მარიამ ჩოხელს სასმელი წყლის გაყვანის ნაცვლად „სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში საქანელები დაუდგა. **რკონში, სადაც ზამთარი დიდხანს გრძელდება და მთიან ზონაში მდებარეობს, მათ სასმელი წყლის მოზიდვა შორი მანძილიდან უწევთ. შეძანებული ხელისუფლება კი მოხუცებს საქანელაზე ქანაობას სთავაზობს, ხოლო დაქცეულ ლანჩხუთის რაიონში, შუხუთის ცენტრში, ლელოს ბურთს ძეგლს უდგამს.**

„მთელს ევროპაში ულამაზეს სიღნაღში“ დღეს უკვე რამდენიმე ქუჩაზე საცხოვრებელი სახლები ინგრევა, რეაბილიტირებული ხის აივნები საღებავჩამოცლილი და მორყეულია, ქალაქში გადაადგილება კი სიცოცხლისთვის სახიფათოა — სამშენებლო კომპანიების მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო სარაჯიშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე ელექტროენერგიის მავთულები პირდაპირ გზებზე ყრია და ნებისმიერ დროს შეიძლება ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლოს.

ის კი კვლავაც განაგრძობს „სოფლის შენებას“: გურჯაანში იუსტიციის ახლადაშენებულ სახლს ხსნის და 9 აპრილის ქუჩას ათვალიერებს, რომელიც 3 თვე გადათხრილი იყო და ასფალტი მისი ჩამოსვლის წინა ღამეს დააგეს.

**„მეგა მნიშვნელობის სამკურნალო წყლების ცენტრ წყალტუბოში“ მოსახლეობას წყალი არა აქვს, მაგრამ აბა, ევროპისა და მსოფლიოსთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს?**

„რამდენიც არ უნდა იხტუნონ ჩვენმა მტრებმა, 26 მაისს აქ ჩატარდება პირველი სესია და 2012 წლის შემოდგომაზე პარლამენტი ადგილს აქ სამუდამოდ დაიმკვიდრებს!“ – განაცხადა სააკაშვილმა. სესია დაუმთავრებელ შენობაში მართლაც გაიმართა, ხოლო **ორ დღეში ჩამონგრეულ ფლიგელს ადამიანი შეეწირა. მემორიალის აფეთქებას შეწირული დედა-შვილის სისხლს ახალი სისხლი დაემატა.** „რუსთავი 2“-ის სტუდიის ჩამონგრევისას დაღუპული ადამიანების გამო მაღალჩინოსნების ცოლები არავის დაუსჯია, ხოლო ქუთაისის პარლამენტის ფლიგელის ჩამონგრევაში დამნაშავე იოლად იპოვეს და დააკავეს კიდეც.

**აშენებს ეს კაცი და აცადეთ!**

„დამაცადეთ კიდევ 2-3-4 წელი და გაძლევთ გარანტიას, რომ წყალტუბოს (ქუთაისს, სიღნაღს, ანაკლიას, მესტიას, ბათუმს, გუდაურს, ფოთს...) **ევროპაში ყველაზე მაგარ ადგილად ვაქცევ!“**

ლაზიკასაც რამედ აქცევს, თუ ვაცალეთ. თანაც ამ გრანდიოზულ პროექტს არც 2 წელი ეყოფა, არც 3 და არც 4. ხმამაღლა არ ამბობს, თორემ მის აშენებამდე წასვლას არ ფიქრობს. აშენებით კი, როგორც კომუნისტები იტყოდნენ, „სწრაფად, იაფად, ხარისხიანად“ აშენებს!

**„რამდენიც არ უნდა მეძახონ შადრევან პირველი, ეს, ალბათ, უკვე მეათასე შადრევანია და შადრევნებს ოპერა, ქარხნები, სკოლები, კულტურის ცენტრები ემატება. ეს არის ოცნება, რომელიც რეალურად სრულდება ყველა პატრიოტის გასახარად“,** – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 2011 წელს ბათუმში ოპერის გახსნისას. ათი დღის შემდეგ პატრიოტებმა გაიხარეს, მაგრამ სპექტაკლის მსვლელობისას შენობაში წყალი ჩავიდა. **ქუთაისის ოპერის სცენაზეც გაწვიმდა მისი საზეიმოდ გახსნიდან მეოთხე დღეს. მაყურებლებს ჯერ ესეც „ევროპაში ყველაზე ნოვატორული“ სასცენო გადაწყვეტა ეგონათ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ოპერაში ქოლგით მოუწევდათ სიარული.**

2011 წლის ნოემბერში აღმაშენებლის გამზირის რეკონსტრუქცია დაჩქარებული ტემპით დასრულდა. სააკაშვილმა ისიც „ევროპაზე უფრო ევროპულად“ მონათლა და, როგორც ნათლობას შეეფერება, ისევ წყალმა იძალა: მარჯანიშვილის მეტროს წინ აგებული თაღების სახურავიდან წვიმა ჩამოვიდა!

ერთი სიტყვით, **ყველაფერი, რასაც ჩვენი მაღალი ხელს ჰკიდებს, წყალს მიაქვს, ის კი კოლხეთის დაბლობის წყალზე ქალაქის აშენების ჟინს ჰყავს შეპყრობილი. ოღონდ ჯერ სტატუსი არ იცის. ავტონომიური რესპუბლიკა ნამდვილად არ იქნებაო, გვამშვიდებენ. აბა, ქალაქები ისედაც ბევრი გვაქვს და, ალბათ, ლაზიკას განსაკუთრებული – ქალაქ-სახელმწიფოს სტატუსი ექნება, რომელიც „სინგაპურზე უფრო სინგაპურული“ იქნება და ამ მომაბეზრებელ ქართველობას ერთ ადგილზე მოუყრის თავს.**

გარშემო კი ამ მეორე ლაზიკას პირველ „ლაზიკებს“ — ქვეითთა საბრძოლო მანქანებს დაუმწკრივებენ, რომ გამოქცევა ვერავინ გაბედოს. „ლაზიკებს“ გვერდით „დიდგორებსაც“ ამოუყენებს და, თუ ვინმე მაინც გამოაღწევს ქალაქ-მოჩვენებიდან, ტყვიამფრქვევების ცეცხლით გაუმასპინძლდება.

**აცადეთ, აცადეთ!**

**თამარ დავითულიანი**

**საკაშვილი ქართველებისთვის საკუთარ ქვეყანაში რეზერვაციას აშენებს, რომელშიც «განსხვავებული სამართლებრივი ურთიერთობები იქნება, ვიდრე მთელს საქართველოში»**

**ამ ქალაქ-მოჩვენებაში მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა უნდა შერეკონ, ხოლო დაცარიელებულ სოფლებს, სავარგულებს, მდინარეებსა და ტყეებს გადამთიელ პატრონებს გადაულოცავენ**

რაც უფრო დიდი დრო გავა ამერიკის მდუმარებაში, მით უფრო გაიზრდება ისედაც მზარდი ანტიამერიკული განწყობა საქართველოში პრორუსულის სასარგებლოდ.
თუმცა რატომ პრორუსული? პრორუსულობა ხომ ნელ-ნელა და შეუქცევადად სწორედაც რომ პროქართულობის სინონიმი ხდება.
ასე რომ, ჩვენო ამერიკელო „სტრატეგიულო პარტნიორებო“, ცოტა აუჩქარეთ, სანამ ეს ჩიტირეკია მიშნაცები მართლაც ჩიტის ბუდეების ნგრევას არ დაიწყებენ, და ხმა ამოიღეთ.

ვაი ქვეყნისაგან
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამას კიდევ გაგიჟება უნდოდა?!

**«ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე, შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია»...**

**ის, თუ რაზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი სააკაშვილ-კლინტონის პირისპირ შეხვედრისას, ამაზე უბრალო მოკვდავებმა მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ. მაგრამ, თუ ქალბატონი ჰილარის წასვლის შემდეგ ხელისუფლების ქმედებებს გავიხსენებთ, იქნებ «მწვანე შუქის» თეორია არც თუ უსაფუძვლო მოგვეჩვენოს**

**მუხრან მაჭავარიანის ეს სიტყვები ჩამესმოდა, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ქალბატონის „ისტორიული ვიზიტის“ ამსახველ კადრებს ვადევნებდი თვალს. არადა, ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი უშედეგო „ისტორიული“ ვოიაჟები გვახსოვს საქართველოში თუ პირიქით, საქართველოდან დასავლეთში ფუჭი იმედის საძიებლად წასული ჩინოსნებისა, გასული საუკუნის 90-იანების დასაწყისიდან დღემდე?**



ამ ბოლო ხანს, როგორც მინიმუმ, ორჯერ განმეორდა იგივე — პირველად ამა წლის იანვარში, როდესაც „ჩვენი მაღალი“ ბარაკ ობამამ იწვია ოვალურ კაბინეტში და მეორედ ახლა, როდესაც მადამ კლინტონი ბათუმში ისტუმრა მიშამ. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მწარე გამოცდილებისა, ქართველი საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი მაინც იმედით ელოდა, მაგრამ ორივეჯერ, განსაკუთრებით მადამ კლინტონის ვიზიტისას, დარჩა იმედგაცრუებული — დიპლომატიური ლექსიკის კომუფლაჟის მიუხედავად, მაინც აშკარად იგრძნობოდა არსებული რეჟიმისა და პირადად სააკაშვილის მხარდაჭერა ქალბატონი სახელმწიფო მდივნის მხრიდან!

**მაშინ, როდესაც, როგორც იქნა, ეღირსა სააკაშვილს ბარაკ ობამას ოვალურ კაბინეტში შესვლა, ნაცებს და მათ მაღალ ბელადს შინ არაფერი ემუქრებოდათ, რადგან, როგორც დასავლეთში უყვართ ხოლმე თქმა, რეალური ალტერნატივა არ იყო არსებული რეჟიმისა, და ამიტომ ობამა-სააკაშვილის რანდევუს შედეგების გამოცნობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა.**

ახლა კი, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილის სახით რეალური ალტერნატივაც გამოჩნდა და უფრო მეტიც, 27 მაისის გრანდიოზული აქციით თბილისელებმა მთელ მსოფლიოს დაანახეს, რომ „ქართულ ოცნებას“ საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს, ჰილარი კლინტონის ვიზიტს უფრო მეტი ოპტიმიზმით ელოდა საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი.

შედეგი კი — კვლავ იმედგაცრუება, რაც წერილის პოეტური ეპიგრაფის პერიფრაზით ასე გამოვა: მიშას ეფერება ამერიკა, შენი საქართველო მამაშა კლინტონს ფეხზე ჰკიდია...

თუმცა, ეს დღეებია, ჩვენი ე. წ. თავისუფალი, გნებავთ, ოპოზიციური ტელევიზიები, განსაკუთრებით „მაესტრო“, საპირისპიროს გვიმტკიცებენ „ექსპერტ-პოლიტოლოგების“ პირით. მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტები ჯიუტია, რის გახსენება-გაანალიზებასაც მკითხველთან ერთად შევეცდები...

„ჩვენი მაღალი“ მისის კლინტონთან ერთიერთზე დახურულ კარსმიღმა საუბრის შემდეგ ერთობლივ ბრიფინგზე ისეთი გაბადრული სახით იდგა ტრიბუნასთან, რომ ცოტაც და კატის კნუტივით კრუტუნს დაიწყებდა, სავარაუდოდ, იმ „ტეტატეტ“ შეხვედრაზე მოფერება-დაყვავებით ნასიამოვნები.

ახლა კითხვა-პასუხებიც გავიხსენოთ — ერთი კი წამოსცდა მიშას, აქ მე არაფერს ვაკონტროლებო, მაგრამ ეს წამოცდენა რომ ფროიდისეული ქვეშეცნეულის წამოცდენა იყო, იქვე გამოჩნდა, რადგანაც პირველი კითხვის დასმის პატივი, რა თქმა უნდა, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს ერგო. რომელმაც „სატოპკე აუწია“ პატრონს და პატრონის პატრონ ქალბატონს ისეთი კითხვა დაუსვა, იქნებ კლინტონს რაიმე აუგი წამოსცდენოდა რუსეთზე, მაგრამ მადამ ჰილარიმ, — რუსეთი თქვენი საქმე არ არის, საკუთარ თავს მიხედეთო, — დაახლოებით ასე უპასუხა.

ასეთივე რუსული პათოსით იყო გაჟრენთილი ტელე „იმედის“ კითხვაც, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე რუსეთის შესაძლო ვეტოს შეეხებოდა. ხოლო ერთი უცხოელი ჟურნალისტის დასმული კითხვა, ვლადიმერ პუტინის სწორედ იმ დროს მიმდინარე ვიზიტის შესახებ ჩინეთში და აქედან გამომდინარე სირიის კრიზისის მოგვარების თემა, ისე გვაღელვებდა ქართველ საზოგადოებას იმ წუთში, უკაცრავად პასუხია და, როგორც მიცვალებულს აინტერესებს „აბი გლუკოზა და ბროწეულის ოყნა“.

**ერთადერთი, ჩვენთვის რეალურად საინტერესო შეკითხვა როიტერის კორესპონდენტმა დასვა, რომელმაც ცალსახა პასუხი მოითხოვა სააკაშვილისგან მისი გაპრემიერ-გაპუტინების შესახებ და ამ თემაზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ჰილარი კლინტონსაც სთხოვა.**

„ჩვენმა მაღალმა“, მართალია, ამასწინათ პრინსტონის უნივერსიტეტში თქმული ბილწსიტყვაობის გამეორება ველარ გაბედა, მაგრამ, როგორც სჩვევია ხოლმე, „ოსტატურად“ აუარა გვერდი პირდაპირ პასუხს და თბილისის არჩეულ მერზე, პარლამენტის ქუთაისში გადატანაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების მნიშვნელობაზე, ერთი სიტყვით, „სად ერეკლეს“ პათოსით ინავარდა.

საკვირველი ის იყო, რომ დედა-ჰილარიც აჰყვა ონავარ შვილობილს ცელქობაში და მანაც იგივე ოპერის ჰანგები გააგრძელა...

ეს იყო და ეს, სულ 4 კითხვით შემოიფარგლა მთელი ეს ბრიფინგი, რომლისგანაც აშკარად მეტს ელოდა ქართველი საზოგადოება, რომელმაც ვერ მიიღო პასუხები ბევრი ქართველის გულში არსებულ კითხვებზე. კითხვებზე, რომლებსაც „რუსთავი 2“ და „იმედი“, რა თქმა უნდა, არ დასვამდნენ.

ამიტომ თქვენი მონამორჩილი შევეცდები იქ არდასმული კითხვების აქ, წინამდებარე წერილში, დასმას, ოღონდაც ერთი წინასწარი დათქმით — ის, რაც ამ ბოლო დროს არაერთხელ გვსმენია ამერიკის პრეზიდენტიდან დაწყებული და ზოგადად აშშ-ის მაღალჩინოსნებით დამთავრებული, რომ აშშ ქართველ ხალხს უჭერს მხარს და არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, დავუშვათ, რომ სიმართლეა, და უმთავრესი შეკითხვაც აქედან გამომდინარე დავსვათ.

კითხვა, რომელზეც პასუხის ძიებაში თავისთავად წამოიჭრება სხვა, ოღონდ რიტორიკული კითხვები. რიტორიკული კითხვები კი, ხშირ შემთხვევაში თავად შეიცავს პასუხებს...

27 მაისს პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა გრანდიოზულმა აქციამ, როგორც მინიმუმ, ის მაინც დაანახა მსოფლიოს, რომ საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მხარს უჭერს ახალ პოლიტიკურ ალიანსს. თბილისის მოსახლეობა კი რეალურად სრულიად საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტია!!!

ზემოთ დათქმულიდან გამომდინარე:

**რატომ ეთქვა უარი ბიძინა ივანიშვილს ქალბატონ სახელმწიფო მდივანთან ცალკე, პირისპირ შეხვედრაზე?**

**ამ ფონზე ფსევდოოპოზიციის — „ახალი მემარჯვენეებისა“ და „ქრისტიან-დემოკრატების“ მიწვევა შეხვედრაზე, პარტიების, რომელთაც რეიტინგული პულსი მხოლოდ პოლიტიკურად ანგაჟირებულ გამოკითხვებში ეზომებათ და რეალურად, დიდი ხანია, მარგინალები არიან, და ბიძინა ივანიშვილის იგნორირება რას ნიშნავს?**

**ანდა, რატომ ვერ მოხვდნენ ჰილარი კლინტონთან აუდიენციაზე საქართველოს ე. წ. პარლამენტში ახლადშექმნილი ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ ლიდერი დიმიტრი ლორთქიფანიძე ან ჯონდი ბაღათურია? ჯონდი, რომელმაც ამას წინათ თვით „მიხეილ მაღალი“ გააქცია პარლამენტის დარბაზიდან?..**

**რა, ამერიკის ბლანჟეცანცარა ელჩმა ჯონ ბასმა, რომელიც წყვეტდა, თუ ვის უნდა შეხვედროდა და ვის არა მადამ ჰილარი, არ იცის, რომ ერთადერთი რეალური საპარლამენტო ოპოზიცია სწორედ ეს შვიდკაციანი ფრაქციაა, ხოლო ყველა დანარჩენი ე. წ. უმრავლესობა-უმცირესობა მიხეილ სააკაშვილის სანოტარო კანტორის, რომელსაც „რატომღაც“ პარლამენტსაც ეძახიან, კლერკები არიან?**

**ან, რას უნდა ნიშნავდეს, რომ, ერთის მხრივ, მედიის პრობლემებს აღიარებენ ამერიკელები და, მეორე მხრივ, არც ერთ თავისუფალ ტელევიზიას („კავკასია“, „მაესტრო“) არ მიეცა ბრიფინგზე კითხვის დასმის საშუალება (ბეჭდურ მედიაზე რომ არაფერი ვთქვათ) და რატომ მიენიჭათ უპირატესობა ისევ „რუსთავი 2“-სა და „იმედს“, ტელეკომპანიებს, რომლებიც ხელისუფლების პროპაგანდისტული რუპორები არიან?**

ამ ტელევიზიებში გაგზავნილ ტექსტებს ხომ თვით ამერიკის ელჩი, იმის შიშით, რომ მის ნათქვამს შეგნებულად არასწორად გადათარგმნიან, ქართულ ტიტრებს ადებს...

რიტორიკული კითხვა-პასუხების მოტანა კიდევ ბევრის შეიძლება, მაგრამ რეალური განწყობის საილუსტრაციოდ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია!

ერთადერთი გამონაკლისები ამ ოპოზიციური ეიფორიიდან, ე. წ. პრორუსული ორიენტაციის პარტიებია, ნინო ბურჯანაძისა და კახა კუკავას სახით. ამ უკანასკნელმა პირდაპირ განაცხადა, რომ ჰილარი კლინტონმა სააკაშვილს არჩევნების გაყალბებაზე მწვანე შუქი აუნთო!

თუ რაზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი სააკაშვილ-კლინტონის პირისპირ შეხვედრაზე, ამაზე უბრალო მოკვდავებმა მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ. მაგრამ, თუ მადამ ჰილარის წასვლის შემდეგ ხელისუფლების ქმედებებს გავაანალიზებთ, „მწვანე შუქის“ თეორია არც თუ უსაფუძვლოა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ბოინგი ჯერ საქართველოს საჰაერო სივრცეს ხეირიანად გაშორებულიც არ იყო, რომ მე-9 არხის მაუწყებლობას პრობლემები შეექმნა; ახალი შემართებით განახლდა კონტროლის პალატის მიერ „ქართული ოცნების“ „მხილების“ კამპანია ამომრჩეველთა მოსყიდვის აბსურდული ბრალდებებით, რის გამოც ბიძინა ბატონს, ეს მერამდენედ, მოუწევს ბიუჯეტის მრავალი მილიონი ლარით შევსება.

და ბოლოს, მიშნაცებისგან ისეთი მოულოდნელი აბსურდი, რომლის ანალოგი მხოლოდ გასული საუკუნის 30-იან წლებშია საძებნი (როდესაც ფაშისტურ გერმანიასა და ბოლშევიკურ რუსეთში მოკლეტალღოვანი რადიომიმღების ქონა აკრძალული ჰქონდათ უბრალო მოკვდავთ) — ახლახან სამარშრუტო ტაქსებში, რომლებიც ხელისუფლების ერთ-ერთი მონოპოლიური ბიზნესთაგანია, აიკრძალა რადიოს მოსმენა!!!

ამაზე კარგად იხუმრა გამოჩენილმა პოეტმა, ბატონმა რეზო ამაშუკელმა — ესენი მალე, ალბათ, ბეღურების ხოცვას და მათი ბუდეების ნგრევასაც დაიწყებენ, რათა ჩიტმაც ველარ მოგვიტანოს ამბავიო...

არ ვიცი, იქნება ქალბატონმა კლინტონმა ჩვენთვის სასიკეთო რამე-რუმეებიც ურჩია სააკაშვილს და არც მწვანე შუქი აუნთო, მაგრამ ჩამოთვლილი ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს.

როგორც მინიმუმ, სააკაშვილი რჩევა-რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს. უფრო მკაცრი მითითებები კი ოკეანის გაღმიდან არ ჩანს და, რაც უფრო დიდი დრო გავა ამერიკის მდუმარებაში, მით უფრო გაიზრდება ისედაც მზარდი ანტიამერიკული განწყობა საქართველოში პრორუსულის სასარგებლოდ.

თუმცა რატომ პრორუსული? პრორუსულობა ხომ ნელ-ნელა და შეუქცევადად სწორედაც რომ პროქართულობის სინონიმი ხდება.

ასე რომ, ჩვენო ამერიკელო „სტრატეგიულო პარტნიორებო“, ცოტა აუჩქარეთ, სანამ ეს ჩიტირეკია მიშნაცები მართლაც ჩიტის ბუდეების ნგრევას არ დაიწყებენ, და ხმა ამოიღეთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველი ხალხი ლეგიტიმურ უფლებას იტოვებს, რომ ჩათვალოს — ამერიკას ბიძინა ივანიშვილის ლურჯი დროშების (ევროკავშირი, ნატო) ფრიალის არ სჯერა, ანუ მაინც ნაღდი ურჩევნია სათუოს — ნაღდად იციან, რომ „ჩვენი მაღალი“ კვლავაც გაზრდის ავღანეთში ქართულ ცონტინგენტს, რის შესახებაც, სხვათა შორის, პირველ რიგში, ისაუბრა ბრიფინგზე ქალბატონმა ჰილარიმ და მადლობაც გადაგვიხადა ქართველებს მისაბაძი „დემოკრატიული შეგნებისთვის“...

**დავით მხეიძე**

რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლნისში ისეთი სიტუაციაა, კაციშვილი ხმის ამომღები არაა. საკრებულოს თავმჯდომარემ დედაც რომ აგინოს, სიტყვას არავინ შეუბრუნებს. ყველაფერს მოაწერენ ხელს, მითუმეტეს უმეტესობა ისეთი დეპუტატია, ნორმალურად ვერც იგებს, რაზე აწერს ხელს.**

# ბოლნისელ დეპუტატს ხელისუფლების გაკრიტიკების გამო დევნიან

**ქვემო ქართლის ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი მალხაზ ერაძე რეგიონში არსებულ სიტუაციასა და მოსახლეობის წინასაარჩევნო განწყობაზე სასაუბროდ „ობიექტივის" ეთერში მიწვევის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მის მიმართ განხორციელებული უკანონობის მსხვერპლი გახდა. „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციაში ის საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად გვესტუმრა.**



## მალხაზ ერაძე: მოსაზრება, რომ ხელისუფლება აზერბაიჯანელებისგან საარჩევნოდ ხმებს ელოდება, თვითონ აზერბაიჯანელებს აღიზიანებს და შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს

— „ობიექტივის" ეთერში ბოლნისში არსებული თითქმის ყველა პრობლემის შესახებ ვისაუბრე: არჩევნებზე, ასევე იმაზე, რაც გაკეთებულა ან არ გაკეთებულა რეგიონში. იქაური თვითმმართველობის მიმართ საკმაოდ კრიტიკული ვიყავი. საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ საბიაშვილი გავაკრიტიკე, რასაც, დარწმუნებული ვარ, იმსახურებს. ბოლნისში რომ ჩავედი, ჩემთვის განკუთვნილი საწვავი და მონობარათები აღარ მომცეს. როდესაც ამის მიზეზი ვიკითხე, მითხრეს, რომ ოპოზიციურად განწყობილი ხარ და იმიტომო.

**— რა ოდენობის ბენზინია გამოყოფილი დეპუტატებზე?**

— თვეში 40 ლიტრი ბენზინი და 24 მონოა. მანამდე ხანდახან ყოფილა შემთხვევა, არ მომითხოვია ბენზინი, მაგრამ იმ წუთას მჭირდებოდა და, რომ მოვითხოვე, არ მომცეს. თავმჯდომარეს კანონი ავალდებულებს, ბენზინი მოგვცეს. ერთი პერიოდი საერთოდ არც ერთ დეპუტატს აღარ გვაძლევდა ბენზინს და ბარათებს. იურისტი ვარ და ავუხსენი, რომ უკანონობას სჩადიოდა, იმის მერე აღგვიდგინა, მაგრამ ჩემი ოპოზიციური გამოსვლების შემდეგ, მე დამიკავა. იცით, როგორ აკეთებდა? **ბენზინს იმას აძლევდა, ვინც საკრებულოს სხდომებს ესწრებოდა. იმ დეპუტატებზე გამოწერილ საწვავს კი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით გაცდენდნენ ხოლმე სხდომას, თვითონ ითვისებდა. საკრებულოზე გამოწერილ საწვავს გამგეობას უკან არასდროს უბრუნებდა.** საკრებულოში 22 დეპუტატი ვართ და არასდროს ყოფილა, რომ სხდომას სრული შემადგენლობით დასწრებოდა ყველა. დაახლოებით 10 დეპუტატი აზერბაიჯანელი გვყავს. მათ ხშირად უწევთ ხოლმე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყოფნა. სავარაუდოდ, 16-17 დეპუტატი ესწრება ხოლმე სხდომას. თვეში 300 ლიტრ საწვავს მაინც ითვისებს საკრებულოს თავმჯდომარე. დარწმუნებული ვარ, ის ამ საწვავის რეალიზებას ეწევა. ასევე უკეთებს, ალბათ, რეალიზებას მონო-ბარათებს. ჩემთვის დაახლოებით ათჯერ აქვს ასეთი რაღაც გაკეთებული — დაახლოებით 400 ლიტრი საწვავი აქვს დაკავებული და 250 ლარის მონო. ამდენად, საკრებულოს თავმჯდომარისთვის უკეთესია, რაც უფრო ნაკლები დეპუტატი დაესწრება სხდომას.

**— თქვენსა და საკრებულოს თავმჯდომარეს შორის მანამდეც თუ ყოფილა დაპირისპირება?**

— ეს ადამიანი „ნაციონალური მოძრაობიდანაა" არჩეული. გაჭირვებულები და ისინი, ვინც თავმჯდომარეს არ უნდა, მის კაბინეტში ვერასდროს მოხვდებიან. ყოფილა შემთხვევა, რომ თავმჯდომარე სტუმარს მეორე კარიდან გაპარვია. სულ ვამბობ, რომ საკრებულოს თავმჯდომარე ასე არ უნდა მუშაობდეს. ესაა 332-ე მუხლით ჩადენილი დანაშაული, რასაც ეგ აკეთებს. ეს ვთქვი „ობიექტივის" ეთერში და ერთი ამბავი ატყდა. რომ შევედი გამგეობაში, ყველას ჩემი გამოსვლა ჰქონდა ჩართული. ზოგმა დადებითად შეაფასა, ზოგმა — უარყოფითად, გამგეობამ როგორც შეაფასა, უკვე მიხვდით, ალბათ. 2006 წელს, როდესაც პირველად ამირჩიეს, მარტო მე ვიყავი იურისტი, თუმცა რატომღაც ჩათვალეს, რომ არ შეიძლებოდა ქართველი ყოფილიყო იურიდიული კომიტეტის თავმდჯომარე. ვიღაც აზერბაიჯანელი მედოლე დანიშნეს, ვინც წერა-კითხვა ძლივს იცოდა. მერე რაღაცაზე დააკავეს და მის ადგილას ისევ აზერბაიჯანელი, ამჯერად მეტყევე, დანიშნეს, რომელიც ასევე დააპატიმრეს. ისე მოხდა, რომ შემდეგ არჩევნებამდე ვაკანტური იყო ეს ადგილი.

**— სამსახურიდან თქვენი გათავისუფლების საშიშროება ხომ არ არსებობს?**

— სამსახურიდან ვერ გამათავისუფლებენ. 2014 წლამდე, უნდათ თუ არა, მაინც ვიქნები დეპუტატი. მაგრამ დანარჩენი ყველანაირი შეზღუდვა მოქმედებს ჩემს წინააღმდეგ. აღარანაირი სურვილი არ მაქვს სხდომებზე დასწრების. სრულიად მარტო ვგრძნობ თავს იქ, როგორც ერთადერთი ოპოზიციონერი — დანარჩენი 21 დეპუტატის საშუალებით, რასაც უნდათ, იმ საკითხს გაიტანენ. მხოლოდ იმის გამო ვესწრები ხანდახან სხდომებს, რომ ამა თუ იმ სოციალური საკითხების ბედი გავიგო, რომელიც ჩემი და მეზობელი სოფლების მცხოვრებთ შეეხება. ვცდილობ, გაჭირვებულ ხალხს დავეხმარო, სხვა მხრივ, ჩემს იქ ყოფნას აზრი არ აქვს.

**— პირადად თავმჯდომარეს თუ ესაუბრეთ ყოველივე ამის შემდეგ?**

— ამის არანაირი სურვილი არ მაქვს. მის თანაშემწეს ველაპარაკე საწვავთან დაკავშირებით, რომელმაც გადმომცა თავმჯდომარის ნათქვამი: გამოწერილია მასზე საწვავი, ეკუთვნის, მაგრამ არ ვაძლევო.

**— თქვენ გარდა არსებულ სიტუაციას არავინ აპროტესტებს?**

— არც არავინ გააპროტესტებს, დამიჯერეთ. ბოლნისში ისეთი სიტუაციაა, კაციშვილი ხმის ამომღები არაა. საკრებულოს თავმჯდომარემ დედაც რომ აგინოს, სიტყვას არავინ შეუბრუნებს. ყველაფერს მოაწერენ ხელს, მითუმეტეს ნახევარზე მეტი ისეთი დეპუტატია, ნორმალურად ვერც იგებს, რაზე აწერს ხელს.

**— თქვენი ოჯახის წევრებზე თუ იყო ზეწოლა?**

— თავიდან იყო, რა თქმა უნდა. მამაჩემზე ისეთი რაღაც გამოიგონეს, საშინელი სისულელე, რომ 5 000 ლარით დააჯარიმეს. საპროცესო შეუფარდეს. დედაჩემი სკოლის მასწავლებელია და მზადაა, ნებისმიერ დროს დატოვოს სამსახური, ისეთ მდგომარეობაშია. ამათი არაფერი მინდაო, ამბობს. ვერ ვიტყვი, რომ დირექტორის მხრიდანაა ზეწოლა, თუმცა ისეთი სიტუაციაა შექმნილი, შეკრებები, წაყვანა, წამოყვანა... 27 მაისს „ქართული ოცნების" მიტინგის დროს 3 საათზე დაიბარეს სკოლაში მასწავლებლები. კვირას რა უნდა მასწავლებელს სკოლაში?

**— რეგიონში როგორი განწყობაა მომავალი არჩევნების მიმართ?**

— ბოლნისში, მოგეხსენებათ, ბევრი აზერბაიჯანელი და სომეხი ცხოვრობს. სულ 12 000-მდე მოსახლეა, მთლიანად რაიონში კი — 84 000. ამომრჩეველთა რაოდენობა კი 50 000-მდეა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი რაიონი სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეებით არის დაკომპლექტებული, აზერბაიჯანელების დიდი ნაწილი, რომლებიც ბოლნისში არიან ჩაწერილები, რუსეთსა და აზერბაიჯანში ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, 10 000-ით ნაკლები ამომრჩეველი გვყავს. **მოსაზრება, რომ ხელისუფლება აზერბაიჯანელებისგან საარჩევნოდ ხმებს ელოდება, თვითონ აზერბაიჯანელებს აღიზიანებთ და შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს. ისინიც ჩვენნაირი მოქალაქეები არიან და განვითარებული საქართველო ურჩევნიათ. ისინი იქით წავლენ, საითკენაც სწორ გზას დაინახავენ. აზერბაიჯანელებიც და სომხებიც ძლიერი ოპოზიციური ბირთვის მხარეს არიან, ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებას" ვგულისხმობ.** მეც მათ შორის ვარ და ბოლომდე დავუდგები გვერდით. სხვა პარტია იქ არც მოიაზრება. სატელიტური ანტენების დადგმაზეც იყო საუბარი და, განსხვავებით სხვა რეგიონებისგან, სადაც „ნაციონალური მოძრაობის" შიშით ხალხს მისი დადგმა ეშინია, აქ ცოტა განსხვავებული სიტუაციაა. თითქმის ყველა ოჯახს აქვს სატელიტური ანტენა. გვაქვს საშუალება, „მაესტროს" ვუყუროთ. „კავკასიას", მართალია, არ იჭერს, მაგრამ ინფორმირებულები ვართ, რა ხდება ქვეყანაში.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

# იერუსალიმში ხოლოკოსტის მუზეუმი ჰიტლერისადმი მადლობებით ააჭრელეს

**11 ივნისს ღამით ვანდალებმა იერუსალიმში ხოლოკოსტის მუზეუმი „იად ვაშემი" წაბილწეს. უცნობებმა კედლებზე 10-მდე წარწერა დატოვეს, რომლებიც ნაცისტების ქებას შეიცავს: „ჰიტლერ, მადლობა ხოლოკოსტისთვის", „ჰიტლერი რომ არ ყოფილიყო, მას სიონისტები გამოიგონებდნენ", „სიონისტებო! თქვენ ებრაელი ხალხის სახელით ომი გამოუცხადეთ ჰიტლერს და ხოლოკოსტი გამოიწვიეთ!..."**



მემორიალური ცენტრის წარმომადგენელმა ავნერ შალევმა განაცხადა: **„შოკირებული და შეშინებული ვარ ებრაელი ხალხისა და სიონიზმისადმი სიძულვილის ამ აქტით. მომხდარი ყოველგვარ ზღვარს სცილდება".**

განათლების მინისტრი გიდეონ საარი დაეთანხმა ამ შეფასებას: **„ვისაც არ უნდა ჩაედინა ეს, მას ჩვენი საზოგადოებისთვის დიდი ტკივილის მიყენება სურდა. იმედი მაქვს, რომ პოლიცია აღმოაჩენს ამ ვანდალებს და მართლმსაჯულებას გადასცემს".**

ვანდალების თავდასხმა ებრაელებისა და არაბებისთვის წმინდა ადგილებზე ისრაელში არც ისე იშვიათია. თავდასხმები ყოფილა როგორც სინაგოგებზე, ისე მეჩეთებზე, მაგრამ ხოლოკოსტის მუზეუმზე ეს პირველი თავდასხმაა.

# გერმანელმა ფეხბურთელებმა ნაწყენ ებრაელებს უპასუხეს

**გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვოლფგანგ ნირბახმა განაცხადა, რომ „კარგად არ ესმის" გერმანიის ებრაელთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდენტის — დიტერ გრაუმანის კრიტიკა ფეხბურთელების ოსვენციმში ვიზიტის გამო.**

გრაუმანმა ის გააპროტესტა, რომ ოსვენციმში დაღუპულ ებრაელთათვის პატივის მისაგებად რამდენიმე ფეხბურთელი კი არა, მთელი ნაკრები უნდა მისულიყო. **„ეს ადამიანები ფეხბურთის მოყვარულთათვის კერპები არიან და მათი იქ მისვლა გაცილებით მეტს მოიტანდა, ვიდრე უთვალავი სიტყვით გამოსვლა. ოსვენციმში მთელი გუნდი უნდა ჩასულიყო",** – განაცხადა დიტერ გრაუმანმა.

1 ივნისს გერმანელ ფეხბურთელთა ნაწილი ოსვენციმში ჩავიდა, რათა იქ დაღუპული ებრაელების ხსოვნისათვის ეცა პატივი. მათ შორის იყვნენ ნაკრების კაპიტანი ფილიპ ლამი, პოლონური წარმოშობის ორი ფეხბურთელი – ლუკაშ პოდოლსკი და მიროსლავ კლოზე, მწვრთნელი იოაჰიმ ლევი, მენეჯერი ოლივერ ბირხოფი და გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვოლფგანგ ნირბახი.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს პრეზიდენტმა 5 წუთით შეირბინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში ახლადგახსნილ ფერმერთა მომსახურების ცენტრში. მისი ვიზიტი გასაიდუმლოებული იყო იქაურებისთვის, მაგრამ რამდენიმე ადამიანმა, რომლებიც შემთხვევით შეესწრნენ ამ ამბავს, მაინც მოახერხა მასთან დალაპარაკება.**



## პრეზიდენტის საქანელები — მარტოხელა მოხუცებს

**კასპის რაიონის სოფელ რკონში მცხოვრებ მარტოხელა მოხუცებს – ნინა ბერძენსა და მარიამ ჩოხელს, შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის ინიცირებულ სოფლის პროგრამის ფარგლებში, საქანელები დაუდგეს, სოფელში, რომელიც მთიან ზონაში მდებარეობს და სადაც ზამთარი დიდხანს გრძელდება; ეს მაშინ, როცა სოფელს სასმელი წყლის პრობლემა აქვს და რკონელებს მისი მოზიდვა შორი მანძილიდან უწევთ.**

სოფლის პროგრამის შესახებ მოხუცებმა მხოლოდ ის იციან, რომ იმ თანხით საცხოვრებელი სახლის წინ საქანელები ჩამოკიდეს, თუმცა სასმელი წყლის რეაბილიტაცია უფრო გაახარებდათ. სოფლის რწმუნებულმა გიორგი სალხინაშვილმა სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, რომ სოფელს წელს დაახლოებით 2200 ლარი გამოეყო. **„მცხოვრებლები ითხოვდნენ სასმელი წყლის რეაბილიტაციას, თუმცა თანხა არასაკმარისი იყო და ამიტომ სპორტული კომპლექსი ვარჩიეთ“,** — განაცხადა სალხინაშვილმა, რომელიც ორ ცალ საქანელას სპორტულ კომპლექსს უწოდებს.

## სოფელი, სადაც, 20 წელია, შუქი თვალით არ უნახავთ

**„მართალია, 20 წელია, შუქი არ გვაქვს, მაგრამ პრესას ყოველ კვირას ვეცნობი და საიმედოს იქ არაფერს წერენ. ახლა აქცია რომ იყო თბილისში, აი, იმათი, ისიც წავიკითხეთ გაზეთში“, — უთხრა შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს მთებში ჩაკარგულ იმერხევში მცხოვრებმა მოხუცებულმა კატო აბაშიშვილმა.**

სოფელი იმერხევი ქარელიდან 20 კილომეტრში მდებარეობს. **კომუნისტების პერიოდში 75 ოჯახი ირიცხებოდა, იყო რვაკლასიანი სკოლა, რომელიც თითქმის დაინგრა და სახელმწიფომ 500 დოლარად გაყიდა.** სოფელი 90-იან წლების შემდეგ თითქმის დაცარიელდა. ზამთარში გზები იკეტება. წვიმიან ამინდში და მის შემდგომ დღეებში, ატალახებული გზების გამო მისვლა-მოსვლა შეუძლებელი ხდება. **20 წელია, სოფელს ელექტროენერგია არ აქვს და არც არავინ აპირებს მის გაკეთებას.**

**„ადრე სოფელში 75 კომლი იყო, ახლა კი 20-30 კომლამდეღაა შემორჩენილი. ზამთარში ეს რიცხვი უფრო მცირდება. მეც ქალაქში ვერ ვძლებ და სულ ჩემს სოფელში მომიწევს გული. აქ გავივლი და სუფთა ჰაერს მაინც ჩავისუნთქავ. სოფელში ცუდი მდგომარეობაა. შუქი არ გვაქვს. გვერდით სოფლიდან ჩვენამდე მხოლოდ სამი კილომეტრია და არ არის რთული იქიდან დენის გადმოყვანა, მაგრამ საშველი არ დააყენეს“,** — აღნიშნა სოფლის მცხოვრებმა ოლღა ქოქოევმა.



## პედაგოგები პოლიტიკურ გამოკითხვებში ჩართეს

**გორში, რამდენიმე ოჯახში, პედაგოგები გამოკითხვის ფურცლებით გამოჩნდნენ. ერთ-ერთი ასეთი პედაგოგი „თავისუფალი დემოკრატების“ გორის ორგანიზაციის წარმომადგენლის — თამაზ მაყაშვილის ოჯახშიც მივიდა. გამოკითხვის დროს ოჯახის წევრთა რაოდენობა, მათი პოლიტიკური ორიენტაცია (ოპოზიციურადაა განწყობილი თუ ხელისუფლების მომხრე), სამუშაო ადგილები და სხვა მონაცემები აინტერესებთ.**

**„სახლში მე არ ვიყავი, მაგრამ ოჯახის წევრები დახვდნენ. ანკეტებს ცალ-ცალკე გრაფები ჰქონდა, რომელიც შემდეგი კითხვებისგან შედგებოდა: ვის აძლევს ხმას? მოლიდერო ტიპები თუ არიან? რამდენი ხმის უფლების მქონეა ოჯახში? სად მუშაობს ან სწავლობს? ოპოზიციურადაა განწყობილი თუ პოზიციურად?“** — აცხადებს თამაზ მაყაშვილი.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი გორსა და გორის რაიონში რამდენიმე სკოლას დაუკავშირდა. ისინი ამ „პროგრამაში“ ოფიციალურად ჩართულობას უარყოფენ.

## «საარჩევნოდ რომ მოგვადგებიან, არც ერთს არ მივცემთ ხმას»

**„შეგეშვით, რა მოხდებოდა? არ შეიძლებოდა, რომ ახლოს მიგეშვით? რატომ დგახართ აქ? რა გვაქვს ჩვენ დასაცავი? გვიჭირს, თორემ აქ რა გვინდოდა? შეიძლება, პრეზიდენტი თვალით არ განახონ? არ შეგახვედრონ?“ — ამ კითხვებით მიმართავდნენ პრეზიდენტის დასახვედრად მისული მოქალაქეები სამართალდამცავებს.**



ოზურგეთში 20 წუთით ჩასულ ქვეყნის პირველ პირს მოსახლეობა ვერ შეხვდა. დაუგეგმავი და გასაიდუმლოებული ვიზიტის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილმა შეიტყო. **იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორია პოლიციამ დაიკავა და მოქალაქეებს ახლოს არ უშვებდნენ.**

პრეზიდენტის წასვლის შემდეგ განაწყენებულმა მოქალაქეებმა „გურიანიუსს“ თავისი გაჭირვების შესახებ უამბეს:

**„ახლოს არ გაგვაკარეს, რად გვინდა ასეთი გამკაცრებული დაცვა, პრეზიდენტს არ შეიძლება ვუთხრათ ჩვენი გაჭირვების შესახებ? იქნებ მოესმინა ჩვენთვის. იქნებ დაგვხმარებოდა? რა გავაკეთოთ, ადგილობრივები რომ არ გვეხმარებიან, როგორ მოვიქცეთ?“** – ამბობდა დაბა ლაითურში მცხოვრები ფრიალა ხარჩილავა.

**„ანასეულში ვცხოვრობთ — აჭარის დასახლებაში. არავინ ყურადღებას არ გვაქცევს, დაიწყეს ვითომ გაზიფიკაცია, გადათხარეს ყველაფერი, არც გზა გვაქვს და არც წყალი. შეშისთვის ხე რომ მოჭრა, დაგიჭერენ, საჭმლის გასაკეთებელი საშუალებაც კი არ გვაქვს. იქ, ადგილზე, არავინ მოდის, ამბავს არ კითხულობს და აქ მაინც გვენახა ბატონი პრეზიდენტი, რომლის ჩამოსვლაც შემთხვევით გავიგეთ“,** — ამბობს ანასეულში მცხოვრები შაქრო ბეჟანიძე.

საქართველოს პრეზიდენტმა 5 წუთით შეირბინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში ახლადგახსნილ ფერმერთა მომსახურების ცენტრში. მისი ვიზიტი გასაიდუმლოებული იყო იქაურებისთვის, მაგრამ რამდენიმე ადამიანმა, რომლებიც შემთხვევით შეესწრნენ ამ ამბავს, მაინც მოახერხა მასთან დალაპარაკება.

**— შემთხვევით შევხვდით. ძალიან გაგვიხარდა, კარგად მოგვისმინა და ასე გვითხრა, თქვენს გულისტკივილს აუცილებლად გულთან მივიტან და ყველაფერს მივხედავო. ისიც ვუთხარით, ასე ჩუმად არ უნდა მოსულიყავით, რატომ არ იცოდა თქვენი ჩამოსვლის შესახებ მოსახლეობამ-მეთქი.**

– რა გიპასუხათ?

**– უცებ მოხდაო...**

**„ძალიან გვიჭირს, უამრავი პრობლემა გვაქვს, გზა, წყალი, გაზი, ბინები ავარიულ მდგომარეობაშია, გვაწვიმს, ქარი რომ ამოვარდება, გვეშინია ღამის გათევა, შეიძლება წაიქცეს სახლი. რას უშვრებიან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანხებს? გვატყუებენ, წელს გადაგიხურავთ ბინასო და სამი წელია, ამ დაპირებებში ვართ, არავინ გვაქცევს ყურადღებას. რატომ არ მოახმარეს ეს გადმორიცხული თანხა ამ გაჭირვებულ ხალხს? სად წაიღეს?**

### რას უშვრებიან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანხებს? რატომ არ მოახმარეს ეს გადმორიცხული თანხა ამ გაჭირვებულ ხალხს? სად წაიღეს?

გთხოვთ, მოგვაქციოს ვინმემ ყურადღება! იქნებ ახლა მაინც გაიგოს სააკაშვილმა ჩვენი გაჭირვების შესახებ. გაიარა კაცმა, თვალად არ დაგვენახა! აგია საქმე?“ – ამბობდნენ „გურიანიუსთან“ სოფელ მერიაში ახლადგახსნილი ფერმერთა მომსახურების ცენტრის წინ მდებარე ორსართულიანი საერთო ბინების მცხოვრებლები.

**„გვიჭირს ძალიან და იმიტომ ვყვირით, თორემ ხმას არ ამოვიღებდით, შვილო! საარჩევნოდ რომ მოგვადგებიან, არც ერთს არ მივცემთ ხმას, რამდენჯერ იყვნენ მოსულები ხმების შესაგროვებლად, ვინ იცის. კი მივცემდით ხმას, მაგრამ ასე უსინდისოდ რომ მოგვექცევიან, არიან რაიმეს ღირსი? კატეგორიულად ვითხოვთ, გადაგვიხურონ ბინები!“** – ამბობს ციური ხურციძე.

## ავიამზიდ «ჯორჯ ბუშზე» ხანძარი გაჩნდა

**უახლესი ამერიკული ავიამზიდის — „ჯორჯ ბუშის“ ბორტზე ხანძარი გაჩნდა. ხომალდი ვირჯინიის შტატის ნორფოლკის ბაზაზე იდგა.**

7 ივნისს ავიამზიდი ნორფოლკიდან სასწავლო ლაშქრობაში უნდა ჩარულიყო, თუმცა გასვლა გადაიდო. 6 ივნისს, ადგილობრივი დროით 10 საათსა და 30 წუთზე, ხომალდის საცხოვრებელ ნაწილში ცეცხლი გაჩნდა. მისი ჩაქრობა ოპერატიულად მოახერხეს, ხანძრის მიზეზებს არკვევენ.

**2012 წლის 23 მაისს ხანძარი გაჩნდა ხომალდ „მაიამიზეც“, რომელიც მენის შტატის სამხედრო-საზღვაო მისადგომთან იდგა.** ცეცხლის ჩაქრობისას 7 ადამიანი, მეხანძრეები და ეკიპაჟის წევრები, დაშავდნენ. ზარალმა 400 მილიონი დოლარი შეადგინა. როგორც 6 ივნისს გახდა ცნობილი, ხანძარი მტვერსასრუტში მოკლე ჩართვამ გამოიწვია.



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

შემოსავლის შემცირების გამო ამერიკელები სულ უფრო ნაკლებს ყიდულობენ, თუმცა სამომხმარებლო ხარჯები კვლავ მაღალ დონეზე რჩება. THE NEW YORK TIMES ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ აშშ-ის მოქალაქეები ადრე აღებულ კრედიტებს ისტუმრებენ.

# «გლობალ ტვ»-ის ყველა სატელიტური ანტენის მოხსნა მოუწევს

**კომპანია „გლობალ ტვ“-ის საქართველოს მასშტაბით დამონტაჟებული ყველა სატელიტური ანტენის მოხსნა მოუწევს. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ამის შესახებ „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე „გლობალ ტვ“-ის უცხოელმა მეწილემ ალექსანდრე რონჟესმა განაცხადა. მისი განმარტებით, აღნიშნული ვალდებულება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრათ, რომელმაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ მიერ მარტში შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილა.**

**„2012 წლის მარტში „რუსთავი 2“-ის, „ახალი არხის“, „მზისა“ და „საქართველოსგან“ მივიღეთ წერილი, რომ შეგვეწყვიტა მათი სიგნალის ტრანსლირება“,** — აღნიშნა ამერიკელმა ბიზნესმენმა.

მისი განმარტებით, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, ტრანსლირების სრულად შეწყვეტა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

მოგვიანებით, „რუსთავი 2“-მა და „იმედმა“ სასამართლოს მიმართეს, რათა „გლობალ ტვ“-ის ნებისმიერი სახის ტრანსლირება შეეწყვიტა. **„სასამართლომ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა და მისი გადაწყვეტილების შესასრულებლად ჩვენ ყველა სატელიტის ჩამოხსნა მოგვიწევს, რაც კი საქართველოს ტერიტორიაზე დამონტაჟებული“,** — განაცხადა ალექსანდრე რონჟესმა. მისი შეფასებით, ეს კომპანიის დახურვის ტოლფასი იქნება.

**„კომპანია „გლობალ ტვ“-ის დღემდე მზარდი ბიზნესი ჰქონდა. პირველად ხელისუფლებასთან პრობლემები მაშინ შეგვექმნა, როცა დავთანხმდით, რომ ჩვენს პაკეტში „მაესტრო“ ჩაგვერთო. პრობლემები გამწვავდა მას შემდეგ, რაც ოქტომბერში ოპოზიციური ფრონტის შექმნის შესახებ გაცხადდა და „გლობალ ტვ“ დათანხმდა „მე-9 არხის“ გაშუქებასაც. ბოლო პერიოდში 50-მდე სახელმწიფო სტრუქტურამ გაწყვიტა ჩვენთან კონტაქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება თავად აბონენტის პრეროგატივაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ 50-ივემ ეს ერთსა და იმავე პერიოდში გააკეთა, ჩვენთვის ნათელი მესიჯია. აღსანიშნავია ისიც, რომ „გლობალ ტვ“-ის აუკრძალეს სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობა. აღნიშნული შემთხვევების გამო ჩვენი კომპანია გაკოტრების საფრთხის წინაშეა“,** — აღნიშნა რონჟესმა.

**„11 ათას აბონენტს ვემსახურებოდით, რაც ბაზრის დაახლოებით 6%-ს შეადგენს. იმ ყველაფერს კი, რაც ახლა ხდება, ვუყურებ, როგორც ბიზნესპრობლემას. უნდა ხდებოდეს ჩემი, როგორც უცხოელი ინვესტორის, წახალისება, რომ საქართველოში მეტი ინვესტიცია განვახორციელო. თუმცა ის გზავნილი, რომელსაც სახელმწიფო უგზავნის უცხოელ ინვესტორებს, მედიაში ინვესტირების თვალსაზრისით, უარყოფითია. მე ამერიკის მოქალაქე ვარ და ყველაზე მეტად რასაც ჩემს ქვეყანაში ვაფასებ, არის ის, რომ დაცულია ადამიანის ძირითადი უფლებები, ის კი, რასაც ახლა აქ ვხედავ, არღვევს ქართველი ხალხის უფლებებს. განვიცდი, რომ მთავრობა არაფერს აკეთებს, რათა დაიცვას სიტყვის თავისუფლება, განვიცდი იმ ფაქტსაც, რომ მთავრობას ურჩევნია, გაანადგუროს კომპანია, ვიდრე ის განვითარდეს და წვლილი შეიტანოს ეკონომიკის განვითარებაში“,** — აღნიშნა უცხოელმა ინვესტორმა, რომელიც კომპანიაში 17%-იან წილს ფლობს.

პრესკონფერენციას **„მე-9 არხის“ გენერალური დირექტორი კახა ბექაური** და **„სტერეო+“-ის დამფუძნებელი დავით ზილფიმიანი** ესწრებოდნენ.

# ამერიკელები 1992 წლის დონემდე გაღარიბდნენ

**საშუალო ამერიკული ოჯახის ქონებამ 2010 წელს 77 ათას 300 დოლარი შეადგინა, რაც 1992 წელთან შედარებით ყველაზე დაბალი ნიშნულია. ამის შესახებ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ანგარიშშია ნათქვამი. შედარებისთვის: 2007 წელს ეს მაჩვენებელი 126 ათას დოლარს შეადგენდა.**



დაეცა საშუალო ოჯახის შემოსავალიც: 49 ათას 600 დოლარიდან 2007 წელს – 45 ათას 800 დოლარამდე 2010-ში. The Wall Street Journal წერს, რომ ფინანსურმა კრიზისმა ყველაზე მეტად საშუალო კლასი დააზარალა, რომლის შემოსავლები 3 წელიწადში 12,1 პროცენტით დაეცა. ამავე დროს უმდიდრესი ოჯახების შემოსავალი მხოლოდ 1,4 პროცენტით შემცირდა, ხოლო უმწეოების – 7,7 პროცენტით. მონაცემები ინფლაციის გათვალისწინებით არის მოტანილი.

**შემოსავლის შემცირების გამო ამერიკელები სულ უფრო ნაკლებს ყიდულობენ, თუმცა სამომხმარებლო ხარჯები კვლავ მაღალ დონეზე რჩება. THE NEW YORK TIMES ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ აშშ-ის მოქალაქეები ადრე აღებულ კრედიტებს ისტუმრებენ. იმ საოჯახო მეურნეობათა რაოდენობა, რომელთაც კრედიტები არ აქვთ აღებული, 2,1 პროცენტით შემცირდა. ფედერალური სარეზერვო სისტემის მონაცემებით, პირველად ისტორიაში საავტომობილო კრედიტების წილი საგანმანათლებლო კრედიტებზე მცირე აღმოჩნდა. სამ წელიწადში საგანმანათლებლო კრედიტების წილი 15,2-დან 19,2 პროცენტამდე გაიზარდა.**

2007-დან 2010 წლამდე იმ ოჯახთა რაოდენობა, რომლებიც თანხის დაზოგვას ვერ ახერხებენ, 56,4 პროცენტიდან 52 პროცენტამდე დაეცა. ეს 1992 წლიდან ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ფედერალური სარეზერვო სისტემის ანგარიშის მიხედვით, ამერიკელები ფულს ძირითადად იმიტომ ინახავენ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკის მიმართ ნდობა აქვთ დაკარგული.

# პარლამენტის მშენებლობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი დააკავეს

**საქართველოს პროკურატურამ ქუთაისში პარლამენტის მიმდებარედ დამხმარე ნაგებობის სამშენებლო ხარაჩოს ჩამონგრევის გამო, რომლის დროსაც ერთ-ერთი მუშა — რეზო ნებიერიძე დაიღუპა, მშენებლობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სამშენებლო კომპანიის საქმის მწარმოებელი დავით ქავთარაძე დააკავა.**

სახელმწიფო სამსახურები პასუხისმგებლობას იხსნიან. განცხადებაში ნათქვამია, რომ სამშენებლო კომპანიის საქმის მწარმოებელმა დავით ქავთარაძემ არ უზრუნველყო უსაფრთხოების წესების დაცვა, რის გამოც 2012 წლის 7 ივნისს ჩამონგრეული სამშენებლო ხარაჩოს ქვეშ მოჰყვა და მიღებული ტრავმებისგან გარდაიცვალა სამშენებლო კომპანიის თანამშრომელი რეზო ნებიერიძე.

განცხადების თანახმად, **ქავთარაძე ბრალდებულად სცნეს დანაშაულისთვის, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილი.** შეგახსენებთ: ქუთაისის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთ-ერთი დამხმარე ნაგებობის ხარაჩოს ჩამონგრევისას 7 ივნისს რეზო ნებიერიძე დაიღუპა. **ამ შემთხვევის შემდეგ კიდევ ერთხელ გააქტიურდა საკითხი იმის შესახებ, იცავენ თუ არა სამშენებლო ნორმებს დეველოპერული კომპანიები და ხდება თუ არა მათი კონტროლი?**

არქიტექტორთა კავშირის თავჯდომარის — დავით აბულაძის განმარტებით, **მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურმა უნდა აკონტროლოს, რომელიც ყველა რეგიონს ჰყავს.** ხოლო თუ ზედამხედველობის მხრიდან კონტროლი არ ხორციელდება, ადვილი შესაძლებელია მუშებმა უყურადღებობა გამოიჩინონ და უბედური შემთხვევაც ამას მოჰყვეს.

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში განმარტავენ, რომ მათი მოვალეობა დასრულებული შენობის პროექტთან შესაბამისობის შედარებაა. სამსახურის უფროსის თქმით, **პროექტებთან შედარებისას ხშირია უმნიშვნელო დარღვევები და კომპანიების შესაბამისი ფინანსური ჯარიმებიც ეკისრებათ.** სამშენებლო ნორმების და ხარისხის შემოწმება კი, ზვიად კერვალიშვილის თქმით, მათ მოვალეობაში არ არის და ამ საკითხზე პასუხიმგებელი მშენებლები არიან.

**დღემდე გაურკვეველია, რომელი კომპანია აშენებს ნაგებობას, სადაც ტრაგედია მოხდა. „მაგი სტილში,“ რომელიც პარლამენტის შენობის პროექტს ახორციელებს, აცხადებენ, რომ ჩამონგრეულ შენობასთან კავშირი არ აქვთ. იმის გარკვევა, თუ ვინ აშენებს აღნიშნულ სათავსოს, ვერც ქუთაისის მერიაში შეძლო COMMERSANT-მა.**

ეკონომიკის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროში ამბობენ, რომ მშენებლობების პროექტების კონტროლი მერიის ზედამხედველობის სამსახურს ევალება და ბიუროში საქმე იმ შემთხვევაში გადადის, თუ რაიმე დარღვევას აღმოაჩენენ.



# ავადმყოფი ოპოზიციონერი საავადმყოფოდან დასაკითხად წაიყვანეს

**ოპოზიციონერი გია ქურიძე მოდულის შენობაში დასაკითხად ინფექციური საავადმყოფოდან წაიყვანეს. ქურიძემ სამი დღით ადრე ოპერაცია გაიკეთა. გარდა ამისა, იგი დაავადებულია ციროზით და C ჰეპატიტით. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა.**

მოდულის შენობაში საავადმყოფოდან მიყვანილ ქურიძეს სამ საათზე მეტი ლოდინი მოუხდა: **„ისე წამიყვანეს, არ უთქვამთ, რა უნდოდათ. რა არ ვიფიქრე, მაგრამ ვერ მივხვდი, რა საქმე ჰქონდა ჩემთან სოდ-ს. კიდევ კარგი, საავადმყოფოდან წამოყვანამდე ადვოკატთან დარეკვა მოვახერხე და ის ჩემს გვერდით იყო“,** – აღნიშნა „გურიანიუსთან“ საუბრისას ქურიძემ, რომელიც მოდულის შენობაში ცუდად გახდა. — **„ამხელა ოპერაცია მაქვს გადატანილი და ცუდად გავხდი. ამოიყვანეს „კაპეზეს“ ექიმი, ახალგაზრდა გოგო იყო. გაგიჟდა, სასწრაფოდ დააბრუნეთ საავადმყოფოში, თორემ მოკვდებაო. მერე სასწრაფო დახმარება გამოიძახეს და საავადმყოფოში დამაბრუნეს“.**

გია ქურიძე ამბობს, რომ მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდა. მისივე თქმით, საავადმყოფოდან მისი წაყვანა სოდ-ის წარმომადგენლებმა ექიმის დაშინების შედეგად მოახერხეს.



**„არასამუშაო დღე იყო. დაურეკეს განყოფილების ხელმძღვანელს და უთხრეს, რომ ორ საათში უკან დამაბრუნებდნენ. თან დაემუქრნენ, რომ, თუ საავადმყოფოდან არ გამიშვებდა, კარგი არაფერი დაემართებოდა,“** — აღნიშნა ქურიძემ.

„მარშრუტკაში“ რადიოს თვითნებურად ჩართვის გამო ზოგიერთს ერთი გაფრთხილება უკვე მისცეს, ხოლო იმავეს გამეორების შემთხვევაში 100-ლარიანი ჯარიმის დაკისრებით დაემუქრნენ.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «შავი ებრაელების» სექტის ლიდერმა ორი მკვლელობა აღიარა



**„შავი ებრაელების“ სექტის ლიდერმა პიტერ მოზესმა ორი მკვლელობა აღიარა. ამის შესახებ ამერიკული ტელეკომპანია NBC იუწყება. სასამართლო პროცესი ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ დარემში მიმდინარეობს. მკვლელობებში თანამზრახველობა კიდევ ექვს ადამიანს ბრალდება, რომლებიც დანაშაულს არ აღიარებენ.**

მოზესის აღიარება მოულოდნელი იყო. 11 ივნისს სასამართლოში იგი მხოლოდ ფორმალური პროცედურებისთვის მიიყვანეს. მოზესმა თანამზრახველების წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე თანხმობა განაცხადა.

**მოზესის მსხვერპლი 28 წლის ანტუანეტა მაკკოი და 4 წლის ჯედონ ჰიგანბოტენი მასთან და სექტის სხვა წევრებთან ერთად ცხოვრობდნენ. 2011 წლის ივნისში მათი ცხედრები მოზესის დედის უკანა ეზოში აღმოაჩინეს.** მოზესმა განაცხადა, რომ ბიჭს, მამამისივით, ჰომოსექსუალისტად მიიჩნევდა, რაც მისთვის მიუღებელი იყო. სავარაუდოდ, **ბავშვი მან 2010 წლის ოქტომბერში გასროლით მოკლა, ხოლო დედამისი დეკემბერში მოზესის დედამ მოკლა, რადგან იგი სექტის მიტოვებას აპირებდა.**

„შავი ებრაელების“ სექტის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ისინი ძველ ისრაელში მცხოვრები ტომების შთამომავლები არიან.

# რადიოს ჩართვისთვის — ჯარიმა 100 ლარი!

**მალე ის მძღოლი, რომელიც არ დაემორჩილება „თბილისის მიკროავტობუსის“ გადაწყვეტილებას და მაინც მომართავს რადიოს სასურველ სიხშირეზე, 100-ლარიან ჯარიმას მიიღებს.**




პირად საუბრებში ასეთი გაფრთხილების შესახებ საუბრობენ თავად ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლები. მძღოლების თქმით, **„მარშრუტკაში“ რადიოს თვითნებურად ჩართვის გამო ზოგიერთს ერთი გაფრთხილება უკვე მისცეს, ხოლო იმავეს გამეორების შემთხვევაში 100-ლარიანი ჯარიმის დაკისრებით დაემუქრნენ.**

მძღოლების შესაძლო დაჯარიმების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსში“. კომპანიის პიარ-მენეჯერის — თეონა ნიორაძის მტკიცებით, მიკროავტობუსებში რადიომიმღებების დემონტაჟი ეტაპობრივად მიმდინარეობს და მძღოლები რადიოს ჩართვას ფიზიკურად ვეღარ შეძლებენ. **„თანხით დაჯარიმების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება“,** — განაცხადა „მედიანიუსთან“ საუბრისას ნიორაძემ.

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსში“ აცხადებენ, რომ კომპანიებს, რომლებიც დედაქალაქში მგზავრთა გადაყვანას ყვითელი მიკროავტობუსებით უზრუნველყოფენ, ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული დამოუკიდებელ იურიდიულ პირთან სარეკლამო მომსახურების თაობაზე.

ყვითელ მიკროავტობუსებში მონიტორების მონტაჟი უკვე აქტიურად მიმდინარეობს. **„ხმოვანი სარეკლამო რგოლის ეკრანზე განთავსებას სამარშრუტო ტაქსებში გამოყენებული რადიოსაშუალებები ხელს უშლის. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის სარეკლამო კომპანიამ მიკროავტობუსების მფლობელ კომპანიებს წერილობითი მოთხოვნით მიმართა, რათა სრულყოფილად შეასრულონ დამკვეთი კომპანიების წინაშე აღებული ვალდებულება და შეუფერხებლად გაუშვან სარეკლამო რგოლი მონიტორებზე.**

**შპს „თბილისის მიკროავტობუსის“ ტექნიკური სამსახურის გადაწყვეტილებით, პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი გახდა მიკროავტობუსებში რადიოსაშუალებებზე ხმოვანი სიგნალების გათიშვა“,** — ნათქვამია „თბილისის მიკროავტობუსის“ განცხადებაში.

თბილისში მოძრავ მიკროავტობუსებში რადიომიმღებების ამოღებას ოპოზიციასთან ერთად იურისტებიც აპროტესტებენ. კერძოდ, „ახალგაზრდა ადვოკატები“ მიკროავტობუსებში რადიოარხების მაუწყებლობის შეზღუდვის გამო, თბილისის მერს გუშინ განაცხადით მიმართეს. მათი აზრით, **კერძო კომპანიის გადაწყვეტილება გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების სფეროში ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას წარმოადგენს და ლახავს მოქალაქეთა უფლებას თავისუფლად, ცენზურის გარეშე მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია.**

„მოვიძიეთ, არსებობდა თუ არა სხვა ქვეყნების ქალაქების მუნიციპალიტეტებში მსგავსი აკრძალვა და აღმოჩნდა, რომ ხმოვანი სარეკლამო რგოლები არსად არ არსებობს და დასაშვებია მხოლოდ გამოსახულებითი სარეკლამო რგოლები. მგზავრები რადიოს მეშვეობით, ძირითადად, პოლიტიკურ ინფორმაციას ისმენდნენ და წინასაარჩევნოდ ამის აკრძალვა დაუშვებელია“, — აღნიშნა კაიკაციშვილმა.

# იემენის ჯარმა ქვეყნის სამხრეთით ისლამისტებს ქალაქი დაატოვებინა

**სააგენტო Reuters-ის ინფორმაციით, იემენის ჯარმა 12 ივნისს ქვეყნის სამხრეთით ისლამისტებს ქალაქი ჯაარი დაატოვებინა. ბრძოლებში 24 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის — 20 ისლამისტი მებრძოლი და 4 ჯარისკაცი.**



ქალაქი ისლამისტებმა ჯაარის შესვლამდე დატოვეს და შუქრის მიმართულებით წავიდნენ. როგორც სააგენტო France Press იუწყება, შუქრში იემენის „ალ ქაიდას“ ბევრი ლიდერი აფარებს თავს. ჯაარის მოსახლეობა ყვება, რომ **წასვლამდე ისლამისტებმა ქალაქში პროკლამაციები დატოვეს, რომლებშიც მოსახლეობას ბოდიშს უხდიდნენ მათი ქალაქის შეიარაღებული კონფლიქტის კერად ქცევის გამო.**

იემენის ხელისუფლებამ ქვეყნის სამხრეთზე კონტროლის აღდგენის ოპერაცია 12 მაისს დაიწყო. იქ ძალაუფლება პრეზიდენტ ალი აბდულა სალეხის წინააღმდეგ ამბოხებულებმა ჩაიგდეს ხელთ. მაისის ბოლოს ჯარმა მათ აბიანის დედაქალაქი — ზინჯიბარი დაატოვებინა. **შეტევის დაწყებიდან სულ 485 ადამიანი დაიღუპა, მათი უმრავლესობა „ალ ქაედას“ წევრებია. დაღუპულია ასევე 19 მშვიდობიანი მოქალაქე.**

# საფრანგეთში ქართველები დააკავეს

**საფრანგეთის პოლიციამ, ინტერპოლისა და ევროპოლის მხარდაჭერით, მასშტაბური სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის შედეგად 21 ადამიანი დააკავეს. ინტერპოლის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულთა დიდი ნაწილი საქართველოსა და სომხეთის მოქალაქეები არიან. კრიმინალური დაჯგუფება ლიმოჟში, მთელ ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ბელგიაში მოქმედებდა.**



კრიმინალები, ძირითადად, სახლებს ძარცვავდნენ. გავრცელებული ცნობით, ჯგუფი 300-ზე მეტ ძარცვაშია ეჭვმიტანილი. ინტერპოლის ინფორმაციით, სპეცოპერაცია ამ დრომდე გრძელდება.

# მურმან დუმბაძე ხელისუფლებასთან ძმის კავშირს უარყოფს

**რამდენიმე დღის წინ მედიით გასულმა სიუჟეტმა, რომელშიც ნაჩვენები იყო აჭარის მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის ვიზიტი თევზის მეურნეობა „იხტიოზში“, ბევრი კითხვა გააჩინა. საწარმოს მფლობელი მურმან დუმბაძე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია. იგი მისი ძმის — ნუგზარ დუმბაძის ხელისუფლებასთან კავშირს უარყოფს.**

**„ის ბიზნეს-საქმიანობას 90-იანი წლებიდან ეწევა. ვარშალომიძის ბიზნეს-კლასი არ არის იმ დონისა და შესაძლებლობის, რომ ნუგზარ დუმბაძემ იკადროს მასთან ბიზნესი. ჩემს ძმას ჰყავს სერიოზული ბიზნეს-პარტნიორები რუსეთიდან და ევროპიდან. თვითონ საწარმო და ტერიტორია კერძო პირებისგან აქვს შეძენილი და არავითარ ტენდერთან და სახელმწიფო მიწებთან კავშირი არ აქვს“,** — აცხადებს მურმან დუმბაძე tspress-სთან საუბრისას.

მურმან დუმბაძე ირწმუნება, რომ მისი ბიზნესმენი ძმა ღიად გამოხატავს საკუთარ ოპოზიციურ აზრს. ის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და წევრია და, მისივე განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლების გვერდით გამოჩენა სულაც არ მეტყველებს მის პოლიტიკურ არასტაბილურობაზე.

საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად, მურმან დუმბაძე პრეზიდენტთან ერთ-ერთ დაუგეგმავ შეხვედრას იხსენებს: **„ერთხელ, ბეშუმში ქეიფის დროს, მოვიდა მიხეილ სააკაშვილიც და სადღეგრძელოც დალია ჩვენს სუფრაზე. რა უნდა მექნა — ღვინო უნდა შემესხა სახეში თუ ფელამუში უნდა დამედო თავზე?“**

დუმბაძე ამტკიცებს, რომ ვარშალომიძე და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი „იხტიოზში“ პირადმა ინტერესმა მიიყვანა: **„როგორც ჩანს, იმდენად საინტერესო პროექტია, რომ მივიდნენ. ჩემს ძმას არ გაუგზავნია მოსაწვევი. ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა და ვერავის აუკრძალავ მისვლას“.**

ხელისუფლების მხრიდან მისი ძმის ბიზნესის შევიწროებას მურმან დუმბაძე უარყოფს. მისი თქმით, ეს ხდება მხოლოდ იმ ბიზნესმენებზე, რომლებმაც საკუთარი ბიზნესი მთავრობის დახმარებით შექმნეს: **„მათ ბიზნესი იპოვეს ხელისუფლებიდან და ბიზნესურთიერთობები აქვთ ხელისუფლებასთან. მე ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლება ატერორებს და ჩემი ძმა იგერიებს. ხელისუფლება ვერ ატერორებს ნუგზარ დუმბაძეს, იმიტომ, რომ მას აწყობილი სტრუქტურა აქვს და ღიად აფიქსირებს თავის ოპოზიციურ აზრს“.**

საწარმო „იხტიოზი“ ხელვაჩაურის საწარმოო ზონაში მდებარეობს და ექსპლუატაციაში 2013 წლის იანვარიდან შევა. კომპანიაში ვარაუდობენ, რომ წელიწადში 50-60 ტონა ზუთხის წარმოებას შეძლებენ. ობიექტის ასამოქმედებლად 800 ათასი ლარის ინვესტიცია უკვე განხორციელდა. ნუგზარ დუმბაძე ასევე ფლობს თევზის მეურნეობას ქედაში და საკრუიზო კომპანიას.

საქართველო და მსოფლიო
ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდი მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ გენოციდი, შეურაცხყოფა, გალატაკება თავს დაატყდა სამეგრელოს იმიტომ, რომ ამ პერიოდში სამეგრელო არ წარმოადგენდა და არც დღეს წარმოადგენს ანგარიშგასაწევ ძალას. ჩვენ არ გაგვაჩნდა და არც დღეს გაგვაჩნია ის ერთიანი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც აიძულებდა ანტიეროვნულ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ, თუ არ იზრუნებს, ხელი მაინც არ შეუშალოს რეგიონის განვითარებას.**

# «ვისაც სამშობლო უყვარს, ვისაც ერის ნორმალური მომავალი სურს, ჩვენი თანამოაზრე, პარტნიორი, ჩვენი თანამებრძოლია»



სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ შეიქმნა როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა. ეს მოხდა იმ კუთხეში, რომელიც ვერა და ვერ გაიმართა წელში „მხედრიონისა“ თუ შევარდნაძის ოფიციალური სამხედრო-ბანდიტური ჯგუფების სამოქალაქო ომის, ცენტრალური ხელისუფლების მიერ აფხაზეთში წამოწყებული ავანტიურის შედეგად ასი ათასობით დევნილის და სხვა კარგად ცნობილი ფაქტორების გამო, რაც შევარდნაძის „ბრძნულ“ მმართველობას და სამეგრელოსადმი მის „განსაკუთრებულ ყურადღებას“ მოჰყვა შედეგად. ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციას თავიდანვე დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ედუარდ შევარდნაძის რეჟიმმა. ამ მოძრაობის შესახებ ავრცელებდნენ ათასგვარ ჭორს და დეზინფორმაციას, თითქოს მას სურდა სამეგრელოს ავტონომია, ჰქონდა სეპარატისტული მისწრაფებები. ამ დეზინფორმატორების მთავარ სამიზნეს მოძრაობის ლიდერი, ბატონი ალექსანდრე ჭაჭია წარმოადგენდა, რომლის დისკრედიტაციასაც უტიფარი სიცრუით ცდილობდნენ და ამ მიზნებისათვის პროვოკატორ მედიასაშუალებებსა და ქვებუდანობაში შემჩნეულ პირებს აქტიურად იყენებდნენ.

მართალია, შევარდნაძე ოფიციალურად გადამდგარია, მაგრამ მის პილიტიკურ კურსს ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი ჰყავს „მოქკავშირის“ პირმშო „ნაცმოძრაობის“ სახით, რომლის ზოგიერთი დამქაში დეზინფორმაციის გავრცელების გზით დღესაც არ წყვეტს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოსა“ და მისი ლიდერის უპერსპექტივო დისკრედიტაციას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სოციალურ ქსელებში ზოგიერთი პროვოკატორი გაუგონარ სიცრუეს კადრულობს, თითქოს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ყრილობაზე მისმა ხელმძღვანელობამ ავტონომია მოითხოვა და სეპარატისტული შინაარსის განცხადებები გაავრცელა. ხელთ მაქვს და გიგზავნით სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ყრილობაზე მისი ხელმძღვანელის გამოსვლის სრულ ტექსტს, რომელზეც იმის თქმა, რომ სეპარატიზმის მოწოდებებს შეიცავს, არის აბსურდი და შეგნებული დეზინფორმაცია. გთხოვთ მის გამოქვეყნებას, რათა ზემოხსენებულმა დეზინფორმატორებმა ველარ მოახერხონ ჭორების გავრცელებით ადამიანების შეცდომაში შეყვანა.

პატივისცემით **როსტომ დანელია**

## ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვა სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» II ყრილობაზე

### ქ. ზუგდიდი, 2001 წლის 12 ოქტომბერი

**პატივცემულო საზოგადოებავ! ჩემთვის დიდი პატივი და სიხარულია, რომ დღეს მიწევს ჩემი მშობლიური კუთხის მთავარ ქალაქში, ზუგდიდში, სამეგრელოს ყველა რაიონის ღირსეულ წარმომადგენლებთან შეხვედრა. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება სამეგრელოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.**

ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ქალაქ ფოთში, სამეგრელოს სხვადასხვა რაიონის, სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა ინიციატივით, დაარსდა სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“. მოგეხსენებათ, რომ ამ ფაქტმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საქართველოში. მე ვიცოდი, რომ ასეთი სახელწოდების მქონე, თუნდაც არაპოლიტიკური, საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნა შეაშფოთებდა ქართული საზოგადოების ერთ ნაწილს, ზოგში კი ზიზღსა და სიძულვილსაც კი გამოიწვევდა, ამიტომ მზად ვიყავი ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მაგრამ იმ ისტერიამ, შეთითხნილი ბრალდებების ნიაღვარმა, რომელიც თავს დაგვატყდა, ყველანაირ ზღვარს გადააჭარბა.

**ჩვენ, როგორც იცით, დაგვაბრალეს „სეპარატიზმი“, ქვეყნის გახლეჩის სურვილი, ქართველი ერის როგორც ერთიანი ორგანიზმის უარყოფა და ბევრი სხვა სისულელე. დაგვაბრალეს სწორედ იმ ძალებმა, იმ პიროვნებებმა, იმ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, იმ ე. წ. ოპოზიციის თავკაცებმა, ვინც თითქმის ათი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ანგრევენ ჩვენს სამშობლოს, შლის ქვეყანას, ყიდის ისტორიულ ტერიტორიებს, მათხოვართა ბრბოდ აქცევს ქართველ ხალხს, კლასიკური ფორმის გენოციდს უწყობს საკუთარ მოსახლეობას.** მაგრამ ამ ძალების ასეთმა აგრესიულმა დამოკიდებულებამ ჩვენდამი, მოსახლეობაში, მოაზროვნე, პატრიოტულ წრეებში უკურეაქცია გამოიწვია და ის ენთუზიაზმი, რომლითაც მთელი სამეგრელო შეხვდა ჩვენი ყრილობის ჩატარებას, ამის ნათელი დადასტურებაა. არ მინდა, მოძრაობა „სამეგრელოს“ შექმნის მნიშვნელობა გადავაჭარბო, მითუმეტეს, რომ გარკვეული მიზეზების გამო, რომელზეც დღეს გვექნება საუბარი, ამ ორგანიზაციის საქმიანობა ერთგვარად გაყინული, თუ შეიძლება ითქვას, „დაკონსერვებულიც“ იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ გავუსვა ხაზი მოძრაობის შექმნის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს შედეგს.

**ჯერ ერთი, ჩვენ დავანახეთ საზოგადოებას, რომ სამეგრელოს მოსახლეობას შეუძლია პარტიული დაქუცმაცებულობა გადალახოს და გაერთიანდეს, ხოლო გაერთიანების შემთხვევაში ძალუძს საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს და ქვეყნის განვითარების მიმართულების შერჩევაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.**

სწორედ ჩვენი გაერთიანების შესაძლებლობამ, ერთად დგომის უნარმა ანტიეროვნულ ძალებში ასეთი პანიკური შიში განაპირობა. **მეორეც, ჩვენს ყრილობაზე მიღებული დოკუმენტების სახით ყველას დავანახეთ, რომ სამეგრელოს საზოგადოებას ძალუძს, საქართველოში მიმდინარე პროცესების ობიექტური და მაღალპროფესიული ანალიზი გააკეთოს.** სამეგრელოს სათანადო პოტენციალი გააჩნია იმისათვის, რომ შეიმუშაოს და მთელ საქართველოს წარუდგინოს ქართული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის თვისობრივად ახალი მოდელი, ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც შეესაბამება ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. **მესამე, ერთიან, ზეპარტიულ ორგანიზაციაში მოსახლეობის აქტიური ნაწილის გაერთიანებით, ჩვენ დავანახეთ ხელისუფლებას, რომ რეგიონს ყურადღება სჭირდება და სამეგრელოს ინტერესების იგნორირების გაგრძელების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია ერთობლივი მოქმედებით ანტიეროვნული ძალების თარეშს ბოლო მოვუღოთ.**

და ბოლოს, ჩვენ პირველად ოფიციალურად და ხმამაღლა განვაცხადეთ, ყრილობის დოკუმენტებშიც აღვნიშნეთ, რომ **არსებობს მეგრული ენა, როგორც სრულფასოვანი ენა, არსებობს მეგრული ენობრივი კულტურა, როგორც ქართული ენობრივი კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. არსებობს და კიდევაც უნდა იქმნებოდეს ლიტერატურული ნაწარმოებები მეგრულ ენაზე. ყველაფერი ეს პატივისცემას, შენარჩუნებას და განვითარებას ითხოვს.** ჩვენ ამ თემიდან ტაბუ მოვხსენით, დღეს მეგრულ ენაზე, მეგრულ კულტურაზე გაზეთებშიც წერენ, სამეცნიერო კონფერენციებზეც ღიად ლაპარაკობენ და ეს თემა, ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის პროვოკაციული გამოხდომების მიუხედავად, ღია გახდა.

**მოძრაობა „სამეგრელოს“ შექმნამ** (და დღევანდელი ყრილობაც ამის დადასტურებაა) **გამოამჟღავნა აქტიური, პატრიოტულად ორიენტირებული, პოლიტიკურად მომზადებული ადამიანების ჯგუფი, რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერ ცენტრალურ სახელისუფლო ორგანოში სამეგრელოს ინტერესების ღირსეული წარმოდგენა.** ჩვენი დღევანდელი ყრილობის შემადგენლობას რომ გადავხედოთ, დავრწმუნდებით, რომ აქ სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, სხვადასხვა იდეოლოგიური შეხედულების ადამიანები არიან, მაგრამ ჩვენ გვაერთიანებს სამეგრელოსა და საკუთარი ხალხის მიმართ სიყვარული. ყველას გვესმის, რომ ჩვენი ხალხის, ჩვენი შვილების მომავლისთვის ყველა უნდა გავერთიანდეთ და ერთიანად დავიცვათ რეგიონისა და ქვეყნის ინტერესები. ჩვენ მაშინაც განვაცხადეთ და დღესაც ვაცხადებთ, რომ **სამეგრელო, ისევე, როგორც მთლიანად საქართველო, მანამდე იქნება დათრგუნული, დაბეჩავებული, ღატაკი და დამცირებული, სანამ მისი მოსახლეობა პარტიული თუ მსოფლმხედველობითი ნიშნით იქნება დაქუცმაცებული და ერთმანეთს გადაკიდებული.**

ორი სიტყვა იმის შესახებ, თუ რატომ არ მიუღია აქტიური მონაწილეობა მოძრაობა „სამეგრელოს“ გასული ორი წლის პოლიტიკურ ბატალიებში. იცით, იყო აზრი იმისი თაობაზე, რომ მოძრაობა გადაკეთებულიყო პოლიტიკურ ორგანიზაციად და საპარლამენტო არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. ჩვენ არ მივიღეთ ეს მოსაზრება ორი მიზეზის გამო. პირველი არის ის, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებდით საზოგადოების დაქუცმაცებას პარტიული ნიშნით; მე კი მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც საქართველოში შეიქმნება, ხალხის გამთლიანება უნდა ჰქონდეს მიზნად. მოძრაობა „სამეგრელოს“, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ჩამოყალიბება ამის საშუალებას იძლეოდა. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციურ ძალთა დიდი ნაწილი ერთ ბლოკად გაერთიანდა. ამ ბლოკის უპერსპექტივობა ჩემთვის ნათელი იყო, მაგრამ არჩევნებში ჩვენი მონაწილეობის შემთხვევაში თავიანთ გარდაუვალ წარუმატებლობას ოპოზიცია ჩვენ დაგვაბრალებდა. ამიტომ ჩავთვალეთ, რომ იმ პერიოდში არსებულ ოპოზიციურ ბლოკს კარტბლანში უნდა მიეცეს, სამაგიეროდ დღეს ჩვენ სრული უფლება გვაქვს, განვაცხადოთ, რომ **ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას არ ძალუძს, საკუთარი ვიწროპარტიული ინტერესები გადალახოს და ჭეშმარიტი ეროვნული იდეის ირგვლივ გაერთიანდეს.**

**ყველა ის პირობა, რომლებმაც გამოიწვია სამეგრელოში ზეპარტიული სახალხო მოძრაობის შექმნის სურვილი ორი წლის წინ, რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, დღესაც უცვლელი რჩება.** რით ვხელმძღვანელობდით ჩვენ მოძრაობის შექმნისას? იმით, რომ ახლანდელი ხელისუფლების მმართველობის წლებში სამეგრელო აყვავებული, საკმაოდ განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული რეგიონიდან გაძარცულ, გალატაკებულ და ჩამორჩენილ პროვინციად გადაიქცა, უმუშევარი მოსახლეობით, ემიგრაციის კატასტროფული დონით, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით, გაყინული კულტურული ცხოვრებით. **აფხაზეთის დაკარგვისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების გადაკეტვის შედეგად სამეგრელო გეოეკონომიკურ ჩიხში მოექცა. უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეს ემატება ხალხის მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი ის დამცირება, ტანჯვა და შეურაცხყოფა, რომელიც ახლანდელმა ხელისუფლებამ მიაყენა სამეგრელოს მოსახლეობას.** როდესაც მე მსაყვედურობდნენ იმის თაობაზე, რომ სამეგრელოს განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობას ვუსვამდი ხაზს და მეუბნებოდნენ, რომ ყველა რეგიონი დიდ გაჭირვებას განიცდის, მე ვპასუხობდი და დღესაც ვპასუხობ: **ჯერ ერთი, რა საამაყო და სატრაბახოა, რომ მთელი ქვეყანა გაჭირვებასა და უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება. მეორეც, სამეგრელომ, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, უმძიმესი და უსასტიკესი მორალური დარტყმა მიიღო, რომელიც თავისი სიმძიმით ეკონომიკურ და სოციალურ სიდუხჭირეს ერთად აღებულს უდრის. საქართველოს სხვა რეგიონებს, საბედნიეროდ, ანალოგიური დარტყმა არ მიუღიათ.**

სწორედ ამიტომ ვამბობდი და ვამბობ, რომ **ხელისუფლებას, იმ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, იმ ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ვისაც საქართველოს გადარჩენა სურს, სამეგ-** ▶

**ჩვენ იძულებულნი ვართ, სულ ვუმტკიცოთ ვიღაცას, რომ ვართ ქართველები, რომ მთელი საქართველოს ტკივილი ისევე გვტკივა, როგორც ჩვენი კუთხის, ჩვენი ოჯახის სატკივარი. ამას ვუმტკიცებთ, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ იმ ხალხს, იმ ადამიანებს, ვინც თვითონ წლების განმავლობაში ანგრევენ ამ ქვეყანას და სპობენ ყველაფერ ქართულს.**

## ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **რელოს მიმართ განსაკუთრებული ყურადღება, განსაკუთრებული დამოკიდებულება, განსაკუთრებული ზრუნვა მართებთ.** მაგრამ ეს გარემოება ახლანდელი მმართველი ელიტისთვის, ინტელიგენციის ე. წ. ელიტარული ნაწილისთვის არც გასაგებია და არც მისაღები. ისინი, დიდი ხანია, მოწყვეტილნი არიან ქართულ ეროვნულ სხეულს, მათთვის უცხოა ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების პრობლემები. მეტიც, მთელი მათი მოღვაწეობა ბოლო წლების განმავლობაში საფუძველს გვაძლევს, განვაცხადოთ, რომ ქვეყნის დაშლა, ქართველი ერის დაქუცმაცება და საბოლოოდ მისი მოსპობა მათთვის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. არსებობს ერთადერთი საშუალება, ვაიძულოთ მათ ქვეყნისა და ერის ინტერესების დაცვა. ეს საშუალება ძალის დემონსტრირებაა, მაგრამ რას წარმოადგენდა ან რას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით სამეგრელო? **დიდი მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ გენოციდი, შეურაცხყოფა, გაღატაკება თავს დაატყდა სამეგრელოს იმიტომ, რომ ამ პერიოდში სამეგრელო არ წარმოადგენდა და არც დღეს წარმოადგენს ანგარიშგასაწევ ძალას. ჩვენ არ გაგვაჩნდა და არც დღეს გაგვაჩნია ის ერთიანი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც აიძულებდა ანტიეროვნულ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ, თუ არ იზრუნებს, ხელი მაინც არ შეუშალოს რეგიონის განვითარებას.**

თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ სამეგრელოს პრობლემებზე, სამეგრელოს მოსახლეობის გაჭირვებულ მდგომარეობაზე, სამეგრელოს პერსპექტივებზე ნებისმიერი მსჯელობა გარკვეულ წრეებში მაშინვე იწვევს ბრალდებას სეპარატიზმში. თვით სიტყვაც კი „სამეგრელო“ ზოგიერთის ავადმყოფურ აზროვნებაში სეპარატიზმთანაა დაკავშირებული. ამ სენმა ისეთი გავრცელება ჰპოვა, რომ თვით მეგრელებიც კი ერიდებიან სამეგრელოს სავალალო მდგომარეობაზე, მეგრულ კულტურასა თუ სპეციფიკაზე საჯარო საუბარს, ამ ბრალდების თავიდან ასაცილებლად. მეტიც, ამ ბრალდებებმა ჩვენს ხალხში თავისებური არასრულფასოვნების კომპლექსიც კი ჩამოაყალიბა. **ჩვენ იძულებულნი ვართ, სულ ვუმტკიცოთ ვიღაცას, რომ ვართ ქართველები, რომ მთელი საქართველოს ტკივილი ისევე გვტკივა, როგორც ჩვენი კუთხის, ჩვენი ოჯახის სატკივარი. ამას ვუმტკიცებთ, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ იმ ხალხს, იმ ადამიანებს, ვინც თვითონ წლების განმავლობაში ანგრევენ ამ ქვეყანას და სპობენ ყველაფერ ქართულს.** მოძრაობა „სამეგრელოს“ წინა ყრილობა სწორედ ამ კომპლექსისგან გათავისუფლების ცდა იყო. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ არაფერი გვჭირს საკომპლექსო.

იმ უვიც, გაუნათლებელ, ანტიეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკანებსა თუ ფსევდოინტელიგენტებს შევახსენებ, რომ სამეგრელოს მთელი ისტორიის მანძილზე საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ გამაერთიანებელი ფუნქციის შესრულება ეკისრა. მეტიც, ისტორიაში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ საქართველოს დაქუცმაცების პერიოდში (არადა, ეს პერიოდი თითქმის მთელ ისტორიას მოიცავს, 200-250 წლის გამოკლებით) არსებობდნენ კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები, მაგრამ, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად, დადიანებს არასოდეს უცდიათ სამეგრელოს სამეფოდ გამოცხადება. იმდენად ძლიერი იყო ყოველთვის მეგრულ საზოგადოებაში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისკენ ლტოლვა. **დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვისაც ერთიანი საქართველოს შექმნისთვის, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისთვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელმა გააკეთა. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელსაც საქართველოს, მათ შორის თბილისის, აფხაზეთის გაქართველებისთვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიამ გააკეთა. დამისახელოს ვინმემ პიროვნება, რომელსაც ქართველთა სულიერი გაერთიანებისთვის, ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისთვის, ქართული სულის ამაღლებისთვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ეს ზვიად გამსახურდიამ გააკეთა.**

ნუთუ არ რცხვენია ვიღაც პოეტსა თუ მსახიობს ამის შემდეგ სამეგრელოსთვის სეპარატიზმის დაბრალება? მაგრამ ისინი სეპარატიზმს ეძახიან იმას, როდესაც ადგილობრივი ადამიანი, მათივე ბანდიტური თავდასხმებით გაუბედურებული, მათივე ეკონომიკური პოლიტიკით გაღატაკებული, მათივე სოციალური პოლიტიკის გამო უმწეო, მათივე ქმედებებით დაცემული, მშიერი, მომაკვდავი, ყვირის: რას შვრებით, ხალხო, რატომ მკლავთ? პასუხად გაისმის: არ მოგწონს, პროტესტს აცხადებ? ე. ი. სეპარატისტი ხარო.

**მიზანმიმართულად ყალიბდება აზრი, რომ სამეგრელოს მოსახლეობის მიერ ნებისმიერი უკმაყოფილების გამოხატვის ნებისმიერი ფორმა სეპარატიზმს ისახავს მიზნად, ე. ი. ჩვენ ჩუმად, უსიტყვოდ, უპროტესტოდ უნდა დავიხოცოთ, თორემ ყველა სხვა შემთხვევაში სეპარატიზმს დაგვაბრალებენ.** ბევრი ჩემი მეგობარი, აქაური მკვიდრი, სისტემატურად მაფრთხილებს: შენი ჭირიმე, არ თქვა არაფერი სამეგრელოზე, თორემ სეპარატიზმს დაგაბრალებენო. ასეთი ქცევა, ასეთი მიდგომა, ასეთი დამოკიდებულება ჩვენთვის, ყველასთვის კატეგორიულად მიუღებელი უნდა იყოს. მეტიც, **ჩვენ ნათლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღევანდელ დაშლილ, დანგრეულ, დაქუცმაცებულ, ეკონომიკურად და ზნეობრივად დაცემულ, შეურაცხყოფილ საქართველოში ჩვენ ისევ და ისევ, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა ისტორიაში, გამაერთიანებელი როლი უნდა შევასრულოთ.** მეგრელებისთვის, ისევე, როგორც სხვა ქართველებისთვის, ცხოვრების არეალს მთელი საქართველო წარმოადგენს. **თუ ახლანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს ერთი კუთხე — აფხაზეთი მეგრელებისგან გაათავისუფლა, ნუ ექნება იმის იმედი, რომ სხვა კუთხეებიდანაც გაგვდევნის და რომელიღაც გამოყოფილ „სამეგრელოს რესპუბლიკაში“ ერთად მოგვიყრის თავს.**

> **აკაკი წერეთელი:**
> **მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყენს. და მეგრულ ენაში კი შენახულან მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსოს დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი.**

ახლა მინდა შევეხო ისეთ სათუთ, ასე ვთქვათ, დელიკატურ საკითხს, როგორიცაა მეგრული ენის არსებობა და გამოყენება. სამწუხაროა, რომ მე, ქართველი კაცი, იძულებული ვარ, ერთ-ერთი ქართველური ენის შესახებ, როგორც დელიკატურ საკითხზე ვილაპარაკო. მაგრამ ფაქტია, რომ წლების განმავლობაში ენა, რომელზეც ქართველთა ერთი მესამედი ლაპარაკობს, უძველესი ენა, რომლის ლექსიკური მარაგი ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში, ქართველების მიერვე ხან კილოთი, ხან დიალექტით, ხან დამახინჯებული ქართულით იწოდებოდა. მინდა შეგახსენოთ **აკაკი წერეთლის** სიტყვები: **„მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყენს. და მეგრულ ენაში კი შენახულან მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსოს დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი“.** ეს არის დიდი აკაკის რჩევა მწერალ-მწიგნობართათვის.

მოდით, დავუკვირდეთ, როგორ ასრულებენ ახლანდელი მწერალ-მწიგნობრები დიდი პოეტის, ერის ნამდვილი სულიერი მოძღვრის რჩევას. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პირდაპირ აცხადებს, რომ მეგრულის ენად ხსენება დაუშვებელია და მეგრულის გამოყენება უნდა აიკრძალოსო. მისივე ჭკუით მოაზროვნემ, ქართველ პოეტად წოდებულმა ადამიანმა მიჯღარკ-მოჯღარკული უწოდა მეგრულ ენას და ამით მთელ ქართველ ერს შეურაცხყოფა მიაყენა. ამის შემდეგ ის ქართველ პოეტად არ შეიძლება ჩაითვალოს. მან შეურაცხყოფა მიაყენა უძველეს ხალხს, რომელზეც „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტე ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში წერდა: **„კოლხებს ოდესღაც დამწერლობა ჰქონდათო“,** რომელზეც აპოლონიოს როდოსელი IV საუკუნეში წერდა: **„კოლხებს შენახული აქვთ მამათგან ნაწერი კვირბები, რომლებზეც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“.** იოანე ანტიოქელი ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში წერდა: **„იაზონმა და მისმა მხლებლებმა, პონტოს ზღვით კოლხეთს მოღწეულებმა, მოიპოვეს მედეა და ეგრეთ წოდებული ოქროს საწმისი. ეს ისე კი არ იყო, როგორც პოეტურად გადმოგვცემდნენ, არამედ იყო წიგნი ტყავზე ნაწერი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით“.**

ასეთი სულიერი სიმდიდრის მემკვიდრეებს შეურაცხყოფას აყენებენ ქართველ ინტელიგენტებად წოდებული უვიცები. არადა, **ნებისმიერი ნორმალური ქართველი უნდა ამაყობდეს იმით, რომ არსებობს უმდიდრესი ფენომენი — ქართველური ენობრივი კულტურა, რომელიც მოიცავს თვით ქართულ, მეგრულ და სვანურ ენობრივ კულტურებს.**

საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა უმდიდრესი მეგრული ფოლკლორი, იწერებოდა და დღესაც იწერება მშვენიერი ლექსები, მოთხრობები, ესსეები, რომანებიც კი მეგრულ ენაზე. ცალკეული ენთუზიასტების, ნამდვილი ქართველი ინტელიგენტების მიერ მეგრული მეცნიერულად იკვლეოდა, როგორც უმდიდრესი ლექსიკური მარაგის მქონე ენა. გეკითხებით თქვენ და ვეკითხები ქართულ ინტელიგენციას, ფილოლოგებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებს — **რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე? ვის ინტერესებში შედის ამ უმდიდრესი საუნჯის დაკარგვა? დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მომავალი თაობების ინტერესებში ეს დანაშაულებრივი ქმედებანი არ შეიძლება შედიოდეს.**

ახლახან ბატონმა გიორგი სიჭინავამ მაჩუქა თავისი ლექსების კრებული მეგრულ ენაზე. ლექსებისა, რომლებიც იმდენად ლამაზია, იმდენად შინაარსიანია, ჟღერადია, მუსიკალურია, რომ მე ამ კრებულს მთელი ეს დღეები თან ვატარებ და ყველას, ვისაც შეიძლება აინტერესებდეს, ვუჩვენებ. ბატონი გიორგი გამოსცემს შესანიშნავ ჟურნალ „აია“-ს, სადაც ასევე მშვენიერი ნაწარმოებები იწერება. ამიხსენით, რატომ არ უნდა იყოს ეს სფერო საქართველოს ხელისუფლების, ქართული ინტელიგენციის ზრუნვის საგანი? **კატალონურ ენაზე წერენ მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები — ესპინასი, ტორესი, პორსელი, მაგრამ ისინი გამოჩენილ ესპანელ მწერლებად ითვლებიან. იმავე ესპანეთში არსებობს და წარმატებით ვითარდება გალისიური ლიტერატურა — ვარელა, კასარესი, მაგრამ ეს ესპანური კულტურის განუყოფელი ნაწილია.** რატომ არ შეიძლება მეგრულ ენაზე შექმნილი ლექსი თუ რომანი იყოს ქართული ლიტერატურის ღირსეული ნაწილი?

ბატონმა გიორგიმ მის მიერვე შედგენილი „ნანაში ნინა“ მაჩუქა, რომელიც მეგრული ენის თვითმასწავლებელს წარმოადგენს და ნახეთ, რა სიტყვები აქვს ბატონ გიორგის წამძღვარებული წინ: **„ჩემო პატარა მკითხველო, უნდა იცოდე, რომ მეგრული და სვანური ქართველური ენებია და ჩვენი საყვარელი სამშობლო საქართველო კოლხ-იბერთა ქვეყანაა. კოლხებსა და იბერებს ერთი წინაპარი ჰყავდათ, დღესაც კუთხეებად განტოტვილნი, ისე, როგორც ხეთა შტოები, ერთი ფესვიდან იკვებებიან. ქართველი ერის აკვანი შორეულ აიაში დაირწა და დღესაც შორეული წარსულიდან ისმის საყვარელი მელოდია:**

**„ია ნანა, მარდუ ნანა,**
**ია ნანინა“.**

**თავდაპირველად იქნებ გეუცხოოთ მეგრული სიტყვები, მაგრამ უცხო არ არის. ის ძველისძველია, თქვენი სისხლით ნათესავების, თქვენი აიელი წინაპრების ხმებია“.**

მითხარით, რა არის ცუდი იმაში, რომ ქართველი მოსწავლე საქართველოს ყველა კუთხეში ამას წაიკითხავს, ამ ჭეშმარიტებას გაიცნობიერებს და, როდესაც სამეგრელოში თავის თანატოლების წრეში სტუმრად აღმოჩნდება, მეგრულის გაგონებაზე იფიქრებს: ეს ჩემი ძირძველი ენაა, ეს ქართულია, მშობლიურია. შეუწყობს თუ არა ეს ხელს ქართველი ერის გამთლიანებას? მოგეხსენებათ, რომ **იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებით, იქ ჯერ კიდევ 10 წლის წინ სკოლებში შემოღებული იქნა იტალიური ენის ყველა დიალექტის სწავლება. იტალიელები რატომღაც თვლიან, რომ ეს ერის კონსოლიდაციას უწყობს ხელს. ასევე მოიქცა საფრანგეთის მთავრობა სამი წლის წინ ბრეტონელებისა და კორსიკელების მიმართ,** მაგრამ **ჩვენს „რეფორმატორებს“ სიამოვნებით გადმოაქვთ დასავლეთიდან ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც ყოვლად მიუღებელია ქართული ტრადიციული საზოგადოებისათვის, ქართული ეკონომიკისათვის, ქართული ეროვნული შეგნებისათვის, ხოლო დასავლეთის ქვეყნების ის გამოცდილება, რომელიც მართლა მისაღებია, რომელიც ერის გაერთიანებას ემსახურება, ჩვენი ხელისუფლებისათვის მიუღებელია.**

სწორედ ამიტომ ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთ ამოცანად მიმაჩნია მეგრული ენობრივი კულტურის შენარჩუნება და განვითარება, მათ შორის შესაბამისი ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება. სწორედ ეს მიდგომა მისაღები უნდა იყოს იმ ხალხისთვის, იმ ცენტრალური ხელისუფლებისთვის, იმ ცალკეული პირებისთვის, ვისაც ნამდვილად სურთ ქართველი ერის ისტორიულ-კულტურული ერთობის შენარჩუნება, მრავალსაუკუნოვანი ქართული ეროვნული კულტურის განვითარება და ქვეყნის ტერიტორიული თუ სულიერი მთლიანობის აღდგენა. **ყველამ უნდა გაიგოს, რომ სამეგრელოს, მეგრელების, მეგრული ენის, კულტურის, ტრადიციული თვითმყოფადობის, სპეციფიკური თავისებურებების დაცინვა, აუგად ხსენება, შეურაცხყოფა ქართველობის მტრობას ნიშნავს, ქვეყნის დაშლას, ერთიანი ქართული ეროვნული სხეულის დანაწევრებას. ეს მოღვაწეები ერის მტრებად უნდა გამოცხადდნენ.**

კიდევ ერთი თემა, რომელიც ძალზე აქტუალურია და გარკვეულ ახსნას მოითხოვს, მათ შორის ჩვენს ყრილობაზეც. ეს არის აფხაზეთის თემა. დღეს ჩვენ მოწმე ვართ იმისა, რომ ხელისუფლების მიერ პანკისის ხეობიდან მთელი საქართველოს გავლით, ჯერ სამეგრელოში, შემდეგ კი კოდორის ხეობაში გადაყვანილი ჩეჩენთა რაზმი გაურკვეველი მიზნით საომარ მოქმედებას ატარებს აფხაზეთში. აქა-იქ გაისმის შეძახილები: სამეგრელო ამ ბრძოლაში უნდა ჩაერთოსო. ასეთივე შეძახილები, მოწოდებები, პრეზიდენტის მოთხოვნები იყო აფხაზეთის ომის დროსაც, იმ ომისა, რომლის შედეგად აფხაზეთიდან ორასი ათასზე მეტი ქართველი განდევნეს, ღატაკი და გაუბედურებული ბედის ანაბარა დატოვეს, ათასობით ადამიანი კი დაიხოცა. ასეთივე შეძახილები იყო 1998 წელს გალში დატრიალებული ტრაგედიის წინა პერიოდშიც. იმ ტრაგედიისა, რომლის შედეგად გალში დაბრუნებულ, ასე თუ ისე ცხოვრებაგანახლებულ ჩვენს ხალხს ისევ ყველაფერი დაატოვებინეს და უსახლკარო ბრბოდ აქციეს.

**და თქვენ გინდათ, რომ ამ უბედურებების, ამ არნახული ტრაგედიების ინიციატორისა და შემსრულებლის — ახლანდელი ხელისუფლების მორიგ შეძახილს, მორიგ პროვოკაციას, მორიგ ავანტიურას მე დავუჯერო? ყაჩაღი რომ გაგძარცვავს, მიამიტობა, სისულელე არ იქნება იმის იმედი, რომ ნაძარცვს დაგიბრუნებს? კაცი, რომელმაც თანამემამულეთა სისხლისა და უბედურების ფასად აფხაზეთი გაყიდა, ის აფხაზეთს დაგიბრუნებს? მეტი არაა ჩემი მტერი!**

მე არ შემიძლია იმ კაცის კე**თილი ზრახვების დავიჯერო, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აფხაზეთი დაკარგულიყო, რომელმაც ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ ჩემი ხალხი გაუბედურებულიყო, რომელმაც არა მარტო აფხაზეთში მცხოვრები ქართველები გაყიდა, არამედ თვით სამეგრელო არა ერთხელ, არა ორჯერ, არამედ ხუთჯერ ზედიზედ** ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე ძლიერი, ყველაზე ავტორიტეტული, ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა სამეგრელოში სწორედ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ უნდა იყოს. ეს ისეთი ძალა უნდა იყოს, რომელიც მთელ მოსახლეობას გააერთიანებს, მთელი სამეგრელოს ინტერესების გამომხატველი იქნება, რომელიც იქნება ყველაზე ავტორიტეტული და ანგარიშგასაწევი ძალა ნებისმიერ პარტიასთან თუ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას.

◀ **გადაბუგა, დაამცირა და შეურაცხყო, რომელსაც ტელეფონით ურეკავდნენ და სამეგრელოს მშიერი მოსახლეობისთვის ფქვილის გამოყოფას თხოვდნენ, პასუხად ესმოდათ: დაიხოცონ შიმშილითო! ამ კაცს აფხაზეთის დაბრუნება და სამეგრელოს აყვავება შეიძლება უნდოდეს? მე არ შემიძლია, აგრეთვე, იმ ჩეჩენის კეთილი ზრახვების დავიჯერო, რომელიც აფხაზეთში ჩემს ძმებს თავებს კვეთდა, სისხლით ჭიქას ავსებდა და ჩემი თანამოძმის სისხლს სვამდა, ხოლო დღეს აფხაზეთის დამბრუნებლად და ჩვენს მხსნელად გვევლინება.**

ყველა წესის, ნებისმიერი ლოგიკის მიხედვით, მითუმეტეს თუ ჩვენი ხელისუფლების აფხაზეთთან დაკავშირებულ მოღვაწეობას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე მოვლენები შემდეგნაირად დასრულდება: ისევ დაიღვრება სისხლი, ისევ დაზარალდება იქ მცხოვრები ქართული მოსახლეობა და შემდეგ დაიწყება პროპაგანდისტული კამპანია ასეთი ლაიტმოტივით: ომი წავაგეთ, 1998 წელს ვეცადეთ, 2001 წელსაც, მათ შორის ჩეჩნების დახმარებითაც კი, ისევ შევეცადეთ აფხაზეთის დაბრუნებას, არაფერი გამოგვდისო, აფხაზეთის დაკარგვას უნდა შევეგუოთო. **დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი, რაც კეთდება, იმისათვის კეთდება, რომ ქართველმა ხალხმა აფხაზეთზე ხელი ჩაიქნიოს.**

აბა, რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ხელისუფლებას უცხო შენაერთები გადაჰყავს აფხაზეთის ტერიტორიაზე, ამით ხდება შეტაკებების პროვოცირება, ამასთანავე იცის, რომ ლტოლვილთა დიდი ნაწილი მზად არის, საომრად წავიდეს აფხაზეთში და ამასობაში თვით ხელისუფლება თავისი „განთქმული“ ჯარით, შეიარაღებით არც აპირებს ამ პროცესებში მონაწილეობის მიღებას? რა მამაცი ბიჭებიც არ უნდა იყვნენ პარტიზანულ რაზმებში, ნუთუ მათი ძალით შესაძლებელია აფხაზეთის დაბრუნება? ჩვენ თუ ეს ვიცით, ხელისუფლებამ არ იცის? ე. ი. რა არის ამაში ჩადებული? მორიგი დამარცხება, ახალი მსხვერპლი, ახალი უბედურება და შედეგად საზოგადოებაში იმ უიმედობის ჩასახვა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

**თქვენ იცით, რომ მე აფხაზეთის მკვიდრი ვარ. მართალია, იქ აღარაფერი დამრჩა, ყველაფერი გადაწვეს და გადაბუგეს, მაგრამ მამაჩემისა და ბაბუაჩემის საფლავები იქ არის, ისევე, როგორც მთელი ჩემი ნათესაობის დიდი ნაწილისა. და იმ წმინდა მიწის დაბრუნება ჩემი არა მხოლოდ ოცნებაა, არამედ მტკიცე გადაწყვეტილება. როცა ეს მოხდება, მე ჩავთვლი, რომ ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი მიღწეულია. მეტიც, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩემი ბოლოდროინდელი ჩართვა სწორედ ამ მიზნითაა განპირობებული.**

კარგად მოგეხსენებათ, რომ **აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კიდევ ერთი, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობა ჰქვია.** ალბათ, ბევრჯერ გსმენიათ, რომ მე რუსული ორიენტაცია მახასიათებს, რომ „კრემლის აგენტი“ ვარ და ა. შ. აქ ჩვენ საერთოდ საოცარ პარადოქსთან გვაქვს საქმე. **როგორც კი ვიწყებ ლაპარაკს ქართველი ერის შენარჩუნებაზე, საქართველოს რეალურ ეკონომიკურ განვითარებაზე, მართლმადიდებლობისა თუ ქართული ეროვნული თვითშეგნების გადარჩენაზე, მაშინვე „კრემლის აგენტობას“ მაბრალებენ.** მაბრალებენ ისინი, ვინც წლების განმავლობაში მიზანმიმართულად, დაუმალავად სპობენ ქართველობას, ღიად უპირისპირდებიან ქართულ მართლმადიდებლობას, უარყოფენ ქართულ ეროვნებას, ანადგურებენ ქართულ კულტურას და ცვლიან მას ამერიკული კულტურული სუროგატით.

რაც შეეხება ჩემს „პრორუსულობას“, მითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ მხოლოდ და **მხოლოდ საქართველოს მტერს შეუძლია ისურვოს რუსეთთან ჩვენი მტრული ურთიერთობა.** მხოლოდ და მხოლოდ იდიოტს შეუძლია იმ ქვეყანასთან ურთიერთობების გაფუჭება, რომლის ბაზარს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ვისზეც აბსოლუტურად არის დამოკიდებული ყველა ეკონომიკური მიმართულებით, და სადაც ჩვენი ერის ერთი მესამედი ნაწილი იძულებითაა გადასახლებული, იქ მუშაობს და იქ ნაშოვნი ფულით კიდევ ერთ მესამედს სამშობლოში ინახავს. **რა არის ჩვენი ხელისუფლების რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკის არსი? ლანძღვა, გინება, შეურიგებლობა, ხოლო კრიტიკულ მომენტში აბსოლუტურად ყველაფრის დაგმობა და ქვეყნის ჩაგდება კიდევ უფრო დიდ გასაჭირში. შეიძლება ეს პოლიტიკად ჩაითვალოს?**

დამისახელეთ ერთი ფაქტი მაინც, როდესაც შევარდნაძემ და მისმა გაუნათლებელმა მოლაყბე გუნდმა რამეში რუსეთს მოუგო ან მცირეოდენი ზარალი მიაყენა მაინც, მიუხედავად იმ სისტემატიური მუქარისა, ლანძღვა-გინებისა, სასაცილო და სამარცხვინო ულტიმატუმებისა, რომლებიც მუდმივად ისმის მათი მხრიდან. ვის და რატომ აწყობს ასეთი ურთიერთობა რუსეთთან? რას გვაძლევს ასეთი ურთიერთობა? მითუმეტეს დღეს, როდესაც რუსეთში ახალი ხელმძღვანელობაა, რომელსაც, ელცინის დროინდელი ხელმძღვანელობისგან განსხვავებით, უფრო გაეგება რუსეთისა და რუსი ხალხის ეროვნული ინტერესებისა, რაც მეტწილად შეესაბამება საქართველოსა და ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ ბატონ **ზვიად გამსახურდიას** სიტყვებს: **„მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმიდან აქვს თავს მოხვეული. ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა, მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლური მეზობლის სახით. მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ რუსეთის ხელისუფლებას“.**

## ნებისმიერი მეგრელისთვის საქართველოს სიყვარული სამეგრელოს სიყვარულით იწყება. არ მწამს იმ ქართველისა, ვინც დიდ გეოპოლიტიკაზე მსჯელობს, ხოლო მშობლიური კუთხის ბედი არ აღელვებს

**არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოში უნდა იყოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც შეძლებს ყველა მეზობელ ქვეყანასთან, ყოველგვარი ლანძღვა-გინების გარეშე, ნორმალური ურთიერთობების დამყარებას, შეძლებს დიდი ქვეყნების სამხედრო-სტრატეგიული და გეოეკონომიკური ინტერესების საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან შეკავშირებას. მხოლოდ ასე შეიძლება შენარჩუნდეს ქართველი ერი და ქართული სახელმწიფოებრიობა.** ამის საშუალება საქართველოს გააჩნია, ვინაიდან უნიკალური და ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა აქვს. და აქვს იმიტომ, რომ ღმერთმა ეს მდგომარეობა გვიბოძა, ოღონდ ერთი პირობით: ქვეყნის ხელმძღვანელობას თავში ტვინი, ხოლო გულში სამშობლოს სიყვარული უნდა ჰქონდესო. არაერთხელ მითქვამს და დღესაც მინდა გავიმეორო, რომ **საქართველოს ხელმძღვანელობამ** (რა თქმა უნდა, მომავალმა, ვინაიდან ახლანდელის იმედი ჩემს მტერს ჰქონდეს) **დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში ურთიერთმეგობრობისა და მათი გეოსტრატეგიული ინტერესების გათვალისწინების პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს, მაგრამ ამასთანავე არასოდეს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა იმ გეოპოლიტიკური პროექტების რეალიზაციაში, რომელიც ქართველ ერს ზიანს მიაყენებს, თუნდაც ეს პროექტები ყველა დიდი ქვეყნის ურთიერთშეთანხმების შედეგი იყოს.**

მოძრაობა „სამეგრელოს“ როლისა და ფუნქციის თვალსაზრისით, დიდად მნიშვნელოვანია მისი შემადგენლობის საკითხი. ვინ უნდა იყოს მოძრაობის წევრი? მე მიმაჩნია, რომ ჩვენი კარი უნდა იყოს ღია ნებისმიერი პიროვნებისთვის, ვისაც სხვა პატრიოტებთან ერთად სამეგრელოს განვითარება, მისი ჩიხიდან გამოყვანა სურს; ვისთვისაც მეგრული კულტურა, ენა, ტრადიციები, თვითმყოფადობა, სპეციფიკა ძვირფას და სანუკვარ განძს წარმოადგენს, ვინც ყველაფერ ამას ზოგადქართული მნიშვნელობის ფასეულობად მიიჩნევს. ჩვენთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი პარტიის, სხვა ორგანიზაციის წევრი არის ესა თუ ის პიროვნება, რა პარტიული თუ იდეოლოგიური დოქტრინის მატარებელია იგი. **სამშობლოს სიყვარულში, წარსულისა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა ყველამ უნდა ავიღოთ. თუ ჩვენ ამ პრინციპს დავიცავთ, მაშინ შესაბამისად დაცული იქნება ერის არსებობისა და განვითარების მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი — მემკვიდრეობითობა.**

მოგეხსენებათ, რომ ერი მარტო დღეს მცხოვრები ხალხი როდია. ერი წარსული, აწმყო და მომავალი თაობების ერთობლიობაა. ამ ისტორიული ჯაჭვიდან რომელიმე ერთი რგოლის ამოგდებაც კი მემკვიდრეობითობას სპობს და ისტორიის სვლას წყვეტს. როდესაც ზოგიერთი პოლიტიკოსი ჩვენი ისტორიის რომელიმე პერიოდის კატეგორიულ უარყოფას, დავიწყებას ითხოვს, ამით ერის წინაშე დიდ დანაშაულს ჩადის. ერის ისტორიაში არ შეიძლება „შავი ხვრელის“, სიცარიელის არსებობა. **ერის არსებობის ნებისმიერი პერიოდი, რა ტრაგიკულიც და მიუღებელიც არ უნდა ჩანდეს ჩვენთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას განაპირობებს. ამიტომ, ვისაც რა სურვილი არ უნდა ჰქონდეს, ისტორიიდან ვერ ამოიღებ ვერც კომუნისტურ ეპოქას, ვერც ეროვნული ხელისუფლებისა და ვერც გაკოტრებული შევარდნაძისა და ანტიეროვნული „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობის პერიოდს.** ამ სამ ისტორიულ მონაკვეთს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ დღეს მცხოვრებ ქართველობას სწორედ ამ პერიოდებში მოუწია მოღვაწეობა. ამიტომ ჩვენთვის კატეგორიულად გამორიცხული უნდა იყოს პიროვნებისადმი მიდგომა იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა იგი ჩვენი უახლესი ისტორიის ამა თუ იმ წლებში, რაც ხანდახან გაისმის ჩვენს საზოგადოებაში. ზოგისთვის კომუნისტია მიუღებელი, მაგრამ ავიწყდება, რომ მისი მამა თუ ბაბუა, ბიძა თუ ძმა კომუნისტი იყო და როგორც შეეძლო, ისე შრომობდა ქვეყნის საკეთილდღეოდ. მათ, რაც იმ დროს შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. მოდით, ჩვენ უკეთესად გავაკეთოთ, თუმცა დღემდე მსგავსიც კი არაფერი გაკეთებულა.

**ზოგისთვის ეროვნული ხელისუფლების ხანმოკლე, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდია მიუღებელი და არ ითვალისწინებს იმას, რომ სწორედ ამ პერიოდში ყველამ ერთად ვიგრძენით, რომ ერთიანი ორგანიზმი, ერთიანი ეროვნული სხეული ვართ, რომელსაც „ქართველობა“ ჰქვია.** ახლანდელ პერიოდშიც, როდესაც ქართველებისთვის ყველაზე ამაზრზენი, მიუღებელი, ანტიქართული ხელისუფლება გვყავს, უნდა გვახსოვდეს, რომ იმავე „მოქალაქეთა კავშირში“ გაერთიანებულია ბევრი ნორმალური, წესიერი, შეიძლება მიამიტი, შეიძლება რაღაცით დაინტერესებული პიროვნება, მაგრამ ისინიც ჩვენი ერის ნაწილი არიან და მათი უარყოფა ასევე დაუშვებელია. ვიმეორებ, **რა პოლიტიკური მრწამსის, რა მსოფლმხედველობითი პრინციპის მქონეც არ უნდა იყოს ესა თუ ის პიროვნება, თუ იგი პატრიოტია, თუ მას სამშობლო უყვარს, თუ მას ერის ნორმალური მომავალი სურს, მაშინ იგი ჩვენი თანამოაზრე, პარტნიორი, ჩვენი თანამებრძოლია.**

**მოძრაობის შექმნით, ჩვენ არ ვქმნიდით მორიგ პარტიას, „მემარჯვენე“ თუ „მემარცხენე“ ორიენტაციით, ჩვენ ვქმნით საზოგადოებრივ ძალას, რომლის მიზანია ჩვენი სამშობლოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, სამეგრელოს საზოგადოების რეალურ ძალად გადაქცევა. ჩვენ უნდა გაგვაერთიანოს არა ვიწროპარტიულმა ინტერესებმა, არა პარტიულმა მსოფლმხედველობამ, არა რომელიღაც უცხო იდეოლოგიურმა დოქტრინამ, არამედ ქართულმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა პოზიციამ, რომელიც ორი სიტყვით გამოიხატება — „სამშობლოს გადარჩენა“.** თქვენ იცით, რომ ახლახან შეიქმნა სრულიად საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“, რომლის დამფუძნებელი ბატონ ჯუმბერ პატიაშვილთან ერთად მეც გახლავართ. რა თქმა უნდა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის თანათავმჯდომარეს, მსურს, რომ ამ გაერთიანების ორგანიზაციები მთელ საქართველოში არსებობდეს, ძალას წარმოადგენდეს, ავტორიტეტით სარგებლობდეს. მაგრამ, მიუხედავად ამ ჩემი პარტიული კუთვნილებისა, ხმამაღლა ვაცხადებ: **ყველაზე ძლიერი, ყველაზე ავტორიტეტული, ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა სამეგრელოში სწორედ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ უნდა იყოს. ეს ისეთი ძალა უნდა იყოს, რომელიც მთელ მოსახლეობას გააერთიანებს, მთელი სამეგრელოს ინტერესების გამომხატველი იქნება, რომელიც იქნება ყველაზე ავტორიტეტული და ანგარიშგასაწევი ძალა ნებისმიერ პარტიასთან თუ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას.** ეს უნდა იყოს ისეთი ძალა, რომელიც თვითონ, დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელ პარტიას დაუჭიროს მხარი საპარლამენტო არჩევნების დროს, რომელ კანდიდატურას დაუჭიროს მხარი საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ანუ ეს უნდა იყოს ძალა, რომლის გადაწყვეტილება მთელი სამეგრელოს მხარდაჭერას ნიშნავს და იმ პარტიამ, იმ საარჩევნო ბლოკმა, პრეზიდენტობის იმ კანდიდატმა, რომელსაც სამეგრელოს მოსახლეობის სრული მხარდაჭერა დასჭირდება, სწორედ ამ სახალხო მოძრაობასთან უნდა დაამყაროს ურთიერთობა და სწორედ მას უნდა მისცეს შესაბამისი გარანტიები, იქნება ეს საარჩევნო სიაში ადგილების რაოდენობა თუ სამეგრელოში კონკრეტული ეკონომიკური პროექტების რეალიზება. ყველა სხვა შემთხვევაში, სამეგრელოს ხმებით მხოლოდ ისარგებლებენ და შემდეგ არჩევნებამდე ისევ დაივიწყებენ ჩვენს გასაჭირს, რაც უკვე არაერთხელ მომხდარა.

**ყველა ის პრობლემა, რომელზეც ჩემი მოსაზრება მოგახსენეთ, ზოგადქართული მნიშვნელობისაა. მაგრამ არის, რა თქმა უნდა, უამრავი ისეთი პრობლემაც, რომელიც დღევანდელ ჩემს გამოსვლაში არ აისახა და რომელსაც ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.** მე გააზრებულად ავარიდე თავი იმ სავალალო მდგომარეობის აღწერას, რომელშიც დღეს იმყოფება საქართველო. ვინაიდან ვიცი, რომ დარბაზში განათლებული, პოლიტიკურად მომზადებული და საკმაოდ ინფორმირებული საზოგადოება ბრძანდება, ამიტომ ზედმეტად ჩავთვალე იმ კატასტროფის, იმ საყოველთაო სისტემური კრიზისის აღწერა, რომელმაც ამჟამინდელი ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებების გამო საზოგადოების ფუნქციონირების ყველა სფერო მოიცვა. თუ რომელიმე კონკრეტული საკითხი გაინტერესებთ, გამოკვეთეთ ნებისმიერი ფორმით, წერილობით თუ სიტყვიერად და შევეცდები, პასუხი გაგცეთ. ერთი რამ მინდა მოგახსენოთ: იმ პოლიტიკური გაერთიანების ლოზუნგი, რომელიც ჩვენ ახლახან შევქმენით, არის — **„ერთობა — საქართველოს გადასარჩენად!“** ჩვენი დევიზი, დიდი ვაჟას გულისტკივილის გამომხატველი სულისშემძვრელი სიტყვებია, რომლებიც დღესაც, სამწუხაროდ, აქტუალურია: **„ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო!“.**

**ნებისმიერი მეგრელისთვის საქართველოს სიყვარული სამეგრელოს სიყვარულით იწყება. არ მწამს იმ ქართველისა, ვინც დიდ გეოპოლიტიკაზე მსჯელობს, ხოლო მშობლიური კუთხის ბედი არ აღელვებს.**

**დღეს საქართველოს და ქართველი ერის ისტორიაში საბედისწერო მომენტი დადგა. წყდება ერის არსებობის საკითხი. იმაზე, თუ რას მოიმოქმედებს ქართველი ხალხი უახლოესი ერთი-ორი წლის განმავლობაში, დამოკიდებულია მისი მომავალი. იმისათვის, რომ ერს მომავალი ჰქონდეს, პირველ რიგში, აუცილებელია ქართველთა ერთობა — ან ჩვენ გავერთიანდებით და ერთად დავდგებით იმ კატასტროფული საფრთხის წინაშე, რომელიც ჩვენს არსებობას ემუქრება, ანდა ფიზიკურად გადარჩენილი ჩვენი შვილები და შვილიშვილები მათხოვართა, მაწანწალათა ბრბოდ გადაიქცევიან და ხანდახან გაიხსენებენ, რომ ოდესღაც ღირსეულ ერს წარმოადგენენ და საკუთარ მიწაზე ცხოვრობდნენ.**

მიუხედავად იმ სავალალო მდგომარეობისა, იმ კატასტროფული პირობებისა, რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ შეუქმნა საკუთარ ხალხს, მე მაინც მწამს ჩვენი ერის სულიერი სიძლიერისა, შემართებისა, შენარჩუნებული ეროვნული ენერგიისა, გონიერებისა და სამშობლოს სიყვარულისა. დარწმუნებული ვარ და ყველა მინდა დავარწმუნო, რომ ჩვენს ხალხს შესწევს უნარი, შეწყვიტოს დამაქცეველთა ღრეობა, ეროვნულ სხეულს მოაშოროს უცხო, დამღუპველი ელემენტები, გათავისუფლდეს სატანური გავლენისაგან და დადგეს განვითარების ნათელ, სწორ გზაზე, რომელი გზითაც ერთად სვლა ღმერთის მფარველობას დაგვიბრუნებს.

„ქუთაისის აქციაზე ბატონი ბიძინა უფრო ლაღი და გახსნილი მეჩვენა. არც იუმორი აკლდა, არც ორატორული ნიჭი. სრულად დავინახე მისი ქართული ხასიათი — უშუალო, ყველასთვის გასაგები, მისაღები და, ამავე დროს, ძლიერი პიროვნება. ბიძინა ივანიშვილი სიტყვის პატრონია, ნაღდი კაცია, რომელსაც ზუსტად და ღრმადა აქვს გააზრებული ქვეყნის განვითარების პერსპექტივა, რაც გარანტიაა უმწეო მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის და ხალხის გადარჩენის...“

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბიძინა ივანიშვილს არ ვეთანხმები...



ცოტაც და წელიწადიც გავა „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მათი პირველი სტუმრობიდან. რასა იქმთ, ბატონებო, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში თქვენს ცხოვრებაში? შეიცვალა კი საერთოდ? წელთა სიმძიმე ხომ არ იგრძნეს თქვენმა ბეჭებმა დაუდებელმა? „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმრობენ სპორტის დამსახურებული ოსტატები, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები (და ასე შემდეგ) გურამ საღარაძე და ზარბეგ ბერიაშვილი. ფალავნები (ფალავანი — მოჭიდავე, ვაჟკაცი, გმირი. იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 441).



გურამ საღარაძე



ზარბეგ ბერიაშვილი

— თქვენი გაზეთის მადლობელნი ვართ, — **იწყებს გურამ საღარაძე**, — ერთად რომ შეგვყარეთ 55 წლის მეგობრები, ჭაპანი ერთად გვიწევია ამდენი ხანი, თანატოლები ვართ — მარტში დაბადებულები.

— გიჟმარტელები, — **ელიმება ზარბეგს.**

— ეს უფრო გიჟმარტელია, ეს მოწინააღმდეგეს ახრჩობდა ხალიჩაზე. მე არ ვახრჩობდი.

**— მართალს ამბობს?**

**ბერიაშვილი მორიდებით თავს ხრის, საღარაძე კი ბეჭედს დაუსვამს:**

— ანაკონდას ვეძახდი. იყო ერთი, საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული მოჭიდავე სინიავსკი, რომელიც ამის წონაში გამოდიოდა და ჰქონდა მახრჩობელა ილეთი, რომელსაც ჩოქბჯენში წარმატებით იყენებდა და რომელსაც რატომღაც ბენდეროვსკის უწოდებდნენ.

**— უკრაინელი ნაციონალისტ-ტერორისტის — სიმონ ბანდერას დაუნდობლობის ანალოგიით ხომ არა?**

— შეიძლება... გადაიღო ზარბეგმა ეს ილეთი, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. ბოლო წუთებზე ახრჩობდა ხალხს და ისე ალაგებდა ხალიჩაზე.

— სიბერეში, მოგეხსენებათ, ყველას თუ არა, უმეტესობას ჩემდება ცოტა გაზვიადებული მოგონებები საკუთარ თავზე. ასე ვართ ჩვენც, — **განმარტავს ზარბეგ ბერიაშვილი.**

— რატომ, შე დალოცვილო, შენი მრავალგზის ჩემპიონობა გაზვიადებულია? — **არ ეთანხმება გურამ საღარაძე და იწყება საუბარი ჭიდაობაზე, თანაგუნდელებზე, ჭიდაობის ხშირად გაუგებარ წესებზე (ოხერი წესებიო, — ამბობს გურამი), რომელთა თანახმად, რომელიმე შეჯიბრში დაუმარცხებლად მოასპარეზე სპორტსმენს შეიძლება ისეთმა მოჭიდავემ აჯობოს და ოლიმპიური ჩემპიონიც კი გახდეს, რომელსაც ფინალურ ბრძოლამდე გამარჯვების სიხარული არც კი განუცდია.**

**მაგრამ ამაზე საღარაძესთან და ბერიაშვილთან ინტერვიუებში, რომლებიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა, დაწვრილებითი უკვე ვისაუბრეთ.**

— ჩემპიონი არ უნდა გახდეს წაგებული სპორტსმენი, — **ასეთია ამათი ვერდიქტი,** — არც უზნეო. უდიდესი კორუფცია ტრიალებდა ჭიდაობის საერთაშორისო სარბიელზე და ახლაც ტრიალებს.

**მოჰყავთ ამისი მაგალითები.**

**— საქართველოში მოვსპეთ კორუფცია, ჭიდაობა გამოგვრჩენია...**

— საქართველოში მოვსპეთ კორუფცია?! — **გაოცებით კითხულობს გურამ საღარაძე და ყველას გვეცინება.**

**ამ ხიდით გადმოვდივართ დღევანდელობაში:**

**— ბატონებო, 27 მაისს იყავით „ქართული ოცნების“ აქციაზე?**

**გურამ საღარაძე:** — ვიყავი, რა თქმა უნდა. მოჭიდავეების დიდ ოჯახთან ერთად. მე ხომ ამ ერის შვილი ვარ, ქვეყანა მიყვარს და ტრიადა „მამული, ენა, სარწმუნოება“ ჩემი დევიზია, ჩემი ცხოვრების მიზანი. მე საქართველოისტი ვარ და გაუმარჯოს იმ კაცს, რომელიც საქართველოს უშველის და გადაარჩენს.

არ ვმალავ: **საქართველო სავალალო მდგომარეობაშია, დაშლილია მორალურად, პოლიტიურად, ეკონომიკურად. 27 მაისმა დაგვანახა, რომ არის გზა ხსნისა. არავის არ ვლანძღავ, მაგრამ ყველას თავისი მიეზღვება: ეს ზეციური კანონია.**

**ღმერთმა ქნას, მოინანიონ ვიღაცეებმა და დაადგნენ სწორ გზას.**

**— მაგრამ ამას პირი არ უჩანს.**

— სამწუხაროდ.

**— ბატონო ზარბეგ, თქვენი სიტყვა!**

— ჯანმრთელობა არ მაძლევს აქციებში მონაწილეობის საშუალებას: ასი მეტრი თუ გავიარე, დიდა! მოციმციმე არითმია მჭირს — მარცხენა წინაგული გათიშულია. წამლებზე ვარ. მაგრამ ამ ავადმყოფობისგან მსოფლიოში ჯერ კაცი არ მორჩენილა. მე კი დამატებით ინფარქტიც დამემართა.

**(საღარაძის დაჟინებით, ბერიაშვილი ყვება დომენტი გაგნიძის, ხალხური მედიცინის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ ბალახებზე დამზადებული პრეპარატის შესახებ, რომლის ინექციამ დადებითად იმოქმედა ზარბეგზე. განაგრძობს ნემსის კეთებას? არა. გაგნიძეს აუკრძალეს დამზადება. არადა, მესამე ნემსის შემდეგ შვება იგრძნო. ყაზბეგელი კაცი დათო მარსაგიშვილი (ჭიდაობის ერთი მასწავლებელი გვყავდაო, იხსენებს ბერიაშვილი) ფეხზე დააყენა...**

**გრძელდება ამ თემაზე საუბარი: ორგანიზმის იმუნიტეტს აძლიერებსო. ზოგს უხდება, ზოგს — არა, ამიტომაა საჭირო მეცნიერებთან თანამშრომლობა და არა სატელევიზიო ცხელი თუ უცხელესი თოქშოუს გადაცემით „სენსაციური ნახარშის“ მომზადება, მით უფრო — მაკონტროლებლების მიერ შემოწმების ოპერატიულად ორგანიზება.**

**გურამ საღარაძე დარწმუნებულია, რომ კოლხი მედეას სამშობლოში ხალხური მედიცინის ხელაღებით უარყოფა ყოვლად დაუშვებელია.**

**რუსული ანდაზაა: Беда одна не ходит, ერთი ხანია, ზარბეგი ფილტვში წყლის ჩადგომამ შეაწუხა. უძლებს. უტეხია).**

— სულითა და გულით აქციაზე ვიყავი. სხვანაირად იქნება?! — **ეს ზარბეგია.**

**— რას იტყვით ტენდენციაზე, როცა ახალგაზრდა მოჭიდავეები „ქართული ოცნების“ მხარეს გადმოდიან?**

**ზარბეგ ბერიაშვილი:** — ასე უნდა მოიქცეს ყველა წესიერი ადამიანი, ვინც ობიექტურად შეაფასებს ბიძინა ივანიშვილის უშურველ ქველმოქმედებას. პირდაპირ ჩაწერეთ: **ვინც არ არის დახვეწილი არამზადა, ბიძინას გვერდით უნდა იდგეს.**

რა საკადრებელია, ადამიანს გულში ერთი ჰქონდეს და ვიღაცას რომ ასიამოვნოს, ან კონიუნქტურის გამო, სხვანაირად მოიქცეს! ასეთი გაორება კი უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდების ჩამოყალიბებაზე. ე. წ. უნარ-ჩვევების გამოცდებზე ნაკარნახევ პასუხზე — ტრანსპორტში ადგილი არავის დაუთმო, რადგან ბილეთი გაქვს ნაყიდი — ქართველ ახალგაზრდობას მაღალზნეობრივ ადამიანებად ვერ აღვზრდით!

ნუ გგონიათ, რომ დასავლეთის ქვეყნებში ამგვარ მაგალითებზე ზრდიან მომავალ თაობას. ჩვენ გვაბითურებენ. ჩემი თვალით მინახავს, როგორი პატივისცემით ეპყრობიან ადამიანები ერთმანეთს ქუჩაში, თუნდაც მანქანის მძღოლები — ქვეითად მოსიარულეებს...

**გურამ საღარაძე:** — სიკეთისთვის გაჩენილი კაცია და მოქალაქეობას ამადლიან?! სად ვცხოვრობთ?! რა დემოკრატიასა და რის დემოკრატიაზეა ლაპარაკი, ჩემო კარგო?! რაჭველი კაცი ვარ, მაგრამ უცებ ვფიცხდები, როცა ასეთ უსამართლობას ვხედავ... ბატონ ბიძინას სიტყვებს გავიხსენებ, რომლებსაც უწმინდესის ლოცვა-კურთხევით გამოსაცემად მომზადებულ ჩემს მეოთხე წიგნს ეპიგრაფად წარვუმძღვარებ: **„დადგა დრო, დავიბრუნოთ საქართველოს წარსული და ავაშენოთ ღირსეული მომავალი, ვიყოთ პირნათელი წინაპრებისა და მომავალი თაობის წინაშე“.**

ვინც დროზე მოეგება გონს და ამ სიტყვებს ირწმუნებს, ყველას გაუმარჯოს.

— ქვეყანას სჭირდება გვერდით დადგომა ისე, როგორც ამას ივანიშვილი აკეთებს, — **ასკვნის ბერიაშვილი.**

— და მაგრად დგომა. ამასწინათ საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხაში, ერთი შესანიშნავი ადამიანის ოჯახში ქერის ახდის სუფრაზე ბიძინა ივანიშვილისა და უწმინდესის სადღეგრძელო წარმოვთქვი. 200-კაციანმა თავყრილობამ აიტაცა ეს სადღეგრძელო... საინტერესო რაა, იცით? რომ სუფრის დამთავრების შემდეგ ვიღაც ახალგაზრდა მოვიდა ჩემთან და მითხრა, თქვენ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთო ოჯახი.

**— გაგაფრთხილათ თუ გისაყვედურათ?**

— არ ვიცი, მაგრამ, სადაც მე გამიბედეს ასეთი რამ, **წარმომიდგენია, როგორი წნეხის ქვეშ ჰყავთ მოსახლეობა, როცა ხელისუფლება მსტოვრებს წლისთავზე შეკრებილი ხალხის მისაყურადებლად და „კალოშიან აგიტატორების“ პროპაგანდისტული მუშაობის ჩასატარებლად აგზავნის.** ეს კაცი, რომელიც ბორჯომის მკვიდრი აღმოჩნდა, ჩიხელებმა ისეთ დღეში ჩააგდეს (ჩიხაში შესანიშნავი ხალხი ცხოვრობს), რომ მტერსაც არ ვუსურვებ.



**— თქვენმა დეფინიციამ გამახსენა: ამასწინათ ბიძინა ივანიშვილის პასუხებს რომ ვუსმენდი „მაესტროს“ კორესპონდენტის შორენა ხვიჩიას შეკითხვებზე, კატეგორიულად არ დავეთანხმე „ქართული ოცნების“ ლიდერს.**

— კერძოდ რაში? — **შეეწუხდა გურამ საღარაძე.**

**— კერძოდ იმაში, როცა გიგა ბოკერია „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგად მოიხსენია. იდეოლოგი კი არა, „კალოშებიანი აგიტატორია“, იდეოლოგები სხვაგან უნდა ვეძებოთ. იქით, შორს... ხოლო დანარჩენები, ბოცო წიკლაურებისნაირნი, გაწვრთნილი თუთიყუშები არიან (ასე გამოვიყენე დღევანდელ ჟურნალისტიკაში მიღებული „ახალი მენეჯმენტის“ პრინციპი და ივანიშვითლან არდათანხმების ელემენტი სათაურში გამოვიტანე. როგორია?)**

— შიშის დრო წავიდა. და ამას, დარწმუნებული ვარ, ქუთაისის აქციაც დაამტკიცებს, — **დარწმუნებულია ბატონი გურამი.**

**შევთანხმდით, რომ საღამოს, აქციის შემდეგ, დავუკავშირდებით ერთმანეთს.**

## იმ საღამოს, ანუ ბოლოთქმის მაგიერ

**ის საღამოც დადგა, 10 ივნისის. 20 საათია. ვურეკავ:**

— ვუყურებდი, ვუსმენდი და თვალზე სიხარულის ცრემლი არ შემშრობია, — **მიპასუხებს გურამ საღარაძე და ვრწმუნდები, რომ მისი ნათქვამი, რაჭველი კი ვარ, მაგრამ — ემოციურიო, ცარიელი ფრაზა არ არის,** — ასეთი სიხარული, მახსოვს, მაშინ დამეუფლა, როცა მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. პირველადაც და მეორედაც.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისი მეუღლის გამოსვლამ წინა დღით „მაესტროს“ ეკრანზე. დიდი მოკრძალება, სიდარბაისლე და ინტელექტი იგრძნობოდა ამ ქალბატონის საუბარში — ლაპარაკობდა ტრადიციული ქართული ოჯახის ახალგაზრდა დედა. აშკარად ჩანდა სამშობლოს გენეტიკური სიყვარული...

**ქუთაისის აქციაზე ბატონი ბიძინა უფრო ლაღი და გახსნილი მეჩვენა. არც იუმორი აკლდა, არც ორატორული ნიჭი. სრულად დავინახე მისი ქართული ხასიათი — უშუალო, ყველასთვის გასაგები, მისაღები და, ამავე დროს, ძლიერი პიროვნება.**

**ბიძინა ივანიშვილი სიტყვის პატრონია, ნაღდი კაცია, რომელსაც ზუსტად და ღრმადა აქვს გააზრებული ქვეყნის განვითარების პერსპექტივა, რაც გარანტიაა უმწეო მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის და ხალხის გადარჩენის...**

* * *

იმერეთის ზეობის ტალღა 10 ივნისს აზვირთდა ქუთაისში. პირთამდე შეავსო დავით აღმაშენებლის მოედანი და მიმდებარე შარა-შუკებში გაიშალა.

გასცდა იმერეთის გულს და 17 ივნისს ოზურგეთში გურულების გულისთქმას შეუერთდება.

ოქტომბრამდე მთელ საქართველოს ერთ მუშტად შევკრავთო, — ამბობს ბიძინა ივანიშვილი.

რა, ახლა არა ვართ?!

**არმაზ სანებლიძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ, თუ ამერიკა არ დასჯის თავის მოქალაქეებს ნავთობის ამ რაოდენობით გამოყენებისათვის და სასჯელის სახით არ გააძვირებს ბენზინს, ან არ დააწესებს შეზღუდვებს, მაშინ მას მოუწევს მილიარდების ხარჯვა არმიაზე, რომლის წყალობითაც ხელოვნურად ინარჩუნებს ნავთობის დაბალ ფასს.



# ვის სჭირდება ნავთობისათვის ომი?

**ამერიკელები ათეულობით წლის მანძილზე ითმენდნენ ხმაურს იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ნავთობზე დამოკიდებულებას უნდა გადაეჩვიონ. კონკრეტული მიზეზები კრიტიკოსთა მიხედვით იცვლებოდა. მემარცხენეები ხაზს უსვამენ ეკოლოგიასა და ევროპული სტილის მასიურ სატრანსპორტო სისტემას, მემარჯვენეები კი ნავთობზე ეროვნული უსაფრთხოების კუთხით დარდობდნენ. მიუხედავად ამისა, ორივე ბანაკი თანხმდება იმაზე, რომ, თუ ამერიკის ლიბერალური ეკონომიკა უცვლელი დარჩება, ის ძალიან იქნება დამოკიდებული ნავთობზე და ფედერალურმა ხელისუფლებებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მის დარეგულირებაში.**



მაგალითისთვის ავიღოთ ჯგუფი SAFE (ამერიკის მომავალი ენერგიის უზრუნველყოფა). მის ახლახან გამოქვეყნებულ მოხსენებაში წერია: „იდეალური გრიგალისგან“ გამოწვეულმა ფასბის, ტექნოლოგიისა და შესაძლებლობების შიდა წარმოების (ნავთობის) ბოლოდროინდელი ზრდა არსებითია და ქვეყნის ეკონომიკისათვის სერიოზული დადებითი შედეგები ახლავს... მაგრამ ამ დადებით მხარეებს აკავებს ნავთობის მსოფლიო ბაზრის რეალიებით, განსაკუთრებით ნავთობმოპოვების რეგიონებში მიმდინარე არასტაბილურობის პირობებში და ჩინეთში, ინდოეთსა თუ სხვა განვითარებად ქვეყნებში მოთხოვნის ზრდის ფონზე. **ყველაზე მთავარი ისაა, რომ მოხსენებაში განხილულია მითი „ენერგეტიკული დამოკიდებულების“ შესახებ და ხაზგასმულია, რომ შიდა მოპოვების მნიშვნელოვანი გაზრდითაც კი ვერ მოხერხდება ქვეყნის სრულად დაცვა ნავთობდამოკიდებულების ისეთი მოვლენებისგან, როგორიცაა მაღალი ფასები და ხანგრძლივი არასტაბილურობა, კაპიტალის გადინება საზღვარგარეთ და სამხედროების დავალდებულება, უზრუნველყონ ნავთობის მიწოდების უსაფრთხოება.**

როდესაც გარემოს დამცველები ჩივიან „დიდი ნავთობის სუბსიდიებზე“, იმავე მიდგომას იყენებენ და ირწმუნებიან, რომ აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი ირიბად ინარჩუნებს ნავთობის ფასს უფრო იაფს ავტომობილისტებისათვის, ვიდრე ის ნამდვილად ღირს.

ამ თვალსაზრისს რამდენიმე პრობლემა აქვს. ჯერ ერთი, ეს, უბრალოდ, არ შეესაბამება სიმართლეს, რომ ნავთობის მიწოდებას მაინცდამაინც სამხედრო ზომების მიღება სჭირდება. განვიხილოთ ყველაზე არასასურველი სცენარი: უცხოური ნავთობით მდიდარი რეჟიმი, რომელიც აშშ-ის მოკავშირეა, იმ ჯგუფის ხელში გადადის, რომელიც ვერ იტანს ამერიკის ხელისუფლებას. რა მოხდება?

თუ ეს რეჟიმი უხეშ კურსს აირჩევს და სიმბოლურ ჟესტებს მიმართავს, გადაკეტავს აშშ-ში ნავთობის ექსპორტს. ეს მხოლოდ იმით დასრულდება, რომ მოხდება ნავთობის მსოფლიო გადაზიდვების რეკონფიგურაცია. თუ ამ რეჟიმს სურს, ნამდვილი ზიანი მიაყენოს ამერიკელ ავტომობილისტებს. ამ შემთხვევაში მსოფლიოში ნავთობის დეფიციტი გაჩნდება და მასზე ფასები მოიმატებს. ამ ნაბიჯით მხოლოდ ამერიკა კი არა, ნავთობის მომხმარებელი ყველა ქვეყანა დაზარალდებოდა. დაზარალდებოდა თავად რეჟიმიც, რომელიც შემოსავლის მთავარ წყაროს დაკარგავდა ნავთობის ექსპორტის შეწყვეტით. მაგრამ რა აზრი აქვს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ავტორიტარულ, ნავთობით მდიდარ ქვეყანაში, თუ არა ნავთობის შემოსავლების მითვისება?

ეს მსჯელობა ჰიპოთეზური არაა, როდესაც რეალურად აშშ-ს ახლოაღმოსავლური რეჟიმების დასჯა სურს, სწორედ ნავთობის გაყიდვაში უშლის მათ ხელს. ეს ადასტურებს, რომ უკიდურეს შემთხვევაში ნაციონალური უშიშროების თვალსაზრისით ირანისათვის ნავთობის გაყიდვის აკრძალვა ირანელებს უფრო მეტად აზარალებთ, ვიდრე ამერიკელებს. ▶

# აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის საგარეოპოლიტიკური შიზოფრენია

**როდესაც კითხულობ აშშ-ის მორიგ განცხადებას ირანთან, სირიასთან ან ვითომდა ირანისაგან თავდასაცავად შექმნილი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსებასთან დაკავშირებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ განცხადებებს ან არაკომპეტენტური ადამიანები აქვეყნებენ, ან გონებრივად საგრძნობლად შერყეულები. კიდევ უფრო საინტერესოა, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკოსის განცხადების გაანალიზებას ცდილობ — აქ აბსოლუტური აბდაუბდაა. ჯერ ამბობენ, რომ სირიაზე თავდასხმა შეუძლებელია გაეროს რეზოლუციის გარეშე, ერთი საათის შემდეგ კი მთავარ სიახლეებში გამოქვეყნებულია განცხადება იმის შესახებ, რომ აშშ განიხილავს გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით მოქმედების შესაძლებლობას.**



**უბრალო ობივატელს დასავლეთის ლიდერების განცხადებების მოსმენის შემდეგ უჩნდებათ აზრი, რომ დასავლეთს ავადმყოფები მართავენ. სინამდვილეში ეს საინფორმაციო ომია. ობივატელის ამგვარი დამოკიდებულება კი დასავლეთისთვის ხელსაყრელია, რადგან ის მოვლენების სათანადოდ შეუფასებლობის შედეგია**

ამ მხრივ აბსოლუტური ვაკქანალია იმ საკითხების გადაჭრის ირგვლივ ტრიალებს, რომლებიც ირანის ბირთვული პროგრამის გადაჭრას ეხება. ჯერ აშშ-მა განაცხადა, რომ ირანი არ ამზადებს ბირთვულ იარაღს და საუბარია მხოლოდ ბირთვულ სფეროში გარკვეული შესაძლებლობების შექმნაზე. ამასთან, პენტაგონმა ხაზი გაუსვა, რომ „წითელი ხაზი“ უნდა იყოს ირანის მიერ უშუალოდ ბირთვული ბომბის შექმნა. სულ ცოტა ხნის შემდეგ აშშ თავის გამანადგურებლებს ირანის საზღვრიდან სულ რაღაც 300 კილომეტრში გზავნის და აცხადებს, რომ ეს რეგიონულ პარტნიორებთან უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის ნაწილია. ეს არის აშშ-ის ძალიან საინტერესო ლოგიკა კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების საქმეში. **შეიძლება აშშ მართლაც რაღაც სწავლებებს ატარებდა, მაგრამ მისი ამგვარი ქმედება ირანისთვის აშკარა საფრთხეა და, ამერიკას რომ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება სურდეს, ანალოგიური ნაბიჯის გადადგმაზე უარს იტყოდა. მართლაც არ გამოიყურება მაინცდამაინც მშვიდობიანად ლობიდან ნახევარ მეტრში მდგომი შეიარაღებული მეზობელი. ამასთან, აპრილის დასაწყისში პენტაგონმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ირანი მაინც მუშაობს ბირთვული ბომბის შექმნაზე და მიზანთან ძალიან ახლოსაა, აშშ კი მზადაა, რომ პრობლემა ნებისმიერი გზით აიცილოს თავიდან.**

კიდევ უფრო დიდ ნაბოდვარს ჰგავს აშშ-ის ურთიერთობა ისრაელთან ირანის საკითხთან დაკავშირებით. ჯერ **აშშ-მა პენტაგონის პირით განაცხადა, რომ ისრაელი თუ ირანს დაარტყამს, აშშ-ს ომში ჩაბმას აიძულებს. შემდეგ კი ობამას ყოფილი მრჩევლის პირით დასძინა, რომ ისრაელის მხრიდან ირანზე დარტყმა უპატიებელი შეცდომა იქნება. ეს მრჩეველი არც თუ ისე ყოფილია ამერიკულ ელიტაში გავლენის მხრივ — მჭიდრო ურთიერთობა აქვს ჰილარი კლინტონთან.** აშშ-ის რეალური ქმედებებიც იმაზე მიანიშნებს, რომ ათვლა ცალსახად საბრძოლო მოქმედებების დაწყებაზე კეთდება. პენტაგონის შეფმა ლეონ პანეტამ განაცხადა, რომ ირანის საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაცია მზადაა რეალიზაციისათვის, აშშ და ევროპა კი დღითიდღე ამკაცრებენ სანქციებს, რაც, გასაგები მიზეზების გამო, მოლაპარაკებების პროცესს ართულებს.

ევროპა აშშ-ის თანხვედრ პოზიციას იკავებს სამხედრო პოლიტიკაში — მხარი დაუჭირა ირანული ნავთობის შეძენაზე ემბარგოს და გარიცხა ირანი საბანკო საერთაშორისო ქსელიდან. ევროკავშირის მხრიდან ძლიერდება ზეწოლა სირიაზეც, კავშირის მრავალმა წევრმა საერთოდ გაწყვიტა სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

ცალკე თემაა გერმანია. მას ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში გაცილებით რბილი პოზიცია უჭირავს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ სირიასთან მიმართებაში მისი „უმწიკვლობა“ ეჭვქვეშ დგება. ჰულაში მომხდარის შემდეგვე გერმანიამ გააძევა სირიის ელჩი სხვა ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი რუსეთს სირიისადმი პოზიციის გამკაცრებისაკენ მოუწოდა.

**ასე რომ, მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს გერმანიას ამ საკითხში რუსეთის ანალოგიური პოზიცია აქვს, გადასახედია. მიზეზი, შესაძლოა, ორი რამ იყოს: ან გერმანია თავისი აზრით გონივრულ პოლიტიკას აწარმოებს და ამასთან მხარს უჭერს და-** ▶




**თუ ყოველთვიურად სამსახურს 750 ათასი ამერიკელი კარგავდა, გამოდის, რომ უმუშევრად 36 მილიონი, ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, ამერიკის მოსახლეობის 10% დარჩა. თუ ამას დავუმატებთ ობამას გაპრეზიდენტებისას უკვე არსებული უმუშევრობის 6,5%-იან მაჩვენებლს, გამოვა ზუსტად ის ციფრი, რომელზეც ანალიტიკოსები, დიდი ხანია, საუბრობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში აშშ-ის შრომის ბაზარი კარგავდა სამუშაო ადგილებს ერთნაირი ინტენსივობით.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დიდი ამერიკული ტყუილი

**პოლიტიკოსები მუდამ ცრუობენ და ამას უკვე ყველა მიეჩვია. სამართლიანობის გულისთვის მაინც შეიძლება პოლიტიკურ დაპირებებში გამოიძებნოს რაღაცის გაკეთების სურვილი და სწორედ ამაზე საუბრობს პოლიტიკოსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ზედმეტად აღფრთოვანებული ხატავს სურათს და სასურველს უკვე მომხდარად წარმოაჩენს. ძნელია ამაში პოლიტიკოსის დადანაშაულება, იმიტომ, რომ ამგვარად წარმოადგენენ თავიანთ პროექტს. რაღაც დოზით შეიძლება საუბარი იდეების თავისებურ კაშკაშა და ფერადოვან პრეზენტაციაზე და ამაში, ცხადია, ცუდი არაფერია.**




თუმცა აბსოლუტირად სხვაგვარად უნდა გავიგოთ, როდესაც პოლიტიკოსი წარსულზე ან აწმყოზე ლაპარაკობს. ამ შემთხვევაში გამოგონებებს ვერავინ გაამართლებს, აქ სავსებით ნათელია, რომ ტყუილი ტყუილია. თუ ამ ტყუილს დაბალი რანგის ჩინოვნიკი იყენებს, ცხადია, ტყუილიც პატარა იქნება, მაგრამ, თუ ტყუილს აშშ-ის პრეზიდენტი იყენებს, მაშინ ამ ტყუილის მასშტაბები, შესაძლოა, უზარმაზარიც კი გახდეს.

**აშშ-ში უმუშევრობის დონის შესახებ მოხსენებამ არასასიამოვნო განცვიფრება გამოიწვია. ყველას მშვენივრად ესმოდა, რომ საქმე ცუდადაა, მაგრამ საუბრობდნენ ეკონომიკის გაუმჯობესებაზე. ახლა ცხადი გახდა, რომ ყველაფერი ძალიან ცუდადაა, იმდენად ცუდად, რომ ამის დამალვა აღარც შეიძლება და ველარც ხერხდება. ბოლოს და ბოლოს ამგვარი მოხსენებები საპრეზიდენტო არჩევნებამდე კიდევ ხუთჯერ გამოქვეყნდება და ყოველი მომდევნო წინაზე უარესი იქნება. თუ მოტყუება განაგრძობს, ეს, უბრალოდ, დაასამარებს ობამას ამბიციებს. ამ შემთხვევაში დემოკრატები არჩევნებს მაშინაც კი წააგებდნენ, რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატი ბრიუსელში მდგარი შიშველი ბიჭის ქანდაკება რომ იყოს.**

მაინცადამაინც გასაგები არაა, თუ ვის ატყუებდა ოფიციალური სტატისტიკა. ყველას მშვენივრად ესმოდა, რომ ეს სიცრუეა. ანალიტიკა ამ მხრივ ძალზე მრავლისმომცველი იყო და მუდმივად მიანიშნებდა ტყუილზე. მხოლოდ 2012 წელს ამ თემაზე ავტორებმა, სულ მცირე, 20-ჯერ გამოაქვეყნეს საკუთარი აზრი. ისინი ყოველთვის ამბობდნენ, რომ ეს ყვლაფერი ტყუილია და ახლაც ამბობენ, რომ ეს მოხსენებაც სიცრუითაა სავსე.

წინასწარმეტყველურ გულახდილობად გამოიყურება მოხსენების ის ნაწილი, რომელშიც შრომის დეპარტამენტი აცხადებს, რომ უმუშევრობის დონემ 8,1%-დან 8,2%-მდე მოიმატა. მაგრამ ეს რა გულახდილობაა, თუ სხვა შეფასებებით ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობა 18-დან 20 პროცენტამდეა. რას ცვლის უმუშევართა რიგებში 0,1%-ის მიმატება? უნდა ითქვას, რომ ცვლის, რადგან ამერიკაში პროცენტის ერთი მემილიონედის უკანაც კი სამი ადამიანი დგას.

მაგრამ ამ მოხსენების მთავარი მიზანი მაინც ისაა, რომ ამერიკის მოქალაქეებს ტვინში ჩაუნერგონ სირთულეების არსებობა, რათა შემდგომი, კიდევ უფრო უარესი მოხსენება ვინმესთვის მოულოდნელი არ აღმოჩნდეს. საზოგადოებრივი აზრი გაუარესებისთვის მზად უნდა იყოს. წინ ზაფხულის თვეებია, ეს კი მოსახლეობის დასაქმების პროცესის ტრადიციულ შესუსტებას გულისხმობს. მომავალში ყველაფერი უარესად იქნება. შესაძლებელია, არჩევნებამდე ნეგატივის გამოფრქვევა აღარავინ მოინდომოს და ახლანდელ ნეგატივს კი ყველა მიეჩვევა.

და მაინც, აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ძნელია, ობამას დაეკისროს პასუხისმგებლობა ყველა ამ „ეკონომიკური ფოკუსისათვის“. უფრო მეტიც, მით რომნიც არაა სათანადო ვარიანტი. აქ საუბარი არაა მოქმედი პრეზიდენტის დისკრედიტაციაზე, რომნი რომ ყოფილიყო პრეზიდენტი, ძნელი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა. **რომნი რომ აშშ-ის პრეზიდენტად ვერ ივარგებს, ეს ცხადია. აშშ-მა მიაღწია იმ მომენტამდე, როდესაც ხმის მისაცემი არავინაა. თუმცა ამგვარი სიტუაციაც პირველი არ არის, მაგრამ ადრე არჩევანი ცუდსა და უარესს შორის კეთდებოდა, ახლა კი საშინელსა და კატასტროფულს შორის მოუწევს აშშ-ს არჩევანის გაკეთება. უმეტესობა ხმას მისცემს არა მოქმედი პრეზიდენტის სასარგებლოდ, არამედ იმ საშინელებების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მისი ოპონენტისგანაა მოსალოდნელი. თუ არჩევნებს რომნი მოიგებს, აბსოლუტურად ნათელია, რომ აშშ დაიწყებს ომს ირანისა და სირიის წინააღმდეგ. ისინი, ვისაც ესმით მოვლენების ამგვარი განვითარების თვითმკვლელური შინაარსი, ცხადია, რომნის არ მისცემს ხმას. ობამა ყველაზე სისხლისმსმელი ქორი არ არის და მისი პოლიტიკაც თავშეკავებულია,** ეს კი ახლა ძალიან სჭირდება ამერიკას საერთაშორისო ურთიერთობებში.

როგორც წესი, ითვლება, რომ არჩევნების დროს აშშ-ში პრიორიტეტული შიდა თემატიკაა. ეს დიდი შეცდომაა. მსოფლიო გლობალური გახდა და ამ პირობებში ამერიკის მოქალაქეთა კეთილდღეობა დამოკიდებულია გლობალურ ეკონომიკაზე და მხოლოდ აქედან გამომდინარე — ამერიკულ ეკონომიკაზე. არ შეიძლება აშშ დეკლარირებდეს თავის გლობალურ ინტერესებს, როდესაც საუბარია სადღაც ვიღაცის ნავთობის გადაქაჩვაზე, და არ შეიძლება საუბრობდეს ნაციონალურ ინტერესებზე, როდესაც საუბრის თემა აშშ-ში მომავალი არჩევნები და მისი შედეგებია. არ შეიძლება ერთდროულად ორ სკამზე დაჯდომას ცდილობდე და ნაციონალურ განსაკუთრებულობაზე აკეთებდე აქცენტს, ეს კონტრპროდუქტიულია და უდიდეს ზიანს აყენებს ქვეყანას.

**ადრე არჩევანი ცუდსა და უარესს შორის კეთდებოდა, ახლა კი საშინელსა და კატასტროფულს შორის მოუწევს აშშ-ს არჩევანის გაკეთება**

**პრეზიდენტმა ობამამ შრომის მინისტრის მოხსენებაზე რეაგირებისას განაცხადა, რომ ახლა, როდესაც შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა მხოლოდ 69 000-ია, ეკონომიკა უკეთესია, ვიდრე თეთრ სახლში მისი მოსვლისას და ყოველთვიურად 750 000 სამუშაო ადგილის დაკარგვისას იყო.** შთამბეჭდავად ჟღერს, მაგრამ, თუ ციფრებს გადავიანგარიშებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: ობამა აშშ-ის პრეზიდენტი გახდა 2008 წელს. 4 წელიწადში 48 თვეა. **თუ ყოველთვიურად სამსახურს 750 ათასი ამერიკელი კარგავდა, გამოდის, რომ უმუშევრად 36 მილიონი, ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, ამერიკის მოსახლეობის 10% დარჩა. თუ ამას დავუმატებთ ობამას გაპრეზიდენტებისას უკვე არსებული უმუშევრობის 6,5%-იან მაჩვენებლს, გამოვა ზუსტად ის ციფრი, რომელზეც ანალიტიკოსები, დიდი ხანია, საუბრობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში აშშ-ის შრომის ბაზარი კარგავდა სამუშაო ადგილებს ერთნაირი ინტენსივობით.**

ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როდესაც 2013 წელს, როდესაც ავღანეთიდან დაბრუნდება ჯარი. უნდა ითქვას, რომ საუბარი ეხება არა მხოლოდ რეგულარულ ნაწილებს. ახლა სხვადასხვა ცხელ წერტილში კერძო ჯარებში კონტრაქტებით გაცილებით მეტი ჯარისკაცი მუშაობს, ვიდრე საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაშია. სწორედ ამ ადამიანებს ჩამოაჭრა ობამამ დაფინანსება, სხვადასხვა შეფასებებით, როდესაც ჯარებთან ერთად ისინიც დაბრუნდებიან შინ, უმუშევართა რაოდენობა მილიონის სამი მეოთხედით კიდევ გაიზრდება.

ცხადია, მით რომნი ამ ხალხს საქმეს მოუძებნიდა და გაამწესებდა იმის ასათვისებლად, რაც ცუდად დევს სირიასა და ირანში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ პენტაგონი ამ ვარიანტს ამორალურობის გამო არ განიხილავს, ძალიან ცდება. აქ მორალზე საუბარიც კი არ არის. აქ განიხილება აშშ-ის გადარჩენის ვარიანტები იმ სტატუსში, რომელსაც ასე მიეჩვივნენ ამერიკელი პოლიტიკოსებიცა და უბრალო ამერიკელებიც.

საუბრებში ამერიკელები ძალიან ხშირად ამბობენ რაღაც შოკისმომგვრელს. მაგალითად, ერთმა 30 წლის მამაკაცმა, ორი შვილის მამამ და ტექნიკური დარგის სპეციალისტმა, განაცხადა, რომ აშშ-მა არაფერი არ უნდა მისცეს ჩინეთს, იმიტომ, რომ ჩინეთს ისედაც ყველაფერი ამერიკის წყალობით აქვს. ანალიტიკოსმა მერი კასლერმა კი ტელეეთერით განაცხადა, რომ ჩინეთი თავის ფულს მაინც ვერსად წაიღებს და სანერვიულო არაფერია. „ხომ არ შეინახავს იუანებს ან ევროებს? არა, შეინახავს დოლარებს. ასე რომ, სანერვიულო არაფერია“.

აქედან, სულ მცირე, ორი რამ გამომდინარეობს. **პირველი: უოლ-სტრიტის ანალიტიკოსებს შორის არიან ახლომხედველი და ამორალური ადამიანები; მეორე: ანალიტიკოსებს ამ დრომდეც არ ესმით, თუ როგორია საქმის ვითარება სინამდვილეში.** ჩინეთს აბსოლუტურად არაფერში სჭირდება აშშ-ის ობლიგაციებში ფულის დაბანდება. ჩინეთი ჯერჯერობით მხოლოდ ამყარებს ამ ქაღალდების ღირებულებას, რათა იქიდან თავისი აქტივები დანაკარგების გარეშე გამოიტანოს, სწრაფი გატანა, შესაძლოა, კრახის საბაბი გახდეს. სავალე ვალდებულებების ნაცვლად ჩინეთისთვის გაცილებით მომგებიანია ნავთობის, გაზის, ოქროს საბადოების ან მოგების გენერირების უნარის მქონე კომპანიების ყიდვა.

**ზემოთ მოყვანილი ორი მაგალითი კი იმის დამადასტურებელია, რომ აშშ-ის მოქალაქეები ამართლებენ ამგვარი ვაიანალიტიკოსების არსებობას. მაშ, საიდანღა უნდა დადგეს რაიმე სხვა შედეგი ეკონომიკაში ან პოლიტიკაში? იძულებულნი ვართ, სინანულით განვაცხადოთ კიდევ ერთხელ, რომ ხალხს ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებს.** ამ შემთხვევაში კი აზრი არ აქვს პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში რაიმეს გაუმჯობესების ლოდინს. მოქალაქეების ამგვარი დამოკიდებულებისა და მსოფლიოში აშშ-ის როლის ამგვარი გაგების პირობებში მშვიდად შეიძლება ხმის მიცემა ობამასთვის, რომნისთვის ან ვინმე სხვისთვის. ეს არაფერს ცვლის.

warfiles.ru

---

◀ ნავთობისათვის ომები მიმდინარეობს იმის გამო, თუ ვინ ჩაიგდებს ხელში ნავთობის გაყიდვით მიღებულ თანხებს და არა იმისთვის, უნდა გაიყიდოს თუ არა საერთოდ ნავთობი. და ცხადია, დაბომბვებისა და მსგავსი ქმედებების მოკლევადიანი მიზანია ნავთობმოპოვების შეფერხება და ამ პროდუქტზე ფასების გაზრდა. ეს ეხება ერაყსაც, ლიბიასაც და ირანსაც.

**თუ ამერიკის მიერ ნავთობის მოხმარება მართლაც სუბსიდირდება აშშ-ის არმიის ოპერაციებით, მაშინ პრობლემის გადაწყვეტა ამ ოპერაციების შეჩერებაა.** დაე, შეაჩერონ ამ უცხოურმა რეჟიმებმა აშშ-ში თავიანთი ნავთობის მიწოდება, რათა ფასები გაიზარდოს და ამერიკელმა ავტომობილისტებმა გაიგონ, რომ ელექტრომობილებზე ან რაიმე მსგავსზე უნდა გადასხდნენ.

ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ, თუ ამერიკა არ დასჯის თავის მოქალაქეებს ნავთობის ამ რაოდენობით გამოყენებისათვის და სასჯელის სახით არ გააძვირებს ბენზინს, ან არ დააწესებს შეზღუდვებს, მაშინ მას მოუწევს მილიარდების ხარჯვა არმიაზე, რომლის წყალობითაც ხელოვნურად ინარჩუნებს ნავთობის დაბალ ფასს.

The American Conservative

---

◀ **სავლურ მოდელს, ან მას გადაწყვეტილების მიღებისას სრული დამოუკიდებლობა არ გააჩნია. ორივე შემთხვევაში ამ პარტნიორის მიმართ სიფრთხილეა საჭირო რუსეთის მხრიდან. რაც შეეხება საფრანგეთს, ის დასავლეთისათვის დამახასიათებელ ქცევის მანერაში გამონაკლისად არ ქცეულა. სულ ცოტა ხნის წინ სირიასთან მიმართებაში სამხედრო მოქმედებებით იმუქრებოდა, პუტინის ვიზიტისას კი ტონი მნიშვნელოვნად შეარბილა, რაც რუსეთის ავტორიტეტზე მეტყველებს.**

თუ დასავლეთის ლიდერების განცხადებებს უფრო დეტალურად განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ ყველა მათგანი შეიცავს უამრავ „წყალქვეშა ქვას“. მაგალითად, სპეცწარგზავნილი კოფი ანანი და გაეროს გენმდივანი პან გი მუნი მუდმივად საუბრობენ ასადის ქმედებებით განპირობებულ შესაძლო სამოქალაქო ომზე. პარალელურად დასავლეთის ლიდერები აცხადებენ, რომ სურთ მდგომარეობის მშვიდობიანი მოგვარება, მაგრამ სამოქალაქო ომის შემთხვევაში, შესაძლოა, განსაკუთრებული ზომების მიღება გახდეს საჭირო.

**უბრალო ობივატელს დასავლეთის ლიდერების განცხადებების მოსმენის შემდეგ უჩნდება აზრი, რომ დასავლეთს ავადმყოფები მართავენ. სინამდვილეში ეს საინფორმაციო ომია. ობივატელის ამგვარი დამოკიდებულება კი დასავლეთისთვის ხელსაყრელია, რადგან ეს მოვლენების სათანადოდ შეუფასებლობის შედეგია.**

“Око Планеты”

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**90 ტონა ჰეროინი, ანუ მთელი წლის მანძილზე ავღანეთიდან გამავალი ჰეროინის მთელი რაოდენობის მეოთხედი, ყოველწლიურად ცენტრალური აზიის გავლით მოძრაობს. 2010 წელს ამ რაოდენობის მხოლოდ 3 პროცენტი დააკავეს რეგიონის ხელისუფლებებმა. და მიუხედავად დახმარების აღმოჩენის ინტერნაციონალური მცდელობისა, ეს ციფრი სულ უფრო მცირდება.**



# ავღანური ყაყაჩოს პლანტაციებისა და ჰეროინის გავრცელების ცენტრების ნამდვილი მეპატრონეები

**ცენტრალური აზიიდან ავღანეთში ჰეროინის კონტრაბანდის გასაღები UNODC-ია (ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაეროს სამმართველო). ზუსტად ამ გაეროს ნარკოტიკების სააგენტოს უკანასკნელი მოხსენება ნათელს ჰფენს ავღანეთიდან ცენტრალური აზიის გავლით ნარკოტიკების ტრანზიტის მექანიზმს. მასში საუბარია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან ამ ყველაფრისთვის ხელის შეშლის სუსტ მცდელობებზეც.**



ამერიკელი ჯარისკაცები ავღანეთში, ყაყაჩოს ველებზე

ნარკოტიკებისა და დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაეროს სამმართველოს 106-გვერდიან ანგარიშში, რომელიც ამ თვეში გამოქვეყნდა, აღწერილია ნარკოტიკების უმსხვილესი მწარმოებელი ავღანეთიდან ჰეროინისა და ოპიუმის მის უდიდეს მომხმარებელ რუსეთში კონტრაბანდული ტრანსპორტირების მექანიზმი. მაღალი სისუფთავის **90 ტონა ჰეროინი, ანუ მთელი წლის მანძილზე ავღანეთიდან გამავალი ჰეროინის მთელი რაოდენობის მეოთხედი, ყოველწლიურად ცენტრალური აზიის გავლით მოძრაობს. 2010 წელს ამ რაოდენობის მხოლოდ 3 პროცენტი დააკავეს რეგიონის ხელისუფლებებმა. და მიუხედავად დახმარების აღმოჩენის ინტერნაციონალური მცდელობისა, ეს ციფრი სულ უფრო და უფრო მცირდება.**

ამგვარი ანგარიშები არასდროს ავლენენ ე. წ. დამნაშავე კონტრაბანდისტებს და რატომღაც ეს ანგარიშები მუდამ ჩრდილში ტოვებს ე. წ. ინტერნაციონალური მცდელობების როლს. როგორ აღწერდით სიტუაციას, როდესაც კონტრაბანდისტები არიან მაღალი რანგის მქონე საერთაშორისო პერსონები, რომელთა ძირითადი ინტერნაციონალური ძალისხმევა მიმართულია კონტრაბანდის გაზრდის და არა მისი შემცირებისკენ? **„კოსმეტიკური შოუ“ სახელწოდებით „საერთაშორისო ძალისხმევა ნარკოტიკების კონტრაბანდის შესამცირებლად“ ხორციელდება იმავე კონტრაბანდისტების მიერ, რომლებიც მთელ ძალისხმევას ხარჯავენ კონტრაბანდის მოცულობის გაზრდაზე.**

ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი ძალზე რთულად და ჩახლართულად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ძალზე მარტივია. მაგრამ ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდეთ, მანამდე კი იმავე მოხსენების ესოდენ დაუზუსტებელ და სადავო სხვა მონაცემებს გადავხედოთ:

**ცენტრალურ აზიაში ფესვგადგმული კორუფცია რეგიონს კონტრაბანდის მშვენიერ გზად აქცევს, — წერია მოხსენებაში. მაღალჩინოსანნი ან ჩაბმულნი არიან ამ ვაჭრობაში, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქრთამს იღებენ მასზე თვალის დახუჭვისათვის, განსაკუთრებით ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში.** მეზობლებთან თანამშრომლობის არარსებობაც ხელს უწყობს კონტრაბანდის გადაადგილების თავისუფლებას.

ამ პუნქტზე შეჩერებაა საჭირო. კორუფციის აყვავებაში მოხსენების ავტორები მმართველ რეჟიმებსა და საკუთარ ძალებს გულისხმობენ, რატომღაც არაფერს ამბობენ იმაზე, რომ ეს რეჟიმები საერთაშორისო კონტრაბანდისტების მიერ საგულდაგულოდაა შერჩეული, თავადვე უჭერენ მათ მხარს და თავადვე მართავენ. დავიწყოთ იმით, თუ როგორ ვარჩევთ, ვკვებავთ და ვამაგრებთ იმ „ფესვგადგმულ კორუფციას“, რომელიც ამ ე. წ. დოკუმენტშია მოხსენიებული:

2007 წელს პენტაგონმა დაახლოებით 30 მილიონი დოლარი გამოყო ბაკიევის რეჟიმის მხარდასაჭერ სხვადასხვა პროგრამაზე — ძირითადად, მანასის ავიაბაზაზე წვდომის კომპენსაციის სახით. ეს დაახლოებით ექვსჯერ აღემატება იმას, რაც დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების პროგრამებზე დაიხარჯა. გარდა ამისა, პენტაგონმა რეჟიმს მისცა ექსკლუზიური სანავთობო კონტრაქტები. ამის ბაზაზე აშშ-ის მიერ ჩატარებული იმ ოპერაციების გამო, რომლებიც ბაკიევისა და მისი შვილის მეგობრების მნიშვნელოვანი ინტერესებით „დახუნძლულ“ ფირმას ეხებოდა, ახლა ბიშკეკშიც და კონგრესშიც გამოძიება მიმდინარეობს. ამიტომაც ყირგიზეთში მიიჩნევენ, რომ ვაშინგტონი მხარს უჭერს კორუმპირებულ და ავტორიტარულ რეჟიმს.

ამ თემაზე კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ მოხსენებაში საუბარია კიდევ ბევრ მეზობელ ქვეყანაზეც და მათთან დაკავშირებული ფაქტებიც არანაკლებ საინტერესოა.

სამხედროებისა და პოლიციის ძალით ვაშინგტონი სხვადასხვა დროს ეხმარებოდა ცენტრალური აზიის არაერთ ქვეყანას — ყაზახეთს, უზბეკეთს, ტაჯიკეთს, ყირგიზეთსა და თურქმენეთს. ეს „დახმარება“ საბჭოთა კავშირის დაშლის და ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის დღიდანვე დაიწყო. რამდენიმე წელიწადში ეს დახმარება გაფართოვდა, რადგან აშშ-ის ცენტრალურმა სარდლობამ, რომლის ბრძანებები ეგვიპტიდან ჩინეთის საზღვრებამდე მოქმედებდა, სპეციალური დანიშნულების ძალები გაგზავნა უზბეკეთსა და ყირგიზეთში ადგილობრივი ჯგუფებისათვის მეამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლის სასწავლებლად. ორივე ქვეყანაში მღელვარება და არეულობები მატულობდა, ორივე ქვეყანაში სამხედროები ნატოს წვრთნებში მონაწილეობდნენ...

**ყირგიზეთში, მანასში, მანასის ყოფილ ავიაბაზაზე, 2001 წლიდან იყო განთავსებული სატრანზიტო ცენტრი, როგორც ავღანეთში მიმავალი, და იქიდან უკან მომავალი ამერიკის სამხედრო პერსონალის გადასაგზავნი პუნქტი. ობიექტების უწყვეტი მუშაობისათვის ამერიკელებმა 200 მილიონი გადაიხადეს. ამ ბაზასთან დაკავშირებულია უამრავი მაქინაცია მისი არსებობის მრავალი წლის მანძილზე.**

აი, კარგად შესწავლილი და დასაბუთებული განცხადებები და ანგარიშები მანასის რეალური დანიშნულების შესახებ.

გასულ წელს პიტერ დეილ სკოტი წერდა ვრცელ სტატიაში, თუ როგორ **ერეოდა აშშ ყირგიზეთის საქმეებში თავისი სტრატეგიული ავიაბაზის ინტერესების დაცვის საბაბით, რამაც ყირგიზეთში პოლიტიკური დესტაბილიზაცია და ქვეყნის გავლით ნარკოტიკების გადინების გაზრდა განაპირობა.**

„ის ფაქტი, რომ ნარკომოვაჭრეების, დაზვერვის და ჯიჰადის უკან დგას ფარული ძალა, ემთხვევა აშშ-ის წინა ჩარევას ავღანეთში, ლაოსსა და ბირმაში და ამერიკის საერთო პასუხისმგებლობას მეორე მსოფლიო ომის დროიდან გლობალური ნარკოტრაფიკის უზარმაზარი ზრდის საქმეში. მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ 2001 წელს, ამერიკის ავღანეთში შეჭრის დროიდან, ავღანეთში ოპიუმის წარმოების გაორმაგება, უბრალოდ, იმეორებს ნარკოტიკების წარმოების მასიურ ზრდას ბირმაში, ტაილანდსა და ლაოსში 1940-იანიდან 1970-იან წლებამდე. ეს ქვეყნები ცსს-ს (ლაოსის შემთხვევაში — მისი ფრანგული განყოფილების) იქ ყოფნის პირობებში ნარკოტრაფიკის მთავარ წყაროებად იქცნენ, რომ არა მასობრივი შეჭრა, ამ ქვეყნებში ბოლომდე მხოლოდ ადგილობრივი მოვაჭრეები დარჩებოდნენ.

უკვე **2001 წელს ყირგიზეთის ბაზა იქცა ცენტრად ტრანსნაციონალური ჯგუფებისათვის, რომლებიც ნარკოტიკებს გზავნიდნენ სხვადასხვა მიმართულებით.** კონგრესის ბიბლიოთეკაში შენახული 2002 წლის ანგარიშის მიხედვით, **ყირგიზეთი ნარკოინდუსტრიის ძირითად ცენტრად იქცა მის ყველა ასპექტში: დამზადება, გაყიდვა და გავრცელება.** ტაჯიკეთის მთების გავლით ავღანეთიდან მომავალ გზაზე ყირგიზეთის მდებარეობა, კონტრაბანდის მხრივ, ქვეყნის არაეფექტური შიდა კონტროლის ფონზე გარკვეული პირების მოზიდვის საბაბად იქცა. ამ პირებს ყირგიზეთის გაზეთი შემდეგნაირად ახასიათებდა: **„ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით წევრია გაერთიანებული შეერთებულ შტატებში, ბრაზილიაში, რუსეთში, ბელარუსსა და ყაზახეთში... ესენი ნარკოტიკების გაუნათლებელი ტაჯიკელ-ავღანელი გადამზიდები არ არიან, არამედ პროფესიონალები, რომლებმაც სტაჟირება მსოფლიო ნარკოსისტემის მაფიოზურ კლანებში გაიარეს...“**

ნარკოტრაფიკის ბადახშანის დერეფანი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისათვის. ავღანური ოპიატები რუსეთში ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის გავლით ხვდება. კონტრაბანდის მთავარ გზაზე ის სწორედ ბადახშანისა და სხვა ჩრდილო-აღმოსავლური პროვინციებიდან ხვდება. ავღანეთში ბოლო სამ წელიწადში ნარკოტიკების წარმოების შემცირება თავისთავად უმნიშვნელოა, ამან თითქმის ვერანაირი გალენა ვერ მოახდინა ჩრდილო-აღმოსავლეთზე და რუსეთში ოპიატების იმპორტი კვლავაც განაგრძობს ზრდას. გარდა ამისა, ავღანეთის ჩრდილოეთ პროვინციების ყაყაჩოსაგან გაწმენდის ფართოდ რეკლამირებული აქცია ხშირად ამ ყაყაჩოდან სხვა უკანონო მცენარეების მოყვანაზე გადასვლას ნიშნავდა.

**გაეროს ჩინოვნიკების მონაცემებით, ავღანეთი მსოფლიოში ჰაშიშის უდიდეს მწარმოებლად იქცა.** ეს დაემატა ბადახშან-ტაჯიკეთ-ყირგიზეთის დერეფნის ნარკოტიკების ნაკადს. საბოლოო ჯამში **ამერიკის ანტინარკოტიკული პოლიტიკის პოლიტიკური გარყვნილება დღეს რუსეთს სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს.**



საერთოდ, როდესაც საუბარია ავღანეთის, პაკისტანის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ, იგულისხმება არა მხოლოდ ტრადიციული სტრატეგიული რესურსები — ნავთობი, არამედ „ნარკოტიკული რესურსებიც“. ▶

**ნარკოტრაფიკის ბადახშანის დერეფანი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისათვის. ავღანური ოპიატები რუსეთში ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის გავლით ხვდება. კონტრაბანდის მთავარ გზაზე ის სწორედ ბადახშანისა და სხვა ჩრდილო-აღმოსავლური პროვინციებიდან ხვდება. ავღანეთში ბოლო სამ წელიწადში ნარკოტიკების წარმოების შემცირება თავისთავად უმნიშვნელოა, ამან თითქმის ვერანაირი გალენა ვერ მოახდინა ჩრდილო-აღმოსავლეთზე და რუსეთში ოპიატების იმპორტი კვლავაც განაგრძობს ზრდას. გარდა ამისა, ავღანეთის ჩრდილოეთ პროვინციების ყაყაჩოსაგან გაწმენდის ფართოდ რეკლამირებული აქცია ხშირად ამ ყაყაჩოდან სხვა უკანონო მცენარეების მოყვანაზე გადასვლას ნიშნავდა.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## გაეროს ჩინოვნიკების მონაცემებით, ავღანეთი მსოფლიოში ჰაშიშის უდიდეს მწარმოებლად იქცა

ამჟამად არსებული შეფასებების თანახმად, სუფთა ჰეროინის ავღანური მარაგი 3000 ტონაზე ოდნავ ნაკლებია. **ავღანური ნარკოტიკების მომწოდებელთა ყოველწლიური შემოსავალი კი დაახლოებით სამ მილიარდს უტოლდება. საერთაშორისო ნარკომაფია წელიწადში, სულ მცირე, ას მილიარდ დოლარს იღებს მხოლოდ ავღანური ჰეროინის საშუალებით.** ეს ფული ასაზრდოებს ორგანიზებულ დამნაშავეობას არა მხოლოდ ავღანეთში, არამედ მთელ ცენტრალურ აზიაში.

ამ რესურსების მფლობელნი ავღანელი გლეხები და მულები არ გეგონოთ. ჰეროინის საწარმოების რეალური მეპატრონეები არიან ისინი, ვინც საჭირო პერსონალი გამოზარდა და დასვა ნარკოტიკების მწარმოებელი და გამავრცელებელი ქვეყნების ხელისუფლებებში. ისინი მართავენ ამ ხელისუფლებებს, თავად კი აშშ-სა და სხვა დასავლურ ქვეყნებში ცხოვრობენ.

ნარკობიზნესის შემოსავლები ნაწილდება იმ კრიმინალურ ჯგუფებს შორის, რომლებიც მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა რგოლს აკონტროლებენ. ეს ჯაჭვი ყაყაჩოს მინდვრებიდან იწყება და ნარკოტიკების უშუალო მომხმარებლებით მთავრდება. **იმ დროს, როდესაც ყაყაჩოს მომყვანი ავღანელი გლეხები უკიდურეს სიღატაკეში არიან, ამ მინდვრების მეპატრონეები აშშ-ში, ბრიტანეთსა და დასავლური „დემოკრატიის“ სხვა ქვეყნებში ფუფუნებაში ცხოვრობენ.**

რაც შეეხება ნარკოტიკების მოძრაობის გზას, ყირგიზეთი კარგი ვარიანტია 879-კილომეტრიანი საზღვრის გამო ტაჯიკეთთან და ქვეყანაში კორუფციის ფართო გავრცელების გამო. ქალაქი ოშო ნარკოტიკებისა და კრიმინალური ბანდების თავშეყრის ადგილია. ამ ბანდების წარმომადგენლებმა თავიანთი როლი შეასრულეს 2010 წლის ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებულ ძალადობებშიც. ყირგიზეთში შენარჩუნებული არასტაბილურობა პირდაპირ ან ირიბად უწყობს ხელს ნარკოტიკების ბრუნვას.

ზემოხსენებულ ანგარიშში განტევების ვაცი ტაჯიკეთია და ამის მიზეზი შემდეგია:

მიუხედავად იმისა, რომ ტაჯიკეთი მუდმივად თავისი არასტაბილური მეზობლის — ავღანეთის ჩრდილშია მოქცეული და არ გააჩნია ისეთი პოლიტიკური და სამხედრო გავლენა, როგორიც ცენტრალური აზიის სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს აქვთ, ის მაინც რეგიონული და გლობალური იმპორტის ქვეყნად რჩება. **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტირების გაზრდით ტაჯიკეთს შეუძლია დამაკავშირებელი რგოლი გახდეს, ერთის მხრივ, აღმოსავლეთ აზიასა და სპარსეთის ყურეს, მეორე მხრივ კი, რუსეთსა და ინდოეთს შორის. მას შეუძლია, მნიშვნელოვან საყრდენ წერტილად იქცეს რეგიონულ და გლობალურ ვაჭრობაში.**

უკანასკნელ პერიოდში ფართოვდება ირანის ეკონომიკური მონაწილეობა და ინვესტირება ტაჯიკეთში. ხელი მოეწერა ეკონომიკურ შეთანხმებებს, მათ შორის ქვეყანაში სამრეწველო ქალაქის მშენებლობის თაობაზეც. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ჯერ მხოლოდ ფორმირების ეტაპზეა, უკვე არსებობს იმედი, რომ ის შესაძლებელს გახდის 50 სამრეწველო საწარმოს შექმნას.

ამ ინვესტიციების გარდა, ირანის პოლიტიკური ელიტა მიისწრაფვის ეკონომიკური კავშირების გაფართოებისკენ ირანის აღმოსავლეთ პროვინციებს, ჩრდილო-დასავლეთ ავღანეთსა და ტაჯიკეთს შორის. ისინი ხელს უწყობენ თანამშრომლობას წყლის რესურსების მართვის სფეროში, ელექტროენერგიის განაწილებაში, სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებასა და სავიზო თუ საბაჟო პროცედურების გამარტივებაში.

**აი, ამიტომაც არ უყვართ ტაჯიკეთი უცხოელ კონტრაბანდისტებს, რომლებიც ცენტრალურ აზიაში რეგიონულ დერეფანს მართავენ — ტაჯიკეთი ხომ ირანთან მეგობრობს.**

მეორე მხრივ, ცენტრალურ აზიაში ჰეროინის ტრანსპორტირების უმსხვილესი ქსელი სამხედრო ბაზები, ავიაბაზები ნატოსთან გაერთიანებულ ბაზებია, თუმცა ეს აზრი აბსოლუტურად არსად ფიგურირებს ზემოხსენებულ ესოდენ არაფაქტიურ მოხსენებაში, რომელიც, როგორც ჩანს, იმავე საერთაშორისო კონტრაბანდისტების ნახელავია.

**mixednews.ru**

# სირიიდან ლიბიამდე: რევოლუციის კოშმარი

**თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა, რომელსაც ასე ეწოდებოდა „გაზაფხულის“ დასაწყისში, ანარქიასა და არამოტივირებულ სისასტიკეში გადაიზარდა. იმ შემთხვევაში, თუ სირიული ტრაგედია მომავალშიც გაგრძელდება, სირიელები, ალბათ, ერაყელებისა და ლიბიელების ბედს გაიზიარებენ...**



სახელმწიფო დაკარგავს ღირსებასა და დიდებულებას, ძალაუფლების მქონენი ჩიხში მოექცევიან, მინისტრის პორტფელებს მოისვრიან და იქით გაიქცევიან, სადაც გულლია შეხვედრის იმედი ექნებათ. ზოგიერთი უფრო შორსაც გაემგზავრება — უფლის უკიდეგანო ციურ სამფლობელოში.

დანარჩენებს ლატაკი, უუფლებო და ძაღლური ცხოვრება ელით, ისეთი, რომლის დროსაც ინგრევა ოჯახები, უცხოვდება ნათესაობა და მთელ ერს ღრმა განხეთქილება ელის.

**ყველა გმირი-მხსნელის მოლოდინში იქნება, ერაყელებივითა და ლიბიელებივით, მაგრამ ეს გმირი არც აქ მოვა. სამაგიეროდ, იფეთქებს და უდიდეს სიმაღლეს მიაღწევს გახსნილი, უაზრო და დაუნდობელი შურისძიების ავადმყოფური სურვილი.**

გული სევდით ივსება, როდესაც ხვდები, რომ შურისძიების ძველისძველი და ველური ინსტინქტი ჩვენს საზოგადოებაში არ იკიცხება. წამების გამოყენებიდან დაწყებული შურისძიება ყველგან თან გვდევს, მთელი ისტორიის მანძილზე. ეს ხდებოდა ერაყის ციხეებში. ეს ხდება ახლა სირიაშიც.

ჩვენს გონებას თანაგრძნობა და კეთილგანწყობა აღარ ავსებს. მასში სულ სხვა რამემ დაიბუდა — რევოლუციურმა და ავისმომასწავებელმა სიტყვამ „აღმოფხვრა“.

როგორ მოექცევიან სირიაში მათ, ვისაც ბაშარ ასადის რეჟიმის მომხრეებად მიიჩნევენ? ნებისმიერი სისხლისღვრა და სასაკლაო შეიძლება გამართლდეს რევოლუციური გარდაქმნების საჭიროებით.

და ამ წინდახედულად ჩამოსხმულ ფორმულირებაში შეიძლება მოექცეს ყველაფერი, რაც საჭიროა. ის კი, რაც არაა საჭირო, დაუნდობლად ჩამოიჭრება.

სოციალური სამართლიანობა არასდროს ყოფილა რეგიონების მმართველების მიზანი, მათ თავში სულ სხვა რამ უტრიალებდათ. ამიტომაც იყო, რომ რევოლუციური დროშის ქვეშ გადატრიალების მომწყობნი ერთი მეორეზე დესპოტურ კანონებს იღებდნენ. ეს დროთა განმავლობაში აღვივებდა ადამიანებში მინავლულ მიდრეკილებას შურისძიებისადმი.

1952 წელს ეგვიპტის 23 ივლისის რევოლუციისას დაიწყო მსხვილი სასოფლო მაგნატების მიწების ნაციონალიზაცია. საფუძველი: „თქვენ დამნაშავენი ხართ ქვეყანაში შექმნილ სოციალურ დაძაბულობაში და აღვივებთ კლასთა შორის შუღლს“.

**რევოლუციური კონფისკაციის ეპოქა მოიცავდა გამალ აბდელ ნასერას პერიოდს, შემდეგ გრძელდებოდა სადათის მმართველობისას და მტკიცდებოდა მუბარაქის ხანაში. მსოფლიო მხარს უჭერდა რევოლუციურ რეფორმატორობას.**

ხდებოდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ისინი, ვისაც ქარხნები, მიწები, ბანკები წაართვეს, მათ წინააღმდეგ ჯანყდებოდნენ, ვინც უკანონოდ იგემეს ნაციონალიზაციის ნაყოფი და თავისი ფულადი მდგომარეობა სხვების ხარჯზე გაიუმჯობესეს. სიძულვილი დუღდა და შურისძიებაში ეძებდა გამოსავალს. **ყველა რევოლუციის უმარტივესი არსი შემდეგშია: ჯერ ჩვენ ჩამოვაგდებთ, მერე ჩვენ ჩამოგვაგდებენ.**

იქნებ ვინმეს ახსოვს, რომ ნასერასეული რევოლუციის შემდეგ შეიქმნა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა — ეგვიპტე-სირია. ეს იყო ყველაზე წარუმატებელი გაერთიანება ყველა არსებულ გაერთიანებათა შორის და მალევე დაიშალა. ნასერას სოციალისტური კურსი სირიელებს არ მოეწონათ, მათ ისე სურდათ ცხოვრება, რომ საყოველთაო სოციალური სამართლიანობის სულისშემხუთველი ჩახუტება საკუთარ თავზე არ გამოეცადათ. ამ სამართლიანობას ადამიანური საზოგადოების ისტორიაში არასდროს უარსებია და არც შეიძლებოდა ეარსება.

**სამართლიანობად საღდებოდა რასისტული იდეები. ერაყში გამოყოფდნენ გარკვეულ ჯგუფებს, რომელთა მიმართაც ზუსტად ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორიც აშშ-ში 40-50-იან წლებში ზანგებისადმი. ეგვიპტეში რევოლუციონერებმა გამოაცხადეს ომი „წარსული რეჟიმის ნარჩენების“ ამოსაძირკვად. ოდესღაც აღმოსავლეთში მკაცრ დისკრიმინაციას ექვემდებარებოდნენ მუქკანიანი იუდეველები, იმავე ძველი ინსტინქტის საფუძველზე: მე თეთრი ვარ, შენ კი — მონა.**

რევოლუცია ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივებს მანამდე დამალულ ცხოველურ ინსტინქტებსა და შავბნელ ვნებებს.

როგორც მოვლენებიდან ჩანს, ლიბიის რევოლუციური „საძმოს“ თავაშვებულობაზე, მკვლელობებზე, რეპრესიებზე და ქვეყნის უდაბურ ნაწილებში ჩადენილ სისასტიკეებზე თრთოლვითა და შეძრწუნებით ყვებიან.

რევოლუცია კი გრძელდება — შურისძიება და ამოძირკვა ყველგან ბატონობს.

**ლიბიის გარდამავალი ნაციონალური საბჭო იმავე კანონებს აკანონებს, რომლებსაც ნაჩქარევად თხზავენ თავიანთ პოლიტიკურ სამზარეულოში ეგვიპტის, ტუნისის, ერაყისა და ალჟირის რევოლუციონერები.**

მაგრამ რევოლუციური კოშმარი სიახლე არაა. ოფიცრები, რომლებმაც მეფეები ჩამოაგდეს ეგვიპტეში, სირიაში, ლიბიაში, სუდანში, წლობით მართავდნენ ამ ქვეყნებს. დღეს მათ დიქტატორები ჰქვიათ, მათ რეჟიმებს კი — რეპრესიული. **ძნელი მისახვედრი არაა, რას მოიტანს ახლანდელი „გაზაფხული“: არასტაბილურობა ეგვიპტეში, ხოცვა-ჟლეტა სირიაში, სოციალური აფეთქების ზღვარზე მდგარი ლიბია, პოლიტიკური ცხოვრების სტაგნაცია ტუნისში...**

რევოლუციური პერიოდის კოშმარებს ზრდის სახიფათო ტენდენცია ახასიათებს. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა, როგორც მას „გაზაფხულის“ დასაწყისში უწოდებდნენ, ანარქიასა და არამოტივირებულ სისასტიკეში გადაიზარდა.



**Asharq Alawsat**

ეს უნდა ვიცოდეთ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შეხედეთ ეგვიპტეს, რომელმაც პანისლამისტური ტერორის მიზეზით დაკარგა ტურიზმი და რომლის ეკონომიკა სულს ღაფავს. ან აიღეთ ალჟირი, რომელიც უკვე ჩათრეულია სამოქალაქო ომში, რომლიდანაც გამოსვლა ძნელია. შემდეგ — მეზობელი აზიური ქვეყნები, განსაკუთრებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის მუსლიმური რესპუბლიკები, რომელთა რუსეთთან კონფლიქტამდე მიყვანას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. დაბოლოს, ევროპის ჯერიც დგება.“**

# მართლმადიდებლობა და ახალი მსოფლიო წესრიგი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №21 (159)

**ევროპის საერთაშორისო ურთიერთობათა მოწესრიგების საქმეში ქრისტიანული ეკლესიების როლის შესახებ საუბრისას დოქტორი მარკო მარკოვიჩი დაეჭვებით აცხადებს, რომ ეკუმენიზმი კრახს განიცდის და ამის დასტურია სამწუხარო რეალობა, რომელიც გამოიხატა ფაქტში: არც ერთმა არამართლმადიდებლურმა ეკლესიამ ღიად არ დაიცვა წამებული სერბი ხალხი.**

## შეთქმულება მართლმადიდებლობის წინააღმდეგ

**საუბარი კორესპონდენტთან გრძელდება სამმხრივი კომისიისა და რომის პაპის შესაძლო შეთანხმებაზე, რომ ამოაგდონ მართლმადიდებელი ხალხები ისტორიული კალაპოტიდან.**

— ასეთი თვალსაზრისი, — **ამბობს დოქტორი მარკო მარკოვიჩი,** — ძალიან გამარტივებული იქნება. ჩვენ ჯერ მხოლოდ მედლის ერთი მხარე განვიხილეთ.

დავუბრუნდეთ უკვე ხსენებულ **ბჟეზინსკის,** რომლის გეგმა გაცილებით რთული იყო და რომელიც, ჩემი აზრით, სამ მიზანს ისახავდა: **იგი არ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ რუსეთის განადგურებით. მას, ისევე როგორც სამმხრივ კომისიას, სურს, რომ ევროპა ამერიკაზე დამოკიდებული გახადოს, აგრეთვე, იაპონია და მთელი მსოფლიო. ამას კი მათი დესტაბილიზაცია სჭირდება...** ამერიკისა და იაპონიის წარმომადგენლებს როგორ ესახებათ თავიანთი ურთიერთობა, ვერ გეტყვით. **ევროპის მიმართ კი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია:**

**პანისლამიზმი.** ერთი შეხედვით, ეს თქვენ წარმოუდგენლად მოგეჩვენებათ, სიგიჟედაც კი. არადა, **ირანული პანისლამიზმი სამმხრივი კომისიის ყველაზე გენიალური გადაწყვეტილებაა.**

ვინ შეიყვანა ჯიმი კარტერი სამმხრივ კომისიაში, აშშ მომავალი პრეზიდენტი? ზბიგნევ ბჟეზინსკიმ. ვინ მიატოვა ირანის შაჰი და დაუშვა, რომ აიათოლა ჰომეინი მოსულიყო ხელისუფლების სათავეში? ჯიმი კარტერმა. ჰომეინი დაუყოვნებლივ ჩაება ერაყთან მრავალწლიან ომში, რითაც დასავლეთს კარგად მოემსახურა. აი, რეზა ფეხლევის, შაჰს, ამის გაკეთება არ სურდა. მაგრამ ჰომეინის ეს გადაწყვეტილება უმნიშვნელო სამსახური იყო იმასთან შედარებით, რისი არევაც შეეძლო ირანულ პანისლამიზმს მომავალში... ჯერ ერთი, იგი, სამმხრივი კომისიის პრინციპიდან გამომდინარე, წინააღმდეგია ეროვნული სახელმწიფოების არსებობის. **პანისლამიზმი, უწინარეს ყოვლისა მუსლიმური ერების წინააღმდეგია. შეხედეთ ეგვიპტეს, რომელმაც პანისლამისტური ტერორის მიზეზით დაკარგა ტურიზმი და რომლის ეკონომიკა სულს ღაფავს. ან აიღეთ ალჟირი, რომელიც უკვე ჩათრეულია სამოქალაქო ომში, რომლიდანაც გამოსვლა ძნელია. შემდეგ — მეზობელი აზიური ქვეყნები, განსაკუთრებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის მუსლიმური რესპუბლიკები, რომელთა რუსეთთან კონფლიქტამდე მიყვანას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. დაბოლოს, ევროპის ჯერიც დგება.**

**— თქვენი ლოგიკის გაზიარება შესაძლებელია, როცა საქმე აზიასა და აფრიკას ეხება, მაგრამ სათუოა ევროპასთან დაკავშირებით, რომლის მნიშვნელოვან ტერიტორიებზე ისლამი არ არსებობს...**

— სწორედ ევროპაში გველოდება ყველაზე მეტი მოულოდნელობა. რამდენიმე წლის წინათ ფრანგმა ჟურნალისტმა ქალმა ქრისტინა ოკრენტმა, მინისტრ კუშნერის ცოლმა, რომელიც დაჟინებულ ანტისერბულ კამპანიას ეწევა, ინტერვიუ ჩამოართვა ალექსანდრ დე მარანშს, საფრანგეთის საიდუმლო სამსახურის ყოფილ შეფს (1970-1981), და შემდგომ წიგნად გამოსცა. აი, ამ წიგნის 269-ე გვერდზე დე მარანში წუხს ისრაელის გამო, რაც ეფუძნებოდა მუსლიმთა შორის შობადობის გაზრდის ტენდენციას. 372-373-ე გვერდებზე იგი ლაპარაკობს, რომ მონაწილეობდა მაროკოს სულთნისა და ესპანეთის მეფის მოლაპარაკებაში, რომელიც ეხებოდა გვირაბის გაყვანას გიბრალტარის სრუტის ქვეშ, რათა გაეადვილებინათ აფრიკიდან ევროპაში მუსლიმთა მასობრივი გადასახლება. უეჭველია, რომ მუსლიმთა ასეთი შემოსევა



**«რაც უფრო საგრძნობი ხდება მუსლიმთა იმიგრაცია, მით უფრო ძლიერია ევროპული მოსახლეობის წინააღმდეგობა, პარალელურად კი ვრცელდება აზრი, რომ ამ ხალხებში ძლიერდება რასიზმი და ნაციზმი»**

დაარღვევდა ევროპელი ხალხების წონასწორობას. **რაც უფრო საგრძნობი ხდება მუსლიმთა იმიგრაცია, მით უფრო ძლიერია ევროპის მოსახლეობის წინააღმდეგობა, პარალელურად კი ვრცელდება აზრი, რომ ამ ხალხებში ძლიერდება რასიზმი და ნაციზმი.** გიბრალტარის გვირაბის გარეშეც გერმანიასა და საფრანგეთს ვერ დაუძლევიათ ეს მოჯადოებული წრე. შესაბამისად, შეკითხვა — ვინ მისცა დე მარანშს უფლება, ჩართულიყო ამ მომაკვდინებელ პროექტში და ხომ არ იდგნენ მის უკან რესპუბლიკის პრეზიდენტი ან თუნდაც მთავრობის თავმჯდომარე? — თავისთავად იბადება, რადგან, თავისი მაღალი თანამდებობის მიუხედავად, ეს სახელმწიფო ჩინოვნიკი ამგვარი პასუხისმგებლობის აღებას ვერ გაბედავდა.

პასუხის მიღებას გაგვიადვილებს ფაქტი, კერძოდ ის, რომ იმ დროს (1974-დან 1981 წლამდე) საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო ვალერი ჟისკარ დესტენი... სამმხრივი კომისიის ერთ-ერთი ევროპელი წევრი და ბჟეზინსკის თანამოაზრე ჩრდილოეთისა და სამხრეთის კავშირის გაძლიერების საკითხში. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთმა შეიფარა აიათოლა ჰომეინი ირანში ხელისუფლების სათავეში მის მოსვლამდე.

ბუნებრივია, რომ **ბჟეზინსკის თეორია ჩრდილოეთისა და სამხრეთის კავშირის შესახებ არ ავალდებულებდა აშშ-ს, ფართოდ გაეღო კარი სამხრეთ ამერიკიდან დევნილებისთვის. აი ევროპაში კი ამ თეორიის საფარქვეშ საჭირო იყო, რაც შეიძლება სწრაფად დაწყებულიყო მუსლიმთა შემოსევა, პანისლამიზმი დაგვიანებით შემოვა. დღეს ისლამისტები თითქმის ყველა ქვეყანაში არიან.** სუვერენული ბოსნიური სახელმწიფოს აღიარებით, ჩვენს წინაა პირველი ისლამური ფორპოსტი ევროპაში **(„საქართველო და მსოფლიოს“ დაკვირვებულ მკითხველს მხედველობიდან არ გამორჩებოდა სააკაშვილის მიერ მუსლიმებთან შეთამაშების ელემენტები — შინ მუსლიმთა დღესასწაულის სახელმწიფო დღესასწაულად აღიარება, საგარეო პოლიტიკაში — ჩრდილოკავკასიელებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღება და ასევე — ირანთან).**

დოქტორმა კუშნერმა და ბერნარ ანრი-ლევიმ მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს პარიზში მიეღო იზეტბეგოვიჩი, როგორც ვინმე ავტორიტეტული სახელმწიფოს მეთაური...

**— თურქეთი ეროვნული სახელმწიფოა, რომლისთვისაც პანისლამიზმი, როგორც თქვენ ამბობდით, საშიშია.**

— ...სანამ დასავლეთი თურქეთს ნდობით ეკიდება, ესე იგი, ეს ქვეყანა დაინტერესებული იქნება... ყოფილი საბჭოთა კავშირის მუსლიმთა მხარდაჭერით: ერთის მხრივ, იგი ამით დროებით აიცილებს პანისლამიზმის საშიშროებას, მეორე მხრივ, გააძლიერებს თავის გავლენას ბალკანეთზე, შავ ზღვასა და კავკასიაში. ხოლო ის, რომ დასავლეთს თურქეთი რეზერვში ჰყავს, როგორც მნიშვნელოვანი მოკავშირე, იქიდანაც ჩანს, რომ დაიწყო ქურთების დევნა, რომელთა ბედი ერაყში მას წლების განმავლობაში აწუხებდა. **რაიმე სასწაულით რუსეთთან ურთიერთობა რომ დალაგდეს, დასავლეთი თურქეთს მეორე დღესვე მიატოვებს.**

**— თქვენს თეორიას ყური რომ ვუგდოთ, გამოდის, რომ მართლმადიდებელი ქვეყნები დასაღუპადაა განწირული, ხოლო არამართლმადიდებელი ხალხები თვითმკვლელობის პოლიტიკას ეწევიან, ყველა, ამერიკის შეერთებული შტატების გარდა.**

— ის, რაც ვთქვი, „თეორია“ არ არის, მხოლოდ არსებული ფაქტებით იფარგლება. **თუ დასავლეთი კვლავაც აქტიურად ჩაერევა ბალკანეთისა და რუსეთის კონფლიქტებში, ყველა გონიერი ადამიანისთვის ცხადი გახდება, რომ ჩვენ უკვე ჩართული ვართ მესამე მსოფლიო ომში.**

სწორედ იმიტომ, რომ საკუთარი „თეორია“ არ გამაჩნია, რომ წინასწარმეტყველი არ ვარ, რომ არ ვიცი, ვინ არის რეალურად „მსოფლიოს მპყრობელი“, არ შემიძლია გითხრათ, თვითმკვლელობის გზით მიდის თუ არა ამერიკა, თუ მხოლოდ დანდობილი იქნება. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკა დანაღმულ ველზე დგას, სადაც ზანგების პრობლემას ემატება შუაამერიკული იმიგრაცია და ისლამიზმის საშიშროება, რამაც თავი იჩინა ლოს ანჟელესისა და ნიუ იორკის ამასწინანდელ ინციდენტებში, არ მჯერა, რომ მათი „ამქვეყნიური სამოთხე“ დიდხანს გაგრძელდება.

**— ასე რომ, გამოსავალი არ არის. რა კუთხითაც გინდა შევხედოთ, თქვენ მიერ აღწერილი გეგმა სატანისტური ძალების მიერ შთაგონებულსა ჰგავს. თითქოს ხორციელდება მამა იუსტინე პოპოვიჩის სიტყვები: „ჩვენი საუკუნე ეშმაკთან კავშირის შეკვრას ნიშნავს“.**

— გეთანხმებით. მაგრამ რამდენი ადამიანია მსოფლიოში, ვინც ეს შეიგნო?.. დროდადრო გოეთეს „ფაუსტს“ გადავშლი ხოლმე და მაოცებს ავტორის მეფისტოფელისეული რეფლექსები: „საუკუნეების მანძილზე სიცრუეს ქადაგებდნენ ჭეშმარიტების ნაცვლად... ადამიანი, სიტყვებს რომ გაიგონებს, მზადაა, ჩათვალოს, რომ ისინი აუცილებლად უნდა შეიცავდეს რაიმე აზრს... საწყალი ადამიანები ეშმაკს ვერ გრძნობენ მაშინაც კი, როცა იგი მათ ყელში ხელს წაუჭერს“. ან შემდეგი წინადადება კათოლიკური ეკლესიის შესახებ: **„ეკლესიას კარგი კუჭი აქვს, მან გადაყლაპა მთელი სახელმწიფოები და, მიუხედავად ამისა, ამის გამო მას არ დარღვევია საჭმლის მონელების უნარი. მხოლოდ ეკლესიას შეუძლია მოინელოს ცუდი გზით მიღებული ამგვარი სიკეთე“.**

როგორც ხედავთ, გოეთეს იუმორის გრძნობა ჰქონდა.

**— კი, მაგრამ ჩვენ აქ საქმე გვაქვს იმასთან, რასაც გერმანელები უწოდებენ „გალგენხურს“ — იუმორს სახრჩობელიდან... თავი უნდა დავიმშვიდოთ ღვთისმეტყველთა შეგონებით: „სადაც სულიწმინდაა, იქით მიისწრაფის, ვითარცა ჩრდილი, დევნა და ბრძოლა... აუცილებელია, რომ ჭეშმარიტება განიცდიდეს დევნას“ (წმ. მაკარიუს ეგვიპტელი).**

## მართლმადიდებლობა და მასონობა

**— მართლმადიდებლობასა და ახალ მსოფლიო წესრიგზე საუბრისას თქვენ გაკვრით ახსენეთ ერთი ფრანგი ფრამასონი, ანუ „თავისუფალი კალატოზი“. რამეს ხომ არ გვეტყოდით მასონობაზე?**

— ძალიან რთული ამოცანის წინაშე მაყენებთ. ამოცანაც არ ეთქმის, თქვენ ჩემგან ნამდვილ გმირობას მოითხოვთ. ეს საგანი ფრიად დელიკატური და რთულია. თავიდანვე ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დავაყენებთ საკითხს, რომელზეც უნდა ვისაუბრო.

**— ვთქვათ ასე: „შეიძლება კი ვინმე ერთდროულად იყოს მართლმადიდებელიც და მასონიც?“**

— ამ შემთხვევაში რა გსურთ: პრობლემა განვიხილოთ მასონური თვალთახედვით თუ მართლმადიდებლობის კუთხით?

**— მოდით, ჩავერთოთ თამაშში და დავიწყოთ მასონთა პოზიციიდან.**

— მასონთა აზრით, საამისოდ არა თუ არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, არამედ **საყოველთაოდ ცნობილია, რომ მასონობის მსოფლიო გავლენა ეფუძნება ინფილტრაციის მის უნარს ყველა რელიგიაში, ყველა პოლიტიკურ პარტიასა და ყველა სოციალურ ფენაში.** არის ასეთი ანეგდოტი: „მითხრეს, რომ თქვენ დაბინავდით სასტუმრო „კონტინენტალში“. გაითვალისწინეთ, მასონთა შორის, რომელთაც სასტუმროში შეხვდებით, კურთხევის უმაღლესი ხარისხი შეფმზარეულს შეიძლება ჰქონდეს“.

**— მაშინ მართლმადიდებლური პოზიციიდან განვიხილოთ.**

— ერთი შეხედვით, მართლმადიდებლური თვალსაზრისითაც არ არსებობს გადაულახავი წინააღმდე- ▶

**„ქრისტეს მიმართ დამოკიდებულებაში მასონობაში ორი მიმდინარეობა შეიმჩნევა: შუასაუკუნეების კალატოზები, დღევანდელი მასონების წინაპრები, ქრისტეში პირველ მასონს ხედავდნენ... დღევანდელი, შოტლანდიური წეს-ჩვეულების მასონები კი მიდრეკილნი არიან ქრისტეს მსოფლიოს დიად არქიტექტორთან გასაიგივებლად...“**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გობანი, რადგან **თითოეულ ჩვენგანს ჰყავს მეგობარი ან ნაცნობი, რომელიც რომელიმე მასონური ლოჟის წევრია. ამ კუთხით თუ მივუდგებით საკითხს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართლმადიდებელი ერთდროულად შეიძლება მასონიც იყოს.**

**— მესმის, რისი თქმაც გსურთ. კითხვა სხვაგვარად უნდა დასმულიყო: „ჩემი მართლმადიდებლური რწმენა მაძლევს კი უფლებას ვიყო მასონი“?**

— უეჭველად. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვინ გიპასუხებთ — ის, ვინც ჯერ კიდევ არ გამხდარა მასონი, თუ ის, ვინც უკვე მასონია. მართლმადიდებლური რწმენის პირები, რომლებიც არ არიან მასონები, რა თქმა უნდა, უარყოფითად გიპასუხებენ. აი, ის მართლმადიდებლები კი, რომლებიც ამა თუ იმ მასონური ლოჟის წევრები გახდნენ, გიპასუხებენ, რომ მათი სინდისი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მათ მასონობას და რომ მასონური იდეალები არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობას, რადგან ეფუძნება შოტლანდიურ ტრადიციას, რომელსაც რელიგიური ხასიათი აქვს.

**— ვინღაა მართალი?**

— ვინმემ მიკერძოებულობა რომ არ დაგვწამოს, პასუხის გაცემამდე ორი წინასწარი პირობა უნდა შევასრულოთ: პირველი, დროებით დავივიწყოთ ყველა, მასონობის საწინააღმდეგო ჩვენთვის ცნობილი ბრალდება და მოვიქცეთ ისე, თითქოს ახლა ვიწყებთ ჭეშმარიტების აღმოჩენას. და მეორე, რომელიმე მასონს მივცეთ საშუალება, წარმოგვიდგინოს თავისი დამოკიდებულება მასონობის მიმართ, და მხოლოდ შემდეგ გამოვთქვათ ჩვენი საკუთარი აზრი.

**— თქვენი მეთოდი სავსებით ობიექტურია, მაგრამ ნება მიბოძეთ, გამოვთქვა ერთი შენიშვნა: რასაც თქვენ გვთავაზობთ, მე არსებითად არ მიმაჩნია. მასონობა ეზოთერული საზოგადოებაა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი დაფუძნებულია საიდუმლოებებზე. როგორც ვიცი, მასონობის 33 ხარისხის თითოეულ დონეზე მასონები იგებენ ახალ საიდუმლოებებს, ან, თუ გნებავთ, ახალ მიზნებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ უმაღლეს დონემდე ყველა ვერ აღწევს, რომ უმეტეს შემთხვევაში მასონები კვდებიან იმაზე უფრო ადრე, ვიდრე თავიანთი ორგანიზაციის ყველა საიდუმლოებასა და მიზანს შეიტყობენ, მასონობაზე სიმართლეს ვერ გეტყვით ის, ვინც თვითონ არ იცის სრული სიმართლე.**

— შენიშვნა დროულია. მართალია, რომ **მასონთა უმრავლესობისთვის ამ ორგანიზაციის ყველა მიზანი უცნობია. სწორედ ეს აბრკოლებს ბევრ ქრისტიანს, ამ ორგანიზაციაში გაერთიანდეს: ძნელია, დაადგე გზას, თუ ზუსტად არ იცი, სად მიგიყვანს იგი.** მაგრამ ამასთან დაკავშირებითაც მასონები გეტყვიან, რომ მასონობის მიზნები მათი მოსწავლე-ქარგლებისთვისაც კი ცნობილია, ხოლო „საიდუმლოებანი“ არის უფრო სიღრმისეული ათვისება მასონური მოძღვრების, ამიტომ ისინი თანდათან უნდა გაცხადდეს თქვენთვის. იმავეს გეტყვიან ქრისტიანობაზე: ქრისტიანები იწამებენ ღმერთს უფრო ადრე, სანამ გაეცნობიან ქრისტიანულ თეოლოგიას. ეს ჩვეულებრივი სოფიზმია, რადგან ქრისტიანს, თუ აქვს ამის სურვილი, შეუძლია თავიდანვე გაიცნოს ყველა ქრისტიანული ჭეშმარიტება, საეკლესიო იერარქიის ყველა წევრის სახელი და გვარი, რაც მასონების შემთხვევაში შეუძლებელია.

**— მაშასადამე, თქვენ იძულებული ხართ აღიაროთ, რომ მასონობის სანდო ადვოკატი შეიძლება იყოს მხოლოდ ის მასონი, ვინც 33-ე საფეხურამდე ამაღლდა. ასეთის პოვნა კი ძნელია.**

— ამაშიც სრულად გეთანხმებით, მაგრამ, მადლობა ღმერთს, შევძელით შოტლანდიური წეს-ჩვეულების 33-ე საფეხურის მასონის პოვნა. ეს იყო ფრანგი კაცი, რომელიც მართლმადიდებლობაში გადმოვიდა. ეს კაცი ბარონი ივ მარსოდონია.

ბარონი 1899 წელს კათოლიკურ ოჯახში დაიბადა, მიიღო იურიდიული განათლება, ისწავლა პოლიტიკური მეცნიერებანი, თუმცა მისი ბიოგრაფი გარკვევით არ ამბობს, დაამთავრა თუ არა სრული კურსი. ამის მიუხედავად, უკვე 1932 წლისთვის მან გაიკეთა ბრწყინვალე კარიერა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის სანაოსნო კომპანიებში.

**— რით შეიძლება აიხსნას ასეთი სწრაფი კარიერული აღმასვლა?**

— უთუოდ მასონობასთან კავშირებით, რომელთანაც ურთიერთობა ჯერ კიდევ 1924 წლიდან ჰქონდა დამყარებული დიადი აღმოსავლეთის ლოჟის ცნობილი მასონის — ანდრე ლებეს მეშვეობით. როცა საბოლოოდ დაბრუნდა პარიზში, იგი „რესპუბლიკის“ ლოჟის დირექტორად დაადგინეს. იგი მთლიანად გადაერთო მასონური ლიტერატურის შესწავლაზე, რაც დაეხმარა, ძალიან მალე გამხდარიყო 33-ე საფეხურის მასონი და 1936 წელს შესულიყო საფრანგეთის უმაღლეს საბჭოში სახელმწიფო მინისტრის ჩინით და წმინდა ქალაქის კეთილისმყოფელი რაინდის ტიტულით. ამასთან, იგი გახდა რაინდი სუვერენული ორდენის, რომლისგანაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სპეციალური მისიის სრულუფლებიანი მინისტრის სტატუსი მიიღო. მაგრამ, მისი ბიოგრაფიის მიხედვით, „პიუს XII-ის დროს რომის ინტეგრისტების გავლენით“, რომელთა შორის მისი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე იყო კარდინალი კანალი, იძულებული გახდა, გადამდგარიყო. მაგრამ მარსოდონისადმი ნდობის დასადასტურებლად მალტის ორდენმა მას დამსახურებული (ფაქტობრივად — ყოფილი) მინისტრის ტიტული მიანიჭა და მანაც განაგრძო ბრძოლა ხსენებული კარდინალის წინააღმდეგ.

**— ეს ცნობები საიდან ამოკრიბეთ?**

— მარსოდონისავე წიგნებიდან: „ეკუმენიზმი ფრამასონ-ტრადიციონალისტის თვალით“ და „მასონური კურთხევიდან ქრისტიანულ მართლმადიდებლობამდე“...



**«თითოეულ ჩვენგანს ჰყავს მეგობარი ან ნაცნობი, რომელიც რომელიმე მასონური ლოჟის წევრია. ამ კუთხით თუ შევხედავთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართლმადიდებელი ერთდროულად შეიძლება მასონიც იყოს»**

## მასონიზმის ბუნება რელიგიურია?

— მარსოდონის მთავარი მიზანი იყო, დაემტკიცებია იმ ანათემის უსაფუძვლობა, რომლითაც პაპმა კლიმენტ XII-მ შეაჩვენა მასონობა. ამიტომ იგი ცდილობდა, წარმოეჩინა მასონობის რელიგიური და ქრისტიანული ნიშნები — მასონობის „ღრმად მონოთეისტური“ რელიგიური ხასიათი: „იგი დაფუძნებულია მამა ღმერთის მტკიცე რწმენაზე, საკაცობრიო ძმობასა და სულის უკვდავებაზე“. თუმცა, თუ ვენდობით ბროშურას „საფრანგეთის დიადი ეროვნული ლოჟა და კათოლიკური ეკლესია“ (გამოიცა 1963 წელს), ლოჟის წევრად გახდომის პირველი პირობა არის „უმაღლესი არსების რწმენა“, „რწმენა ღმერთისა, მსოფლიო დიადი არქიტექტორის ღვთაებრიობის რწმენა“, მისი ნების რწმენა, რომელიც გახსნილია და გადმოცემულია „წმინდა კანონის წიგნში“ და „სულის უკვდავების რწმენა“.

**— ამაზე რას ამბობს პირადად მარსოდონი?**

— იგი უფრო შორს მიდის და აქცენტს აკეთებს მასონობისა და ქრისტიანობის მსგავსებაზე, რაც განსაკუთრებით ვლინდება მე-18 საფეხურის რიტუალში, რომელსაც ასრულებენ მასონური „საიდუმლო სერობის“ დროს დიდ ხუთშაბათს. მაშინ როზენკრეიცერები შოტლანდიური ცერემონიით მოიგონებენ **„მსოფლიოში ვითარცა ლამპარი გაბრწყინვებული, დოქტორ ტოგოს დოქტრინას, რომელიც მოკვდა, იმიტომ განანათლა ყველა ადამიანის ძმობა... ტოგოს დოქტრინა, ვისი მისწრაფებაც — განეხორციელებინა კაცობრიობის ბედნიერება, სიკვდილით დაისაჯა, და რომელსაც ერთადერთს შეუძლია დაამარცხოს უკუნი“.**

**— მასონური რელიგიურობის ყველა ეს განსაზღვრა ორაზროვანი ჩანს. ვინ არის ეს დიადი არქიტექტორი — ღმერთი თუ მხოლოდ სიმბოლო? რისი სიმბოლო? თუ ღმერთია, მაშინ უნდა მიგვანიშნონ მისი თვისებები, რადგან რელიგიის ისტორიისთვის ცნობილია ასობით კეთილი და ბოროტი ღმერთი. ნებისმიერ შემთხვევაში, ძნელად სარწმუნოა, რომ იგი ქრისტიანული ღმერთია, რომ ლაპარაკია წმინდა სამებაზე, რადგან მამა ღმერთის შემდეგ არ ასახელებენ ძესა და სულიწმინდას, მხოლოდ „საკაცობრიო ძმობასა და სულის უკვდავებას“ უსვამენ ხაზს. დაბოლოს, ქრისტიანებს სწამთ არა მხოლოდ სულის უკვდავება, არამედ ხორციელი აღდგომაც, „ახალი ცისა და ახალი მიწის“ მოსვლა.**

— დიახ და ეს ანალიზის მხოლოდ დასაწყისია. ყურადღებით განვიხილოთ მაგალითი, რომელიც მარსოდონს მოჰყავს. ვაღიაროთ, რომ **როზენკრეიცერების მიერ განდიდებული მოკლული პიროვნება გვაგონებს ქრისტეს, მაგრამ ქრისტეს არ ასახელებენ. მარსოდონი რამდენიმე გვერდით წინ აცხადებს, რომ ცნობილი ათეისტი ისტორიკოსისა და ქრისტოლოგის „კუშუს სკოლამ“ დაადგინა „ქრისტეს ისტორიული არსებობა“. მარსოდონი აქ აშკარად ტყუის.** ცნობილია, რომ პ.ლ. კუშუმ თავის წიგნში „იესოს საიდუმლო“ დაასკვნა: „სერიოზული განსჯის შემდეგ ისტორიკოსმა უნდა ირწმუნოს, რომ ეს არის სასამართლო ოქმი არმყოფ ადამიანზე“. ერთი სიტყვით, კუშუს არ სწამდა ქრისტეს ისტორიულობა, მარსოდონი კი სწორედ კუშუს იმოწმებს. როგორ ავხსნათ ეს?

**— ახსნა შეიძლება სამგვარი იყო: ან მარსოდონი ლაპარაკობს რაღაც განაგონს ისტორიკოსზე, რომელიც არ წაუკითხავს...**

— ეს კი ნიშნავს, რომ 33-ე საფეხურზეც კი არ დგანან ყოვლისმცოდნე ადამიანები.

**— ან იგი, როგორც კუშუ, მიიჩნევს, რომ ქრისტე გამოგონილი პიროვნებაა, რომ იგი არსებობდა იმათ წარმოსახვაში, ვინაც ირწმუნა მისი.**

— ამ შემთხვევაში „იგი“ როზენკრეიცერების რიტუალში შეიძლება მხოლოდ მითი იყოს.

**— ან მინიშნებაში „იგი“ იმალება მავანი, რომელიც ქრისტე არ არის?**

— ვფიქრობ, რომ თქვენი ეს უკანასკნელი ჰიპოთეზა ყველაზე ახლოა ჭეშმარიტებასთან და რომ პასუხი მოცემულია ადონირამის, ანუ ადონ-ქირამის (ადონ-ხირამ) ლეგენდაში, რომელიც მოგონილია ქრისტეს აღდგომის შემდეგ. ამ **ლეგენდის მიხედვით, ადონირამი, სოლომონის ტაძრის არქიტექტორი, მოღალატეებმა მოკლეს. ამ ლეგენდის ერთ-ერთი**

**«მასონთა უმრავლესობისთვის თავისი ორგანიზაციის ყველა მიზანი უცნობია. სწორედ ეს აბრკოლებს ბევრ ქრისტიანს, ამ ორგანიზაციაში გაერთიანდეს: ძნელია, დაადგე გზას, თუ ზუსტად არ იცი, სად მიგიყვანს იგი»**

**ვერსიით, ადონირამმა სამი დღე კუბოში გაატარა, შემდეგ აღდგა და დაასრულა ტაძრის მშენებლობა. აი, როგორ შეიძლება აიხსნას მასონური ტექსტის მსგავსება ქრისტეს ვნებებთან.**

**— აქ უნდა შევჩერდეთ და ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინოთ, ნახსენები სახელების დომხალი რომ ავირიდოთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მასონური სიმბოლიკა ეფუძნება სოლომონის ტაძრის მშენებლობის ლეგენდას. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც ადონირამი, არც ხირამი ბიბლიაში ტაძრის არქიტექტორებად არ არიან მოხსენიებულნი. ადონირამი მეფეთა მესამე წიგნში არის ნახსენები, როგორც „ბადას ძე — ხარკის განმგებელი“ (3 მეფ. 4,6) და როგორც ლიბანში ბეგარის განმგებელი (3 მეფ. 5,14). მაგრამ რადგან ადონირამი მხოლოდ სიტყვათა თამაშია, უნდა წავიკითხოთ „ადონ ხირამი“, ე.ი. „ბატონი ხირამი“, მაშასადამე, ლეგენდა ამ შემთხვევაშიც ვერ მტკიცდება. ძველი აღთქმითაც სახელი ხირამი დაკავშირებულია სოლომონის ტაძრის მშენებლობასთან — ამ სახელის მქონე ორი ადამიანი უშუალოდ მონაწილეობდა აღნიშნულ საქმეში: ხირამი — ტიროსის მეფე, რომელიც დავითსა და სოლომონს ამარაგებდა მშენებლობისთვის საჭირო კედლის ხის მასალით (3 მეფ. 5,1-48); და ხურამ-აბი, რომელიც ტიროსის მეფემ გაუგზავნა სოლომონს, როგორც სამსხმელო საქმის სპეციალისტი (II ნეშ. 2,13-14). მან ააგო ორი სვეტი: „ეს სვეტები ტაძრის წინ აღმართა, ერთი — მარჯვნივ, მეორე — მარცხნივ. მარჯვენას იაქინი დაარქვა, მარცხენას — ბოყაზი“ (II ნეშ. 3,17). ეს სვეტები დღესაც დიდ როლს თამაშობს მასონურ სიმბოლიკაში და ემსახურება „სპილენძის ზღვის“ შექმნას, მაგრამ აქ არსად არ ჩანს არქიტექტორი, მით უფრო — ქრისტე.**

— მარსოდონი ამტკიცებს, რომ ქრისტე მაინც არის, მაგრამ დაფარულია. ჩვენს დასარწმუნებლად გვიმხელს მასონური საიდუმლოების ნაწილს. ტაძარი მხოლოდ აკროსტიხია, რომელიც უნდა წავიკითხოთ ასე: Homo Sesus rex altissimus mundi (ადამიანი იესო — სამყაროს ნამდვილი მეფე).

**— ასეთი საშუალებით ნებისმიერ სახელს შეიძლება მივანიჭოთ ნებისმიერი მნიშვნელობა, თუმცა ქრისტე, მარსოდონის მიხედვით, ხირამს (ხურამს) ამოფარებული, ღმერთი კი არ არის, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია.**

— და მაინც უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ფაქტი, რომ ქრისტეს მიმართ მასონობაში ორი მიმდინარეობა შეიმჩნევა: შუასაუკუნეების კალატოზები, დღევანდელი მასონების წინაპრები, ქრისტეში პირველ მასონს ხედავდნენ... დღევანდელი, შოტლანდიური წეს-ჩვეულების მასონები კი მიდრეკილნი არიან ქრისტეს მსოფლიოს დიად არქიტექტორთან გასაიგივებლად...

**— მოკლედ რომ ვთქვათ, ლაბირინთიდან კი გამოვედით, მაგრამ ქრისტე ვერ ვიპოვეთ.**

გაგრძელება იქნება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იგი ყოველთვის ერთგული რჩებოდა თავისი დაპირებების, არასოდეს ცრუობდა და არასოდეს პირფერობდა. ასე იგი იქცეოდა არა მხოლოდ მოწინააღმდეგისადმი პატივისცემის გამო, არამედ, იმის გათვალისწინებითაც, რომ იგი პასუხისმგებელი იყო საკუთარი ქვეყნისა და ხალხის, იმ იდეალების წინაშე, რომელსაც განუხრელად ერთგულებდა.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-21 (139-159)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### ვარშავის აჯანყების კრახი

**დღეს უკვე ცნობილია, რომ ვარშავის აჯანყება იმთავითვე განწირული იყო. უმთავრეს მიზეზად მიჩნეულია მოწინააღმდეგის ძალების უდიდესი აღმატებულობა, მტრისა, რომელიც მშვიდობიან მოსახლეობას არ ინდობდა და, ამასთან, აჯანყების შეგნებულად შეუთანხმებლობა საბჭოთა სარდლობის გეგმებთან. ეს ხაზგასმულად გამოსაყოფია, რადგან გაკეთდა შეგნებულად, პოლონეთის ლონდონური მთავრობის მხარდამჭერთა მიერ საკუთარი დამოუკიდებლობისთვის ხაზგასასმელად.**

აჯანყება არა მარტო ცუდად, არამედ დანაშაულებრივად ცუდად იყო ორგანიზებული. უეჭველია, რომ ამას ჩერჩილიც გრძნობდა, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ იგი ამაში საკუთარ თავსაც არ გამოუტყდებოდა. ასეა თუ ისე, მაგრამ არამეგობრული გამოსვლების მიუხედავად, პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით, უკანასკნელ მომენტში იგი შეეცადა, რომ წინააღმდეგობა მეგობრულად, კომპრომისის გზით მოეგვარებია, მაგრამ ასეთი ტაქტიკა უკვე დაგვიანებული იყო.

ვარშავის აჯანყებისთვის დახმარების აღმოსაჩენად მოლაპარაკებიდან ერთი თვის შემდეგ ჩერჩილმა სტალინს „პირველი საიდუმლო და განსაკუთრებული ნდობის“ წერილით მიმართა.

წერილი იწყებოდა ასე:

„ფრიად გამეხარდა, როცა ელჩმა, სერ ა. კლარკ კერიმ მაცნობა ის ქება, რომლითაც თქვენ შეაფასეთ ბრიტანული და ამერიკული ოპერაციები საფრანგეთში. ჩვენ ვაფასებთ გმირული რუსული არმიის ბელადის ამგვარ გამონათქვამებს. ვისარგებლებ შემთხვევით, რათა ხვალ თემთა პალატაში გავიმეორო ის, რაც ადრეც მითქვამს, რომ სწორედ რუსულმა არმიამ გამოფატრა გერმანიის სამხედრო მანქანა და მოცემულ მომენტში თავის ფრონტზე აკავებს მოწინააღმდეგის ძალთა შეუდარებლად დიდ ნაწილს“.

ზედმეტი არ იქნება, თუ ერთხელ კიდევ ვიტყვით, რომ სტალინი არასოდეს ჩაიყენებდა თავს ისეთ უხერხულ, ზოგჯერ კი დამამცირებელ მდგომარეობაში, რომელშიც უინსტონ ჩერჩილი ჩავარდნილა. ეს აიხსნება არა მარტო საბჭოთა ლიდერის წინდახედულებით, არამედ იმითაც, რომ **იგი ყოველთვის ერთგული რჩებოდა თავისი დაპირებების, არასოდეს ცრუობდა და არასოდეს პირფერობდა. ასე იგი იქცეოდა არა მხოლოდ მოწინააღმდეგისადმი პატივისცემის გამო, არამედ, იმის გათვალისწინებითაც, რომ იგი პასუხისმგებელი იყო საკუთარი ქვეყნისა და ხალხის, იმ იდეალების წინაშე, რომელსაც განუხრელად ერთგულებდა.**

აი, ერთ-ერთი მაგალითი. ინგლისურმა დაზვერვამ დაადგინა, რომ პოლონეთის ქალაქ დებიცეში განლაგებულია გერმანელების რაკეტების გამოსაცდელი სადგური. ჩერჩილმა სთხოვა სტალინს, ნება დაერთო ბრიტანელი სპეციალისტებისთვის, დაეთვალიერებიათ ეს საიდუმლო ობიექტი. „...გავიგე, — წერდა ჩერჩილი, — რომ სპეციალისტები დაბრუნდნენ ინგლისში, ჩამოიტანეს ფასეული ინფორმაცია, რომელმაც შეავსო შორი მოქმედების რაკეტების დარგში ჩვენი ცოდნის ზოგიერთი ხარვეზი“.

ცხადი ხდება, რომ სტალინი ხელს უწყობდა მოკავშირეებს სამხედრო ტექნიკის სრულყოფაში, რომელიც პრინციპულად შესაძლებელი იყო, გამოეყენებინათ სსრ კავშირის წინააღმდეგ.

სტალინმა ამით გამოხატა, რომ ენდობოდა ჩერჩილს, რომელიც არაერთგზის შეეცადა მის მოტყუებას და ბოლოს და ბოლოს „ცივი ომი“ გამოუცხადა თავის საბრძოლო მეგობარს.

აი, ასეთი კონტრასტული დამოკიდებულება არსებობდა მოკავშირეთა შორის, რომელშიც თავისი ზნეობრივი გამორჩეულობის წყალობით სტალინი გამარჯვებული გამოდიოდა.

### მეორე მოსკოვური შეხვედრა

**იმ პერიოდის მსოფლიოში ბრიტანეთის იმპერიისთვის არასასიკეთო ვითარება ყალიბდებოდა. ჩერჩილი იძულებული გახდა, ამერიკის უმცროსი პარტნიორის როლს შერიგებოდა, თუმცა მსოფლიოში გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად რჩებოდა.**

როცა სტალინმა თეირანის კონფერენციაზე ხაზი გაუსვა ამერიკის უპირატესობას ინგლისზე, რაც ეფუძნებოდა აშშ-ის უდავოდ უფრო ძლიერ ეკონომიკასა და მრეწველობას, რომელსაც ხელეწიფებოდა პირველი კლასის სამხედრო ტექნიკის წარმოება, შესაძლებელია, ჩერჩილმა გაიხსენა ზემძლავრი იარაღი, რომლის დამზადებაზეც მუშაობდნენ გერმანიასა და აშშ-ში. ასეთი იარაღით გაძლიერებულ მის ქვეყანას შეეძლო კვლავ ეკარნახა თავისი პირობები სხვა მრავალი ხალხისთვის, მათ შორის, საბჭოთა კავშირისთვისაც. თუმცა მან არ იცოდა, რომ სსრკ-შიც დაჩქარებით მუშაობდნენ ატომური ბომბის დასამზადებლად.

ბევრის მთქმელია ის გარემოება, რომ **მაშინ, როცა ამერიკელი მეცნიერები ატომური ბომბის დამზადებაზე მუშაობდნენ, პრეზიდენტმა რუზველტმა საჭიროდ არ ჩათვალა ბრიტანეთის პრემიერისთვის გაენდო ისეთი საიდუმლოებანი, რომლებიც ინგლისსაც „ზეიარაღის“ მფლობელს გახდიდა. მიმომხილველთა აზრით, ასეთ ვითარებას ერთადერთ დასკვნამდე მივყავართ: ამერიკის შეერთებულ შტატებს უკვე მაშინ ჰქონდა პრეტენზია, ებატონა ომის შემდგომი მსოფლიოს ბევრ რეგიონში, სადაც ადრე ბრიტანელი მეგობრები იყვნენ დამკვიდრებულნი.**

ევროპაში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლები, როცა ჩერჩილი სერიოზულად ფიქრობდა ინგლისის გავლენის გავრცელებაზე ამ კონტინენტის ქვეყნებში. „ჩემი თვალთახედვით, — აღიარებდა იგი მოგვიანებით, — საბჭოთა საშიშროება უკვე ჩაენაცვლა ნაცისტურ მტერს“. ამიტომ იყო, რომ იგი ასე გააფთრებით ცდილობდა პოლონეთში ლონდონის ემიგრანტული მთავრობის დამკვიდრებას. ამ შემთხვევაში ინგლისის გავლენა ამ ქვეყანაში გარანტირებული ექნებოდა.

ამიტომ იყო მზად, გამხდარიყო „დიდი ძმის“ — აშშ-ის პატარა პარტნიორი. ჩერჩილმა საბჭოთა კავშირის ელჩს ფრიად მკაფიოდ განუცხადა: „ორიდან ერთი: ან ჩვენ შევძლებთ მოვილაპარაკოთ სამი ქვეყნის შემდგომ თანამშრომლობაზე, ან ინგლის-ამერიკის ერთიანი კავშირი წინ აღუდგება საბჭოთა სამყაროს“.

საჭირო გახდა „დიდი სამეულის“ ახალი შეხვედრა.

მოვლენებს წინ გავუსწროთ და ვთქვათ, რომ სტალინი ყველაფერს აკეთებდა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ქვეყნების თანამშრომლობის განსამტკიცებლად.

სტალინის ასეთ პოზიციას ისტორიის თეორეტიკოსები შემდეგნაირად ხსნიან:

**სტალინი, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო იმ საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობაში, რომელიც დაამკვიდრა საბჭოთა კავშირში. ამასთან ერთად, მას მიაჩნდა, რომ მარქსისტული მოძღვრება ასახავს რეალობას, რომლის მიხედვით იმპერიალიზმი გარდაუვალად უნდა დაიმსხვრას და საზოგადოებრივი ფორმაციები სოციალისტური სისტემების გავლით უნდა გადავიდეს კომუნისტურში. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში მუშათა კლასი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ სტალინის ამგვარ რწმენას სერიოზული საფუძველი ჰქონდა (თუმცა, როგორც ცნობილია, შრომის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განვითარების კვალობაზე პირველ ადგილზე მას ჩაენაცვლა მოსამსახურეთა სოციალური ფენა).**

იალტის კონფერენციამდე (1945 წლის 4-11 თებერვალი) ჩერჩილი ჩავიდა მოსკოვში. სტალინმა პრემიერს არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა. სტალინის ყოფილმა თარჯიმანმა ბერეჟკოვმა, რომელიც ბელადის გარდაცვალების შემდეგ ანტისტალინელების ბანაკში გადაბარგდა, ამ შეხვედრის თაობაზე საოცარი რამ თქვა: „ჩერჩილთან ყველა შეხვედრისას სტალინი ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას, კეთილი განწყობილება რომ დაედასტურებია მისთვის. შესაძლოა, იგი მიიჩნევდა, რომ ინგლისელი ტორების ლიდერი ბოლოს და ბოლოს მზად იყო, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა ნდობის საფუძველზე დაემყარებია, მზად იყო, სტალინს, როგორც თანასწორს, მოპყრობოდა“.

ბოლო მინიშნება ჭეშმარიტად საზიზღარია. რა ჰქონდა მხედველობაში ყოფილ თარჯიმანს? **შეიძლება, ჩერჩილს მართლაც სურდა სტალინის თანასწორი ყოფილიყო. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ისინი სრულიად განსხვავებულ კატეგორიებში იმყოფებოდნენ. და თუ წონით და ასაკობრივ კატეგორიებში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს აშკარა უპირატესობა ჰქონდა, ყველა დანარჩენში ასევე აშკარად ჩამორჩებოდა სტალინს.** უკვე იმის გამო, რომ ჩერჩილი ერთ-ერთი პარტიის ლიდერი და მთავრობის დროებითი მეთაური იყო, მისი გათანაბრება შეუძლებელია იმ თანამდებობასთან, რომელსაც იგივე ბერეჟკოვი დიქტატორის თანამდებობას უწოდებდა. მით უფრო, რომ 1944 წელს საბჭოთა კავშირმა საფუძვლიანად განაცხადა, რომ იგი მსოფლიოში მეორე ზესახელმწიფოა აშშ-ის შემდეგ, რასაც იმ დროს ინგლისის შესახებ ვერავინ იტყოდა.

▶

**მეგობრული ურთიერთობის ნიშნად სტალინმა მიიღო ჩერჩილის მიწვევა ინგლისის საელჩოში ვახშამზე. სუფრასთან მასპინძელი დაჟინებით უყვებოდა სტალინს იტალიაში თავისი ამასწინანდელი ვიზიტის შესახებ, სადაც მას ხალხი აღფრთოვანებით ესალმებოდა. და პასუხად მოისმინა: „სულ ახლახან ისინი ასეთივე აღფრთოვანებით ადიდებდნენ მუსოლინის“.**

უკომენტაროდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უინსტონ ჩერჩილის ვიზიტი მოსკოვში



**ჩერჩილთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება სტალინს, უწინარეს ყოვლისა, სჭირდებოდა იმიტომ, რომ თავიდან აეცილებია გაერთიანებული ინგლის-ამერიკის დაპირისპირება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ**

ჩერჩილთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება სტალინს, უწინარეს ყოვლისა, სჭირდებოდა იმიტომ, რომ თავიდან აეცილებია გაერთიანებული ინგლის-ამერიკის დაპირისპირება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს კი იმ დროს სავსებით შესაძლებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ სტალინმა დაუფარავად გაამჟღავნა უარყოფითი დამოკიდებულება ჩერჩილის გეგმისადმი, რომლითაც ვარშავაში პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის დამკვიდრება იყო განზრახული. რუზველტს არ შეეძლო ამ საკითხში ბრიტანეთის პოზიციისთვის მხარი არ დაეჭირა: პრეზიდენტის არჩევნების წინ მას აუცილებლად სჭირდებოდა კარგი ურთიერთობის შენარჩუნება ამერიკელ პოლონელებთან.

უეჭველია, რომ სტალინი არ აპირებდა თავისი გადაწყვეტილების შეცვლას: ახალი პოლონეთის მთავრობა მეგობრულად განწყობილი უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის მიმართ. ბრიტანელი სტუმრის მიმართ რაიმე დათმობაზე ამ საკითხში სტალინი არ წავიდოდა, ამიტომ ცდილობდა ამ ნეგატივის სტუმართმოყვრული პატივისცემით და თბილი ურთიერთობით გადაფარვას...

**სტალინთან შეხვედრის დროს ჩერჩილმა წამოჭრა საკითხი ევროპაში სსრკ-ისა და დიდი ბრიტანეთის გავლენის მასშტაბების შესახებ.** იგი მოითხოვდა, რომ მის ქვეყანას გადამწყვეტი სიტყვის თქმის უფლება ჰქონოდა საბერძნეთში. ამასთან, მან შესთავაზა თავის მასპინძელს, გამოეყენებიათ დიპლომატიური გამოთქმები სფეროების განაწილების საკითხზე საუბრისას, რათა არ გაეღიზიანებიათ ამერიკელები.

სტალინმა ხალისით დაუჭირა მხარი ამ წინადადებას, რადგან იგი ერთგვარად მიანიშნებდა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის თანამშრომლობაზე, რომელიც წინ აღუდგებოდა აშშ-ის მსოფლიო ბატონობისკენ მისწრაფების სურვილს. თუ ბერეჟკოვს ვერწმუნებით, სტალინმა ამ გარემოებას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი:

**„— მე მეჩვენება, რომ შეერთებულ შტატებს თავისთვის ზედმეტად დიდი პრეტენზიები აქვს, საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს კი შეზღუდულ შესაძლებლობებს უტოვებს. ჩვენ და თქვენ კი დადებული გვაქვს ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.**

**— აქ მე ერთი ბინძური დოკუმენტი მაქვს, — თქვა ჩერჩილმა და გულის ჯიბიდან ქაღალდის ფურცელი ამოიღო, — რომელშიც გადმოცემულია ლონდონში ზოგიერთი პირების მოსაზრებები.**

**ფურცელზე ჩამოთვლილი იყო რუმინეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია, უნგრეთი, ბულგარეთი, რომელთაც მიწერილი ჰქონდა, ერთის მხრივ, სსრკ-ის გავლენის პროცენტები, მეორე მხრივ — ამერიკისა და ინგლისის გავლენის პროცენტები. ციფრებით ნაჩვენები იყო, რომ რუმინეთი, მაგალითად, გათვალისწინებული იყო საბჭოთა კავშირის გავლენისათვის, საბერძნეთი კი, სურთ, დასავლეთი მოკავშირეებს დაუტოვონ. საინტერესოა, რომ პოლონეთი სიაში წარმოდგენილი არ იყო. ამგვარი ღონისძიება სუვერენულ სახელმწიფოთა შიდა საქმეებში აშკარა ჩარევა იყო, მაგრამ ჩერჩილი არ ილღებოდა დემოკრატიის პრინციპებზე ხშირი მითითებით სხვადასხვა მოსაზრებასთან დაკავშირებით.**

**— ძალიან ცინიკური ხომ არ იქნება, ასე შინაურულად რომ გადავწყვიტეთ საკითხები, რომლებიც მილიონობით ადამიანის ბედს ეხება? მოდით, დავწვათ ეს ქაღალდი, ასე უმჯობესი იქნება...**

**— არა, თქვენ შეინახეთ...“**

ამგვარად, „ბინძური ქაღალდი“ ბრიტანეთის პრემიერს დარჩა. სტალინმა მხოლოდ დააფიქსირა, რომ გაეცნო მას. მაგრამ შემდგომში იგი ითვალისწინებდა ამ უსიტყვო შეთანხმებას. მაგალითად, არ ჩაერია ინგლისის საოკუპაციო ნაწილების მწვავე კონფლიქტში ბერძენ კომუნისტებთან და მათ მოკავშირეებთან, რომელთა გამოსვლები სასტიკად დაარბიეს. სტალინი აღიარებდა საბერძნეთის პოზიციის დიდ მნიშვნელობას დიდი ბრიტანეთისთვის ხმელთაშუა ზღვის რეგიონში.

მეგობრული ურთიერთობის ნიშნად სტალინმა მიიღო ჩერჩილის მიწვევა ინგლისის საელჩოში ვახშამზე. სუფრასთან მასპინძელი დაჟინებით უყვებოდა სტალინს იტალიაში თავისი ამასწინანდელი ვიზიტის შესახებ, სადაც მას ხალხი აღფრთოვანებით ესალმებოდა. და პასუხად მოისმინა: „სულ ახლახან ისინი ასეთივე აღფრთოვანებით ადიდებდნენ მუსოლინის“.

ბრიტანეთის პრემიერი სიტყვაუხვობდა, ლაპარაკობდა „სამი დიადი დემოკრატიის“ თანამშრომლობაზე როგორც ომის დროს, ასევე მომავალ მშვიდობიან პერიოდში. იგი გადავიდა სრულიად არა სუფრულ თემაზე — ინგლისის მორალურ პასუხისმგებლობაზე პოლონელი ხალხის სულიერი ღირებულებების შენარჩუნებისთვის: აუცილებლად გასათვალისწინებელიაო, რომ პოლონეთი კათოლიკური ქვეყანაა, არ შეიძლება დავუშვათ, რომ მისმა განვითარებამ გაართულოს ურთიერთობა ვატიკანთან.

— რამდენი დივიზია აქვს რომის პაპს? — იკითხა ჩაფიქრებულმა სტალინმა.

ჩერჩილს კვლავ ენა ჩაუვარდა. აშკარად ზედმეტი მოუვიდა. რომის პაპის შვეიცარული ასეული კი არ იბრძოდა პოლონეთის გასათავისუფლებლად, არამედ წითელი არმია და მასთან ერთად — პოლონელები... ჩერჩილის მიერ ზრუნვის გამოხატვა პოლონელთა სულიერი ღირებულების შენარჩუნებაზე და რომის პაპთან დამოკიდებულებაზე აშკარად უადგილო იყო.

საბჭოთა ბელადმა სტუმარი დიდ თეატრში მიიწვია, სადაც პირველ განყოფილებაში წარმოადგენდნენ ადანის ბალეტ „ჟიზელს“, მეორეში კი გამოდიოდა წითელი არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. დამსწრენი აღფრთოვანებით შეეგებნენ ჩერჩილსა და სტალინს, რომლებიც ერთად გამოჩნდნენ თეატრის ლოჟაში. სტალინი ჩამორჩა, რათა აპლოდისმენტები სრულად რგებოდა ჩერჩილს, სტუმარმა კი, თავის მხრივ, სტალინს შესთავაზა პირველი გამოსვლისთვის ანტრაქტის დროს, ვახშამზე მცირე სასტუმრო ოთახში პოლიტიკოსთა „დიდი სამეული“ წმინდა სამებას შეადარა. სტალინმა ამ ხუმრობას მხარი აუბა:

— თუ ასეა, მაშინ ბატონი ჩერჩილი, რაღა თქმა უნდა, სულიწმინდაა, იგი ყველგან დაფრინავს...

**გულიანად რომ იცინეს, ჩერჩილმა და იდენმა ითხოვეს, ხელის დასაბანად ტუალეტში გაგვიყვანეთო. ისინი მესამე ზარის შემდეგაც არ დაბრუნდნენ. როცა ბოლოს და ბოლოს გამოჩნდნენ, იდენმა განმარტა დაგვიანების მიზეზი:**

**— პრემიერ-მინისტრს იქ დაებადა ახალი იდეები პოლონეთთან დაკავშირებით. ჩვენ საუბარში გავერთეთ და ზარი ვერ გავიგონეთ.**

**მეორე დღეს, როცა ეს ორი ბრიტანელი პოლიტიკოსი კრემლის ბინაში, ოჯახში, სტუმრობდნენ სტალინს, მან ერთ კარზე მიუთითა და უთხრა მათ:**

**— აქ სააბაზანოა, შეგიძლიათ დაიბანოთ ხელი, როცა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემების განხილვა მოგინდებათ.**

**როგორ უპასუხა ჩერჩილმა სტალინის ამ სახუმარო რეპლიკებს, როგორც ამბობენ, ისტორიის ანალებში დაფიქსირებული არ არის.**

უპასუხა კი?

თუმცა აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ მათ ისეთი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ, რომ შეხუმრების უფლებასაც აძლევდნენ თავიანთ თავს, ყოველ შემთხვევაში, სტალინის მხრიდან ეს აშკარად იგრძნობოდა...

მიუხედავად ახალი იდეებისა, რომლებიც დიდი თეატრის ტუალეტში დაებადა ჩერჩილს, პოლონეთის საკითხი გადაწყდა სსრ კავშირის ინტერესების სრული გათვალისწინებით.

სტალინმა ჩერჩილს მეგობრული განწყობილება დაუდასტურა იმითაც, რომ აეროპორტში გასაცილებლად მასზე ადრე მივიდა.

წვიმდა. სტალინი შენობაში არ შევიდა. გარეთ დაელოდა. ჩერჩილი განაცვიფრა მისდამი გამოვლენილმა ასეთმა პატივისცემამ და თვითმფრინავში თავისი, შესანიშნავად მოწყობილი აპარტამენტების დასათვალიერებლად მიიწვია სტალინი და მოლოტოვი. „ჩემთვის ახლა ნათელია, — გაიღიმა სტალინმა, — რატომ უყვარს პრემიერ-მინისტრს მთელ მსოფლიოში ფრენა“.

**საბჭოთა ბელადის ბურჟუაზიული მთავრობის მეთაურისადმი ასეთი უჩვეულო კეთილმოსურნეობის ახსნა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა დიპლომატიური ეშმაკობით და, უფრო მეტიც, — ვერაგობითა და ფარისევლობით, მაგრამ ეს ყველაფერი დამახასიათებელი იყო ჩერჩილისთვის, რაც მან ორი წლის შემდეგ სრულად გამოამჟღავნა ფულტონში წარმოთქმულ სიტყვაში, რომლითაც საფუძველი დაუდო 40-წლიან „ცივ ომს“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.**

სტალინი ასე არ მოქცეულა. პირიქით. 1944 წლის ბოლოს დაამტკიცა, რომ იგი გულწრფელად ისწრაფვოდა თანამშრომლობისკენ. მაშინ ინგლის-ამერიკის ჯარები შეეჯახნენ ვერმახტის ბრძოლისუნარიან დივიზიებს და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ნაწილები, რომელთაც გენერალი ეიზერჰაუერი სარდლობდა, სრული განადგურების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. მან მოსკოვში კონსულტაციისათვის გააგზავნა ავიაციის მთავარი მარშალი ტედერი, მაგრამ მისი ჩამოსვლა დაყოვნდა. ეიზენჰაუერის მდგომარეობა გაუარესდა.

1945 წლის 6 იანვარს ჩერჩილმა გადასცა სტალინს: „...მადლიერი დაგრჩებით, თუ შეძლებთ მაცნობოთ, შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ იმედი იანვრის განმავლობაში მასშტაბურ რუსულ შეტევაზე ვისლის ფრონტზე ან რომელიმე სხვა ადგილზე...“ პასუხმა არ დააყოვნა:

**პირადად და მკაცრად საიდუმლოდ
პრემიერი ი. ბ. სტალინი
პრემიერ-მინისტრ
ბ-6 უ. ჩერჩილს**

**7 იანვრის საღამოს მივიღე 1945 წლის 6 იანვრის თქვენი წერილი.**

**სამწუხაროდ, ავიაციის მთავარი მარშალი ბ-ნი ტედერი ჯერაც არ ჩამოსულა მოსკოვში.**

**ძალზე მნიშვნელოვანია გერმანელთა წინააღმდეგ ჩვენი არტილერიისა და ავიაციის უპირატესობის გამოყენება. ამ სახეობებისთვის საჭიროა ულრუბლო ამინდი ავიაციისათვის და უნისლობა, რადგან დაბალი ნისლი ხელს უშლის არტილერიას, აწარმოოს გამიზნული ცეცხლი. ჩვენ შეტევისთვის ვემზადებით, მაგრამ ამინდი ხელს არ უწყობს ჩვენს შეტევას. თუმცა უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკმა გაითვალისწინა დასავლეთის ფრონტზე ჩვენი მოკავშირეების მდგომარეობა, გადაწყვიტა, სწრაფი ტემპით დაამთავროს სამზადისი და, ამინდის მიუხედავად, არაუგვიანეს იანვრის მეორე ნახევრისა დაიწყოს ფართო შეტევითი მოქმედება გერმანელთა წინააღმდეგ მთელ ცენტრალურ ფრონტზე. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ გავაკეთებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შესაძლებელია, რათა ხელი შევუწყოთ ჩვენს შესანიშნავ მოკავშირე ჯარებს.**

**1945 წლის 7 იანვარი.**

გავიდა 10 დღე და ჩერჩილმა სტალინს აცნობა: „მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელითა და მთელი სულითა და გულით მინდა გითხრათ ჩვენი მადლობა და მოგილოცოთ იმ გიგანტური შეტევის გამო, რომელიც აღმოსავლეთ ფრონტზე დაიწყეთ“. თებერვლისთვის გათავისუფლდა ვარშავა და წითელი არმიის ნაწილები ოდერის ნაპირებთან გავიდნენ. ეიზენჰაუერის მდგომარეობა ადენთან მკვეთრად გაუმჯობესდა.

დაბოლოს, გავიხსენოთ კიდევ ორი ეპიზოდი, 1944 წლის ბოლოს რომ მოხდა. სტალინისგან საჩუქრად ინგლისურტიტრებიანი ფილმი „კუტუზოვი“ რომ მიიღო და მეორეჯერ რომ ნახა, ჩერჩილმა კომპლიმენტები არ დაიშურა: „...უნდა გითხრათ, რომ ჩემი აზრით, ეს ერთი იმ უბრწყინვალეს ფილმთაგანია, რომელიც კი ოდესმე მინახავს. ჯერ არასოდეს უჩვენებიათ უფრო ნათლად ორი ხასიათის ბრძოლა. ასე თვალნათლივ არასოდეს აღუბეჭდავს კინოკადრებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მეთაურებისა და რიგითების ერთგულება. ხელოვნების ამ სახით ბრიტანელი ხალხისთვის ჯერ არასოდეს წარმოუდგენიათ ასე შესანიშნავად რუსი ჯარისკაცები და რუსი ხალხი. ჯერ არასოდეს მინახავს გადაღების ხელოვნების ამაზე უკეთესი ფლობა.

თუ მიზანშეწონილად ჩათვლით, პირადად ჩემი აღფრთოვანება და მადლობა გადაეცით იმათ, ვინც ხელოვნებისა და მაღალი ზნეობის ამ ნაწარმოებზე მუშაობდა. მადლობელი დაგრჩებით. ჯერჯერობით კი თქვენ გილოცავთ“.

20 დეკემბერს ჩერჩილმა მარშალ სტალინს დაბადების დღე მიულოცა.

**ბ-6 ჩერჩილის
პირადი წერილი
მარშალ სტალინს**

**გიგზავნით ჩემს ყველაზე უფრო გულწრფელ მოლოცვას თქვენი დაბადების დღის გამო. დარწმუნებული ვარ, თქვენი სიცოცხლე ფრიად ძვირფასია მთელი მსოფლიოს მომავლისათვის და ჩვენი ორი ქვეყნის კავშირის მუდმივად განმტკიცებისთვის. ამიტომ, როცა დაბადების დღეზე თქვენდამი კეთილ სურვილებს გამოვხატავ, ეს რიტორიკული ფრაზა როდია.**

**1944 წლის 20 დეკემბერი**

**კარგია, როცა ისეთი განათლებული პიროვნება, როგორიც ჩერჩილია, მაღალ შეფასებას აძლევს კინოხელოვნების ნაწარმოებს. საინტერესოა, რომ ჩერჩილის ერთ-ერთი უსაყვარლესი გმირი იყო ნაპოლეონი, სტალინისა — კუტუზოვი.**

**და ორივე მართალი იყო!**

**ერთიც კიდევ: დარწმუნებული ვარ, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი აბსოლუტურად გულწრფელი იყო, როცა სტალინს დაბადების დღეს ულოცავდა.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაგრამ ერთი საკითხი, რომელიც ჰილარი კლინტონმა პირდაპირ საკუთარ თავზე არ აიღო, სააკაშვილის პერსონალური მომავალია, მიუხედავად იმისა, რომ მან გააკეთა მოწოდება იმის თაობაზე, რომ ამა წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები და მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყნის დემოკრატიული პროგრესის „გადამწყვეტი ინდიკატორი“ იქნება.**



## რომნიმ ობამას აჯობა

**აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა მით რომნიმ მაისში, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, დემოკრატ ბარაკ ობამაზე თითქმის 17 მილიონი დოლარით მეტი მოაგროვა.** ორივე კანდიდატის წინასაარჩევნო შტაბის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, რომნიმ 76,8 მილიონი დოლარი მოაგროვა, ხოლო დემოკრატიულმა პარტიამ — 60 მილიონი დოლარი. ამჟამად რომნის შტაბი 107 მილიონ დოლარს ფლობს (ცოტათი ნაკლებს, ვიდრე ობამას შტაბი აპრილის ბოლოს), დემოკრატებს 115 მლნ დოლარი ჰქონდათ. ორივე კანდიდატი აქტიურად აგროვებს სახსრებს და იმ დამღლელი კამპანიისთვის ემზადება, რომელიც ნოემბრამდე გაგრძელდება.



## ბავშვთა პორნოგრაფიის გამო 200 ამერიკელი დააკავეს

**ბავშვთა პორნოგრაფიასთან ბრძოლის ფარგლებში აშშ-ში თითქმის 200 ადამიანი დააპატიმრეს. დაპატიმრებები ასევე მიმდინარეობდა დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, არგენტინაში, საფრანგეთსა და ფილიპინებზე.** ოპერაციის მსვლელობისას პორნოინდუსტრიიდან განთავისუფლებული იყო 18 ბავშვი. დაკავებულთა შორის არიან არა მხოლოდ ისინი, ვინც ამ პროდუქციას აწარმოებდნენ, არამედ ისინიც, ვინც იღებდნენ ამ ვიდეოფირებს და ასაღებდნენ მათ. აშშ-ის საიმიგრაციო და საბაჟო პოლიციის სამსახურის უფროსი ჯონ მორტონი აცხადებს, რომ ეს ოპერაცია უნდა იყოს გაფრთხილება მათთვის, ვინც ინტერნეტის საშუალებით რყვნის არასრულწლოვანებს. „ჩვენ თქვენ გითვალთვალებთ, გიპოვით და პასუხს კანონის მთელი სიმკაცრით გაგებინებთ“, — განაცხადა მორტონმა.

# კლინტონი აცხადებს, რომ საქართველოს თავდაცვას დაეხმარება, ხვდება სააკაშვილს, მაგრამ არა მის მთავარ ოპოზიციურ მეტოქეს

**ბათუმი — სამშაბათს შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის ახალი სამხედრო დახმარების შესახებ განაცხადა და სოლიდარობა გამოხატა ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ, რომელიც გამოყოფილი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაბრუნებას იმედოვებს.**

სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ დახმარება უკვე მოიცავს 16,6 მილიონი დოლარის პაკეტს, რომელშიც შედის სარადარო წრთვნა სანაპირო და საჰაერო თავდაცვისთვის, საქართველოს ვერტმფრენთა პარკის მოდერნიზება იმისთვის, რომ შეძლოს სამხედროებისა და ტვირთის ტრანსპორტირება, ასევე ოფიცრების წვრთნა საკუთარი თავდაცვის უნარისა და ნატოს მისიებში მოქმედების გაუმჯობესებისთვის.

**ამერიკის მთავარი დიპლომატი შეხვდა ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებს და მოუწოდა საქართველოს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებისკენ. მაგრამ იგი არ შეხვდა ოპოზიციონერ მილიარდერ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ASSOCIATED PRESS-ს სატელეფონო ინტერვიუში განუცხადა, რომ ის არ შეხვდება კლინტონს საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის „ჯაშუშებთან“ ერთად.**

კლინტონმა შეაქო საქართველო, რომელსაც ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს ავღანეთის საერთაშორისო მისიაში და განაცხადა, რომ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის მოდერნიზება „საერთო პრიორიტეტია“.

**„ამ ძალისხმევით, საქართველო იქნება უფრო ძლიერი საერთაშორისო პარტნიორი, გაუმჯობესებული თავდაცვითი შესაძლებლობებით“,** — განაცხადა მან სააკაშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

მაგრამ დღის წესრიგის ცენტრალური თემა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი იყო. ამ ორმა ტერიტორიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა მას შემდეგ, რაც 2008 წელს რუსეთმა საქართველო ხუთდღიან ომში დაამარცხა, თუმცა ისინი მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ აღიარა. მათ რუსეთის არმია იცავს.

**„ჩვენ არ ვაღიარებთ რუსეთის ოკუპაციას და საქართველოს ტერიტორიის მილიტარიზაციას“,** — განაცხადა კლინტონმა ქართველ მაღალჩინოსნებთან შეხვედრის შემდეგ. — **რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ კონფლიქტამდელ პოზიციებზე და დაუშვან ამ პროვინციაში მონიტორები ჰუმანიტარული ორგანიზაციებიდან“.**

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და სააკაშვილმა ისაუბრეს მომავალ სამხედრო დახმარებაზე იანვარში, როდესაც საქართველოს ლიდერი ვაშინგტონს სტუმრობდა.

კლინტონმა განაცხადა ასევე ინიციატივაზე, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოქალაქეებისთვის საიდენტიფიკაციო ბარათების გაცემას გულისხმობს, რათა მათ უფრო იოლად იმოგზაურონ შეერთებულ შტატებში. მან ამერიკელების ფინანსური დახმარებით გარემონტებული ქართული სანაპირო დაცვის ხომალდები გახსნა.



**მაგრამ ერთი საკითხი, რომელიც მან პირდაპირ საკუთარ თავზე არ აიღო, სააკაშვილის პერსონალური მომავალია, მიუხედავად იმისა, რომ მან გააკეთა მოწოდება იმის თაობაზე, რომ ამა წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები და მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყნის დემოკრატიული პროგრესის „გადამწყვეტი ინდიკატორი“ იქნება.**

„ერთადერთი საუკეთესო რამ, რისი გაკეთებაც საქართველოს შეუძლია თქვენი უსაფრთოხების, თქვენი კეთილდღეობის, თქვენი დემოკრატიისა და თქვენი საერთაშორისო რეპუტაციის განმტკიცებისთვის — ეს არის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რისი შედეგიც გახდება სრულფასოვანი დემოკრატიული გადასვლა“, — განაცხადა მან.

სააკაშვილის მეორე ვადა ერთ წელიწადში იწურება, მაგრამ ოპონენტები შიშობენ, რომ ის გამოიყენებს კონსტიტუციურ რეფორმებს კულუარული გავლენისთვის, როგორც ეს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მისი ოთხწლიანი პრემიერობის პერიოდში გააკეთა.

კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სააკაშვილს, რომელიც ცდილობს მისი ქვეყნის წაყვანას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ და რომელსაც ეკონომიკური და ანტიკორუფციული წარმატებებისთვის აქებენ, იმავე დროს მისი ოპონენტები მედიის თავისუფლების ჩახშობასა და ოპოზიციის შეზღუდვაში ადანაშაულებენ. ის უარყოფს საქართველოს დემოკრატიული მიღწევების ნგრევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ძალისხმევას.

**„ეს არჩევნები ქართველი ხალხის თავისუფალი ნების გამომხატველი იქნება“,** — თქვა სააკაშვილმა. მან განაცხადა, რომ იწვევს შეძლებისდაგვარად ბევრ დამკვირვებელს, რათა კენჭისყრა იყოს **„მაქსიმალურად გამჭვირვალე, სამართლიანი და სანდო“,** მაგრამ მან **უარი თქვა, გამოერიცხა მომავალში პრემიერ-მინისტრის როლი.**

კლინტონი იმ რამდენიმე პარტიის ლიდერს შეხვდა, რომლებსაც ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში წარმატების იმედი აქვთ. მაგრამ ივანიშვილმა, სააკაშვილის სასტიკმა კრიტიკოსმა, რომელმაც საკუთარი ქონება რუსეთში საბანკო და საბითუმო ბიზნესში დააგროვა, უარი თქვა, შეერთებოდა ამ ჯგუფს, ადანაშაულებს რა ორი პარტიის ლიდერს იმაში, რომ ისინი ფსევდო-ოპოზიციის ნაწილს წარმოადგენენ და საქართველოს ლიდერის მოკავშირეები არიან.

**„მე არ მინდა იქ სააკაშვილის ჯაშუშებთან ერთად ყოფნა“,** — უთხრა AP-ის ივანიშვილმა. მან ინგლისური მეტ-ნაკლებად იცის, მაგრამ დიდწილად თარჯიმანს ეყრდნობოდა. მისი თქმით, **იგი იმედოვნებს, რომ შემოდგომაზე პრემიერ-მინისტრი გახდება და განამტკიცებს საქართველოს პარტნიორობას ვაშინგტონთან და აღადგენს ურთიერთობას მოსკოვთან.**

სააკაშვილი მის მოწინააღმდეგეს კრემლის მარიონეტობაში ადანაშაულებს.

მაგრამ **ივანიშვილმა განაცხადა, რომ მისი მმართველობის დროს ქვეყანა თავიდან აიცილებს „სააკაშვილის შეცდომებს“ — იგულისხმა რა 2008 წლის ომი და დღემდე გაყინული ქართულ-რუსული ურთიერთობები**. მისი თქმით, ეკონომიკური პროგრესისა და სტაბილურობის გზით საქართველო შეძლებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კეთილგანწყობის დაბრუნებას.

Associated Press

# რისი ეშინიათ ირანის მტრებს



**თეირანის წინააღმდეგ სანქციებმა ვერც ერთ სფეროში შედეგი ვერ მოიტანა, — ამის შესახებ ირანის სულიერმა ლიდერმა, აიათოლა ალი ჰამენეიმ ადგილობრივ სახელმწიფო ტელევიზიაში სტუმრობისას განაცხადა.** მისი თქმით, ვერც გაეროს, ვერც ევროკავშირის და აშშ-ის სანქციებმა შედეგი ვერ გამოიღო. **„ირანის მტრებს ბირთვული ირანის კი არა, ისლამური ირანის ეშინიათ“,** — აღნიშნა ჰამენეიმ. მისივე თქმით, ირანის მიზანი არ არის ბირთვული იარაღის შექმნა და ეს დასავლეთმა კარგად იცის. **„დასავლეთს უნდა, ირანის ბირთვული პროგრამა გამოიყენოს იმისთვის, რომ საკუთარი პრობლემები დამალოს, მათ შორის ეკონომიკური კრიზისი და სოციალური მღელვარება“,** — განაცხადა ჰამენეიმ. ირანის სულიერი ლიდერი იმუქრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისრაელი გაბედავს, თავს დაესხას ირანს, ევროპას ანალოგიური რამ დაატყდება თავს.

მოკლედ

## სომხეთი და აზერბაიჯანი ცეცხლს არ წყვეტენ



**სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა აზერბაიჯანის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ორმხრივი სროლა კვლავ ისმის. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ყოველმხრივ ირღვევა.** „ინტენსიური სროლის მიუხედავად, აზერბაიჯანულ არმიაში დანაკარგი არ არის. სროლას ჩვენი მხრიდან საპასუხო ცეცხლი მოჰყვა“, — ნათქვამია აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში. სომხური მედია კი მსხვერპლის შესახებ იუწყება. დაღუპულია მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ერთი ჯარისკაცი.

## სირია ელჩებს აძევებს

**სირიამ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ესპანეთის, იტალიის, ბელგიის, ბულგარეთისა და კანადის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელების ქვეყნიდან გაძევების გადაწყვეტილება მიიღო.** სავარაუდოდ, ეს დამასკოს საპასუხო ნაბიჯია დასავლური ქვეყნების გადაწყვეტილებაზე, რომლებმაც სირიის ელჩები გააძევეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც 25 მაისს სოფელ ჰულაში 116 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს.

„ჰერალდის“ პირველსავე გვერდზე დიდი, წითელი შრიფტით დაიბეჭდა შემდეგი შინაარსის განცხადება: „სიკვდილის როკვა! ქალაქის ზოოლოგიური ბაღიდან გაქცეული მხეცები ნიუ იორკის ქუჩებში სისხლიან ღრეობებს აწყობენ“. მართლაც, იმ დღეს ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა. ყველა საგულდაგულოდ კარჩარაზულ სახლში იჯდა, არ მუშაობდა არც ერთი დაწესებულება, რაღა თქმა უნდა, მშობლებმა ბავშვები სკოლებსა და კოლეჯებში არ გაუშვეს.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რაზე მეტყველებს ადამიანის ნაჯღაბნი



**ტელეფონზე საუბრისას, ლექციის მოსმენისას ან სხვა საქმის კეთებისას ადამიანები უნებურად ჯღაბნიან ფურცლის ნაგლეჯზე სხვადასხვა ორნამენტებს ან ხატავენ რამეს.**
**პლიმუტის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამგვარი ჯღაბნა ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრირებას და დამახსოვრების ხარისხს აუმჯობესებს.**
**მაგრამ, მეორე მხრივ, ნაჯღაბნის მიხედვით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ადამიანზე, მის ხასიათსა და განწყობაზე?**
**ამიტომ ნუ იჩქარებთ ამ ნახატების გადაგდებას, დააკვირდით, შეიძლება რაიმე საინტერესოც აღმოაჩინოთ. მაშ ასე, დახედეთ თქვენს ნაჯღაბნს და ამოიკითხეთ მასში დამალული საიდუმლოებები:**

**სპირალი, წრეები** — სხვების პრობლემები მაინცდამაინც არ გადარდებთ ან საერთოდ არ გაინტერესებთ. შესაძლოა, თქვენ მსუბუქ კრიზისს განიცდით. ახლა აუცილებელია თავს მიხედოთ, რომ არ აფეთქდეთ და არ მიაყენოთ მოსაუბრეს შეურაცხყოფა.

**ყვავილები, მზე, გირლიანდები** – სინამდვილეში არც ისე მხიარულად ხართ, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს, უფრო — პირიქით. ყველაზე მეტად ნატრობთ მეგობრობასა და სითბოს ან სინაზეს. ეცადეთ, უახლოეს პერიოდში უფრო მეტი დრო გაატაროთ სხვა ადამიანების გარემოცვაში.

**ცა, მზე და ღრუბლები** – სიცოცხლისმოყვარული, მხიარული და ენერგიით სავსე ბრძანდებით.

**უჯრები** — გრძნობთ, რომ მოხვდით სარისკო ან უხერხულ სიტუაციაში. უფრო ხშირად წყენას და გაღიზიანებას გულში იკლავთ ხოლმე.

**გულების გადაკვეთა** — გრძნობებით ხართ აღსავსე. გსურთ, მთელ მსოფლიოს მოეალერსოთ. არაა საჭირო ასეთი ცივი და უკარებას როლის თამაში და გრძნობების დამალვა. გამოთქვით და გამოხატეთ ისინი!

**შპალერის მსგავსი ორნამენტები** — ასეთი ორნამეტი მეტყველებს თქვენს მოწყენილობაზე. ალბათ, მოგბეზრდათ ის საუბარი, რასაც ისმენთ ხატვის მომენტში ან იქნებ ცხოვრების სტილიც?!

**ჯვრები** — ჯვრები გამოხატავს დანაშაულის გრძნობას, რაც, სავარაუდოდ, საუბრის მომენტში გაჩნდა. რაღაც გაწუხებთ: ან თქვენ თვითონ არ ასვენებთ თქვენს თავს, ან მოსაუბრე გამტყუნებთ და ბრალს გდებთ რაღაცაში.

**ადამიანები** — ეს უსუსურობის ნიშანია ან გამოხატავს სურვილს, თავი აარიდოთ რაიმე ვალდებულებას.

**ლამაზი სახე და პროფილი** — გახასიათებთ ჩართულობა და დაინტერესებულობა საქმით, ჰუმანურობა და სიყვარული ადამიანების მიმართ.

**საშინელი, მახინჯი სახეები** — უსიამოვნო მდგომარეობაზე ან გარკვეული მიზეზის გამო უხასიათობაზე მეტყველებს.

**კვადრატები, სამკუთხედები და სხვა გეომეტრიული ფიგურები** — ამ დროს ნახატი ნახაზს უფრო ჰგავს. არაა ადვილი თქვენი მოტყუება. თქვენ გაქვთ კონკრეტული მიზნები და რწმენა, თითქმის არასდროს მალავთ საკუთარ აზრებს. ძირითადად, ხართ მობილიზებული და ცდილობთ, შეხედოთ მოვლენებს მარტივად. თუკი კუთხეები განსაკუთრებით წაწვეტებულია, ეს უკვე აგრესიის ნიშანია, რომლის დაფარვასაც ცდილობთ ხოლმე.

**ტალღოვანი ხაზები, ნოტები ან მუსიკალური გასაღები** — მუსიკისკენ მიდრეკილებას გამოხატავს.

**ფუტკრის ფიჭა** — ასეთი ნახატი გამოხატავს სწრაფვას სიმშვიდისკენ, ჰარმონიისკენ და დალაგებული ცხოვრებისკენ. ასევე შეიძლება აღნიშნავდეს ოჯახის შექმნის სურვილს.

**ჭადრაკის დაფა** — როგორც ჩანს, უსიამოვნო სიტუაციაში ან გასაჭირში ხართ. თუ ასეთი გამოსახულებები ხშირად ჩნდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფარული კომპლექსები გაწუხებთ.

**ჩაკეტილი წრეები** — მაღალი ზნეობრივი და სულიერი ღირებულებები ჭარბობს თქვენში.

**წრეების გადაკვეთა** – სტაბილური კავშირი? შეიძლება. მაგრამ ხშირად ასეთ ნახატი გამოხატავს რამეში მონაწილეობის მიღების სურვილს. მოცემულ მომენტში თქვენ გრძნობთ, რომ არ ხართ ჩართული მოვლენებში.

**ხეები** — თუ ხე თხელია და გაშიშვლებული, დაბნეულობას და დათრგუნულობას ნიშნავს, ხოლო სქელი დატოტვილი ხე ენერგიულობასა და სიცოცხლის ხალისზე მეტყველებს.

**ციფრები** – კონცენტრირებული ხართ მატერიალურზე უფრო მეტად, ვიდრე სულიერზე. თქვენი აზრები ტრიალებს ფულის შოვნის ირგვლივ. შესაძლოა, ვალების გასტუმრების დრო დადგა.

**კიბე** – დაურწმუნებლობისა და დაძაბულობის აღმნიშვნელია.

**ვარსკვლავები** — ისწრაფვით მიიღოთ ის, რაც არ გაქვთ, თუნდაც აღიარება ან სიყვარული. ოპტიმისტი ბრძანდებით.

აღნიშნული მეთოდიკა აბსოლუტურად სანდო არაა, მაგრამ ხშირად ძალზე ახლოსაა სინამდვილესთან.

# თაღლითი საქმოსნები

**ისინი, ვინც დიდ ბიზნესებს ჩაუყარეს საფუძველი და ვისი წამოწყებული საქმეებიც მრავალი წლის მანძილზე არაერთ თაობას მოესწრო, მუდამ კეთილსინდისიერებითა და პატიოსნებით არ გამოირჩეოდნენ. იყვნენ ისეთებიც, ვისაც უამრავი ადამიანის მოტყუება არად უღირდათ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ხანდახან, ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად და გასახალისებლად სჩადიოდნენ რაღაც თაღლითობებს.**



**ჯეიმს გორდონ ბენეტი — „ნიუ იორკ ჰერალდის“ მეპატრონე და მთავარი რედაქტორი, ერთ თავყრილობაზე ახალ მეგობრებს უმტკიცებდა, რომ მას ძალუძს, თავისი მკითხველი ნებისმიერ დაუჯერებელ ამბავში დაარწმუნოს.**

იმავე საღამოს შექეიფიანებულმა ჯეიმს გორდონმა საჯაროდ დადო ნიძლავი, რომ მეორე დღეს ნიუ იორკის მრავალმილიონიანი მოსახლეობა სახლებში იქნებოდა გამოკეტილი და გარეთ ცხვირის გამოყოფას მხოლოდ ერთეულები თუ გაბედავდნენ.

**მეორე დილით „ჰერალდის“ პირველსავე გვერდზე დიდი, წითელი შრიფტით დაიბეჭდა შემდეგი შინაარსის განცხადება: „სიკვდილის როკვა! ქალაქის ზოოლოგიური ბაღიდან გაქცეული მხეცები ნიუ იორკის ქუჩებში სისხლიან ღრეობებს აწყობენ“.**

მართლაც, იმ დღეს ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა. ყველა საგულდაგულოდ კარჩარაზულ სახლში იჯდა, არ მუშაობდა არც ერთი დაწესებულება, რაღა თქმა უნდა, მშობლებმა ბავშვები სკოლებსა და კოლეჯებში არ გაუშვეს. შეშინებულ, დამფრთხალ ხალხს მეზობლის ფინიის ყეფა ლომის ბრდღვინვად ეჩვენებოდა, ხოლო პოლიციის მანქანის სირენის ხმა – დამშეული აფთრების კივილად.

ბენეტმა მოიგო ნიძლავი, თუმცა, როგორც კი სინამდვილე გაცხადდა, სასამართლოსა და სოლიდურ ჯარიმას ვერ გადაურჩა.

**ამერიკის ერთ-ერთი ელექტროკომპანიის სარეკლამო განყოფილების აგენტი, 54 წლის ჯო შერმანი, სამსახურიდან გაათავისუფლეს.** მისი ასაკის კაცისათვის, რომელსაც უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, ძნელი იყო სამუშაოს შოვნა. მაგრამ ჯო იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომელთაც გაჭირვების ჟამს ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა არ სჩვევიათ. მან ჩვეულებრივი ფურცელი აიღო და თავისი ახალი ბიოგრაფია შექმნა.

თავდაპირველად მან ჯო შერმანის ასაკს 15 წელი ჩამოაკლო, შემდეგ ძალიან იოლად „დაამთავრებინა“ პიტსბურგის უნივერსიტეტი და ფლორიდაში „დააცვევინა“ დოქტორის ხარსხი. არც ის გამორჩენია, რომ ჯო შერმანს პრაქტიკული საქმიანობის დიდი გამოცდილება ჰქონდა — თანამშრომლობდა სხვადასხვა ცნობილ ფირმასთან.

ამის შემდეგ თავისი ახალი ბოგრაფია გაამრავლა და ეგზემპლარები შეერთებული შტატების სხვადასხვა ელექტრონულ კორპორაციებსა და ფირმებს დაუგზავნა.

იმ დროს ელექტრონიკის დარგში მომუშავე ყველა კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულება სანთლით ეძებდა კარგ სპეციალისტს. ამიტომ ჯო შერმანმა ქვეყნის ყველა კუთხიდან მიიღო მიწვევა გასაუბრების მიზნით და, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაშია მიღებული, მოსაწვევ ბარათს თან ახლდა საკმაოდ სოლიდური საბანკო ჩეკი ნებისმიერი ტრანსპორტის პირველი კლასის სალონით მგზავრობისათვის და სხვა აუცილებელი ხარჯების დასაფარად.

მიიღებდა თუ არა ჩეკს, ჯო შერმანს ბანკიდან ნაღდი თანხა გამოჰქონდა, ხოლო მიმწვევთან თავისი ძველისძველი „ფორდით“ მიემგზავრებოდა. ასე რომ, ფული მხოლოდ ბენზინსა და წახემსებაში ეხარჯებოდა. რა თქმა უნდა, ის კომპანიები, რომლებიც ახალგაზრდა სპეციალისტს ეძებდნენ, ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, ჯო შერმანს უარით ისტუმრებდნენ და, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, იგი თავადვე ესწრაფვოდა ამას.

საქმე ისაა, რომ **ჯო შერმანმა ყველაზე იოლი და უმტკივნეულო გზა აღმოაჩინა — სამგზავრო ხარჯები. ამ აღმოჩენით მან ერთ წელიწადში 15 ათასი დოლარი ჩაიჯიბა.** ხოლო როდესაც ერთ-ერთმა კომპანიამ მას მეორე კლასის მგზავრობის ჩეკი გამოუგზავნა, შეურაცხყოფილი „დოქტორი“ მას სასამართლოში ჩივილით დაემუქრა.

ფირმათა მენეჯერებს აზრადაც არ მოსვლიათ, ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებული პიროვნებისთვის უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი და დოქტორის ხარისხის დამამტკიცებელი საბუთი მოეთხოვათ. კოკა წყალზე მაშინ გატყდა, როდესაც მან ამერიკის რადიოკორპორაციის ადმინისტრაციას გაუგზავნა ანალოგიური ანკეტა. ეს სოლიდური ორგანიზაცია, სანამ პრეტენდენტს მიიწვევდა, საგულდაგულოდ ამოწმებდა მის მონაცემებს. წესს რადიოკორპორაციამ არც ამჯერად ულალატა და აღმოაჩინა, რომ პიტსბურგისა და ფლორიდის უნივერსიტეტებში ჯო შერმანი თვალითაც არავის ენახა.

ჯო შერმანი ორლანდოში დააპატიმრეს და გამოძალვისა და თაღლითობის გამო ათი თვით პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლოს გადაწყვეტილებას ჯომ ასეთი კომენტარი გაუკეთა: **„ეს ათი თვე ჩემთვის საუკეთესო დასვენება იქნება, მე ხომ მთელი წელიწადია ბორბლებზე ვცხოვრობ“.** მართლაც, მას ერთი წლის განმავლობაში 100 ათას მილზე მეტი ჰქონდა გავლილი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## უგო ჩავესმა ტვიტერელ მეგობარს სახლი აჩუქა



ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი „ტვიტერის" აქტიური მომხმარებელია. ახალგაზრდა გოგონას, 19 წლის ნატალია ვალდივიესოს, ძალიან გაუმართლა — ის სამი მემილიონე მომხმარებელია, რომელიც ჩავესმა დაიმეგობრა. პრეზიდენტმა გადაწყვიტა, გოგონა დაეჯილდოებია. ნატალიამ საჩუქრად სახლი მიიღო. „უგო ჩავესი საუკეთესო პრეზიდენტია", — დაწერა „ტვიტერზე" გოგონამ. ჩავესი ამ ფაქტის გამო სასტიკად გააკრიტიკეს. ოპოზიციონერმა გუსტავო კორონელმა საკუთარ ბლოგზე დაწერა, რომ ჩავესმა ადამიანი სრულიად უსაფუძვლოდ დააჯილდოვა. გარდა ამისა, სახლი სახელმწიფოს ფულით აშენდაო და არა პრეზიდენტის.

# მტაცებელი მცენარეები

ზოგიერთი მცინარე აბსოლუტურად უნაყოფო ნიადაგზე იზრდება. ამგვარ ადგილებში მცენარეთათვის ჩვეულებრივ საჭირო საკვები აბსოლუტურად არ მოიპოვება, მაგრამ ამ პრობლემასაც გადარჩენის ინსტინქტმა სძლია და ამგვარად „დაჩაგრულ" მცენარეებს გადარჩენის უნიკალური სტრატეგია ჩამოუყალიბა – ისინი ცოცხალი ნადავლით იკვებებიან. მსოფლიოს მასშტაბით, მტაცებელი მცენარეების 450 სახეობაა აღმოჩენილი. ისინი 6 ოჯახში ერთიანდებიან, თუმცა უფრო ხშირად 5 ჯგუფად ყოფელ ხოლმე.
პირველი ჯგუფის მცენარეებს მწერების დასაჭერად აქვთ ე. წ. ქოთნები და მილის მსგავსი „სანადირო ორგანოები"; მეორე ჯგუფის მცენარეებს მწერების დაჭერაში ე. წ. კბილები ეხმარებათ; მესამე ჯგუფს წებოვანი ან ლორწოვანი ფოთლები აქვს; მეოთხე ჯგუფს – „შემწოვი ორგანოები"; ხოლო მეხუთეს – მარწუხები.

## „შემწოვი ორგანოების" მქონე მტაცებელი მცენარეები



მტაცებელი მცენარეების მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება ეგრეთ წოდებული **წყლის სანთელა.** მისი ძლიერი დანაკვთული ფოთლები თავისუფლად დაცურავენ წყალში. წყლის ზემოთ ჩანს მხოლოდ ღერო და საკმაოდ დიდი ხასხასა ყვითელი ყვავილები. მას ფოთლებზე აქვს პატარ-პატარა ბუშტები, ამითომ მას მეორენაირად ბუშტოსანს უწოდებენ. თითოეულ ბუშტს აქვს შესასვლელი — „პირის" ნასვრეტი, მის ნაპირზე კი განლაგებულია უხეში, წაწვეტებული ჯაგრები. ბუშტები იწოვენ ზედ დამჯდარ მწერებს, რომლებიც უკან გამოსვლას ველარ ახერხებენ, რადგან ბუშტის სარქველი აღარ იხსნება.





ყველაზე დიდი ქოთნისმაგვარი ფოთლები აქვს ნეპენტესს. მას თაგვებისა და პატარა ჩიტების დაჭერაც კი შეუძლია.
სარაცენიას მილების სიგრძე ზოგჯერ 1 მეტრს იღწევს.
ყველაზე დიდი ყვავილი აქვს რაფლეზიას. მისი დიამეტრი 1 მეტრამდეა. იგი არის როგორც მტაცებელი, ასევე პარაზიტი მცენარეც. ის ხშირად ვაზის ღეროზე იზრდება. ის დიამეტრით რეკორდსმენია მტაცებელ მცენარეებში, და არა მარტო.
ყველა მწერიჭამია მცენარეს შენარჩუნებული აქვს ნიადაგიდან და ჰაერიდან მიღებული არაორგანული ნივთიერებით ჩვეულებრივი კვების უნარი.

## წებოვანი ფოთლების მქონე მტაცებელი მცენარეები



ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან **დროზერა** და **ცხიმურა.** დროზერა მოწითალო-მწვანე ფერის პატარა მცენარეა. ფოთლის ფირფიტის ზედა მხარესა და კიდეებზე 25-მდე წამწამი აქვს. ეს წამწამები გამოყოფს ლორწოვან ნივთიერებას და ასავე ფერმენტბს, რომელთა საშუალებითაც ხდება ცილების გადამუშავება.
ცხიმურას ფოთლის ზედაპირი დაფარულია ლორწოთი, რის გამოც ცხიმწასმულს ჰგავს, ამიტომაც დაარქვეს ცხიმურა. ფოთოლზე მიკრული მწერი მასზე არსებულ ჯირკვლებს აღიზიანებს, ჯირკვლები კი, თავის მხრივ, საკვების მომნელებელ წვენს გამოყოფს.

## მტაცებელი მცენარეები ქოთნისმაგვარი ფოთლებით





**სარაცენია** მიეკუთვნება მტაცებელი მცენარეების პირველ ჯგუფს. მწერების მოსაზიდად მისი ფოთლები კაშკაშადაა შეფერილი და მოფენილია ჯირკვლებით. ქოთნისმაგვარი ფოთლები დაფარულია წამწამებით, რომლებიც იჭერენ მწერებს. ფოთლის ზედაპირი შეიცავს მოტკბო ნარკოტიკულ ნივთიერებას, რომელის აბრუებს მწერს და მოძრაობის უნარს უქვეითებს.

არსებობს სარაცენიას მსგავსი სხვა მტაცებელი მცენარეებიც, რომელთა მილებში, ანუ ქოთნებში არსებული სითხე მწერს კლავს, თუმცა არსებობენ ისეთი მწერებიც, რომლებიც ასეთ პირობებში კარგად მრავლდებიან. მაგალითად, კოღოს ჯიში Wyeomyia smithii ცხოვრობს სარაცენიას ქოთანში. მისი მუდმივი მობინადრეა ასევე მწერი Misumenops nepenthicola.

## მარწუხებიანი მტაცებელი მცენარეები



ასეთ მცენარეებს მიეკუთვნება **გენლისეა,** რომელიც ხშირად გვხვდება ბუშტოსანთან ერთად. იგი წყალში ბინადრობს. მის ფოთლებზე განლაგებულია ბეწვები, რომლებიც პატარა მარწუხებს მოგვაგონებს. გენლისეა მსხვერპლს სწორედ ამ მარწუხებით იჭერს, მათ ბოლოებზე მოთავსებულია ჯირკვლები, რომლებიც მოტკბო ნივთიერებას გამოყოფენ. სწორედ ეს ნივთიერება იზიდავს მწერს. გენლისეა საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში.



## «კბილებიანი» მტაცებელი მცენარეები

ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილის ტორფიან ჭაობებში გვხვდება მწერიჭამია მცენარე — **ვენერას ბუზიჭამია.** მისი თითოეული ფოთოლი გაყოფილია ორ ნაწილად. ქვედა ნაწილი მცენარეს ჰაერიდან აწვდის საკვებს, ზედა – სანადირო ორგანოა. ის შედგება ორი მოძრავი ნაწილისგან, რომელთა კიდეებზე განლაგებულია ბასრი კბილები. თითოეული ნაკვთის ზედაპირზე არის 3 გრძელი დრეკადი ჯაგარი. გარდა ამისა, ნაკვთების მთელი ზევითა მხარე მოფენილია მრავალი წვრილი წითელი ჯირკვლით.
საკმარისია, მწერი ამ ნაკვთებიდან ერთ-ერთს შეეხოს, რომ ნაკვთები შეერთდება, კბილები ერთმანეთს დაედება და მწერი ორ ნაკვთს შორის მოემწყდევა. ამ დროს ჯირკვლები ერთდროულად იწყებენ გამჭვირვალე მჟავე სითხის გამოყოფას, იგი ცილების გადამამუშავებელ ფერმენტს შეიცავს. საკვების შეწოვის შემდეგ ნაკვთები ერთმანეთს სცილდება და თავდაპირველ მდგომარეობს უბრუნდება.







## ავიაცია კოღოების წინააღმდეგ



**შვედეთის ხელისუფლებამ კოღოებისგან შეწუხებული მოსახლეობის დასაცავად უცნაური გეგმა შეიმუშავა. აბეზარი მწერების წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნის ავიაცია ჩაერთვება. შვედეთის ხელისუფლება ზაფხულამდე კოღოებს ვერტმფრენებიდან „დაბომბავს“.** ხელისუფლებას კოღოებისა და ქინქლებისგან შეწუხებული სულ უფრო მეტი ადამიანი მიმართავს. მათი უმეტესობა ცენტრალურ შვედეთში, დალელვენის მიდამოებში, ცხოვრობს. ხელისუფლებამ ამ რეგიონში მწერების განადგურება გადაწყვიტა. ისინი ვერტმფრენებიდან პესტიციდებით სავსე „ბომბებს“ 9000 ჰექტარის ტერიტორიაზე ჩამოყრიან. ექსპერტები შვედეთის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას სარისკოდ მიიჩნევენ, რადგან არსებობს მწერების პესტიციდებთან ადაპტაციის საფრთხე.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფაბერჟეს კვერცხები



**ფაბერჟეს განთქმული საიუველირო კვერცხები 1885-1917 წლებში სანკტ-პეტერბურგში მცხოვრებმა წარმოშობით ფრანგმა კარლ ფაბერჟემ სპეციალურად საიმპერატორო ოჯახისთვის შექმნა. დღესდღეობით 71 ცალი კვერცხია ცნობილი. აქედან 52 ცალი სწორედ საიმპერატორო ოჯახს ეკუთვნოდა. ეს კვერცხები საიმპერატორო ოჯახის ერთგვარ ემბლემად იქცა, ხოლო ზოგადად — ფუფუნების საგნებად.**





პირველი კვერცხი 1885 წელს შეიქმნა. ის მეფე ალექსანდრე II-მ შეუკვეთა მეუღლისთვის სააღდგომო საჩუქრად. ნაკეთობა გარედან მომინანქრებული იყო, გული კი მთლიანად ოქროსი ჰქონდა. XVIII საუკუნეში ამგვარი 3 კვერცხი შეიქმნა და ისინი დღემდე კოპენჰაგენის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება.

ამ კვერცხის ამბის გაგების შემდეგ იმპერატორმა მოინდომა, ასეთივე საჩუქარი გაეკეთებია თავისი მეუღლისთვის და ფაბერჟეს უბრძანა, რომ ყოველ წელიწადს მისთვის დაემზადებია თითო კვერცხი. იუველირს აუცილებლად უნდა გაეთვალიწინებია ორი რამ: მისი ორიგინალურობა და სიურპრიზის ეფექტი.

შემდგომმა იმპერატორმაც გააგრძელა ეს ტრადიციადქცეული საქმე და ფაბერჟეს ყოველწლიურად ორ კვერცხს უკვეთავდა: ერთს — თავისი მეუღლისთვის, მეორეს კი — დაქვრივებული დედისთვის. ფაბერჟე და მისი ოსტატები თითო კვერცხის დამზადებას ძალიან დიდ დროს ანდომებდნენ. მას 24 ოსტატი ჰყავდა, ყველა მათგანის სახელი ისტორიამ შემოინახა.

71 კვერცხიდან შემორჩენილი მხოლოდ 62 ცალია. აქედან მხოლოდ ერთი გავიდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ისიც 1918 წელს მისმა კანონიერმა მფლობელმა, მარია ფიოდოროვნამ, სხვა ნივთებთან ერთად დანიაში, თავის სამშობლოში, გაიტანა. ეს კვერცხი გიორგიევსკის სახელითაა ცნობილი. 1930 წლამდე ეს კვერცხები კრემლის ალმასის საცავში ინახებოდა, მაგრამ შემდგომ 14 მათგანი გაიყიდა.

თითოეული კვერცხი შედგებოდა ოქროს, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი მასალებისგან, ამასთან ერთად, იგი ფასობდა ოსტატების ფაქიზი და შესანიშნავი ნამუშევრითაც. ყველა კვერცხს ფაბერჟეს საფირმო მარკა ემჩნეოდა. ეს კვერცხები ჯერ კიდე მათი შექმნის პერიოდში ძალიან ძვირი — დაახლოებით 3000-8000 რუბლი ღირდა.

კვერცხები იყო სხვადასხვა ზომის, მაგრამ ყველა მათგანს ახლდა სიურპრიზი კვერცხში მოთავსებული პორტრეტის ან ძვირფასი ქვის სახით.

# მსოფლიოს უდიდესი აუზი

**ჩილეში, კურორტ სან ალფონსო დელ მარზე, მსოფლიოში ყველაზე დიდი აუზია. მისი მშენებლობა მილიარდი დოლარი დაჯდა. აუზის სიგრძე 20-ჯერ აღემატება ოლიმპიური თამაშებისთვის განკუთვნილ საცურაო აუზებს.**

უზარმაზარი ხელთნაკეთი ლაგუნა ქალაქ ალგარობოში მდებარეობს. ის 66 მილიონი გალონი კრისტალურად სუფთა ზღვის წყლით არის სავსე.

გარდა სიგრძისა, ჩილეს აუზი რეკორდების წიგნში ყველაზე ღრმა აუზის სახელითაც შევიდა. მისი სიღრმე 36 მეტრამდე აღწევს.

აუზი კომპიუტერიდან იმართება. მას დამონტაჟებული აქვს ოკეანიდან სუფთა წყლის ამოტუმბვისა და აუზში გადანაწილების სისტემა. ამის გათვალისწინებით აუზში ზღვის მინერალებიც ხვდება. გარდა ამისა, მზე დაგუბებულ წყალს 26 გრადუსამდე ათბობს, რაც ოკეანის ტემპერატურაზე 9 გრადუსით მეტია.

მსოფლიოში ყველაზე დიდ აუზში თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება პატარა ნავებსა და მინიკატერებს.





# ყავა სიკვდილიანობას ამცირებს

**მსოფლიოში ყავას, წყლის შემდეგ, ყველაზე მეტად მოიხმარენ, შესაბამისად, ამერიკულ ჟურნალ New England Journal of Medicine-ში გამოქვეყნებული კვლევის შედეგებიც მილიონობით ადამიანს დააინტერესებს.**



კვლევის ავტორები 50-დან 71-წლამდე ასაკის 4 000 კაცისგან შემდგარ ჯგუფს 13 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყავის გამოყენება სიკვდილიანობას 10%-ით ამცირებს. მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალებში სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება უფრო მაღალია და 15%-ს შეადგენს.

**„ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ყავისმოყვარულებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, თუმცა იმ ადამიანებისთვის, ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, ყავის ხშირი მოხმარების შემთხვევაში, ექიმთან კონსულტაცია აუცილებელია“,** — აცხადებს პროფესორი ნილ ფრიდმანი, რომელიც აშშ-ის ონკოლოგიურ დაავადებათა ნაციონალური ინსტიტუტის კვლევას ხელმძღვანელობდა.

**„ყავა კარგი ნარკოტიკია. ნარკოტიკი იმ გაგებით, რომ გარკვეულ ფიზიკურ დამოკიდებულებას იწვევს, მაგრამ ის ერთადერთი ნარკოტიკია, რომელიც ფსიქიკურ მდგომარეობას არ არღვევს“,** — აღნიშნავს საფრანგეთის მედიცინის აკადემიის ფარმაკოლოგი ჟან კოსტენტანი, რომელიც, უკვე 30 წელია, ნეიროფსიქოფარმაკოლოგიის დარგში კვლევებს ხელმძღვანელობს.

დიეტოლოგი ჟან-პოლ ბლანი აღიარებს, რომ „ყავის სმა, უპირველეს ყოვლისა, სიამოვნებაა. იგი საფრთხეს არ წარმოდგენს, თუ მას ორსულობის, კუჭ-ნაწლავის დაავადებებისა და წამლების დალევის დროს არ მივიღებთ“.

**თუ დიაბეტით, გულ-სისხლძარღვთა, ფილტვისა და ინფექციური დაავადებების დროს ყავის მომხმარებლებს შორის სიკვდილიანობა შემცირდა, ამერიკელი მეცნიერების კვლევამ (რომლებიც ონკოლოგიური დაავადებებით დასნეულებულ ადამიანებს აკვირდებოდნენ) საპირისპირო აჩვენა — კიბოთი დაავადებულ მამაკაცებში, რომლებიც დღეში 5 ჭიქაზე მეტ ყავას სვამდნენ, სიკვდილიანობის სტატისტიკურად უმნიშვნელო ზრდა დაფიქსირდა.**

ყავის ცუდი რეპუტაცია დიდწილად იმით არის განპირობებული, რომ ყავისმოყვარულები ხშირად ეწევიან, რის გამოც სიკვდილიანობის ზრდას, რაც სინამდვილეში თამბაქოს უკავშირდება, ყავას მიაწერენ.

# სიცოცხლისთვის სახიფათო ინტერნეტდამოკიდებულება




**ამერიკელი მეცნიერები დაინტერესდნენ, რა მოუვათ ადამიანებს, რომლებსაც ერთი წუთითაც არ შეუძლათ სოციალური ქსელებისა და სოციალური მედიის გარეშე ცხოვრება.**

გამოკითხულთა 67%-მა განაცხადა, რომ საცხოვრებლად ისეთ ადგილას გადავა, სადაც ინტერნეტის პრობლემა არ არის. მათთვის facebook, Twitter და სხვა სოცქსელები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე პატრიოტიზმი ან სამშობლოში დარჩენილი ახლობლები.

გამოკითხულთა 14%-მა განაცხადა, რომ დეპრესიაში ჩავარდება; 6% ინტერნეტის არქონის შემთხვევაში კომპიუტერს მაინც არ დათმობდა და სოცქსელებს კომპიუტერული თამაშებით ჩაანაცვლებდა. გამოკითხულთა 2%-მა განაცხადა, რომ, თუ ინტერნეტი არ იქნება, სიცოცხლეს სუიციდით დაასრულებს, რადგან მათ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები სწორედ ონლაინ რეჟიმში ხდება. ინტერნეტისა და ვირტუალური ურთიერთობების გარეშე გამოკითხულთა ეს ნაწილი თავის მომავალს ვერ ხედავს. გამოკითხვის მიხედვით, პოტენციურ თვითმკვლელთა შორის სუსტი სქესის წარმომადგენლები სჭარბობდნენ.

## არქიმანდრიტი ანტონი:

# რუსმა იცის, რომ მას და ქართველს ერთი ღმერთი ჰყავს...

**დასავლეთის ქვეყნებმა XXI საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნეს პროგრამა „ათასწლეულის გამოწვევა“. მსოფლიო ლიდერების თქმით, ახალ საუკუნეში კაცობრიობის წინაშე სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანები დადგებოდა. დადგა ეს საუკუნეც და აღნიშნულთან ერთად არანაკლებ სერიოზული პრობლემები წარმოიქმნა ადამიანების სულიერ ცხოვრებაში. ეს, უწინარეს ყოვლისა, მართლმადიდებლობაზეც ითქმის.**
**რა პრობლემებია და როგორ უნდა გადავწყვიტოთ ისინი? ამ შეკითხვებს უპასუხებს თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ანტონი.**

— მართლმადიდებლობა ვერასოდეს დამშვიდდება, რადგან იბადებიან ბოროტი და კეთილი ადამიანები. მით უფრო დღეს, როცა იმძლავრა სექტანტურმა მოძრაობამ. ადამიანებს არ ესმით ან არ სურთ, გაიგონ, რომ მართლმადიდებლობა უკვდავია. დღეს ადამიანები კვლავ დაუბრუნდნენ ტაძრებს, აქტიურად ესწრებიან ღვთისმსახურებას, მაგრამ საკმარისი არ არის, იარო ეკლესიაში და ილოცო, უნდა შეასრულო უმთავრესი — არ გაუკეთო ადამიანს ის, რასაც საკუთარ თავს არ უსურვებ. ვიქცევით კი ასე? საკუთარ თავს მართლმადიდებელს ვუწოდებთ, მაგრამ ეს იქნება ფიქცია, თუ ისე არ მოვიქცევით, როგორც ვამბობთ... არც ერთი ჩვენგანი სრულყოფილი არ არის, მაგრამ ამისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ.

**— გამოწვევები, რომლებიც მართლმადიდებლობის წინაშე დგას, განსხვავდება უწინდელისგან?**

— გამოწვევები არის და ეს ჩვენი სისუსტეა. დღეს ჩვენ ჩვენს წინაპრებზე სუსტები ვართ. უწინ ისინი მზად იყვნენ, რწმენისთვის თავი გაეწირათ, ჩვენ კი დღეს მართლმადიდებლობის ნიღაბს ვირგებთ და უკადრებელ საქმეებს ვიქმთ. ესაა ჩვენი უბედურება...

**— 20 წლის წინათ ამერიკელმა პოლიტიკოსმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ განაცხადა: „საბჭოთა კავშირის დამსხვრევის შემდეგ ჩვენ ერთი მტერი დაგვრჩა — მართლმადიდებლობა“...**

— ბჟეზინსკიმდე ეს თქვეს რევოლუციონერმა მასონებმა: „თვითმპყრობელობა დავამარცხეთ, დაგვრჩა მართლმადიდებლობა“. **მართლმადიდებლობის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა, სექტანტების მოძალება გრძელდება. მთავარი ისაა, რომ ჩვენ არ გვესმის უმთავრესი — მართლმადიდებლობის ბირთვი. ქრისტემ თქვა, რომ, ვინც არ ჭამს ჩემს სხეულს და არ სვამს ჩემს სისხლს, ქრისტიანი არ არის. ის, ვინც დადის ეკლესიაში, მაგრამ არ ეზიარება, არ მონაწილეობს ევქარისტიაში, იგი თავის თავს მართლმადიდებელს ვერ უწოდებს...**

ერთ ახალგაზრდა კაცს გულახდილად ველაპარაკე. მან მითხრა, რომ კომპიუტერს მიეძალა. დღეს ეს გავრცელებული გადამდები სენია. თავისთავად კომპიუტერი და ინტერნეტი ბოროტება არ არის. ღმერთმა ეს დაუშვა, არ ისურვებდა, არ დაუშვებდა, მაგრამ იგი გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. წმინდა მამები ამბობენ, რომ ეშმაკს შენ უნდა წამოაჯდე და არა პირიქით... თუ კომპიუტერმა გაგიტაცა, ყველაფერი გავიწყდება — ძილის წინ არ ლოცულობ, დილით კი, გაიღვიძებ თუ არა, მივარდები კომპიუტერს და შედეგად მისი მონა ხდები. ეშმაკმა შენიშნა შენი სწრაფვა და დაგიწყო მისით ვაჭრობა. შენ კომპიუტერის პატრონი უნდა იყო და არა პირიქით, რადგან შენ შეგქმნა ღმერთმა, ტექნიკა კი ადამიანის ხელითაა შექმნილი. რომელი უფრო მაღლა დგას?

**— მამაო ანტონ, დღეს მარტო ადამიანებს შორის კი არა, ეკლესიათა შორის არის გაუგებრობები. მხედველობაში მაქვს საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიების ურთიერთობა, კერძოდ ის, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქები, ერთის მხრივ, აღიარებენ საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში აფხაზეთის ეპარქიის ყოფნას, მეორე მხრივ, მხარს უჭერენ ღვთისმსახურებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლებიც საქართველოს დედაეკლესიას განუდგნენ.**



**«ქრისტემ თქვა, რომ, ვინც არ ჭამს ჩემს სხეულს და არ სვამს ჩემს სისხლს, ქრისტიანი არ არის. ის, ვინც დადის ეკლესიაში, მაგრამ არ ეზიარება, არ მონაწილეობს ევქარისტიაში, იგი თავის თავს მართლმადიდებელს ვერ უწოდებს...»**

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს დროებითია. ღმერთმა ეს დაუშვა, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავით ჩვენი ერთად ყოფნის აუცილებლობაში. როგორ შეიძლება არ გიყვარდეს ადამიანი, რომელიც შენთან ერთად პირჯვარს იწერს, შენთან ერთად დადის ეკლესიაში და შენთან ერთად ეზიარება?! ეს ნაკლებად განათლებული პოლიტიკოსების ბრალია, რომლებიც შოვინიზმით არიან დაავადებულნი. მათ მე ქრისტიანებს ვერ ვუწოდებ, მაგრამ ამ სიტუაციამ ვერ იმოქმედა ქართულ და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიათა ურთიერთობაზე. ბევრი მეგობარი მყავს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლეს ღვთისმსახურთა შორის და ვერ წარმომიდგენია, რომ მე მათ შევძულდები ან — პირიქით. ჰკითხეთ ნებისმიერ რუსს და იგი სიამოვნებით დაგელაპარაკებათ ქართულ ეკლესიაზე... **მე ვიცი ეკლესიები, სადაც დიდ პატივს მიაგებენ წმინდა ნინოს ხატებს. ერთ-ერთ ეკლესიას შევწირე წმინდა ნინოს ხატი და მრევლი მას დიდი პატივისცემით ეთაყვანება. რუსმა იცის, რომ მას და ქართველს ერთი ღმერთი ჰყავს... ყველანი ცოდვილნი ვართ, წავიფორხილებთ, ვვარდებით, მაგრამ რამდენჯერაც დავეცემით, იმდენჯერ უნდა წამოვდგეთ, ღმერთს შენდობა ვთხოვოთ და შევრიგდეთ.**

არიან, ალბათ, ადამიანების ჯგუფები, რომლებსაც სძულთ ქართველები, ქართველებს — რუსები, მაგრამ მათი რაოდენობა უმნიშვნელოა და არამასშტაბური. მიმაჩნია და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი დროებითია...

შეიძლება, იქ არიან ადამიანები, რომლებიც ორ ღმერთს მსახურებენ. **ბევრი მეგობარი მყავს რუსეთში, ვინც ჩემზე ლოცულობენ, მე — მათზე. ჩვენ ვერავინ დაგვაცილებს, რადგან ჩვენ ერთ ღმერთზე ვლოცულობთ.**

**ვანო ჩოკორაია**


# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.
ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას: ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru




# დანიაში მღვდლები დაავალდებულეს, ჯვარი დასწერონ ჰომოსექსუალებს

**8 ივნისს დანიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელმაც ქვეყნის ყველა ეკლესია დაავალდებულა, ჯვარი დასწერონ ჰომოსექსუალურ წყვილებს.
ამის შესახებ The Daily Telegrap.ge წერს. კანონის თანახმად, მღვდელს შეუძლია ჯვრისწერაზე უარი თქვას, მაგრამ ეპისკოპოსი ვალდებულია, მას შემცვლელი მოუნახოს. კანონი 15 ივნისს შედის ძალაში.**



მიუხედავად იმისა, რომ 111-კაციან პარლამენტში კანონს 85-მა დაუჭირა მხარი, საზოგადოებაში ამ თემაზე კამათი არ წყდება. სულ ცოტა, სამღვდელოების ერთმა მესამედმა უარი განაცხადა გეებისა და ლესბოსელებისთვის ჯვრისწერაზე, ხოლო თავად კანონი ეკლესიაში განხეთქილების შეტანად შეაფასა. **ეკლესიის საქმეთა მინისტრმა მანუ სარინმა** (პენჯაბში დაბადებული ეთნიკური ინდოელი) **განაცხადა, რომ ეს კანონი „ისტორიულია“ და იგი ყველა ადამიანს ჯვრისწერის თანაბარ შესაძლებლობას აძლევს.**

1989 წელს დანია პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ერთსქესიანი ქორწინება დააკანონა. მეზობელ ნორვეგიასა და შვედეთში, რომლებიც გეებისა და ლესბოსელების მიმართ ასევე ლიბერალურნი არიან, ჯერ მხოლოდ მსჯელობენ იმაზე, დაავალდებულონ თუ არა ეკლესია, ჯვარი დასწერონ მათ.


საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009